# კავკასიის ემირატი

რამაზ კლიმიაშვილი: 2


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№34

21 – 27 ოქტომბერი, 2009

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

გამოდის ორშაბათობით

info@geworld.net


## თბილისის მერიის აფერა და «ქურდი» პლასტიკური ბარათები

5




# ბუდარიხა

## ნიკო ორველაშვილი ცალკალოშიანი მრჩევლების შესახებ

7

## რაზეა ბაასი?

16

## პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისას ნინო ბურჯანაძემ დაბრუნდაშვილს «ბორჯომ-ლიკანის» რეზიდენცია პირდაპირი მიყიდვის წესით გადასცა!

4


საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

№ 32 2004 წლის 22 იანვარი ქ. თბილისი

სახელმწიფო რეზიდენცია „ბორჯომ-ლიკანის“ ბაკურიანის დასასვენებელი სახლის და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის ო. დაბრუნდაშვილისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე

## ბურჯაანის პროკურორმა 50 წლის ქალბატონის სიცოცხლე იმსხვერპლა

7

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კავკასიის ემირატი

**მოსკოვში აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის — ჰილარი კლინტონის ოფიციალური ვიზიტის დროს რუსეთის მიერ გახმაურებული განცხადება, რომ ჩრდილო კავკასიაში მომრავლებული ტერაქტების უკან „ალ-ქაიდა“ დგას, ხოლო მას ამაში საქართველოს ხელისუფლება ეხმარება — წინა კვირის მთავარი სენსაცია იყო. ამერიკელებისთვის ამაზე უფრო საშინელი მესიჯი წარმოუდგენელია! ამიტომ შევეცადოთ, გავერკვეთ, თუ რა ხდება სინამდვილეში ჩვენს ჩრდილოეთით.**



ორიოდე სიტყვით შევეხები ისტორიას: როგორც ცნობილია, რუსეთმა ჩრდილო კავკასიის ათვისება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. XIX საუკუნის შუაგულში მთიელები იმამ შამილის მეთაურობით აჯანყდნენ და ათწლეულების განმავლობაში აწარმოებდნენ განმათავისუფლებელ ომს. რუსების მიერ მათი წინააღმდეგობის გატეხა მხოლოდ ქართველების დახმარებით გახდა შესაძლებელი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის იმპერიის გაუქმებასა და ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ჩრდილო კავკასიაში სრული ქაოსი მოჰყვა. მთიელი ტომები, ძირითადად, რუსებსა და გერმანელ კოლონისტებს ძარცვავდნენ. 1919 წლის დასაწყისში იქ გენერალ დენიკინის „მოხალისეთა თეთრი არმია“ შევიდა, როგორც თვითონ ამბობდნენ, „ზურგში წესრიგის დასამყარებლად“. დენიკინის პროპაგანდა მთიელებს ორ ჯგუფად ყოფდა: „ერთნი, მშრომელი ხალხებია (კუმიკები, ოსები, ყაბარდოელები და ლეკები), ხოლო მეორენი, თავიანთი ველური ინსტინქტების გამო, — ბანდიტური ცხოვრების მოყვარულები“. ადვილი მისახვედრია, თუ ვის გულისხმობდნენ ამ მეორე ჯგუფში.

**„თეთრებმა“ მთიელების წინააღმდეგ ტერორს მიმართეს, თუმცა, ამავე დროს, სრულ თვითმმართველობას სთავაზობდნენ. მარტში დენიკინმა ჩეჩნებს არმიაში სამსახური შესთავაზა და შეიქმნა ჩეჩნების დივიზია. მაგრამ ამან უკუშედეგი გამოიღო — ჩეჩნები უკვე სხვა მთიელებს დაუპირისპირდნენ.**

1919 წლის მაისში კავკასიის ემირმა უზუნ-ხაჯიმ დენიკინის არმიას „ჰაზავათი“, ანუ წმინდა ომი გამოუცხადა და დაღესტანსა და ჩეჩნეთშიც დაიწყო ახალი აჯანყება. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ამ ომის მხარდამჭერებად მოგვევლინენ ახლად შექმნილი სახელმწიფოები — აზერბაიჯანი და საქართველო. აზერბაიჯანი მთიელებს იარაღს აწვდიდა, ხოლო საქართველო, რომელსაც იარაღის დეფიციტი ჰქონდა, ძირითადად, ფულს აძლევდა. აი, რას წერდა **ნოე ჟორდანია: „ჩვენ თვითონ გვიჭირდა, მაგრამ მთიელებს უარს არ ვეუბნებოდით. რატომ? ამას მოითხოვდა ჩვენი ჩრდილო საზღვრების დაცვა. მთიელთა ძლიერი დამოუკიდებელი რესპუბლიკა — ეს იქნებოდა მოსკოვს დაპირისპირებული ციხესიმაგრე. მის არსებობაში ყველა ჩვენ ვიყავით დაინტერესებული“.**

აგვისტოში თეთრები უკვე მხოლოდ რკინიგზას თუ აკონტროლებდნენ და მალე ბოლშევიკებმა ისინი გააძევეს, ხოლო კავკასიაში რაღაც ფედერაციის მსგავსი შექმნეს, რომელმაც დიდხანს არ იარსება – ამოქმედდა მზაკვრული გეგმა ძველ იმპერიულ სტილში და შეიქმნა ორი დაპირისპირებული ეთნოსუბიექტის ავტონომიები, რომლებიც ნელი მოქმედების ნაღმებია. მაგალითად, ყაბარდოელები და ჩერქეზები ერთი ტომის ხალხია, მაგრამ სხვადასხვა ავტონომიებში მოხვდნენ, ხოლო მათთან ერთად მათ ავტონომიებში განამწესეს თურქულენოვანი ხალხები – ბალყარები და ყარაჩაელები. დაღესტანი კი საერთოდ სრულიად განსხვავებული, როგორც კავკასიური, ისე მონღოლური წარმომავლობის ეთნოსების კრებულია.

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში პირველმა დამოუკიდებლობა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიამ გამოაცხადა. როგორც ცნობილია, ჩეჩნების დამოუკიდებლობას ღიად უჭერდა მხარს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ისიც ცნობილია, რომ მთიელთა კონფედერაციამ თავის დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადა, ხოლო აფხაზეთის ომში სისასტიკით გამოირჩეოდა ჩეჩნების „აფხაზური ბატალიონი“, რომელსაც მეთაურობდა ჩეჩნების ყველაზე განთქმული საველე მეთაური შამილ ბასაევი. შემდგომში მას სეპარატისტებმა „აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის“ სტატუსი მისცეს. ომის დამთავრების შემდეგ ჩეჩენი ბოევიკები და აფხაზი სეპარატისტები წაიჩხუბნენ და მოგვიანებით შამილ ბასაევმა ბოდიშიც კი მოუხადა ქართველ ხალხს იმ საზარელი ქმედებების გამო, რომლებსაც მისი მეომრები სჩადიოდნენ აფხაზეთში ომის დროს. ხოლო დამოუკიდებელმა იჩქერიამ დიდხანს ვერ იარსება და თავის პირველ პრეზიდენტთან ერთად შეწყვიტა არსებობა, ბევრი ჩეჩენი მებრძოლი ტყეში გავიდა და პარტიზანული ბრძოლა დაიწყო, ანუ ტერაქტებზე გადავიდნენ.**

1999 წელს მოსკოვში ჩატარებული ორი ტერაქტის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა მეორე ჩეჩნური ომი დაიწყო. ვინაიდან ეს სულ ახალახან იყო, მე მასზე აღარ შევჩერდები, მხოლოდ გავიხსენებ, რომ ჩეჩნების მონათესავე ქისტებით დასახლებული პანკისის ხეობა ჩეჩენი ბოევიკების მოსამზადებელი ბაზა გახდა. საქართველოს ხელისუფლება ამას დიდხანს უარყოფდა, ვიდრე რუსეთი დაბომბვით არ დაემუქრა. **ვინაიდან იქ „ალ-ქაიდას“ კვალი დაფიქსირდა, უკვე ამერიკული სპეცსამსახურები დაინტერესდნენ. სწორედ მათ მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად გაიწმინდა პანკისი ბოევიკებისაგან, თუმცა დღემდე ბურუსში გახვეული რჩება გილაევის ბოევიკების გადაყვანა კოდორის ხეობაში და „რუსთავი 2“-ის 9-საათიან „კურიერში“ გაკეთებული ომახიანი განცხადება: „ჩეჩნებმა სოხუმი დაიკავეს“! სინამდვილეში ისინი უპრობლემოდ გადავიდნენ ჩრდილო კავკასიაში, სადაც მალე ჩუმად ამოხოცეს.**

დღეს ჩეჩნეთს მართავს ავტოკრატიული მმართველი რამზან კადიროვი. მას უფრო მეტი ძალაუფლება და დამოუკიდებლობა აქვს, ვიდრე ჯოხარ დუდაევს ჰქონდა.

**შარშან აგვისტოში ცხინვალზე შტურმს ხელმძღვანელობდა ჩეჩენი სულიმ იამადაევი და მისი ბატალიონი „ვოსტოკი“. რუსულმა პრესამ ის „გმირად“ შერაცხა, მაგრამ სულ მალე კადიროვმა იამადაევი თანამდებობიდან გაათავისუფლა, ხოლო ბატალიონი დაშალა. სულიმის ძმა – სახელმწიფო დუმის დეპუტატი და „რუსეთის გმირი“ რუსლან იამადაევი კი პირდაპირ მოსკოვის ცენტრში დახვრიტეს. იგივე ბედი ეწია ერთი წლით ადრე ჩეჩნეთში ფეესბეს ოპერჯგუფ „მთიელის“ მეთაურს პოლკოვნიკ მოვლადი ბაისაროვს. დაფიქსირდა, რომ რამზან კადიროვი კონკურენტებს არ მოითმენს!**

ანალოგიური სიტუაცია იქმნება მეზობელ დაღესტანშიც. მაგალითად, შარშან, წლის ბოლოს, ორი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 59 შეიარაღებულ კონფლიქტს ფედერალურ არმიასა და ადგილობრივ სამართალდამცველებს შორის. ამ მხრივ დაღესტანმა უკვე გაუსწრო ჩეჩნებსა და ინგუშებს, ერთად აღებულთ.

**დიდი ცვლილებებია ჩრდილო კავკასიაში, რაც ძალიან აშფოთებს არამარტო რუსეთის ხელისუფლებას, არამედ დასავლეთის იმ წრეებს, რომლებიც თავის დროზე ომში ჩეჩნებს უჭერდნენ მხარს. საქმე ისაა, რომ, თუ 90-იან წლებში ჩრდილო კავკასიის ეროვნულ მოძრაობაში ეროვნულ-დემოკრატიული ლოზუნგებით გამოდიოდნენ და დასავლეთზე იყვნენ ორიენტირებულნი, ამჟამად კავკასიის ახალი ლიდერები ფუნდამენტალისტური, ანტიდასავლური ლოზუნგებით გამოდიან. ეს ძალები ამჟამად ფსონს დებენ საერთაშორისო ისლამურ ორგანიზაციებსა და მათ ლოზუნგებზე. ამასთანავე, თუ 90-ანი წლები ჩრდილო კავკასიაში აღინიშნებოდა ეთნიკური სეპარატიზმით, ახლა თანდათან ძლიერდება ერთობა ისლამის, კონკრეტულად კი, მისი განშტოების — ვაჰაბიზმის საფუძველზე.**

თუ 90-იან წლებში რუსეთს ჩეჩნების წინააღმდეგ ერთ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა, ამჟამად გამოიკვეთა უკვე წინააღმდეგობის სამი რეგიონი – ჩეჩნეთი, ინგუშეთი და დაღესტანი; დროდადრო კი აფეთქებები გაისმის ჩრდილო კავკასიის სხვა ავტონომიებშიც. ხოლო თუ უფროსი თაობის შემორჩენილი ბოევიკები ნაციონალისტები იყვნენ, ამჟამად ძირითადი მასა ახალგაზრდები არიან და ისინი, როგორც წესი, რელიგიურ ექსტრემისტებად გვევლინებიან.

## დღეს ჩრდილო-კავკასიელი მებრძოლების მთავარი მოწოდებაა მთელი მთიელი ხალხების გაერთიანება და თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. „ჯერ იმამატი შევქმნათ, ხოლო მერე დავაზუსტოთ მისი საზღვრები“!

**ეს არის მასხადოვის შემცვლელის, აბდულ-ხალიმ საიდულაევის სიტყვები, რომელიც, ასევე, „პროფესიონალური ავადმყოფობით“ გარდაიცვალა, ანუ მოკლეს.**

ისლამიზაციას სერიოზული სტიმული მისცა უკანასკნელი საერო ლიდერის — ასლან მასხადოვის მკვლელობამ. ბოლო პერიოდში ის უკვე ველარ აკონტროლებდა წინააღმდეგობის მოძრაობას და მხოლოდ სიმბოლურ ლიდერად რჩებოდა. მისი სიკვდილის შემდეგ კი მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ სასულიერო ლიდერები. მაგალითად, მასხადოვის შემდეგ „პრეზიდენტად“ გამოცხადდა საიდულაევი, რომელიც უფრო მორალური ავტორიტეტი იყო, ვიდრე პოლიტიკოსი. მისი მმართველობის მოკლე პერიოდში ის პირველად დაფიქსირდა როგორც „ემირი“, ხოლო „კავკასიის ემირატის“ შექმნის იდეა თანდათან პოპულარული გახდა.

**საიდულაევის მკვლელობის შემდეგ „იჩქერიის პრეზიდენტის“ პოზიციას იკავებს დოკა უმაროვი, რომელიც შამილ ბასაევთან იყო დაახლოებული, მაგრამ ამ მოძრაობაში მოიკლო ჩეჩენ ბოევიკთა რაოდენობამ, ხოლო გაიზარდა სხვა კავკასიელების ხვედრითი წონა. ამას ორი მიზეზი უნდა ჰქონდეს — ჩეჩნები უკვე ორი ათეული წელია, რაც ბრძოლაში არიან; გარდა ამისა, ჩეჩნებში გავრცელებულია ისლამის ერთ-ერთი მიმართულება — სუფიზმი, მაშინ, როდესაც ემირატის მომხრეები ვაჰაბიტები არიან, ისლამის ეს ორი მიმართულება კი ურთიერთგამომრიცხავია.**

„პოლიტიკური ისლამის“ იდეოლოგი იასინ რასულოვი იყო, მაგრამ ის მოკლეს. დოკუ უმაროვი საველე მეთაური გახლდათ და არა იდეოლოგი, მაგრამ მალე გაერკვა ახალ რეალობაში და 2007 წლის დეკემბერში „იჩქერიის პრეზიდენტის“ თანამდებობიდან გადადგა. მან თავი „კავკასიის მებრძოლთა ემირად და ჯიჰადის ლიდერად“ გამოაცხადა. ემირატის შემადგენლობაში კი გამოცხადებულია: დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილო ოსეთი-ალანია, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების ტერიტორიები.

დოკუ უმაროვი, რომელიც ჩეჩნეთის ომის დროს ჭრილობებს თბილისში მკურნალობდა, ახლა იწოდება როგორც „ემირ აბუ-უსმანი“. იგი ამჟამად უკვე ეროვნებებზე აღარ ლაპარაკობს და მთლიანად ჩრდილოკავკასიელ ხალხებს მიმართავს. მისი მოადგილე და წინააღმდეგობის მთავარსარდალია ეროვნებით ინგუში ახმედ ევლოევი, მეტსახელად „მაგასი“. მაგრამ ჩრდილო კავკასიაში ყველაზე პოპულარული გმირი დღეს შეიხი საიდ ბურიატსკია, ცნობილი ჟურნალისტის — იულია ლატინინას სიტყვებით, „კავკასიელი ჩე გევარა“! ის ეროვნებით ბურიატია, მაგრამ ისლამი აღიარა (ბურიატები ბუდისტები არიან). ეს უნდა იყოს ახალი ტიპის ინტერნაციონალისტი-მუჯაჰედის პროტოტიპი.

**ასეთ დროს მოულოდნელი სენსაცია იყო ისრაელის „მოსადის“ მიერ იორდანიაში მოპოვებული საიდუმლო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც „მუსლიმანი ძმების“ საიდუმლო და ძალიან გავლენიანმა ორგანიზაციამ 2007 წელს კრემლთან შეთანხმებას მიაღწია, რის მიხედვითაც მათ ჩრდილო კავკასიაში ყოველგვარი ოპერაციის დაფინანსება შეწყვიტეს, რის სანაცვლოდაც რუსეთს პალესტინისთვის უნდა დაეჭირა მხარი! მაგრამ მაშინ ვინ აწვდიდა მთიელებს ფულსა და იარაღს ტერაქტებისათვის? ამ შემთხვევაში ყველას, უპირველესად, თავისთავად ამ საქმის დიდოსტატები, ანუ „ალ-ქაიდა“ გაახსენდება!**

დადგა დრო, ვიკითხოთ, თუ რას მოუტანს საქართველოს ფუნდამენტალისტური და თეოკრატიული „კავკასიის ემირატის“ შექმნა. **ადიღეები, ჩერქეზები და ყაბარდოელები აფხაზების უახლოესი მონათესავე ხალხები არიან, ანუ ცხადია, რომ ემირატი კავკასიის აქეთ მოინდომებს გადმოსვლას;**

**თუნდაც, გავიხსენოთ, 90-იანი წლების დასაწყისში „მთიელთა კონფედერაცია“ თავის დედაქალაქად სოხუმს რომ მოიაზრებდა. ასევე, თუ ჩრდილო ოსეთი-ალანია ემირატში მოიაზრება, მაშინ, მათი მენტალიტეტით, რატომ არა — ე.წ. სამხრეთ ოსეთი? ასევე, გავიხსენოთ, რომ ათიოდე წლის წინათ ჩეჩნები ალაპარაკდნენ პანკისის ხეობაში „სამხრეთ ჩეჩნეთის“ გამოცხადებაზე დედაქალაქით ახმეტაში („ახმეტას“ ისინი ჩეჩნურ სიტყვად მიიჩნევენ!). ასეთ სიტუაციაში საქართველოს ნარჩენები ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ფუნდამენტალისტური, არატოლერანტული ემირატით იქნება შემოხვეული და საბოლოო ჯამში – დამხრჩვალი.**

ეხმარება თუ არა ემირატის მებრძოლებს ტერაქტებში საქართველოს ხელისუფლება? ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ გავიხსენოთ ნოე ჟორდანიას ზემოთ მოყვანილი სიტყვები. ხელისუფლებამ შეიძლება გვითხრას, რომ ემირატი — ეს შორეული მომავლის საქმეა, ახლა კი დღევანდელი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტიო. ეს კი იქნებოდა ყველაზე ახლომხედველური პოლიტიკა. გვინდა კი, ჩვენს მეზობლად ახალი ავღანეთი მივიღოთ?

## ამასთან, თუ დოკუმენტურად დაფიქსირდებოდა „ალ-ქაიდასთან“ საქართველოს ხელისუფლების კავშირი, საქართველო ორმაგი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებოდა — ამერიკისა და რუსეთის ახალი პოლიტიკა ხომ ტერორიზმთან და, კონკრეტულად, „ალ-ქაიდასთან“ ერთობლივი ბრძოლაა!

**გამოდის, ჩიხში რომ გვეგონა ჩვენი თავი, სინამდვილეში მთელი სიჩქარით უფსკრულისკენ მივექანებით...**

**რამაზ კლიმიაშვილი**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბუდარიხა

**მკითხველს ამთავითვე ბოდიშს მოვუხდი, რაკილა ვიცი, რომ კორექტულობის ზღვარის გადალახვა უთუოდ მომიწევს, რადგანაც შეუძლებელი მგონია თავშეკავება, როცა თეა თუთბერიძეზე ლაპარაკობ. აქ ისიც ვერ შემაჩერებს, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ბუდეში გამოჩეკილი გველის წიწილი ქალია და მიუხედავად იმისა, რომ, ყველა ქართველივით, მეც გენეტიკურ კოდში მიდევს სუსტი სქესისადმი უპირობო პატივისცემა, რა ვქნა, ამ კმარელ ალქაჯს ქალად ვერასოდეს აღვიქვამდი. მით უმეტეს ახლა, როდესაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობას ამ უწმინდურმა ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა, რომ გახსენებაც კი მეუხერხულება. მაგრამ მოდი ყველაფერი — თავიდან, რადგან ის, რაც მოხდა, ნამდვილად არ იყო, რომ იტყვიან, „მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა“, ანუ ადრეც არაერთხელ ვყოფილვართ მოწმენი სოროსის ნასხლეტი „ხლისტების“ თავხედობისა, ამ შემთხვევაში, — თეა (ბუდარიხა) თუთბერიძესი.**




უფრო სწორად, ზესტაფონის რაიონის ერთ სოფელში, ჩვეულებრივი ქართველი გლეხის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა ეს არგასაზრდელი გოგო, რომელსაც სათნოების, სინაზის გამომხატველი სახელი თეა დაარქვეს, მაგრამ ნათქვამია — „თუ ბუნებამც არ უშველაო“; ჰოდა, ერთი პოეტის პერიფრაზით თუ ვიტყვით — „წუხელის გველი დაბადებულა“, უპრიანი იქნება თეაზე.

**გველისწიწილობის ხანაც და საშუალო სკოლაც სოფელში დაუმთავრებია და თბილისისკენ ჰერი, ჰერი! სადაც ეს უწიგნური, რაღაც მანქანებით, უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. თუმცა რატომ რაღაც მანქანებით? ეტყობა, მთლად და ყველაფერში არ ტყუიან „ნაცები“ და როინ მეტრეველის უნივერსიტეტში, მართლაც, ყვაოდა კორუფცია, თორემ წერა-კითხვის უცოდინარი თუთბერიძე სხვანაირად სტუდენტი ვერ გახდებოდა!**

ამასობაში ჰაერში სოროსის ვარდების ავისმომასწავებელი სურნელი დატრიალდა და კაპარჩხანა თეამ სწავლა მიატოვა (უფრო სწორად, დიპლომის აღებაზე ჩალიჩი, რასაც რევოლუციის შემდეგ სკანდალურად აიღებს, მაგრამ ამაზე ქვემოთ) და „კმარას“ ლიდერად მოგვევლინა.

აი, მაშინ გაეჭკნორათ მისთვის თავი, როდესაც „შვიშტოკებით“ აყრუებდა და „კრასკებით“ თხუპნიდა თბილისის ქუჩებს, იცოცხლე, კაი იყო, მაგრამ შევარდნაძის სპეცნაზის მრისხანე შეფი — თემურ მღებრიშვილი ჩურჩხელებს ურიგებდა კმარელებს და არა მხოლოდ მათ.

**ჰოდა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — იქუხა ვარდების დიადმა რევოლუციამ, ყვარყვარეს ცნობილი ლოზუნგის — „გაიხარე, მუშავ წამებულო“ — ფონზე დაიწყო ყველაფერი ქართულის, ტრადიციულის, მართლმადიდებლურის ნგრევა-გინება-უარყოფა!..**

საზოგადოებისთვის პირველი ყურისმომჭრელი განცხადებაც მაშინ გააკეთა რევოლუციის წინაშე დამსახურებისთვის „თავისუფლების ინსტიტუტის“ შეფის, ლევან (ბუდარა) რამიშვილის მოადგილედ ალაბორანტებულმა თეა (ბუდარიხა) თუთბერიძემ, როცა საქართველოს დედაეკლესიაში შეგზავნილმა სოროსის ვირთხებმა შიდაეკლესიური „დემოკრატიული“ რეფორმები მოითხოვეს — **თუ საჭიროდ ჩავთვლი, საპატრიარქოს კედელზე მივაწერ „კმარასო“.** ეს თავხედობა, ყველა მორწმუნისათვის შეურაცხმყოფელი განცხადება, რომ იტყვიან, ხახვივით შერჩა და ყურებზე ხახვიც ვერავინ დააჭრა.

მერე იყო და გაახსენდა, რომ დიპლომი ჯერაც ასაღები ჰქონდა და „მშობლიურ“ უნივერსიტეტს მიაშურა, სადაც როინ მეტრეველის, ამ თხემით ტერფამდე ქართველის („გრუზინის“, გიგი თევზაძისთვის „ჩვენი“, ჩამორჩენილი ქართველების მიმართებით სალანძღავი დეფინიცია) კვალიც გამქრალიყო და გია ხუბუას, გიგი თევზაძისა და დავით პაიჭაძის, ბუდარა ხლისტების ზეობის ხანა დამდგარიყო.

რის დიპლომის დაცვა, ანუ რის ცოდნა, რა ცოდნა, როგორც ამბობენ, ბუდარიხა თუთბერიძემ მატრიკულით ხელში ჩამოუარა პროფესორ-მასწავლებლებს. ვინ შეჰკადრებდა, ვინ გაუბედავდა რევოლუციის წინაშე დამსახურებულ ქაჯს ცოდნის შემოწმებას? **აკი, ვერც გაუბედეს „წითელმა პროფესორებმა“ და სულ ხუთიანები ჩაუჭიკჭიკეს, მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, „коса нашла на камень“ და „камень“-ს კიდევ ერთი „წითელი პროფესორი“, ქალბატონი დალი ფანჯიკიძე ერქვა.**

ვის უბედავო? შეჰკივლა თურმე ამ ტუტუცმა გომბიომ — **მე ბუდარიხა არ ვიყო, თუ შენც როინის ოინი არ გიყო და სამსახურიდან არ გავაგდებინო შენი თავიო!**

ერთი სიტყვით, ეს სკანდალი გახმაურდა და აღშფოთებული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს უპირველესი გერმანისტის, დალი ფანჯიკიძის დასაცავად შეიმართა; ქალბატონის, რომელიც ყოველთვის იყო ცნობილი პრინციპულობით, მსგავს შემთხვევებში — შეუვალობით. იქამდეც კი, რომ თქვენი მონამორჩილიც, რომლის მკვიდრი დეიდაც არის დალი ფანჯიკიძე, უარით გამომისტუმრა, როდესაც ვთხოვე, ჩემი ძალიან ახლობელისთვის „პატარა“ შეღავათი გაეწია!..

**თუმცა უნდა ითქვას, რომ, მართალია, ბუდარიხას შემთხვევაში ხელისუფალთაგან ვერავინ ვერაფერი შეჰბედა „წითელ პროფესორს“, მაგრამ ეს ხმაური უხმაუროდ მოაგვარეს — უცხო ენა, გერმანული, სხვა „უცხო ენით“, რუსულით შეუცვალეს ბუდარიხა თუთბერიძეს და რუსულის „მასტავლებელმა“ ორი წველა ყველის საფასურად, რომელიც თეას ზესტაფონიდან გამოუგზავნეს, უპრობლემოდ მოაგვარა პრობლემა — ისე, ვითომ ნოდარ დუმბაძის ზურიკელაზე უკეთესი რუსული ეცოდინება ბუდარიხას? მეტი არაა თქვენი და ჩემი მტერი, მკითხველო!..**

„კაპო და ტუტი კაპო“ — ეს იტალიურ-მაფიოზური გამოთქმა ნიშნავს ბოსების ბოსს, რომლის მცირე პერიფრაზი ბუდარიხასაც მიესადაგება.

დიპლომირებულმა კმარელმა იცოტავა „თავისუფლების ინსტიტუტში“ მაღალი თანამდებობა და კიდევ უფრო მაღალი ხელფასი, რადგანაც დიპლომის შესაფერისი ინტელექტუალური პოსტი მოუნდა და ბოსების ბოსად — სკოლის დირექტორების დირექტორად მოგვევლინა.

სკოლის დირექტორთა ასოციაციის თავმჯდომარეობა თავიდან სახელმწიფო დანიშვნითი თანამდებობა მეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ე. წ. ენჯეო, არა- სამთავრობო ორგანიზაცია ყოფილა, სადაც საქართველოს სკოლების დირექტორებს ერთხმად „აურჩევიათ“ ბუდარიხა საკუთარ ხელმძღვანელ-„ნადზირატელად“! კარგად არის ცნობილი, თუ მსგავსი „არჩევნები“ როგორი ზეწოლის ქვეშ ტარდება, მაგრამ თეა თუთბერიძე? ეს უკვე მეტისმეტია და იმდენად შეურაცხმყოფელი მთელი საზოგადოებისთვის, რომ „ბარაქალა“ ჩვენი დირექტორების თავმოყვარეობასა და პრინციპულობას. და ვაი ჩვენს შვილებს, ასეთი სკოლების მოსწავლეებს!!!

ეჰ! რაღა ბევრი გავაგრძელო და პოსტრევოლუციურ საქართველოში მივეჩვიეთ, შევეგუეთ ამ უბირი დედაკაცის „გაჯეჯილებას“, რომელიც შიგადაშიგ და ალაგ-ალაგ პირდაპირი ტელეეთერებითაც „უკრავს“ ხოლმე საზოგადოების აშლილ ნერვებზე. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა, თუ არ გინდა ნერვების აშლა, მარტივად ისარგებლებ დისტანციური პულტით, მაგრამ იმ შემთხვევაზე, რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ, ნამდვილად არ ეგების იმის თქმა, თუ არ მოგწონს, გადართე!..

**ამას წინათ, ტელეეთერით ვნახეთ და მოვისმინეთ ამ ალქაჯის კომენტარი პატრიარქის ცნობილ გამოსვლაზე, რომელზეც „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში ვწერდი, თუმცა მაშინ ბუდარიხას ყველა ზღვარგადასული გამოხდომის შესახებ არაფერი ვიცოდი.**

**„აი, ვინ არის რუსეთის დასაყრდენი საქართველოში“,** — არც მეტი, არც ნაკლები, ასე ბრძანა საქართველოს ერთადერთი იმედის, მისი უწმინდესობის მისამართით ამ სოროსის ნაშიერმა, მაგრამ ეს თურმე, რომ იტყვიან, ჟურნალი ყოფილა და კინო წინ გველოდა.

თეა თუთბერიძეს საკუთარ „Facebook“-ზე, ანუ ინტერნეტში ისეთი ვიდეო აუტვირთავს, რომ იმას პირდაპირ ეთერში ვერ გაჩვენებთ, ვისაც გაინტერესებთ, თავად ნახეთო, — ჩურჩულებდნენ იმ დღეს ერთ-ერთ ტელეარხზე.

ჰოდა, მეც ვნახე და ნეტავი არ მენახა — ბეთჰოვენის სამგლოვიარო ჰანგების ფონზე ილია მეორეს ერთ-ერთი გამოსვლის კადრები მიდის. ოღონდ ვიღაცის ხმაა „დადებული“ და ისეთ ტექსტს ამბობს, რომ, მართალია, წერილის თავშივე ვთქვი, ბუდარიხასთან მიმართებაში ეთიკის, კორექტულობის საზღვრებს ვერ დავიცავ-მეთქი, ამჯერად ჩემ მიერ გადალახულ საზღვრებშიც ვერ ჩაეტევა ის, რაც ამ დედაკაცმა იკადრა.

**ერთ კვირაზე მეტია ეს „მასალა“ დევს ინტერნეტში, მისი ავტორის „ფოტოსთან“ ერთად და საზოგადოება დუმს. ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიხსენებ, რომელიმე ტელევიზიას ფართოდ რომ გაეშუქებინოს ეს — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყველა მორწმუნესათვის (და არა მხოლოდ) შეურაცხმყოფელი ამბავი.**

მინდა, მივმართო იმ დირექტორებს, რომელთა დირექტორიც არის ეს ჭეშმარიტი ხლისტი — ნუთუ მათ შორის არავინ არის მრევლი ან, უბრალოდ, პატიოსანი ადამიანი, რომელიც ხმას ამოიღებს? **ან იგივე მიხუინ დეპუტატებში, ოპოზიციონერობას რომ თამაშობენ, ან, თუნდაც პოზიციაში, გინდაც რუსუდან კერვალიშვილი, ვინც ვიცი, რომ მრევლია და არაერთხელ ჰქონია ბედნიერება პატრიარქთან შეხვედრისა, რატომ არ იღებთ ხმას? რამ დაგაბეჩავათ, რამ შეგაშინათ ასე?**

თუ აქამდე თეა თუთბერიძეს ხახვივით შერჩა არაერთი უგვანო საქციელი, ამ უკანასკნელმა, გაუგონარმა თავხედობამ უსათუოდ უნდა მოაშთოს ეს უბირი „თავისუფლების ინსტიტუტის“ ღირსეული პირმშო.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ესეც შევარჩინეთ, ჩვენ არც საზოგადოება გვქვია და, მით უმეტეს, — არც ერი. ვერც იმ „არგუმენტს“ მივიღებ, რომ მაგას ღმერთი დასჯის. **აქ, მიწაზე, უნდა მოვთხოვოთ პასუხი იქამდეც კი, რომ „ყურები“ ავახიოთ. მერე წავიდეს და ხლისტების ღმერთთან, ჯორჯ სოროსთან გვიჩივლოს!**

არ ვიცი... მაგრამ, ალბათ, ეს ის შემთხვევაა, როცა ე. წ. „ჩემი აზრით“ გამოთქმა მიუღებელია და, თუ საზოგადოების უმრავლესობას იგივე აზრი არ ექნება, როგორითაც წინამდებარე წერილია გაჟღენთილი, შემირცხვენია ასეთი საზოგადოებაც და ქვეყანაც.

**დავით მხეიძე**

**P.S. ნამდვილად არ მეგონა, თუ წინამდებარე წერილში ჩადებული ემოციების კიდევ უფრო გამძაფრება მომიწევდა, მაგრამ თურმე ვცდებოდი.**

**ბუდარიხა არ დაოკდა და, როგორ თუ პრეზიდენტ სააკაშვილს გემის კაპიტნობა დაუწუნაო, პატრიარქის მისამართით უარესი ბალღამი ანთხია.**

**პატრიარქი ღმერთი არ არის და ამიტომ პრეზიდენტის, რომის პაპის განმაქიქებელი კლიპების გაკეთება თუ შეიძლება, რატომ პატრიარქის მიმართ არ შეიძლებაო, საქართველო ირანი ხომ არ არისო. დაახლოებით ეს წამოროშა ბუდარიხამ.**

**რა უნდა უპასუხო ტუტუც ბუდარიხას ამ დემაგოგიაზე? რაც შეეხება პრეზიდენტს (ალბათ, მიშას გულისხმობდა), მაგას რაღა კლიპი და ვიდეომონტაჟი უნდა? სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყოველგვარი ვიდეომონტაჟის გარეშე, ჰალსტუხის ღეჭვითა და გორში გორაობით მოიჭრა თავი სოფელ-ქვეყანაზე!**

**ან რა შუაშია ირანი? განა, თუნდაც, იტალიაში, რომის პაპის მიმართ ვინმე გაბედავს იმას, რასაც ესენი ბედავენ? გაბედავენ და, როგორც იტყვიან — კაი ჩიტსაც დაიჭერენ!**

**ჩვენთან — ბედავენ და მეტი არა? ზემოთ რომ ერთი კლიპის შინაარსზე ვისაუბრე, მასეთი და უარესი ბარე 5-6 ყოფილა იმავე საიტზე სხვადასხვა ავტორის და ერთი „თავისუფლების ინსტიტუტის“ პატრონაჟით.**

**აბა, რა ეგონაო, ქირქილებდა ეს ალქაჯი ბუდარიხა, რატომ გააკეთა ანტისახელმწიფოებრივი განცხადებაო! ჰო, ის, რომ გემის კაპიტანმა უნდა იცოდეს, სად არის წყალქვეშა კლდეები, ანტისახელმწიფოებრივი განცხადებაა და 12 აგვისტოს გამარჯვების ტაშფანდური სახელმწიფოებრივი საქციელია!..**

**ზემოთ პოზიცია-ოპოზიციის დუმილი ვახსენე და უნდა გავაგრძელო ეს ჩამონათვალი. სად არიან ქრისტიან-დემოკრატები და მათი ლიდერი, „ჰალსტუხიანი ხვლიკი“, შადიმანა გიორგი თარგამაძე? სად ჩანს მისი ქრისტიანობა? ან იგივე „რედისონში“ შეკრებილი ოპოზიცია, რომლის მნახველ ყველა ნორმალურ ადამიანს კრილოვის „Лебедь, рак, да щука“ გაახსენდებოდა. ამ ხალხმა ლამის მოლოტოვ-რიბენტროპის ანალოგიური, თავდაუსხმელობის პაქტი გააფორმა და პატრიარქს რომ თავს ესხმიან, რად დადუმებულა?**

**მაინცდამაინც 7 ნოემბერს, „საიუბილეო“ თარიღს რომ ელოდებიან, ამაზე მეტი საბაბი და მიზეზი რაღა უნდათ? მოუწოდონ ხალხს და ვინ ოხერი დარჩება სახლში, პატრიარქის დასაცავად ყველა გამოვა, და თუ მიშას ვერაფერი დავაკელით აქამდე, ეს „თავისუფლების ინსტიტუტი“ მაინც დავამთავროთ ერთხელ და სამუდამოდ!**

**არ ვიცი... აზრებისთვის თავი ვერ მომიყრია, ფიქრი აქეთ-იქით გამირბის. ერთი რამ კი უეჭველად ვიცი და მჯერა, რომ ამის პატიება ამ ხლისტებისთვის არ შეიძლება! თუ ესეც ჩავყლაპეთ, „გავატარეთ“, მაშინ ჩვენ არც ქვეყანა ვართ, არც საზოგადოება და, მითუმეტეს, არც ერი!**

**ზოგი „ძაან ღვთისმოსავი“ იმით აპელირებს, რომ თეა თუთბერიძეს, ბექა მინდიაშვილს და სხვებს უფალი დასჯის „იქ“. იქნებ, ასეც იყოს, მაგრამ ესეც ვიცოდეთ, რომ თუ აქ არ მოვკითხეთ ამ ბუდარებს და ბუდარიხებს, არც ჩვენ გადაგვისვამს უფალი თავზე ხელს „იქ“...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პრეზიდენტმა აღიარა...

**სატელევიზიო ჩართვა, რომლის შესახებაც ამ წერილში მოგითხრობთ, რამდენიმე დღის წინათ საზოგადოებამ პირდაპირ ეთერში იხილა, თუმცა, ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ ამ სულ რაღაც თხუთმეტწუთიან ჩართვაში ჩვენმა „სახელოვანმა“ პრეზიდენტმა ერთობ მნიშვნელოვან განცხადებებს მოუყარა თავი. დიახ, სააკაშვილის მიერ ტელეკომპანია „ბი-ბი-სისთვის“ მიცემულ ინტერვიუს ვგულისხმობ, სადაც მან მისთვის უჩვეულო გულწრფელობითა და ზედმეტი „დიპლომატიური ორჭოფობის“ გარეშე ყველა ის ბრალდება აღიარა, რაც ტალიავინის საგამოძიებო კომისიამ თავისი ცხრაასგვერდიანი დასკვნით წაუყენა. ამით ნაცმოძრაობის ბელადმა საბოლოო წერტილი დაუსვა მთავარ სადაო საკითხს — ვინ დაიწყო აგვისტოს ომი. თუმცა ჩვენმა ტელევიზიებმა ეს ჩანაწერი იმდენად დამახინჯებული თარგმანით წარმოადგინეს, რომ, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ბევრისთვის, ალბათ, უცნაურია მისი ჭეშმარიტი შინაარსი.**




**— ბატონო პრეზიდენტო, ევროკავშირის საგამოძიებო კომისიის დასკვნის თანახმად, აგვისტოს ომის მიზეზი ქართული ჯარის მიერ ცხინვალის დაბომბვა გახდა, რასაც რუსეთის არაპროპორციული პასუხი მოჰყვა. ეთანხმებით თუ არა ამ დასკვნას?**

— ევროკავშირის დასკვნა მაქსიმალურად ობიექტურია და ზუსტად ასახავს იმ ვითარებას, რაც საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ომის დაწყებამდე იყო...

*იქვე დასძენს:* ჩვენს ქვეყანაში უცხო ქვეყნის ჯარი შემოიჭრა, დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები და მოახდინა ტერიტორიის ოკუპაცია. საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და ჩვენ ვალდებული ვიყავით, ჩვენი მოქალაქეები და ტერიტორიები დაგვეცვა...

მითხარით, როგორ მოიქცეოდა ჩვენს ადგილას, ვთქვათ, გერმანია ან რომელიმე სხვა სუვერენული ქვეყანა?! როგორ მოიქცა ინგლისი, როცა მის სანაპიროებს ესპანეთის უძლეველი არმადა მიადგა?!

**— ამერიკელები შეშფოთებულნი არიან, რომ თქვენსა და რუსეთს შორის ამ ორი გამოყოფილი რეგიონის გამო კავკასიაში ძალადობის ხელახალი ესკალაციის პოტენციური საფრთხე არსებობს. ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ თქვენს ქვეყანაში იმყოფებოდა, განაცხადა: ჩვენ ვერ ვხედავთ იმ პრობლემების სამხედრო გზით გადაჭრის პერსპექტივას, რომელიც სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთშიაო...**

— როცა კონფლიქტურ რეგიონებთან ან იგივე რუსეთთან ურთიერთობაზე ვსაუბრობ, სამხედრო დაპირისპირებას არ ვგულისხმობ, ეს არის ის, რაც ყველაზე ნაკლებად სჭირდება ჩვენს ქვეყანას...

საქართველო ახლა გასაოცარი აღდგენის პროცესშია. ჩვენი ეკონომიკა კვლავ ფეხზე დგება. ჩვენ ისევ ვიღებთ უამრავ საერთაშორისო ინვესტიციებს და, მსოფლიო კრიზისის მიუხედავად, ჩვენი ბიუჯეტი კვლავ დაბალანსებულია.

**— თქვენი ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება შეფერხდა. გაეროს სხდომაზე ჰილარი კლინტონმაც გითხრათ: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ უნდა ივარჯიშოთ, რომ უფრო მომთმენი გახდეთო...**

— ბოლო თვეებში ჩვენი ეკონომიკა გაიზარდა და არა მხოლოდ გაიზარდა, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ქვეყანაა ბიზნესის კეთების თვალსაზრისით. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ჩვენ ვდგავართ დემოკრატიის გზაზე, რაც შეუქცევადი პროცესია და საბოლოოდ აუცილებლად მიგვიყვანს გამარჯვებამდე.

**— თქვენ ამბობთ, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესები სწრაფად ვითარდება, თუმცა ოპოზიციის წარმომადგენლები მუდმივად გაკრიტიკებენ და ხშირად არც თუ უსაფუძვლოდ. ისინი უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი მედია, თავისუფალი სასამართლო, არ არსებობს ჯანსაღი საარჩევნო გარემო, ეს კი იმაზე მიანიშნებს, თქვენ არ გაქვთ ნება და უნარი, იყოთ დემოკრატი პრეზიდენტი, რის პირობასაც დებდით...**

— ყველა ამ საკითხზე საქართველოში კითხვები ძალიან ხშირად ისმება, განსაკუთრებით იმაზე, რაც პრეზიდენტს ეხება. ნებისმიერი ქართული არხი რომ ჩართოთ, ნახავთ, როგორი დებატები გვაქვს საზოგადოებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც ოთხი თვის განმავლობაში, როცა რუსეთის არმია დედაქალაქიდან ორმოც კილომეტრში იდგა, ტარდებოდა უწყვეტი აქციები და ოპოზიცია პროტესტს გამოხატავდა. ამას ბევრი ქვეყანა, მათ შორის ჩვენზე უფრო დემოკრატიულიც კი არ დაუშვებდა...

**— აპირებთ თუ არა 2013 წლამდე პრეზიდენტობას? თუ ვადამდელ არჩევნებს დანიშნავთ?**

— მე არანაირი გამოკითხვების ციტირებას არ ვახდენ, მაგრამ ამ მთავრობას აქვს გამორჩეულად მაღალი რეიტინგი. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს კონსტიტუციას... ავაშენეთ დემოკრატია? — ჯერ არა, მაგრამ ეს პროცესი დაწყებულია და აუცილებლა მივიყვანთ ბოლომდე...

**P.S. მოკლედ, ვინც ეს ჩანაწერი ნახა ან ვინც ამ წერილს წაიკითხავს, იმედს ვიტოვებ, არასდროს იტყვის, რომ ჩვენი პრეზიდენტი მშიშარა და უსირცხვილო ადამიანია (როგორც ხშირად ამბობენ). ან როგორ უნდა თქვას, როცა კაცი გამოდის და მსოფლიოს გასაგონად ამბობს, ომი მე დავიწყე, თუ დამნაშავე ვარ, დამსაჯეთო!.. პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც სწორედ ამას გულისხმობს პატივცემული სააკაშვილი, როცა ტალიავინის დასკვნას სრულიად ეთანხმება და ქართულ ჯარს ინგლისის ძლევამოსილ არმიას ადარებს.**

**თუმცა, ვფიქრობ, ამ ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვები გაცილებით საინტერესო და საგულისხმოა, ვიდრე სააკაშვილის პასუხები, ვინაიდან მასში ნათლად ჩანს არა მხოლოდ ჟურნალისტის ან არხის პოზიცია, არამედ ზოგადად დასავლეთის დამოკიდებულება ჩვენი „ყოვლისშემძლე“ პრეზიდენტის პოლიტიკური ხედვებისადმი. უფრო მეტიც, როცა დამოუკიდებელი, „სუვერენული“ ქვეყნის პირველ პირს პირდაპირ ეუბნებიან: არ გაქვს ნება და უნარი, იყო დემოკრატი პრეზიდენტი, ეს ნიშნავს, რომ იგი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, საერთაშორისო ასპარეზზე მკვდარია (აკი, თქვა კიდეც მედვედევმა, სააკაშვილი პოლიტიკური გვამიაო), ხოლო როცა რესპონდენტი ასეთ კითხვას გვერდს უქცევს, არც მეტი, არც ნაკლები, ეს ცხადყოფს, რომ ის ამ მოსაზრებას თავადაც ეთანხმება.**

**დიახ, სააკაშვილი უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ უცხოელი კოლეგები თუ პარტნიორები მას მოქმედ პოლიტიკოსად აღარ თვლიან, არ სურთ მასთან ურთიერთობა და როგორც მიხრწნილ გვამს, მის და მისი ხელისუფლების პერსპექტივას პოლიტიკურ მოუსავლეთში ხედავენ.**

**ვგონებ, სწორედ ამან განაპირობა ვარდოსანთა თავკაცის გულახდილი აღიარება — ევროკავშირის დასკვნას ვეთანხმებიო, რაც, თავის მხრივ, დასავლეთისთვის დიდად მნიშვნელოვანი განცხადება არ ყოფილა, ჩვენთვის კი, ალბათ, გამარჯვების უპირველესი ნიშანსვეტი იყო...**

**ჯაბა ჟვანია**

# რა დოკუმენტს მოაწერა ხელი ნინო ბურჯანაძემ 2004 წლის 22 იანვარს, ინაუგურაციამდე

**პრესაში ვწერდი ბორჯომის, ლიკანის, ბაკურიანის მიწების გასხვისებაზე; ბევრი რამ პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდებოდა ყოფილ და ახლანდელ ჩინოსნებს, მათ შორის სახელმწიფო მინისტრ ზინაიდა (ზერტა) ბესტაევას საქმიანობას ადრეც და ახლაც. იმ ზინაიდას, რომელიც საეჭვოდ გამდიდრდა ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შემდეგ, რამეთუ რაულ უსუპოვი (ჟვანიას შესაწირი პირი და „მასთან ერთად“ (?!) „გაზით გაგუდული“, მასთან მუშაობდა და სწორედ ზინაიდამ და მისმა ხელქვეითებმა (არავინ იცის ვისი დავალებით) „ხელფასის ასაღებად“ გამოიძახა კანცელარიაში რაულ უსუპოვი იმ საბედისწერო 2005 წლის 2 თებერვალს, როცა ღამე აღარ გაუთენდა!**

## პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისას ბურჯანაძემ დაბრუნდაშვილს «ბორჯომ-ლიკანის» რეზიდენცია და 40 ჰექტრამდე მიწა პირდაპირი მიყიდვის წესით გადასცა!

წერილებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა... მიწებთან დაკავშირებით (?!), ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის საკითხს — ნაკლებად(?!).

თითქმის „მთელი ბაკურიანი“ მოვიდა ჩემთან დოკუმენტების ტომებით. გაოგნებული ვიყავი, სად ვცხოვრობთ, რა ხდება? ვინ ეპატრონება ძალით თუ ეშმაკობით საქართველოს სამოთხეს?

ვინ არის ეს ქალი ან საიდან გაჩნდა ქართული პოლიტიკის „ცის კაბადონზე“, როცა მოსკოვის მატარებელში „ფოჩიან კანფეტებს“ ყიდდა და საქართველოში ერთ-ერთ „სასტუმროში“ „ეტაჟნიცად“ მუშაობდა სამხედროებთან?

ჩემდა გასაოცრად, წერილები აღარ დამიბეჭდეს (?!). სანაცვლოდ ბესტაევას ქმრის, შვილისა თუ მეგობრების სატელეფონო ზარები მრავლად იყო. „მესიჯებს, თანაც მუქარის (?!)“, უგზავნიდნენ იმათ, ვისაც შეეძლო ჩემთვის ინფორმაციების მოწოდება.

**მივიღე ზომები. ბესტაევას „მფარველი ანგელოზის“ — გივი თარგამაძის მისაღებში დავრეკე და საქმის კურსში ჩავაყენე მდივანთანაშემწე; ვთხოვე, გადაეცა თარგამაძისთვის ყველაფერი. გივის არ დაურეკავს, მაგრამ გაგულავებული „ბესტავისტები“ მიყუჩდნენ, ალბათ, დროებით.**

სულ ახლახან „შემეხმიანენ“, „თუ სიმართლისთვის იბრძვი, უფრო „დიდებით“ დაიწყე და გამოაქვეყნე, რა მოხდა 2004 წლის იანვარში, პრეზიდენტის ინაუგურაციამდე 3 დღით ადრეო“. ზარს დოკუმენტიც მოაყოლეს.

არ ვიცი, ეს „ბესტაევას ნობათია“ თუ რა, მაგრამ მის მეტს ვის მიუწვდებოდა ხელი პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლის — ქალბატონ ნინო ბურჯანაძის „არქივზე“?

საყურადღებოა, რომ ეს ხდება იმ დროს, როცა მაგრად გაპიარებულია ქალბატონი ნინოს წყნეთის აგარაკის ამბავი.

უკან არ ვიხევ, ვაქვეყნებ ამ დოკუმენტებს და ვთხოვ ქალბატონ ნინოს, განმარტება მისცეს ხალხს. ასე უკეთესია, ბოლოსდაბოლოს, ყველა კითხვაზე რომ გასცემს პასუხს, უფრო რადიკალი და უფრო გაბედული იქნება, თორემ ისეთი სიბინძურეებისთვის ემზადებიან, ხელიც რომ მომაჭრან, იმ მასალებს არ და ვერ გამოვაქვეყნებ, რადგან სიცრუეა.

სხვათაშორის, იმ სიბინძურეების ტირაჟირება ადრეც უცდიათ (ბატონ ბადრი ბიწაძეს ეს არ დაავიწყდებოდა, რადგან მისი ორგანიზატორი, აწ განსვენებული „კოლეგა“ იყო). მაშინ გამოუცდელი, მაგრამ სკანდალების მოყვარული ჟურნალისტები, მე გავაჩერე... უბრალოდ, სიმართლე ვუთხარი და გაიგეს.

ვნახოთ, რა მოხდა 2004 წლის იანვარში, პრეზიდენტის ინაუგურაციამდე 3 დღით ადრე, როცა პრეზიდენტის მოვალეობას ქალბატონი ნინო ასრულებდა?

„არაფერი განსაკუთრებული“ (?!).

**2004 წლის 21 იანვარს (ინაუგურაციამდე 4 დღით ადრე), პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს გაუცია №490-ე დავალება.**

**მეორე დღესვე, 2004 წლის 22 იანვარს (ინაუგურაციამდე 3 დღით ადრე), საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს გამოუცია ბრძანება №01/01-01/9 (?!), „სახელმწიფო რეზიდენცია „ბორჯომ-ლიკანის“, ბაკურიანის დასასვენებელი სახლის 2004 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცების შესახებ“.**

ხელს აწერს ი. რეხვიაშვილი (მგონი მინისტრი (?!). იმავე დღეს (?!), 2004 წლის 22 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება გამოიცა (№32), რომელსაც ხელს აწერდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე.

რა წერია ასე სასწრაფოდ „პრივატიზებულ“ განკარგულებაში?

თუ მინისტრის ბრძანებაში რეზიდენციის, დასასვენებელი სახლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანაზეა ლაპარაკი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულებაში მიწაც ფიგურირებს.

განკარგულების თავსართი ასეთია: **„სახელ-** ▶

# თბილისის მერიის აფერა და «ქურდი» პლასტიკური ბარათები

**დედაქალაქის მუნიციპალურ ტრანსპორტში, კერძოდ კი, ყვითელ ავტობუსებში დამონტაჟებული სალარო აპარატები, შესაძლოა, კორუფციისა და ფულის კეთების კიდევ ერთი წყაროა. როგორ შეიძლება, გაკეთდეს აპარატების მეშვეობით ფული? ზოგავს თუ არა მერია თანხებს და უმალავს თუ არა ბიუჯეტს გადასახადებს? „საქართველო და მსოფლიო" შეეცადა, გაერკვია, რა როგორ შეიძლება მოხდეს.**




ყვითელი ავტობუსები დედაქალაქში „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მომრავლდა. უნდოდათ თუ არა დედაქალაქის მცხოვრებთ, იძულებულნი გახდნენ, ამ ტრანსპორტით ესარგებლათ, რადგან დედაქალაქის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო რეფორმა ისეთ ცენტრალურ გამზირებს შეეხო, სადაც მხოლოდ ეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი იმოძრავებდა. სამარშრუტო ტაქსებს რამდენიმე ქუჩაზე მოძრაობა საერთოდ აეკრძალა.

თავდაპირველად მგზავრობის ღირებულება 20 თეთრით განისაზღვრა. მოგვიანებით, ეკონომიკური ცვლილებების გამო, ფასი 40 თეთრამდე გაიზარდა, თუმცა, პარალელურად, შეღავათები სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებს, ომის ვეტერანებსა და ინვალიდებს დაუტოვეს.

ავტობუსები მგზავრების სიმცირეს არასდროს შეუწუხებია. უფრო მეტიც, ყვითელი ავტობუსები ყოველთვის გადაჭედილი იყო და მძღოლებთანაც მუდმივად რიგი იდგა. მგზავრთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საფასურის გადახდის გარეშე ჩადიოდნენ ავტობუსიდან.

2009 წლიდან მუნიციპალურ ავტობუსებში მგზავრობის საფასურის გადახდის ახალი სისტემა შემოვიდა, რომელიც მგზავრისთვის ბილეთის შეძენას საკონტროლო სალარო აპარატით ითვალისწინებს. მიზეზი კი მერიაში იმით ახსნეს, რომ გადახდის არსებული სისტემა არ შეესაბამებოდა გადახდის საერთაშორისო სტანდარტებს. ავტობუსებში ჩეხური აპარატურა დამონტაჟდა. ძალაში დარჩა შეღავათები, რომლებითაც მანამდე სარგებლობდნენ სპეციალური შეღავათის მქონე პირები. ამ აპარატურის დამონტაჟების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისიც იყო, რომ მძღოლებთან შექმნილი მგზავრთა რიგები შეემცირებინა და მძღოლს მაქსიმალურად ყურადღება გადაეტანა უსაფრთხო მგზავრობასა და ქუჩაში მოძრაობაზე.

გარდა იმისა, რომ ჩეხურ აპარატურაში ჩაყრილი ხურდა ფულით მგზავრი ბილეთს მიიღებს, მგზავრობის საფასურის გადახდის სანაცვლოდ ბილეთის მიღება შესაძლებელია პლასტიკური ბარათების მეშვეობითაც. ეს პლასტიკური ბარათი თბილისის მეტროპოლიტენშიც გამოიყენება. თავის მხრივ, პლასტიკური ბარათის მფობელთათვისაც არსებობს ცალკე შეღავათები: პირველი მგზავრობა — 40 თეთრი, მეორე — 30 თეთრი, მესამე — 20 თეთრი და ყოველი მომდევნო მგზავრობა — 20 თეთრი. მნიშვნელობა არ აქვს, ამ ფასდაკლების მისაღებად პლასტიკურ ბარათს მეტროში გამოიყენებ თუ ავტობუსში.

პლასტიკური ბარათების შეძენა მსურველებს შეუძლიათ თბილისის მეტროპოლიტენში არსებული „საქართველოს ბანკის" მინიფილიალებში, ვინაიდან სალარო მოწყობილობები „საქართველოს ბანკმა" დაამონტაჟა.

გადახდის ეს ფორმა ჩვენში თავიდანვე განწირული იყო. ვინაიდან კონტროლიორები ავტობუსში ხშირ შემოწმებას არ ახორციელებდნენ, მგზავრებსაც ზოგჯერ საკმარისი ხურდა ფული არ ჰქონდათ ან საერთოდ არ ჰქონდათ, ისინი ავტობუსიდან მგზავრობის საფასურის გადაუხდელად ჩადიოდნენ, ანუ იმ პრობლემებიდან, რომელთა თავიდან ასაცილებლადაც ეს სალარო აპარატები დაამონტაჟა ხელისუფლებამ, მხოლოდ ერთი მოგვარდა — ავტობუსის მძღოლებთან რიგები აღარ დგას.

ხშირად ავტობუსით მგზავრობა გაძნელებულია — ფულს ვერსად ახურდავებ. ისეც ხდება, რომ ავტობუსში კონტროლიორის ამოსვლის შემდეგ იწყება ფაციფუცი და მგზავრები ერთმანეთში იწყებენ ხურდა ფულის ძებნას. ახლა სიტუაცია გამკაცრებულია და უკვე დაწესდა საჯარიმო სანქციები.

სულ ახლახან, როგორც ჩანს, მერიამ იზრუნა ამ პრობლემაზე და მალე დაინერგება ჟეტონებით სარგებლობა, რომელსაც მეტროშიც გამოიყენებ.

ჩვენი წერილის მიზანი ამ შემთხვევაში სულ სხვა რამაა.

როგორც ამბობენ, ხელისუფლების მიერ ამ სალარო აპარატების დამონტაჟების არაოფიციალური მოტივი ის არის, რომ ავტობუსის მძღოლები გვარიანად ფულს აკეთებდნენ და ბიუჯეტს უმალავდნენ, თუმცა ის, რაც სალარო აპარატების დამონტაჟების შემდეგ დაფიქსირდა, ბადებს ეჭვს, რომ ახლა მერია უმალავს ბიუჯეტს ფულს და ზოგავს საკუთარ ბიუჯეტს.

**რამ გამოიწვია ეს ეჭვი?**

**„ავტობუსით მომიწია მგზავრობა, სალარო აპარატში 10-თეთრიანი ჩავაგდე, ამობეჭდილ ბილეთზე კი პლასტიკური ბარათის ნომერი და მასზე დარჩენილი ნაშთი დაეწერა. ასე განმეორდა მეორედაც. როდესაც აგდებ ბარათის გარეშე ფულს, ამ შემთხვევაში, 10-თეთრიან ბილეთს მხოლოდ „სოციალური" უნდა ეწეროს, ჩემს ბილეთებზე კი ორივე შემთხვევაში პლასტიკური ბარათის ნომრები იყო დაფიქსირებული. საინტერესოა, ვისი ბარათებიდან მოიჭრა თანხა?** *(ეს ნომრებია: ავტობუსი №67, ბარათის ნომერი 11234327, ბალანსი 1,20 ლარი; ავტობუსი №24, ბარათის ნომერი 1951594698, ნაშთი 6,50 ლარი).* **კიდევ ერთი შემთხვევა მეტროში მქონდა — შევავსე პლასტიკური ბარათი, შემდეგ რაიონში წავედი რამდენიმე კვირით. რომ ჩამოვედი, ავტობუსით ვიმგზავრე და ბარათით ვცადე ბილეთის აღება, თუმცა ჩემს პლასტიკურ ბარათზე თანხა არ აღმოჩნდა. ამის გამო მგზავრებთან ხმამაღლა განვაცხადე, რომ საკუთარი ბარათებიც გაეკონტროლებინათ. ერთ-ერთმა ნათქვამი დამიდასტურა — მანაც შენიშნა, რომ მისი ბარათიდან თანხა კატასტროფული სიჩქარით ქრებოდა", — ამბობს მზია სურმანიძე.**

ჩნდება კითხვები: სად მიდის ის ფული, რომელსაც მგზავრი იხდის პლასტიკური ბარათის გარეშე და ბილეთი სხვისი პლასტიკური ბარათის ნომრით იბეჭდება; და მეორე — ვინ აუნაზღაურებს იმ თანხას მგზავრებს, რომელთა პლასტიკური ბარათებიდანაც ფული მათ უნებურად და მათ დაუკითხავად იჭრება? რეალურად რისთვის დაამონტაჟა ეს სალარო აპარატები მერიამ?

სოციალური შეღავათების დაწესებისას მერია ტრანსპორტის სამსახურს იმ საშეღავათო თანხას უხდის, რასაც არ იხდის სოციალური შეღავათების პაკეტის მქონე პირი. გამოდის, რომ თუ მგზავრმა უნდა გადაიხადოს 40 თეთრი, ის კი სარგებლობს სოციალური ბარათით და მგზავრობის საფასურს იხდის მხოლოდ 10 თეთრს, მერია იღებს ვალდებულებას, დარჩენილი 30 თეთრი თავად აუნაზღაუროს სატრანსპორტო სამსახურს, ანუ მერია ამ უნებლიე თუ შეგნებული „შეცდომით" ფულს უმალავს ბიუჯეტს და მოსახლეობის პლასტიკური ბარათების საშუალებით ხდება ერთმანეთის თანხების გადაფარვა. აპარატში ცალკე ჩაგდებული ფული კი სად მიდის, კაცმა არ იცის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ყვითელი ავტობუსის კონტროლიორებს — „ლიმონებს", როგორც მათ თავის დროზე მოსახლეობამ შეარქვა, ახლა ყვითელი მაისურები აღარ აცვიათ და, უხეშად რომ ვთქვათ, შენიღბულები დგანან ავტობუსებისთვის განკუთვნილ სპეციალურ გაჩერებებზე და იმ მგზავრებს, რომელთაც ბილეთი არ აღმოაჩნდებათ, ჩვეულებრივ, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულები 15 ლარით აჯარიმებენ. ბოლო პერიოდში იმატა დაჯარიმებულ მგზავრთა რაოდენობამ. თუკი ასე გაგრძელდება, მალე ხელისუფლება ბიუჯეტს „გაავსებს" იმ დაჯარიმებული მგზავრების მეშვეობით, რომლებსაც სამგზავროდ 40 თეთრიც კი არ აქვთ.

ჩვენ არ ვაქეზებთ მგზავრობის საფასურის არგადამხდელებს და არ ვაქებთ მათ საქციელს, მაგრამ ერთია — გაქვს და არ იხდი, და მეორე — არ გაქვს და ვერ იხდი. საინტერესოა, თავად ხალხი რას ფიქრობს გადახდის ახალ სისტემაზე: **„დანანებით კი არ მენანება ფულის გადახდა, საქმე ისაა, რომ ეს ფული ან მიდის და ან — არა ბიუჯეტში და მე რატომ მავალდებულებენ გადახდას, როდესაც ამდენი რამაა ამ ქვეყანაში მოუწესრიგებელი. ამ 40 და 20 თეთრით უნდათ ცხოვრებისა და ქვეყნის მოწყობა?"**

**„ჯერ შესაფერისი ეკონომიკური სიტუაცია შექმნან საქართველოში და მერე მოსთხოვონ ხალხს გადახდა".**

**„ის კაპიკები არავის უჭირს, მაგრამ რაღაცნაირი მუღამი აქვს უბილეთოდ მგზავრობას".**

**„მე-12 კლასის მოსწავლე ვარ. მაქვს მოსწავლის სამგზავრო პლასტიკური ბარათი. ბევრჯერ შემქმნია უხერხული სიტუაცია. ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ ფიზიკურად დიდი ვარ და ჯერ ისევ სკოლაში ვსწავლობ. კონტროლიორები ამოდიან თუ არა ავტობუსში, დაგეშილებივით ჩემკენ მოემართებიან და თითქოს გამოჭერაზე არიანო — შენ რა გეტყობა მოსწავლეობის, ვისი ბარათით სარგებლობო. ასეთი შემთხვევების შემდეგ იძულებული გავხდი, ჩვეულებრივ 40-თეთრიანი ბილეთი ამეღო, რომ შეურაცხყოფა არავის მოეყენებინა. მერე დიდხანს ვფიქრობდი, რა საჭიროა ისეთი შეღავათები, თუკი არ გასარგებლებენ, ამიტომაც ახლა მე ვარ გამოჭერაზე — ვიღებ მოსწავლის უფასო ბილეთს და ველოდები შეტევას. ცხადია, სიტუაციები მეორდება და ირონიულ მომართვებს მეც ოსტატურად ვხვდები — ვაჩვენებ სკოლიდან გაცემულ ცნობას ზედ დაკრული ჩემი ფოტოსურათით, ბეჭდით დამოწმებულს. რატომაც არ უნდა ვისარგებლო იმით, რაც მეკუთვნის და ვიღაცამ რატომ უნდა დამამადლოს?"**

**„ეს საქართველოში აქვს მუღამი, თორემ ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში არავინ ადის ავტობუსში და არავინ ამოწმებს მგზავრებს. მათ იციან, რომ უნდა გადაიხადონ და იხდიან კიდეც. აქ გვამოწმებენ და მაინც არ ვიხდით".**

**„არც მე ვიხდი, მაგრამ სულაც არ ვთვლი, რომ სწორად ვიქცევი".**

**მაგდა კლდიაშვილი**

---

**მწიფო რეზიდენცია, „ბორჯომ-ლიკანის" ბაკურიანის დასასვენებელი სახლისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის ო. დაბრუნდაშვილისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ".**

ო. დაბრუნდაშვილს გადაეცა 375 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების ქონება; მიწის ნაკვეთი — 339250 კვ.მ.

განკარგულებაში (პუნქტი 1) წერია, რომ ამ კაცს პრეზიდენტის რეზიდენციის მოსაწყობად სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ (?!) გადაუცია მის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მაგრამ ჩნდება კითხვები:

ვინ არის ო. დაბრუნდაშვილი?

რა კერძო ნაკვეთი ჰქონდა, სად და რამდენი, რა ღირდა?

სად შენდებოდა ახალი რეზიდენცია, როცა ძველს დაბრუნდაშვილი „ყიდულობდა" მართლაც უსასყიდლოდ?

რა ბედი ეწია ო. დაბრუნდაშვილის ბიზნეს გეგმას?

ვისაც მაშინ დაევალა „შესაბამისი ღონისძიებების გატარება" (მინისტრი ი. რეხვიაშვილი და სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი გ. მარტინენკო), პოსტებზე აღარ არიან.

მართლაც, რა მოხდა და რა ხდება?

ვფიქრობთ, ახლა, ანუ ოპოზიციაში გადაბარგების შემდეგ მაინც, უნდა ინებოს ქალბატონმა ბურჯანაძემ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, რადგანაც ხალხი, რომლის წინამძღოლობის პრეტენზიაც მას დაუფარავად აქვს, სულ ცოტა, ღირსია, იცოდეს, ვის რა და რატომ მიაქვს „შინ"!

**მაყვალა ბერიანიძე**


საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება
№ 32 2004 წლის 22 იანვარი ქ. თბილისი

სახელმწიფო რეზიდენცია „ბორჯომ-ლიკანის" ბაკურიანის დასასვენებელი სახლის და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის ო. დაბრუნდაშვილისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. გათვალისწინებულ იქნეს მოქ. ო. დაბრუნდაშვილის მიერ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის მოსაწყობად სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ მის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემა.

2. სახელმწიფო რეზიდენცია „ბორჯომ-ლიკანის" ბაკურიანის დასასვენებელი სახლის და მასზე დამაგრებული მიწის ფართობი (339 250 კვ.მ.) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ფასით 375 600 (სამას სამოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით გადაეცეს ო. დაბრუნდაშვილს წარმოდგენილი ბიზნესგეგმით განსაზღვრულ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების პირობით.

3. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ (ი. რეხვიაშვილი) და სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა (გ. მარტინენკო) განახორციელონ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ენგურჰესი კოტრდება

**ქართული ენერგეტიკის ფლაგმანი – შ.პ.ს. ენგურჰესი, რომლის ხვედრითი წილი საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის 60-70 %-ია, ყოველთვის მომგებიან, რენტაბელურ საწარმოდ ითვლებოდა. ბოლო 3-4 წელია, ენგურჰესი ვალებში იხრჩობა – როგორც ამბობენ, ამის მიზეზი გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფის მექანიკურად განახევრებაა.**



გავრცელებული ვერსიით, ახლახან საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმდა ხელშეკრულება 38,97 მილიონი ლარის გადახდაზე 2026 წლამდე, რაც სესხის პროცენტთან ერთად 50,1 მილიონ ლარზე მეტია. მას ემატება რესტრუქტურიზებული დავალიანება — 10,8 მილიონი ლარი, ჯამში კი გადასახდელი თანხა 70,3 მილიონ ლარს აჭარბებს. გარდა ამისა, ცვლილება შევიდა საგადასახადო კოდექსში, რომლითაც საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელს უფლება აქვს, საბაზრო ფასებით ააფასოს გადამხდელის ქონება, რომლითაც დღეს არსებული 1,5 მილიონი ლარის ნაცვლად შეიძლება ამ საწარმოს 10 მილიონზე მეტის გადახდა დაეკისროს, რაც გაკოტრების პირამდე მიიყვანს ენგურჰესს. მოქმედი კანონმდებლობით, საწარმოს დირექტორი ვალდებულია, გადახდის უუნარობის შემთხვევაში, განაცხადოს ამის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი. დიდი ხანია, ენგურჰესზე თვალი უჭირავთ — სურთ მისი შესყიდვა. **არც ჩვენი ხელისუფლებაა წინააღმდეგი ენგურჰესის გასხვისებისა და გაყიდვისა, მაგრამ ყოველივე ამის გაკეთება ისე უნდათ, რომ ხალხის რისხვა აიცდინონ. ამიტომ საუკეთესო გზა გაკოტრებაა, რაც ენგურჰესის გაყიდვის საშუალებას იძლევა. აბა, როგორ შეიძლება, ამ გიგანტ საწარმოს სახელმწიფოს 70 მილიონი ლარი ემართოს.**

გარდა ამისა, ყოველდღე უარესდება ენგურჰესის თანამშრომელთა პირობები. ენგურჰესის ტერიტორიაზე ყოველთვის ჭირდა შესვლა-გასვლა, მაგრამ მსგავსი პრობლემები თანამშრომელთათვის არ არსებობდა. ამ ბოლო პერიოდში ჩაიკეტა ფახულანისა და მუჟავის გადასასვლელები. აფხაზური მხარე ითხოვს ჰესის თანამშრომლების გადაადგილებას მხოლოდ ერთი — ცენტრალური გზით. ე.წ. სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მოტივით ენგურჰესის 10-მდე თანამშრომელი იქნა დაკავებული და 1000 ლარით დაჯარიმებული. ხშირია ხელფასების დაგვიანების შემთხვევებიც.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

# მოსკოვში უოლტ უიტმენის ძეგლი გაიხსნა

**14 ოქტომბერს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ჰუმანიტარული კორპუსის მახლობლად ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის ძეგლი გაიხსნა.**



3,2 მეტრის სიმაღლის მონუმენტი ბრინჯაოსა და მარმარილოსგანაა დამზადებული და მისი გახსნის ცერემონიაში აშშ სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან და მოსკოვის მერ იური ლუჟკოვთან ერთად მონაწილეობდა. მოსკოვში უიტმენის ძეგლი აშშ-ის ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პუშკინის ძეგლის დადგმის საპასუხოდ გაიხსნა. ორივე მონუმენტის ავტორი რუსეთის სახალხო მხატვარი ალექსანდრე ბურგანოვი გახლავთ. გახსნის ცერემონიაზე გამოსვლისას ჰილარი კლინტონმა ამ ორი პოეტის თანამედროვე პერიოდის ახლანდელთან მსგავსების შესახებ აღნიშნა. „როგორც პუშკინმა და უიტმენმა „გადატვირთეს“ იმდროინდელი პოეზია, ჩვენც ასე „გადავტვირთავთ“ ახლა ჩვენს სახელმწიფოებს და, რაც მნიშვნელოვანია, ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობას“, — განაცხადა აშშ სახელმწიფო მდივანმა. 2009 წელს XIX საუკუნის აშშ უდიდესი პოეტისა და პოეზიის რეფორმატორის — უოლტ უიტმენის დაბადებიდან 190 წელი სრულდება.

# საფრანგეთი უარს ამბობს ავღანეთში საკუთარი კონტინგენტის გაზრდაზე

**საფრანგეთის ჯარი ავღანეთში დარჩება, მაგრამ მას ამ ქვეყანაში ერთი ჯარისკაციც აღარ შეემატება. ამის თაობაზე თავად ქვეყნის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ გაზეთ „Le Figaro“-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

„უნდა დავრჩეთ ავღანეთში? მე ვამბობ — დიახ. უნდა დავრჩეთ, რომ გავიმარჯვოთ. ავღანეთის საწინააღმდეგოდ კი არა, ავღანეთისთვის, მაგრამ საფრანგეთი იქ ერთ ჯარისკაცსაც აღარ გაგზავნის“, — განაცხადა სარკოზიმ.

მისი აზრით, „თალიბანზე“ გამარჯვებისთვის აუცილებელია, ბრძოლაში მეტი ავღანელი სამხედრო მონაწილეობდეს. „ისინი გაცილებით ეფექტურები იქნებიან, ვინაიდან ეს მათი ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი დახმარება უნდა გავუწიოთ მათ ფინანსურად, რათა თალიბების მხარეს მათი გადასვლა ავიცილოთ თავიდან“, — ბრძანა პრეზიდენტმა. ამჟამად ნატოს სამხედრო კონტინგენტის შემადგენლობაში ავღანეთში 2900 ფრანგი სამხედრო მსახურობს, რომლებიც მონაწილეობენ თალიბების საწინააღმდეგო ოპერაციებში და ავღანეთის უშიშროების სამსახურების მომზადებაში.

გასულ კვირას ბრიტანეთმა განაცხადა, რომ ავღანეთში დამატებით 500 სამხედროს გაგზავნის. გარდა ამისა, აშშ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ნატოსგან სამხედრო კონტინგენტის გაზრდის მოთხოვნა მიიღო. როგორც ნატოს სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, მხოლოდ სამხრეთ ავღანეთის ამბოხებულ პროვინციებში წესრიგის შესანარჩუნებლად კიდევ 10-15 ათასი სამხედროა საჭირო.



# ბრიტანეთის ჯარში ლესბოსელს ძალადობისთვის კომპენსაცია შეუმცირეს

**ლესბოსელ ბრიტანულ სამხედრო მოსამსახურეს კეტრინ ფლეტჩერს თავდაცვის სამინისტროსგან სასამართლოს გზით მოპოვებული კომპენსაცია მესამედით შეუმცირდება — 187 ათასი ფუნტი სტერლინგის ნაცვლად 120-ს მიიღებს.**



2007 წელს კაპრალი კეტრინ ფლეტჩერი თავისი უფროსის ძალადობის მსხვერპლი იყო, მამაკაცი მას ჯგუფურ სექსში მონაწილეობას სთავაზობდა და უმტკიცებდა, რომ ჰეტეროსექსუალად აქცევდა. ქალმა უარი განაცხადა და როგორც შემდგომ სასამართლოში დაამტკიცა, ამ უარს მისი კარიერული წინსვლის ყველანაირი შესაძლებლობა ემსხვერპლა.

2008 წლის ნოემბერში ფლეტჩერმა სასამართლო მოიგო და 187 ათასი ფუნტი, მათ შორის, 30 ათასი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, თითქმის უკვე ჯიბეში ედო. ამ გადაწყვეტილებამ ვეტერანთა ორგანიზაციების უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვია, მათ სააპელაციო სარჩელში მინიშნებული იყო, რომ ქალისთვის მიკუთვნებული თანხა აღემატება თანხებს, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებისას მძიმედ ტრავმირებულთათვის დაწესდა. მაგალითად, ბენ მაკბინი, რომელმაც ავღანეთში ხელი და ფეხი დაკარგა, 161 ათას ფუნტს დააჯერეს.

სააპელაციო ტრიბუნალმა ლესბოსელის მორალური ზარალის ანაზღაურებისთვის დაწესებული თანხა გადამეტებულად მიიჩნია, ასევე, საჯარიმო დაკავებების თანხებიც, რაც 50 ათას ფუნტს შეადგენს. შესაძლოა, გადაიხედოს ის თანხაც, რომელიც კეტრინ ფლეტჩერს მიუღებელი ხელფასის გამო უნდა აუნაზღაურდეს.

# ამერიკის ეკოსისტემას გიგანტური გველები ემუქრება

**აშშ გეოლოგიურმა სამსახურმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც ქვეყნის ტერიტორიაზე ცხრა უცხო სახეობის გიგანტური გველის შეპარვასთან დაკავშირებული ეკოლოგიური რისკებია აღწერილი.**

ამერიკული ეკოსისტემისთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს ბირმული, ჩრდილო და სამხრეთაფრიკული პითონები, ჩვეულებრივი მახრჩობელა და ყვითელი ანაკონდა, რომლებიც ეგზოტიკური ცხოველებით არალეგალურ მოვაჭრეებს შემოჰყავთ.

ბიოლოგთა მონაცემებით, სამხრეთ ფლორიდაში უკვე დიდი წარმატებით მრავლდებიან ჩვეულებრივი მახრჩობელაცა და ბირმული პითონიც — პირველი მათგანი უკვე ცხრა ათას ეგზემპლარს ითვლის.

ნაკლებად მავნეა ბადისებრი პითონი, მუქლაქებიანი ანაკონდა, მწვანე ანაკონდა და ანაკონდა ბენი.

ეს „უცხოელი“ გველები სწრაფად იზრდებიან, სწრაფად მრავლდებიან, შეუძლიათ დიდ მანძილზე უპრობლემოდ გადაადგილება. მათთვის თითქმის სულერთია, რით იკვებებიან, ანუ დიდი სიამოვნებით მიირთმევენ ადგილობრივი ფრინველებისა და ძუძუმწოვრების უმრავლესობას.

გარდა ამისა, ეს გიგანტური გველები იოლად ეგუებიან სხვადასხვა საცხოვრებელ გარემოს და თავისუფლად შეუძლიათ ქალაქების ტერიტორიებზე ცხოვრებაც. მაგალითად, მაიამიში უკვე დასახლდნენ ჩვეულებრივი მახრჩობელები და ჩრდილოაფრიკული პითონები.

ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ ამერიკის ფრინველები, ძუძუმწოვრები და რეპტილიები, რომლებიც „უცხოელი“ გველების გავრცელების ტერიტორიებზე სახლობენ, აქამდე არასდროს შეხვედრიან მსგავს გიგანტ მტაცებლებს, რომელთა სიგრძეც ხშირად 6 მეტრს აღემატება.



ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ამ გიგანტების მსხვერპლნი გახდებიან და შედეგად შტატებში ეკოლოგიური თანასწორობა დაირღვევა.

მეცნიერთა აზრით, მტაცებელი გველები თავდაპირველად ქვეყნის თბილ რაიონებს მოედებიან, ანუ ფლორიდის ნაწილს, ტეხასის სამხრეთს, ჰავაის, პუერტო-რიკოსა და გუამის მსგავს ამერიკის ტროპიკულ კუნძულებს გადათელავენ.



# ნიკო ორველაშვილი საღკალოთშიანი მრჩევლების შესახებ

**2009 წლის 6 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტს წარუდგინა „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და განვითარებას ხელს შეუწყობს. ინიციატივის მართებულობასა და აქტის დადებითსა და უარყოფით მხარეებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ეკონომიკის ექსპერტი, ბატონი ნიკო ორველაშვილი ესაუბრება.**



**— ბატონო ნიკო, რას გულისხმობს „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“?**

— ინიციატივა გულისხმობს, რომ ხელისუფლებამ და სააკაშვილმა უნდა განახორციელონ უფლებების თვითშეზღუდვა. ეს კი პარადოქსია იმ ფონზე, რომ სააკაშვილს საკუთარი უფლებები არასოდეს შეუზღუდავს, პირიქით — მას ეს აქტი დასჭირდა ტალიავინის დასკვნის დასაფარავად, მისი მხრიდან ეს მორიგი მანიპულაციაა. მართალია, თავგადაკლული ამტკიცებდა, რომ საქართველო გამართლებულია და რუსეთს საბრალდებო სკამზე დასვამს ამ დასკვნითო, მაგრამ გულის სიღრმეში თვითონაც ხვდება, რომ ცდება.

**სააკაშვილს წყალივით სჭირდებოდა პოზიტიური ფონი, ლამაზ-ლამაზი დაპირებები, თანაც, ისე, რომ მსოფლიოს გაეგო.**

ამ აქტის მომზადება თავის გარემოცვას და მრჩევლებს დაავალა, იმ ხალხს, ვინც 6-7 წლის წინათ ცალი კალოშით დადიოდნენ. სრული ჭეშმარიტებაა: „რევოლუციას იწყებენ იდეალისტები, ახორციელებენ პრაგმატიკოსები და შედეგებით სარგებლობენ ნაძირალები“. დღეს ასეთი ხალხი აკონტროლებს საბაჟო გამშვებ პუნქტებს, ბიზნესს... და ასე იშოვეს მილიონები. მიითვისეს არა მარტო ქონება, არამედ პრივილეგიებიც. ნორმალური ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში, ამგვარ პიოვნებებს სურთ, თუ სამუდამოდ ვერ შეინარჩუნებენ მიტაცებულ ქონებასა და პრივილეგიებს, რაც შეიძლება გაიხანგრძლივონ სიამოვნება. თუ კონსტიტუციაში ამ აქტს შეიტანენ, ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, ახალ ძალას 6 თვე მაინც დასჭირდება იმისთვის, რომ ჯერ ეს ნორმები ამოიღოს კონსტიტუციიდან, შემდეგ კი გადავიდეს ქმედებაზე. ამ დროში კი ესენი „მიახურდავებენ“ ძალით მითვისებულ ქონებას და მამალაძესავით გაქრებიან.

ეს აქტი არის ერთგვარი „გულიაში“. ამ შემთხვევაში წამყვანი კერძი ყოველივე ზემოაღნიშნულია, გარნირი კი — ბიუჯეტის დეფიციტის განსაზღვრა, საგარეო ვალის მიმართება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, გადასახადების რეფერენდუმის გზით მიღება, ვალუტის კონვერტაციის შეზღუდვა, ბანკებიდან სახელმწიფო წილების აკრძალვა და ა.შ. სისულელეა, მოსახლეობას შესთავაზო — გადასახადები უნდა გაგიზარდოთ და კვერი დამიკარითო. ამას არავინ დათანხმდება. შეიძლება, ქვეყანას დასჭირდეს რესურსების მობილიზაცია დიდი ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად, ამ შემთხვევაში კონსტიტუციურად ვერ შეზღუდავ. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანას ხომ უნდა ეღირსოს ნორმალური და სანდო ხელისუფლება?! რაც შეეხება ვალუტის კონვერტაციას, ეს პრობლემა 1995 წლიდან მოხსნილია და საჭირო არ არის ღია კარის მტვრევა.

დიდი შანსია, სააკაშვილის წასვლის შემდეგ შეიქმნას საქართველოს დამხმარე საგანგებო ფონდი. მაგრამ დაწესებულია, რომ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საგარეო ვალი 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამ შემთხვევაში ხომ ვერ ვეტყვით უცხო ქვეყნებს, კონსტიტუციით ამაზე მეტი თანხის მიღება არ შეგვიძლია და თქვენი ფული უკანვე წაიღეთო?

ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია სახელმწიფო წილების აკრძალვაც კერძო ბანკებში. კარგი, ჩვენ ავკრძალეთ, მაგრამ უცხო ქვეყნებს რა ვუყოთ, თუნდაც, „ვითიბი“ ბანკს, რომელშიც რუსული კაპიტალია?

**სამართლიანობის განცდა ხალხში აუცილებელია. თუ საზოგადოებაში ეს მარცვალი არ დევს, ქვეყანა დემოკრატიული სახელმწიფო ვერასოდეს გახდება.**

„ნაცმოძრაობის“ ფავორიტი ბიზნესმენები ფულს უზრუნველად შოულობენ სრულიად გაუმართებლად მინიჭებული მონოპოლიური უფლებებით. არადა, ხელისუფლების ვალია, ხელს უწყობდეს თავისუფალი კონკურენციის განვითარებას, ბაზარზე ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებას და მონოპოლიების გაკონტროლებას. ეს კონსტიტუციის 30-ე მუხლში კარგად არის განმარტებული.

**— რატომ არის ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემა გაუმართავი?**

— სისტემის გაუმართაობა აიხსნება იმით, რომ კონკურენტულ გარემოში ბიზნესსაქმიანობა არცთუ ისე იოლია. თუ მთავრობა პოლიტიკურ ბერკეტებს იმისთვის იყენებს, რომ, როცა „კონკურენტს“ გაუხარდება, თავში ჩაარტყას ან ხელბორკილი დაადოს და სატუსაღოში ჩააგდოს, მერე ქონება მიისაკუთროს, მისთვის მისაღები ფასი დაუწესოს მომხმარებელს, ასეთ შემთხვევაში ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემა ხელისშემშლელი აღმოჩნდება. ამიტომაც მოიშალა ეს სისტემა.

რეალურად საზოგადოება ნებისმიერ კომუნალურ მომსახურებაზე (გაზი, წყალი, ელექტროენერგია, ტელეფონი), სულ მცირე, ორჯერ მეტს იხდის, ვიდრე ეს ნორმალური რეგულირების შემთხვევაში გვექნებოდა. ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია ანტიმონოპოლიური მარეგულირებელი სისტემის აღდგენა, რათა განვითარდეს ახალგაზრდა ჯანსაღი ბიზნესი.

ერთ-ერთმა ბიზნესჯგუფმა (სამიზნედ რომ არ გამოიყენონ, სახელს არ დავასახელებ) დამატებითი დიდი სარეზერვო ფონდის შექმნა მოინდომა. შაქრის დიდი პარტიის შემოტანა სურდათ. მაკონტროლებელმა პირებმა კილოგრამზე 15 თეთრი შესთავაზეს. დაფიქრებისა და განსჯის შემდეგ უარი განაცხადეს, რადგან საბოლოოდ ნულზე დატოვებდნენ. დღევანდელ ბიზნესში ასეთი გარემოა.

**— რამდენად მართებულია გადასახადების შემცირებასთან ან გაზრდასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება?**

— ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხზე ვერ ჩაუტარებიათ რეფერენდუმი, ასეთ რამეებზე კი რეფერენდუმი სისულელედ მიმაჩნია. მთავრობა სულ წუწუნებდა — რეფერენდუმის ჩატარება ძვირი გვიჯდებაო, ახლა ყოველი გადასახადის შემცირება-გაზრდასთან დაკავშირებით ძვირი არ დაჯდება? გადასახადები ისედაც მომატებულია. აზერბაიჯანულ კომპანია „სოკარს“ გადაჭარბებულ უფლებას აძლევენ. გასულ კვირას კახეთში გააორმაგა გაზიფიკაციის სისტემაში ჩართვის საფასური. ლაგოდეხში დაიწყეს ონკანებზე მრიცხველების დამონტაჟება. განა ეს გადასახადების გაზრდა არ არის? „ეკონომიკური თავისუფლების აქტით“ სააკაშვილს სურდა, რაღაც სასიამოვნო ეთქვა, მის გარემოცვას კი გარანტიები შეექმნა. ხვდებიან, რომ პრეზიდენტის დღეები დათვლილია და ცდილობენ, საკანონმდებლო გარანტიებით წინ წაიგდონ საქმე. ვთქვათ, ეს აქტი გულისხმობს ბიზნესგარემოს ტოტალურ გაუმჯობესებას, ინვესტორების მოწვევას და ა.შ. მაგრამ, პირველ რიგში, საჭიროა საკუთრების უფლების დაცვის გარანტიების შექმნა, რაზეც სააკაშვილს საუბარიც არ უნდა.

ესაუბრა
**ნანა დიხამინჯია**

# გურჯაანის პროკურორმა 50 წლის ქალბატონის სიცოცხლე იმსხვერპლა

**გურჯაანის პროკურორი გიორგი ქოქიაშვილი თბილისისკენ მანქანით გადაჭარბებული სიჩქარით მოდიოდა, რასაც შედეგად ავტოავარია და 50 წლის ქალბატონის დაღუპვა მოჰყვა. ავტოავარია საგარეჯოში მოხდა. როგორც შემთხვევის თვითმხილველები ჰყვებიან, მანქანა, რომელსაც გურჯანის პროკურორი ქოქიაშვილი მართავდა, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა. ქოქიაშვილი საკუთარი ავტომანქანით შემხვედრ ავტომანქანას შეეჯახა. ავარიის შედეგად კი მანქანაში მჯდომი ქალბატონი (ცისკარიშვილი) გარდაიცვალა. ამჟამად მიმდინარეობს საქმის დეტალების გამოძიება.**

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქოქიაშვილს ამ დრომდე უფლებამოსილება არ შეჩერებია და „მკვლელი“ პროკურორი დღემდე განაგრძობს სხვა დამნაშავეთათვის განაჩენის გამოტანას.

**„საქართველო და მსოფლიო“ თავად ბრალდებულს, გურჯაანის რაიონის პროკურორ გიორგი ქოქიაშვილს დაუკავშირდა. მან ვრცელი კომენტარისგან თავი შეიკავა და განგვიმარტა, რომ მიმდინარეობს დანაშაულის ადგილის შესწავლა და რომ უახლოეს მომავალში სამართალდამცველთა მიერ გამოვლინდება დანაშაულის რეალური მხარე.**

**„ამ საქმეს გურჯაანის პროკურატურა არ იძიებს. საქმე გადაცემულია მთავარ პროკურატურაში. მე, როგორც ერთ-ერთი დამნაშავე მხარე, დამკითხეს და ჩვენება მივეცი. რა განაჩენს გამოიტანს პროკურატურა და ვის ცნობს დამნაშავე მხარედ, ეს უკვე მისი პრეროგატივაა,“** — განმარტა ქოქიაშვილმა.

**გურჯაანის პროკურორის ასეთი სიმშვიდე და დიპლომატიური პასუხი გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ მას ერთგვარი იმუნიტეტი იცავს. ქოქიაშვილი ვანო მერაბიშვილის კადრია და ეს არა მარტო ჟურნალისტებმა ვიცით, ამ ინფორმაციას პროკურატურაც ფლობს.**

**პროკურორ ქოქიაშვილის შემთხვევა იმ დანაშაულთაგან ერთ-ერთია, როცა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებმა საქართველოს რიგითი მოქალაქეების სიცოცხლე იმსხვერპლეს.**

სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის მკვლელობის ფაქტმა თითქმის შეიწირა ამ ხელისუფლების ლეგიტიმურობა. აღარაფერს ვამბობთ ქუთაისში პატრულის მიერ მოკლული ბიჭის შესახებ. ახალგაზრდის მკვლელობის შემდეგ კი აღნიშნული სამართალდამცველები 2000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

**ამავე დროს, ამავე ქვეყანაში, ამავე კანონმდებლობით, მობილური ტელეფონის ქურდობისთვის 17 წლის მოზარდს 7 წლით თავისუფლების აღკვეთას უსჯიან.**

ეს მაგალითები სწორედ ქართული სამართლებრივი სივრცის რეალობიდან მოგვყავს. ამიტომ წინასწარვე ნათელია, როგორი იქნება პროკურორ ქოქიაშვილის საქმეზე გამოტანილი „განაჩენი“.

იურისტის შეფასებით, პროკურორის მიერ სამართალდარღვევის რამდენიმე ფაქტს ჰქონდა ადგილი. პირველი: გიორგი ქოქიაშვილი გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა ავტომანქანას; მეორე: **მიუხედავად ეჭვმიტანილის სტატუსისა, ის დღემდე რჩება თანამდებობაზე, რაც კანონის უხეში დარღვევაა.**

**თამარ ხიდაშელი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე: „თუკი საქმეს მთავარი პროკურატურა იძიებს, მაშინ ის აკეთებს სისხლის სამართლებრივ დევნას ამ პირის მიმართ. სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, ის უნდა იყოს გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან. ამ გადაწყვეტილებას ქვეყნის მთავარი პროკურორი იღებს. ძალიან ძნელია თქმა იმისა, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში რა სასჯელი ელის დამნაშავეს, ვინაიდან არ არის ცნობილი, თუ რა მუხლებით მიმდინარეობს გამოძიება. მთავარი ერთია, რომ დანაშაულის ჩადენამდე პირის მიერ ხდებოდა სამართალდარღვევა, ეს განაჩენს ერთგვარად ამძიმებს“.**

ჯერ არ დადგენილა ვადა, რამდენ ხანში დასრულდება გამოძიება. იმის მიუხედავად, რომ განაჩენი ყველასათვის წინასწარვე ცნობილია, საზოგადოება და გარდაცვლილი ქალბატონის ახლობლები მაინც იმედოვნებენ, რომ გამოძიების პროცესი ობიექტურად წარიმართება.

ჩინოვნიკები კი დღემდე თვითდაჯერებულნი არიან, რომ პოლიტიკური სტატუსის გამო შეუძლიათ ჩაიდინონ (თუნდაც უნებლიეთ) დანაშაული და მოახერხონ სასჯელის თავიდან აცილება, მხოლოდ იმიტომ, რომ „ზემოთ“ ახლობელი ან მეგობარი ჰყავთ.

**შორენა გოგოლაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


# რა კავშირში არიან «ჰესტოკ ლიმიტედი» და გიგი უგულავა გულის აღდგენითი მკურნალობის ცენტრის დახურვასთან



**ხელვაჩაურის რაიონში, ფერიის მთაზე, მდებარეობს გულის აღდგენითი მკურნალობის ცენტრი. ექიმების თქმით, გაურკვეველი მიზეზებით, სახელმწიფომ ცენტრს ჯერ დაფინანსება შეუწყვიტა, მერე კი გაყიდა... სხვადასხვა წყაროს ცნობით, აქ გასართობი ცენტრისა და სასტუმროს მშენებლობა იგეგმება, თუმცა, კანონის თანახმად, საავადმყოფოს შენობაში, მისი გასხვისებისა და გაყიდვის შემთხვევაშიც, მხოლოდ იმავე პროფილის დაწესებულების ფუნქციონირებაა ნებადართული. წყარომ ისიც გაგვიმხილა, რომ ამ გარიგებისა და კომპანია „ჰესტოკ ბათუმის" უკან თბილისის მერი გიგი უგულავა დგას...**

„საქართველო და მსოფლიო" შეეცადა, დაედგინა, ვინ რა მიზნით შეისყიდა აღდგენითი მკურნალობის ცენტრი, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, ერთადერთია აჭარაში.

ვესაუბრეთ ერთ-ერთ ექიმს, რომელმაც კონფიდენციალობა არჩია:

— გულის აღდგენითი მკურნალობის ცენტრი ფერიის მთაზე, იმ ტაძართან მდებარეობს, რომელიც თავის დროზე მთავრობამ დაანგრია. აქ უნიკალური კლიმატია — მთისა და ზღვის ჰაერი ერთმანეთს ერწყმის. მეცნიერული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ეს მიკროკლიმატი დადებითად მოქმედებს გულსისხლძარღვთა სნეულებებით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამიტომაც სწორედ აქ აშენდა ასეთი ტიპის საავადმყოფო, სადაც, ძირითადად, მოხუცებს, ქრონიკულ ავადმყოფებს ვმკურნალობდით. 14-დღიანი კურსი მოიცავდა გამოკვლევებს, შესაბამის მკურნალობასა და კვებას.

საავადმყოფოს „ვარდების რევოლუციამდე" იურიდიული პირის სტატუსი ჰქონდა. მერე კი, კობა ხაბაზის მინისტრობისას, სამკურნალო ცენტრი შპს-დ აქციეს, რატომ — ვერ დადგინდა. მთავრობის მიერ შედგენილი პროგრამით განისაზღვრებოდა, თვეში რამდენი ავადმყოფის მკურნალობის უფლება ჰქონდა საავადმყოფოს.

**ნატო ჭიჭილეიშვილი,** გულის აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფოს ყოფილი თანამშრომელი (ექიმი-ორდინატორი):

— ცენტრის შპს-დ ქცევის შემდეგ სახელმწიფო დაფინანსებაც შეგვიწყდა. მართალია, ექიმები უწინდებურად დავდიოდით სამსახურში, მაგრამ დავალიანებების გამო შენობა წყლითა და ელექტროენერგიით აღარ მარაგდებოდა, ხელფასებსაც აღარ გვაძლევდნენ. კრიზისულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით და საავადმყოფო დავკეტეთ. მერე მალევე გაიყიდა. ამბობენ, თბილისის მერმა გიგი უგულავამ შეისყიდა და ახლა სასტუმროს გახსნას აპირებსო.

**ირინა ბაბოლეიშვილი, ყოფილი მთავარი ექიმი:**

— დახურვიდან მოკლე ხანში კლინიკა მთავრობამ გაყიდა. წერილობით რამდენჯერმე მოვითხოვე, ეცნობებინათ, ვინ შეისყიდა შენობა, მაგრამ პასუხი არავინ გამცა. მოგვიანებით კულუარებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, თითქოს გიგი უგულავას აქ ბორდელის ტიპის სასტუმროს აშენება სურს. გავრცელდა ხმებიც, რომ ცენტრის შენობა „ჰესტოკ ლიმიტედმა" შეისყიდა გასართობი ცენტრის მოსაწყობად. ამ ინფორმაციებს ოფიციალურად ვერ დაგიდასტურებთ, მაგრამ მათ დაზუსტებაში აუცილებლად დაგეხმარებით და რედაქციას შესაბამის ცნობებსაც მოგაწვდით. „საქართველო და მსოფლიო" მიღებული ინფორმაციის შესამოწმებლად ბათუმში ჟურნალ „ბათუმელების" ჟურნალისტ ლელა დუმბაძეს დაუკავშირდა. მან ვრცელი ინფორმაცია მოგვაწოდა „ჰესტოკ ლიმიტედთან" დაკავშირებით.

— ფერიის მთაზე „ჰესტოკ ლიმიტედის" ფილიალი „ჰესტოკ ბათუმი" იწყებს გასართობ ცენტრ „არგოს" მშენებლობას. ამ კომპანიასა და სახელმწიფოს შორის 29 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია ვალდებულია, მთაზე გასართობი კომპლექსი და საბაგირო ბაზა ააშენოს, ხოლო ამ ადგილას მდებარე ეკლესიის სანაცვლოდ, ერთი კმ-ით მოშორებულ პატარა მთაზე ახალი, მასშტაბური ეკლესია უნდა აიგოს. „არგოს" მშენებლობისთვის კომპანიას ფერიის მთაზე 29 273 კვ მ მიწა პირდაპირი მიყიდვის წესით აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძის ბრძანების საფუძველზე სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაეცა. კანონით, მერია ვალდებული იყო, ეს ტერიტორია, სადაც მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია, ან იჯარით გაეცა, ან მისი პრივატიზება განეხორციელებინა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტდა, რომ თავად სახელმწიფო ყოფილიყო ობიექტის მფლობელი ზღვისპირა პარკში, სამუშაოს შესრულებაზე ტენდერი გამოეცხადებინა.

როგორც ბათუმის მერიაში აცხადებენ, საერთოდ არ ფლობენ ინფორმაციას ამ ტერიტორიაზე დაწყებული მშენებლობის შესახებ. ტენდერის ან მიწის იჯარით გაცემის დოკუმენტის გარეშე კი, იურისტების განმარტებით, ყველანაირი მშენებლობა უკანონოა.

ბათუმის საკრებულოს წევრი დავით რობაქიძე, მისივე განცხადებით, მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ გელა მახარაძეს ესაუბრა აუქციონის სასწრაფოდ გაუქმებასა და ტერიტორიის ისე გაყიდვის შესახებ. ბათუმის მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, ირინა შერვაშიძის განცხადებით, აუქციონის გაუქმება ხელისუფლების გადაწყვეტილებაა, რომლის მიხედვითაც ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე გასართობი ცენტრი უნდა აშენდეს. ოღონდ ასე რეგიონულმა მთავრობამ გადაწყვიტა თუ ცენტრალურმა, პასუხი ვერ მივიღეთ.

**— ქალბატონო ლელა, გასართობი ცენტრი გულის აღდგენითი მკურნალობის ცენტრის ტერიტორიაზე უნდა აიგოს?**

— გასართობი კომპლექსი სწორედ იმ ტერიტორიაზე უნდა აიგოს, სადაც სამი წლის წინათ ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია ეკლესიის აშენებას გეგმავდა, რომელიც ხელისუფლების მითითებით მოიშალა. ველაპარაკე „ჰესტოკ ბათუმის" იურისტ რომან ფუტკარაძეს, რომელმაც განაცხადა: ეპარქიასთან შეთანხმებით ფერიის მთაზე ეკლესიის დემონტაჟი მოხდება და ახალი აიგება გასართობი კომპლექსიდან 1000 მეტრის მოშორებით, გულის საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

**— როგორ აფასებს ეპარქია ეკლესიის დემონტაჟს?**

— მშენებარე ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი სერგი რუხაძის თქმით, ეკლესიის დემონტაჟი შეუძლებელია, რადგან მთაზე ეკლესიის მშენებლობა დასრულებულია და მხოლოდ მოსაპირკეთებელი სამუშაოებია შესასრულებელი... აშენებულს ვერ შეეხებიან, ხოლო სამომავლოდ დაგეგმილი დიდი ტაძრის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა, დოკუმენტაციაც მოსაწესრიგებელია.

**— ამბობენ, ფერიის მთაზე გიგი უგულავაც აპირებს სასტუმროს მშენებლობას?**

— ასეთი ინფორმაცია მართლაც ვრცელდება. ფუტკარაძემ ამ კითხვაზე ორაზროვანი პასუხი გამცა: საბაგიროს მშენებლობისას საჭიროა კერძო მესაკუთრეების თანხმობაც, რადგან ფერიის მთის ნაწილი — ქალაქის, ნაწილი კი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საზღვრებშია მოქცეული. ამიტომ გარკვეული დეტალები ორივე თვითმმართველობასთანაა შესათანხმებელი. ამ კერძო მესაკუთრეებში კი ვის გულისხმობდა, არ გამიმხილა...

**P.S. „ჰესტოკ ბათუმი" „ჰესტოკ ლიმიტედის" შვილობილი კომპანიაა, რომლის სათავო ოფისი რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ სანკტ-პეტერბურგშია. ეს კომპანიის პირველი მასშტაბური პროექტია საქართველოში.**

**ნანა დიხამინჯია**

# მინი მიშა

## ანუ «წარმატებული მერის» ქალაქი?

**2010 წლის მაისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. ქალაქის მერს მომავალ წელს პირდაპირი წესით, ანუ არჩევნების გზით აირჩევენ. ოპოზიციიდან მერობის კანდიდატთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, ხელისუფლების ფავორიტად კი ისევ გიგი უგულავა რჩება, რასაც ყოველდღიური სატელევიზიო პიარსიუჟეტებიც მოწმობს. რატომ არის თბილისი „წარმატებული მერის ქალაქი" და იყენებენ თუ არა „ნაცები" სატელევიზიო ეთერს უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის?**

პრესაში ბევრს წერენ იმაზე, რომ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, უგულავას პიარი მუშაობს. როგორც ვარაუდობენ, ეს პროცესი არჩევნების მოახლოებასთან ერთად უფრო გააქტიურდება. რაკი უგულავა მედიასივრცეს აკონტროლებს, საზოგადოება უკვე ხედავს ქალაქის დინჯ და გაწონასწორებულ მერს.

უგულავას პიარი რომ უკვე დაწყებულია, ამას ქალაქ თბილისის მერიის ოფიციალურ საიტზე (www.tbilisi.gov.ge) გაკეთებული გამოკითხვაც ცხადყოფს. როგორც ჩანს, „ნაციონალები" უკვე ამოწმებენ, რა ელექტორატი ეყოლება უგულავას, თუმცა აქაც არის ერთი საინტერესო დეტალი.

„საქართველო და მსოფლიო" დაინტერესდა, რამდენად ობიექტური იყო საიტზე, რაღა თქმა უნდა, უგულავას სასარგებლოდ მოყვანილი მონაცემები და გამოკითხვაში — „უჭერთ თუ არა მხარს ქალაქ თბილისის მერს გიგი უგულავას", ხმა მის წინააღმდეგ რამდენიმე კომპიუტერიდან დავაფიქსირეთ. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, რომ ეს ხმები მის წინააღმდეგ გამოკითხვაში არ აისახა. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე გიგი უგულავას 60,66%-იანი რეიტინგი აქვს. ხმას მის წინააღმდეგ მხოლოდ 7,72% აფიქსირებს.

გარდა ზემოაღნიშნული საიტისა, მსგავს გამოკითხვებს მრავლად შეხვდებით სხვადასხვა ფორუმის პოლიტიკურ განყოფილებებში. ყურადღება თბილისის ფორუმის — forum.ge-ს — გამოკითხვამ მიიქცია, ვინაიდან ამ ფორუმს 57 ათასზე მეტი მომხმარებელი ჰყავს და ვვარაუდობთ, რომ აქ უფრო მეტი მომხმარებელი შედის, ვიდრე თბილისის მერიის საიტზე. აქ დადებული გამოკითხვა — „მისცემდნენ თუ არა გიგი უგულავას ხმას არჩევნებში", უფრო ობიექტურად მივიჩნიეთ, თუმცა, აქაც არის ერთი საინტერესო დეტალი: აქ მოცემულ პასუხებში ვხვდებით შემდეგ ვერსიებს:

**1. კი — 21,76%;**
**2. არა — 37,65%;**
**3. სამში გრძელს მივცემდი — 34,71%**
**4. სხვა — 4,71%**

მკითხველს მოვუბოდიშებთ უცენზურო პასუხის გამეორებისთვის, მაგრამ სწორედ ასეა ამ გამოკითხვაში და, როგორც ჩანს, საკმაოდ ბევრი მხარდამჭერიც ჰყავს.

მომავალი არჩევნებისთვის რომ, დიდი ხანია, ემზადება ხელისუფლება და უგულავას პიარზე მუშაობს, საუნივერსიტეტო ქალაქის პროექტის განხორციელების მერიისთვის დაკისრებაცაა. საამისოდ თბილისში 100 ჰექტარზე მეტი ფართობი გამოიყო, რაშიც მილიარდამდე დაიხარჯება. პროექტს განათლების სამინიტროც მშვენივრად გაართმევდა თავს, მაგრამ, რატომღაც, მერიას გადასცეს.

გიგი უგულავა თბილისის მერად 2005 წელს დაინიშნა. 2006 წელს კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდა, ოღონდ ისე ჩაჯდა სიაში, რომ არც ერთ უბანში კენჭი არ უყრია, უნამუსოდ დაარღვია კანონი და 2006 წლის 12 ოქტომბერს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით მერად მოგვევლინა.

დიდად კანონმორჩილი რომ არ გახლდათ და არც ახლაა ასეთი ბატონი უგულავა, ეს ჯერ კიდევ მაშინ იყო ნათელი, როცა ფეხბურთელ რატი ალექსიძისთვის ჩამორთმეულ „ჯიპში" აღმოაჩინეს და პასუხიც არავის მოუთხოვია. ან კი როგორ მოსთხოვდნენ — თბილისის მერი სახლში მეტროთი და ყვითელი ავტობუსით „სულ ხომ არ ივლიდა", როგორც ამას ხშირად „ღაღადებდა" ტელევიზიებით და ისინიც თავდაუზოგავად აჩვენებდნენ, როგორ მგზავრობდა თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით აქტიურად „წარმატებული ქალაქის წარმატებული მერი".

მოგვიანებით პრეზიდენტისგან „იმიჯკურთხეულმა" მერმა ჩვეული მეოჯახის იმიჯი უკან მოიტოვა და საააკაშვილის პირად ვიზაჟისტს გაუმიჯნურდა. როგორც მოგვიანებით საუბრობდნენ, უგულავას თავად პატრიარქმაც კი მიმართა, ოჯახი არ დაენგრია, მაგრამ სიყვარულს ისე ჰყავდა ეს ჩვენი ქალაქის მერი გადარეული, რომ პატრიარქის რჩევაც არ იღო ყურად.

საინტერესოა, რას ფიქრობს ხალხი გიგი უგულავაზე?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრ პოლიტიკურ ფორუმზე უგულავასთან დაკავშირებით არაერთი თემაა გახსნილი, თუმცა ხალხმრავალ ფორუმებზე რამდენიმე თემის ერთად გახსნა შესაძლოა, სწორედ მისი პიარკამპანიის ერთ-ერთი ნაწილი იყოს. მოგეხსენებათ, რომ შავი პიარი, როგორც წესი, ყველაზე კარგად მუშაობს.

**„ხალხის გამოსახლებები და საკუთრების წართმევები სულ ცხვირში უნდა ვადინოთ"...**

**„გიგიიი, რამდენი სახლის სახურავი გაარემონტე, რამდენი ლიფტი შეაკეთე, რამდენი ხელოვნურსაფარიანი სტადიონი გახსენი და მაინც შენ გაგინებენ ეს გარყვნილები", — ირონიულად ხუმრობენ ერთ-ერთ user-ზე.**

**„თქვენი შიშით, პრეზიდენტის ნაქონი ქალი ვერ გაუპრავებია გიგის, მაგრამ ერთი ვერაფრით ვერ დავადგინე, თბილისი რატომ არის წარმატებული მერის ქალაქი"?**

დადგენა იმისა, თუ რატომ არის თბილისი წარმატებული მერის ქალაქი, ჩვენც გვიჭირს. ფაქტი კი ერთია, უგულავას პიარკამპანიაზე საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქალაქის მერად მომავალ წელსაც ისევ გიგი უგულავას „აირჩევენ".

**მაგდა კლდიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# ვისი ხელისუფალი ხართ, ბატონო მიხეილ?!

**საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, უკვე 15 წელია, ქართული პოლიტიკის პოპულარულ სახედ იქცა, რომლის ფსიქოპორტრეტის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**
**ხალხის უკმაყოფილების ზრდამ ახლებურად დააყენა პოლიტიკოსი ლიდერის როლის საკითხიც. საზოგადოებამ უფრო ფხიზლად დაუგდო ყური ლიდერობის პრეტენდენტებს, მეტად კრიტიკულად შეათვალიერა და ანალიტიკურად განსაჯა, რამაც აშკარად ცხადყო, რომ საქართველოში კულტების შექმნის დრო დამთავრდა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მერყევი კონტურები უკვე შეიმჩნევა, მაინც რთულია წინამძღოლის შერჩევა.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით მიხეილ მაჭავარიანის ფსიქოსტრუქტურაზე, მისი სულიერი რაობის, მრწამსის, მისწრაფებებისა და შეხედულებების გასაცნობად...**

— სახელმწიფოს იერარქიულ სისტემაში სავსებით გამორიცხული უნდა იყოს მონური ქედმოდრეკა და ვინმეს მიმართ შუასაუკუნეობრივი ბრმა თაყვანისცემა, სხვათა ინტერესებით თავსმოხვეული პოლიტიკა. ლიდერი თავისი პიროვნული თვისებებით ხალხისთვის მაგალითი უნდა იყოს. დღეს კი დამოუკიდებლობის მოსურნე ქვეყნის საძირკველში ძელქვის ჩადების ნაცვლად უვარგისი ფხვნილი ჩავყარეთ, რის გამოც წელში ვერა და ვერ გავიმართეთ. ამ ფხვნილის ერთი კრისტალი კი მიშა მაჭავარიანია. ის ჯერ კიდევ 1995 წლიდან საქართველოს „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივანია, ხოლო სულ მალე — ამავე კავშირის თავმჯდომარე. ამ „მოქალაქეთა კავშირში“ დაფრთიანებულმა ახალგაზრდა პოლიტიკოსთა თაობამ საქართველოს წინსვლა ნახევარი საუკუნით შეაფერხა, ქვეყნის მშენებლობაში ხალხის როლი სრულად უგულებელყო.

რიგითი მოქალაქის პრობლემები მათი საზრუნავი არასოდეს გამხდარა. ყოველივე ამას კი სათავეში ედგა თვით მიხეილ მაჭავარიანი სულიერი სიმდაბლითა და გონებრივი სიბეცით. როგორც პოლიტიკოსი, მაჭავარიანი ცდომილია!

ის იყო აგრარული უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის ლაბორანტი. აღზევებას კი აწ განსვენებულ ზურაბ ჟვანიას უნდა უმადლოდეს. მიშა 1995-99 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა. მისი კარიერული აღმასვლა მეგობრობითაა ნასაზრდოები. თავად როგორი მეგობარია?

### ზურაბ ჟვანიას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებისას მან პირში წყალი ჩაიგუბა და სულგამოფიტული, გაუტანელი მეგობრისა და „მოღალატე ძმის“ ეგოცენტრიზმით სამუდამოდ დადუმდა.

მეგობრობა იქ იდგამს ფესვს, სადაც მიზნები და მისწრაფებანი ერთნაირია. ასე იყო მიშასა და ზურას შემთხვევაში, მაგრამ ეს მეგობრობა იქ დამთავრდა, სადაც ზურას მოულოდნელი და ბურუსით მოცული გარდაცვალება მიშას მიზანსწრაფვის ხელისშემშლელ ბარიერად იქცა. ყოველივე ამით მოხდა მიშას სულიერჩაღამებული ფსიქოწყობის საჯარო ილუსტრირება. ეს არის პიროვნულ სიმწიფეს მიუღწეველი კაცი, რომელიც ვერასოდეს აღუდგება წინ უსამართლობას (გამბედაობა არ ეყოფა), ბოროტებას, ვერაგობასა და სიმუხთლეს, კაცთმოძულებას. იგი ადვილად მოსახრელი წნელია, იმდენად მორჩილი, რომ ძლიერთა ხელში ნებისმიერ ფორმას მიიღებს, მონაბერ ქართა ამყოლ-ჩამყოლი, მადლის დამვიწყებელი, სიკეთისა და სიკარგის წამყრუებელი და საკუთარი „მეს“ გადასარჩენად ყველა აკრძალულ ხერხზე წამსვლელი. მან კარიერისთვის ზურაბ ჟვანიას ძმობა ისე გაყიდა, როგორც ძმებმა — ბიბლიური იოსები. ნებელობადაკარგულმა და სულგაყიდულმა კაცმა ვერ აწია მეგობრობის ტვირთი და ვალდებულება. უბედურება ისაა, რომ ეს არ არის ვითარებით გამოწვეული ფსიქოშტრიხი, ეს მასში დაბუდებული სიმუხთლეა. საკუთარი სიმშვიდისთვის მან გვერდში მდგომი არაერთი კაცი გაწირა. კობა ბექაურს, რომელიც მის აღზევებას ხმალამოღებული იცავდა, არ გამოესარჩლა. ესაა მიხეილ მაჭავარიანის ზნე-ხასიათი და მორალური სახე. ამაოდ დავიწყებთ მის ფსიქიკაში „ცოტნესეული მარცვლის“ ძებნას. იგი ულირსია, რადგან ერთგულება ფსიქოლოგიაში განკაცების უპირველესი ნიშნეულია.

### საკუთარი სიმშვიდისთვის მიხეილ მაჭავარიანმა გვერდში მდგომი არაერთი კაცი გაწირა.



**— რა კრიტერიუმებით დაინიშნა ნიადაგმცოდნე ახალგაზრდა, გამოუცდელი მიშა მაჭავარიანი საგადასახადო შემოსავლების მინისტრად?**

— ამ დარგში მიშას ცოდნა და გამოცდილება დღესაც და მაშინაც ნულის ტოლია. მას ამ ნაბიჯისკენ სულში ჩაბუდებულმა ანგარებამ, პათოლოგიურმა მომხვეჭელობამ და უკიდეგანო ამბიციამ უბიძგა. ობივატელისთვის ეს მიშას დიდი კარიერული ნახტომია, ფსიქოლოგისთვის კი ნათელია — ეს პიროვნება არასრულყოფილია, ავადმყოფური ვნებებით და დიდად ნაკლოვანი ღირსების გრძნობით. ამით ქვეყანას მტრობს, რადგან იმის აწევას ცდილობს, რის შესაძლებლობაც არ გააჩნია. სამაგიეროდ, სინდისთან კომპრომისი აქვს. ესაა მისი სულიერი და გონებრივი უნარების დეფორმირებული გამოვლენა, სიხარბესდამორჩილებული სწრაფვა — იქცეს გავლენიან ფიგურად. ეს გამჭრიახ, სინდისიერ და ღირსეულ კაცს ნამდვილად გაუჭირდებოდა, მიშას კი არ გასჭირვებია, რადგან მის ფსიქოსტრუქტურაში მატერიალური, ყოფითი მართავს მის სულიერ, გონებრივ და ზნეობრივ უნარებს. ფსიქოლოგია კი გვეუბნება: სულმა შექმნა თვალი, რათა ვიხილოთ სინათლე; ყურნი, რათა შევისმინოთ; გონება, რათა აზროვნება უსწრებდეს მოქმედებას. გონებრივი უნარების სიძლიერითა და სულიერების სიმტკიცით ითრგუნება პიროვნებაში მიწიერი ზრახვანი.

უნდა შევეხო მის ბიოგრაფიაში შეტანილ ცნობასაც, რომ ბატონ მიხეილს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ადამიანი ის არსებაა, რომელიც განუწყვეტლივ მიისწრაფვის სრულყოფისკენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სწრაფვა გამორიცხულია. დაუმსახურებელმა წარმატებამ მიხეილი გაუმაძღარი გახადა, მისი უნარები დასუსტდა სიყალბესა და ბოროტებასთან თანყოფით. კაცი, რომელიც 1995 წლიდან დღემდე მაღალ პოლიტიკურ პოსტებზეა, წლების მანძილზე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს და ნიადაგ კანონშემოქმედებით ქარცეცხლშია, როგორ მოძებნა დრო და შესაძლებლობა, 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გამხდარიყო? მიშასთვის სიცრუე არსებობის წესად იქცა, ისე შეეჩვია სიცრუით გაჟღენთილ ატმოსფეროს, რომ სიმართლით გაჟღენთილ გარემოცვაში შეიძლება ასფიქსია დაემართოს. ამ სიყალბეზე დამყნობილმა ნაშრომებმა, როცა დიდი პოლიტიკიდან წავა, მისი მომავალი სიმშვიდით უნდა უზრუნველყოს მეცნიერთა გარემოში დამკვიდრებით, რაც გაიძვერული და ბრიყვული სითავხედით მომზადებული სამომავლო ნაბიჯია.

### მიშა საშიში ავანტიურისტია, რომელიც პოლიტიკურ პინაზე ყველა სისაძაგლეს დებს წონადობის შესანარჩუნებლად.

მრავალათასიანი მიტინგების მსვლელობისას სამი თვის განმავლობაში პარლამენტის სხდომები არ ტარდებოდა. ხალხის რჩეულნი ხალხს ემალებოდნენ. ფსიქოანალიზით კი, იმალება ის, ვინც დამნაშავეა. მიხეილ მაჭავარიანი ამ ფაქტს ასე ხსნის: „პარლამენტის სხდომები გამოიწვევდა დაპირისპირებას“. თუ პარლამენტი ამომრჩეველთა ნების გამტარებელია, რატომ დაპირისპირება? პარლამენტის წევრთა და მისი ხელმძღვანელობის სულმოკლეობაზე მეტყველებს უკვე გაღმა გასულების მიერ რიხითა და ერთსულოვნად კაბალური კანონის მიღება შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ.

მიხეილ მაჭავარიანის ფსიქოსტრუქტურის მთავარი, ცენტრალური შტრიხი ქვეცნობიერი აზროვნებაა. ერთერთ ინტერვიუში იგი აცხადებს: „უფრო სერიოზული ცვლილებები გვინდა, ვიდრე ეს კონკრეტული გვარი და სახელებია. დღეს „ერთი ბარტყი გადმომიგდე“ — სწორი არაა“. ამ სიტყვებს ქვეცნობიერი კარნახობდა, ე.ი. თვით სისტემაა შესაცვლელი, თუმცა თავად ამას გონივრულად ვერც აცნობიერებს. მოგვიანებით, როცა საკითხი ეხება სოჭში ებრალიძის განცხადებას პრეზიდენტობაზე კენჭის ყრის შესახებ, უფრო კონკრეტდება: „ებრალიძეები იქნებიან, გიორგაძეები თუ სხვა გვარის შვილები, ასეთი რამ ყოველთვის მოსალოდნელია, სანამ იმის განცდა არ გვექნება, რომ ჩვენი საქმეები აქ, საქართველოში წყდება და არა რომელიმე სხვა ქვეყანაში“. ამას ბანალური ფორმულირებით „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი“ ჰქვია. ბატონო სპიკერო, უსინდისოდ ცრუობთ. შეგახსენებთ ამერიკანიზაციის გაფეტიშებას, პასპორტებში ეროვნული გრაფის წაშლას, სტრატეგიული ობიექტების გასხვისებაგაყიდვას, უცხოეთიდან შემოტანილი, გადმოთარგმნილი კანონპროექტებით რეფორმების ჩატარებას, ინგლისური ენის ლამის დედაენად ქცევას... დაბოლოს, სოროსის ფულებით დაფინანსებული „ვარდების რევოლუცია“ ვინ მოაწყო?..

**— მიხეილ მაჭავარიანი გამუდმებით ირწმუნება, რომ საქართველოში კორუფციის დონე ყველაზე დაბალია, ნუთუ ხელისუფლებაში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ ამის გულწრფელად სჯერა?**

— რა თქმა უნდა, სურვილი აქვს, დაიჯეროს, რადგან სიცრუე უკვე ტკბობას ანიჭებს. სინამდვილეში ყველა სფეროში მონოპოლიური მდგომარეობა ხელისუფლების რჩეულ კომპანიებს უჭირავს. ექსპერტები ღიად და საჯაროდ ლაპარაკობენ ფარმაცევტული ბაზრის შესახებ.

### ერთ დროს ასევე ბევრს საუბრობდნენ თვით მიხეილ მაჭავარიანისა და მისი ოჯახის კვარციტ-მადნეულის ბიზნესინტერესებზეც.

ამიტომაც აცხადებს, რომ ანტიმონოპოლიური და მაკონტროლებელი ორგანიზაციების შექმნის იდეა ჯერ ადრეა.

ექსპერტების ვარაუდით, შესაძლებელია, პრეზიდენტმა საკუთარი ტყავის გადასარჩენად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს, მაგრამ ფაქტია, რომელიც მოქმედ კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ პარლამენტი სანახევროდ ქუთაისში გადადის, ოღონდ — 2012-13 წლიდან, რაზეც პარლამენტმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

პარლამენტის თავკაცთა აზრით, დასავლეთ საქართველო ამით გააქტიურდება, ხალხი დასაქმდება, ტურიზმი განვითარდება და, რაც მთავარია, ქუთაისელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, თანაც, ეს ნაბიჯი 500 მილიონზე ნაკლები დაჯდება. ეს მაშინ, როცა ქუთაისს ელემენტარული სასმელი წყლის პრობლემა აქვს.

ერთი კია, მსოფლიოში პარლამენტის გაყოფის პრეცედენტი პირველად საქართველოში ხდება. მიშა მაჭავარიანს და მის კოლეგებს გამბედაობა არ ჰყოფნით, ამ დემაგოგიურ, ყოვლად გაუმართლებელ, დაუსაბუთებელ, პირველი კაცის პირადი კაპრიზებით მოტივირებულ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ. მიხეილმა კარგად იცის, რომ პრეზიდენტის იდეაფიქსის უარყოფა ძვირად დაუჯდება. მისი ნებელობა პირადი გამორჩენის ძლიერი ვნებით ანულირებულია, თორემ სხვა შემთხვევაში აქვს საწინააღმდეგო აზრი: „მე, პირადად, არ ვარ მომხრე მერის პირდაპირ არჩევნების. არა იმიტომ, რომ გვეშინია, არამედ იმიტომ, რომ მოდელი გაუმართავია“. კვლავ არაცნობიერი აზროვნება — დიახ, ეშინია! გულისწყრომა დავითაიას განცხადებაზე სეპარატისტ ლიდერებზე სანქციის გაცემის შესახებ, აქტიური განურჩევლობით, სულერთიას პრინციპით და საოცარი გულგრილობით დაამთავრა: „ამ კომისიებში, გინდათ, მიიღეთ მონაწილეობა, გინდათ, — არა“. ამით აფიშირება გაუკეთა (ისე, რომ ვერ გააცნობიერა) საპარლამენტო კომისიათა მოჩვენებით ჭაპანწყვეტას.

აგვისტოს ომის მაჭავარიანისეული შეფასება ასეთია: „შეიძლება მომხდარიყო სახელმწიფოებრიობის ჩამოშლა, ეს იყო ის, რისი არდაკარგვაც შევძელით“. მძიმე ფსიქოლოგიური ასპექტია, რომელიც მაღალი რანგის პოლიტიკოსებს ვირუსივით შეეყარათ და პარლამენტის სპიკერის პიროვნებაშიც ნოყიერი ნიადაგი პოვა. ისინი თავს ქვეყნის სახელმწიფოებრიობასთან აიგივებენ, რაც მეტად საშიშ, ხიფათიან და ავისმომასწავებელ ფსიქოგანწყობაზე მიგვანიშნებს.

ბატონო სპიკერო, გაიხსენეთ „კავკასიური ცარცის წრე“. ბრეხტის სიბრძნეს პერიფრაზით შეგახსენებთ: როდესაც ხალხს შია და სცივა, თან ტირილით მიაცილებს ეროვნულ ფასეულობებს, როდესაც ტერიტორიები დაკარგულია და საქართველოს გული — ქართლი — ამოგლეჯილი, რის და ვისი ხელისუფალი ხართ, ბატონო მიხეილ?

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# თურქეთის ბაზარზე გაყიდული ქართველები და მონობიდან დახსნილი მეგობარი

**ქართველთა მრავალწლიანი ემიგრაცია ქვეყნისთვისაც და თავად ემიგრანტებისთვისაც მძიმე და დამქანცველ მარათონად იქცა. სხვათა მსახურებად ქცეული ქართველები ფიზიკურად გამოიფიტნენ და სულიერად გალატაკდნენ. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქვეყნიდან გასულია, ხოლო დარჩენილი მეორე ნახევარი საზღვარგარეთ წასვლაზე ოცნებობს. ქართველებიც ვერ გადაურჩნენ თანამედროვე მონობას — ტრეფიკინგს. გთავაზობთ ტრეფიკინგის მსხვერპლთა სოციალური დახმარების კოორდინატორის — თამარ სანიკიძის ნაამბობს.**



90-იან წლებიდან საქართველოში სიტუაცია აირია. ძმათა სისხლისღვრამ დათოს სული აუმღვრია. გაუქმებული სამსახურიდან გამოძევებულს პირველად გაუჭირდა შინ დაბრუნება და მთავარ ქუჩაზე გავიდა, სადაც შენობათა ფასადებს მხოლოდ მოძმის მისამართით გასროლილი ტყვიათა კვალი გასდევდა. სახლში გვიან ღამით ქურდივით შეიპარა...

„თეთრი მელას“ ტახტზე დაბრუნებამ შეძრა დაზაფრული ერი, მაგრამ იმედოვნებდა — სახელიანი და გამოცდილი პოლიტიკოსია, იქნებ ქვეყანას რამე უშველოსო, მაგრამ ზედიზედ იკეტებოდა საწარმოები, ფაბრიკა-ქარხნები, ორგანიზაციები, ლატაკდებოდა სოფლები. უსახსრობა დაუნდობელი ნიაღვარივით მოდიოდა და დათოს ოჯახსაც გასრესით ემუქრებოდა. ნიჭიერი, განათლებული, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა, ოჯახის მამა მონუსხულივით მისჩერებოდა ქვეყნის განადგურების პროცესს. თეორიულად იცოდა, რომ მხოლოდ მოქმედება, მოძრაობა და ბრძოლა განუქარვებდა დარდს, მაგრამ სამოქმედო ასპარეზს ვერ ხედავდა.

არასრულფასოვნების კომპლექსი მოეძალა, რომ არაფრის მაქნისი და უნიათოა. მოგვიანებით ფსიქოლოგთან საუბრისას თქვა: „ინსპირირებულმა ძმათა ომმა ტყვია საქართველოს ესროლა, რომელმაც იდეა მოკლა, რასაც ბუნებრივად ერის სულიერი სიძაბუნე მოჰყვა“.

„ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებამ ქვეყანაში ბოროტება გაამძაფრა. ზნეობაშერყვნილი ხელისუფლება ხალხს უფრო მეტად თრგუნავდა. ყველაფერი წყალს მიჰქონდა — ცოდნა, ურთიერთპატივისცემა, თავისუფლება, ეროვნული ღირებულებები და თვით ადამიანური ღირსებებიც. დათოსნაირი ათასობით ადამიანი საშიმშილოდ გაიწირა.

დათრგუნული დათო ძველ მეგობარს შეხვდა. ნუგზარი კარგად გამოიყურებოდა, ახალი მანქანაც შეეძინა. რესტორანში შეიპატიჟა, დასხდნენ — ბავშვობა, უბნის, ინსტიტუტის ამბები გაიხსენეს. ნუგზარი სტამბოლში მუშაობდა, კმაყოფილი იყო ანაზღაურებითა და პირობებით. დათოს თურქეთში სამუშაოდ წასვლა ურჩია, თავისი კოორდინატებიც დაუტოვა და შეზარხოშებული მეგობარი სახლამდე მიაცილა. დამშვიდობებისას ჯიბეში „რაღაც“ ჩაუცურა, დათომ იუკადრისა, მაგრამ ნუგზარი ხელიდან დაუსხლტა და მანქანიდან დაემშვიდობა.

სახლში შესულმა საჩუქარს დახედა — 500 დოლარი იყო, რაც მისი ოჯახისთვის „ღვთის საჩუქარს“ ჰგავდა, მაგრამ „ნაწყალობევი თანხა“ დათოს თავმოყვარეობას ულახავდა და ნაჩუქარი ფულით სტამბოლში — ნუგზართან გამგზავრება გადაწყვიტა. მეგობარი, შეთანხმებისამებრ, დახვდა. მცდელობის მიუხედავად, დათომ ნუგზართან სამუშაო ადგილი ვერ იშოვა და იძულებული გახდა, სტამბოლიდან გემით ქალაქ კატიგორში წასულიყო... ნუგზარმა გააცილა და დაჰპირდა, რომ ცოტა ხანში სტამბულში გადმოიყვანდა. კატიგორში ჩასულმა ავეჯის სახლში სამუშაო მალევე იშოვა, თვეში 350 დოლარის გადახდას დაჰპირდნენ. 4 დღე ნორმალურ პირობებში იმუშავა, შემდეგ თურქმა დამსაქმებელმა პასპორტი მოსთხოვა. იმ დღიდან დათოს ცხოვრებაში პრობლემები დაიწყო. მას აეკრძალა გარეთ გასვლა და ტელეფონით სარგებლობა, მხოლოდ შენობის ტერიტორიაზე შეეძლო გადაადგილება. აიძულებდნენ, დილის 7 საათიდან ღამის 12 საათამდე ემუშავა. ამ ხნის განმავლობაში დაჯდომასა და სიგარეტის მოწევასაც კი უკრძალავდნენ. ცუდად კვებავდნენ: დილით ჩაით, ხოლო შუადღისას კვერცხით ან წვნიანით. მოკლებული იყო ჰიგიენურ პირობებს. 10 კვ. მეტრ ოთახში 3 უცხო ეროვნების კაცთან ერთად ეძინა, ხელფასს უგვიანებდნენ, ხოლო მოთხოვნისას დამცინავად პასუხობდნენ — იქნებაო! მიხვდა, რა მახეშიც გაება, ტრეფიკერთა გულებში ჩაბუდებული ბოროტება აღიზიანებდა, განსაკუთრებით — ზედამხედველის კონტროლი. ერთხელ, ნერვებმა უმტყუნა, ზედამხედველის ბრძანებას არ დაემორჩილა, ხელსაწყო, რომლითაც მუშაობდა, კედელს შეალეწა, მისმა ყვირილმა და გინებამ ზედამხედველი დააფრთხო. მთელი საამქრო შიშჩამდგარი თვალებით მისჩერებოდა.

საღამოს „ავეჯის სახლის“ დაცვამ ის მფლობელთან შეიყვანა — დათოს ფიზიკურადაც და მორალურადაც სასტიკად გაუსწორდნენ და შემდეგ გონწასული საწოლზე გასისხლიანებული დააგდეს. მისი მიკარება ვერავინ გაბედა. საკუთარმა მარცხმა და უძლურების შეგრძნობამ მის ფსიქიკაზეც იმოქმედა, თვალები შეშლილივით უგიზგიზებდა, ხშირად მასთან ერთად ოთახში მყოფთ ესმოდათ მისი კვნესა და ოხვრა, მაგრამ მისი გოდება ამაოდ ეხეთქებოდა ტრეფიკერთა მიერ ჩაკეტილ ყრუ კედლებს, სიავით დაბრმავებულ მათ თვალებსა და ბოროტებით გაქვავებულ გულებს.

ნუგზარი მეგობართან კონტაქტის გაწყვეტას დარდობდა, მით უმეტეს, რომ დათოს ოჯახიც ხშირად აწუხებდა. საბედნიეროდ, დიდი მაჰმადიანური დღესასწაული დაიწყო, რამაც ნუგზარს საშუალება მისცა, მეგობრის ამბის გასაგებად კატიგორში ჩასულიყო. „ავეჯის სახლის“ დაცვა 2 კაცამდე შეთხელებულიყო. ნუგზარმა მოახერხა ანგარებიან მუსლიმანთა მოსყიდვა. თავზარი დაეცა, როდესაც თავისი ბავშვობის მეგობარი ნაცემი, ჭუჭყიანი, მშიერი, ძონძებში გახვეული და პიროვნულად განადგურებული ნახა. გულში ჩაიკრა მეგობარი, რომელიც არაადამიანური ღრიალით თხოვდა, აღარ შემიძლია აქ გაჩერება, წამიყვანეო; უჩოქებდა, ყელს უწევდა, — არ მიმატოვოო!

ნუგზარს ყელში ბოლმა მოებჯინა. თვალნათლივ ხედავდა, სადამდე მიიყვანა ტკივილიანმა ცხოვრებამ მისი უბნის, სკოლისა და ინსტიტუტის ერთ-ერთი უპირველესი და უნიჭიერესი ბიჭი. ჩონჩხადქცეული ძმაკაცი ბავშვივით ხელში აიტაცა და ალაყაფისკენ გასწია. როდესაც დაცვა იარაღით წინ გადაუდგა, რაც ჯიბეში ფული ჰქონდა, ფეხქვეშ დაუყარა, ასევე, მისცა თავისი ძვირად ღირებული მობილური ტელეფონი, საათი, მოიხსნა ბაჯაღლოს ჯაჭვი ნათლობის ჯვრით, გამუდმებით ყელზე რომ ეკიდა. მან თურქებისაგან მეგობარი ისევე იყიდა, როგორც სტამბოლის ბაზარზე მე-16 საუკუნეში საბამ — ორი ქართველი ბავშვი.

ნაწამებ-ნაგვემ დათოს მანქანაში ჩაეძინა, ნუგზარს კი სიმწრის ცრემლი ჩამოსდიოდა. სტამბოლში დათო ექიმს აჩვენა, წამლები და ტანსაცმელი უყიდა, დაბანა, მოაწესრიგა, ექიმის დანიშნულებისამებრ ასვა-აჭამა, ადამიანს დაამსგავსა. თავისივე მანქანით სამშობლოში ჩამოიყვანა და სამართალდამცავებთან მომხდარზე დაუფარავად განაცხადა.

დათომ რეაბილიტაციის ცენტრში ორი თვე დაჰყო; თანდათან დაწყნარდა; სიმშვიდე დაუბრუნდა.

ეს ტრაგიკული ისტორია დაფიქრებად ღირს — რატომ ვიქეცით ამგვარი სიტუაციების მსხვერპლად? ვინ და რამ გამოგვიტანა ამგვარი მკაცრი განაჩენი? როდის დადგება დრო, რომ ქართველები საკუთარ ქვეყანაში მშვიდად იცხოვრებენ?

**ლალი შაშიაშვილი**

# ხელისუფლებამ ბეჭდური მედიის დატერორების ახალი სქემა დაამუშავა

**საქართველოში სიტყვის თავისუფლების ხარისხი ბეჭდურ მედიაში ბევრად აღემატება სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების მაჩვენებელს და შესაძლოა, ლიდერის პოზიციაც მრავალი წლის განმავლობაში სწორედ ამიტომ შეინარჩუნა!**
**სხვათა შორის, მსოფლიო მაჩვენებლებითაც „არა გვიშავს რა“ და, თუ შარშანდელ მონაცემებსაც მოვიშველიებთ, მე-17 ადგილიც დამსახურებულად მოგვიჩინეს 143 ქვეყანას შორის!**

ქართული გაზეთები რომ არა, შესაძლოა, მოსახლეობას არ სცოდნოდა, დაგებული ასფალტებისა და „გამწვანებული ქუჩა-კორდების“ მიღმა რა სიბინძურეს მალავდა სააკაშვილის ხელისუფლება, როგორი მონდომებით ანადგურებდა განათლებას, მეცნიერებას, მედიცინას, ზოგადად, ქართულ სახელმწიფოებრიობას და როგორი გამეტებით უბიძგებს დღესაც იმ წარსულში დასაბრუნებლად, როცა თავისუფალი სიტყვის გამო ადამიანებს „გულაგებში“ ერეკებოდნენ; აქაოდა, როგორ გაბედეთ ჩვენი „დედაპარტიის,“ მამა ლენინისა და სხვათა აუგი და კრიტიკაო!

სწორედ ქართულმა ბეჭდურმა მედიამ შეძლო მანკიერებათა სააშკარაოზე დროულად გამოტანა და სააკაშვილის „გუნდად“ წოდებულ სვავთა მიერ ამ 6 წლის განმავლობაში ჩადენილი მრავალი სახელმწიფო დანაშაულის განსჯის საგნად ქცევა; მერწმუნეთ, უფრო მეტსაც „გაირჯებოდნენ“, რომ არა ჩვენ — ქართული ბეჭდური მედიის ჟურნალისტები (რა თქმა უნდა, ვგულისხმობ მიუკერძოებელ, მოუსყიდველ ჟურნალისტებს, თორემ მკითხველმაც კარგად უწყის, ზოგიერთი სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი გაზეთი რა ხარისხის ინფორმაციით კვებავს მოსახლეობას)!

**„ვიდრე მე პრეზიდენტი ვარ, ჟურნალისტებს არავის დავაჩაგვრინებ, ჩვენთვის დემოკრატია და სიტყვის თავისუფლების არეალი გაცილებით მეტია, ვიდრე, ვთქვათ... ყველაფერი, რაც კი კეთდება ქვეყანაში! ნურას უკაცრავად, ხელები შორს ჟურნალისტებისგან, თავისუფალი სიტყვისგან და, საერთოდ, იმისაგან, რაც უკან, ბოლშევიზმისკენ დაგვაბრუნებს!“** — აი, სიტყვები სააკაშვილის ერთ-ერთი პიარ გამოსვლიდან, რომელიც მან ჟურნალისტების ცემა-ტყეპის, კამერების დამტვრევისა და პლასტმასის ტყვიებით შუბლების დახვრეტის შემდეგ გააკეთა!

როგორც ეტყობა, **„ნამეტანმა“** სიმართლემ და ფაქტების შუბლში მირტყმამ ერთობ შეაშფოთა „ნაცმო“-ელები და სწორედ ამიტომ, **„საბაზრო“** კანონებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა: **ქართული თავისუფალი პრესა ნელ-ნელა, მაგრამ გამიზნულად ერთ ან ორ გაზეთამდე დაიყვანოს, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დროს იყო!**

„საქართველო და მსოფლიომ“ ერთ-ერთი კომპეტენტური წყაროდან შეიტყო, რომ სულ მალე, ხელისუფლების დავალებით, გაზეთების გავრცელების სამსახურები ამა თუ იმ გაზეთის რედაქტორ-გამომცემლებს თვითონ შეუკვეთავენ ტირაჟს იმ მოტივით, რომ: „მეტს ვერ გაგისაღებთ, მოთხოვნა შემცირდაო!“ სინამდვილეში კი, იმავე ხელისუფლების დაკვეთით, გაზეთების ბირჟიდან დასტად დალაგებულ გაზეთებს (დიდ რაოდენობას, ვთქვათ 2-3 ათასს) არსადაც არ გაიტანენ, ხელოვნურად „დააძველებენ“ და გარკვეული პერიოდის შემდეგ გამომცემლებს ეტყვიან: რა ვქნათ, ძმაო, ვატარეთ აქეთ-იქით და მაინც ვერ გავყიდეთო!

ცნობილია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ რამდენიმე რეგიონში ათობით საგაზეთო ჯიხური უკვე აიღო და შესაძლოა, ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ექსკლუზიური მასალის ერთგვარი პრელუდია სწორედ ამ მუხანათობიდან იღებს სათავეს!

**ძნელი მისახვედრი არც ისაა, საგაზეთო ტირაჟის შემცირება რა დარტყმის ქვეშ დააყენებს ისედაც კაპიკებზე და ენთუზიაზმზე მომუშავე ჟურნალისტებს, რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობის მასშტაბურ ინფორმირებაზე, ადამიანებზე, რომლებიც პურის ფულს იკლებენ, ოღონდაც მართალი სიტყვა წაიკითხონ გაზეთის ფურცლებიდან, რადგან ტელევიზიების მეშვეობით რასაც იგებენ, სულ ტყუილია!**

ხელისუფლება სილაში თავჩარგულ სირაქლემას ჰგავს, რომელიც ადგილიდან არ იძვრის და ამიტომაც უკანალი შემაშფოთებლად გაუსუქდა!

ბეჭდურ მედიაზე მარყუჟის მოჭერამ, ტერორმა და აბუჩად აგდებამ კი, მერწმუნეთ, მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში „სასურველი“ შედეგი ვერ გამოიღო, პირიქით კი ბევრჯერ მომხდარა — ასეთი სირაქლემებისათვის ჟურნალისტებს ისეთი ჭიტლაყი ამოუკრავთ, ჰააგა და ოსვენციმი სანატრებელი გახდომიათ!

**ფრთხილად, სააკაშვილო, შენმა წინამორბედებმაც მედიასთან ბრძოლაში წაიმტვრიეს კისერი და, ჩემი თუ არ გჯერა, გადახედე მაშინდელ პრესას და დარწმუნდები, რომ მართალი ვარ!**

დიახ, ქართული გაზეთების შეფარული ტერორი გახდება ის ბოლო ლურსმანი, რომელიც თქვენი გახრწნილი და აყროლებული ხელისუფლების პოლიტიკურ კუბოზე დაეჭედება, მიწა მიეყრება და საფლავზეც თქვენეული ვაიდემოკრატიის შესაბამისი წარწერა გაუკეთდება: „პრესასთან დამარცხებულები!“

**ირინე გოგოსაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დედას ჩვენს მიტოვებას ვერასოდეს ვაპატიებ...



**დედაშვილობა მეტად ღრმა, ემოციური და სათუთად მოსავლელი გრძნობაა და ერის ზნეობის საყრდენთა საყრდენი. დედასა და შვილებს შორის ხორციელი კავშირის გარდა უდიდესი სულიერი ძაფებია, რომელთა გაწყვეტა მხოლოდ უდიდეს მწუხარებასა და უმძიმეს განსაცდელს უკავშირდება.**
**დედა ძალაა იმ რწმენისა, რომელიც მოკვდავს უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც არ ტოვებს უნუგეშოდ — „ვაიმე, დედა!“ ან „მიშველე, დედა“ ცნობილი სიტყვებია მწუხარებისას. უდედოდ დარჩენილ ბავშვებს მთელი ცხოვრება მისდევთ უნუგეშობის განცდა, „ობლად მომდინარე წყაროს მზის მცხუნვარებაც კი ადვილად აშრობს“.**
**დედაშვილობის მადლის მოშლა ერის მთლიანობის რღვევის საწინდარია. ქართველთა ემიგრაციას თან მოჰყვა დანგრეული ოჯახების სევდა.**
**არ არსებობს ხელისუფალთა უფრო მეტი დანაშაული, უფრო დიდი ბოროტება, ვიდრე ის, ქვეყანაში დედაშვილობას ვერ უპატრონო. ოჯახს მინიმალური საარსებო პირობები ვერ შეუქმნა, რომ ახალგაზრდა დედა იძულებული არ გახდეს, სიცოცხლის გადასარჩენად ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით არ გადაიხვეწოს. დედაშვილობის მადლის დაკარგვაზე მოგვითხრობს 19 წლის უჩა ჯვარშეიშვილი.**

— არის რაიმე საკვირველი იმაში, რომ მინდა, დედას ვიცნობდე, ვიცოდე რამ გადააწყვეტინა შვილების სამუდამოდ მიტოვება, რატომ უარყო სამშობლო, დედ-მამა? უდედოდ დარჩენილ ბავშვს ათასობით ახლობელიც რომ ეხვიოს გარს, დედის სითბოს ვერავინ შეუცვლის. ახლაც ჩამესმის ტირილით გამოღვიძებული ჩემი პატარა ძმის სიტყვები, რომელიც ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივით დაღლამდე ჭყლოპინებდა: „დედა მინდაა...“ განთიადისას მისავათებულს ბებოს მკლავებში ჩაეძინებოდა ხოლმე. მე კი, მისგან განსხვავებით, საბნის ქვეშ ჩუმად ვტიროდი. მწვავე, მტკივნეული განცდა, რომ დედამ მიგვატოვა, დღესაც მთრგუნავს. რამდენჯერ ყელში მოწოლილი ბოღმით გავცლივარ სუფრას, როდესაც მშობლების სადღეგრძელოს სვამენ.

**— უჩა, გთხოვთ, თავიდან გვიამბოთ თქვენი თავგადასავალი.**

— ჩვენ ნახალოვკაში, ერთ-ერთი ძველი სახლის ნახევრად სარდაფში ვცხოვრობდით. დედა ბუნდოვნად მახსოვს. ამბობენ, ისეთი ლამაზი იყო, ქუჩაში რომ გაივლიდა, ყურადღებას იპყრობდა. უბნის ყოჩმა ბიჭმა მოიტაცა. მამაჩემს შეძლებული ოჯახი ჰქონდა, მაგრამ მერე დრო აირია. თანაც, მამა ქუჩის გარჩევების დროს სასიკვდილოდ დაუჭრიათ, ბებიამ ერთადერთი შვილის დაკარგვას ვერ გაუძლო და ინფარქტით გარდაიცვალა. ქვრივმა პაპამ რამდენიმე ხანს იგლოვა ისინი და ახალი ოჯახი შექმნა. დედაჩემი კი, სრულიად ახალგაზრდა, ორი ბავშვით მამისეულ სახლში დაბრუნებულა.

ქვეყანა აირია, ულუკმაპუროდ დარჩა 7-სულიანი ოჯახი. პაპა სამსახურიდან წამოვიდა, სოფელში დაბრუნდა, გაპარტახებულ მეურნეობას თავს აკლავდა, რათა ჩვენთვის რამე გამოეგზავნა. დედა თავის საქორწინო სამკაულს გროშებად ყიდდა და ისე გვკვებავდა. ჩვენ ცუდ და რთულ დროს დავიბადეთ. ბებია ამბობს, იყო შიმშილობა, დეიდაჩემი მაია დილიდან საღამომდე პურის რიგში ალამებდა, ზოგჯერ შალმოხურული ბებია რიგში შეცვლიდა და შემცივნულ მოზარდს სახლში გამოუშვებდა ხოლმე. დედა უთქმელი ქალი ყოფილა. მდგომარეობით დადარდიანებული თითქმის არ ჭამდა. დედას გადარჩენა უნდოდა, ამიტომ ორ უბნელ ქალთან ერთად ოკეანისგაღმა გამგზავრება გადაწყვიტა. ამისათვის მათ ვიღაც კაცისგან პროცენტიანი ვალი აუღიათ. იმ კაცს დედასთვის რომ შეუხედავს, უთქვამს: „შენ ისეთი ლამაზი ხარ, იქ აუცილებლად გათხოვდებიო.“ ასე გაემგზავრა დედა საზღვარგარეთ, მე და ჩემი ძმა კი ახალგაზრდა დეიდისა და ბებიის ანაბარა მიგვატოვა.

**— უჩა, დედას უნდა გაუგოთ, ალბათ, იქიდან მატერიალურად გეხმარებოდათ, იქაც ხომ თქვენი გულისთვის წავიდა...**

— თავდაპირველად, იქნებ, ასეც იყო. ერთ ოჯახში ავადმყოფ ბავშვს უვლიდა. გოგონა თურმე მთელი დღე და ღამე ტიროდა, ცოტა ხანს ეძინა, დედა თვალს იშვიათად ხუჭავდა. ავადმყოფი ბავშვი ხანდახან სუნთქვას იქამდე იკავებდა, რომ ტუჩები ულურჯდებოდა, ამ დროს მომვლელს მისთვის წამალი უნდა მიეცა, თუ არა და შეტევისგან მოკვდებოდა. წლობით იჯდა საბრალო დედა ამგვარი ბავშვის გვერდით, აჭმევდა, აცმევდა, ბანდა, ყველა სამედიცინო პროცედურაზე თან ახლდა, სასეირნოდ დაჰყავდა. გოგონა დაახლოებით 40 კგ იყო, მაგრამ სუსტი აღნაგობის ქალისთვის მისი ხელში აყვანა ადვილი არ იყო. საწოლსა და აბაზანაში მის გადასაყვანად თურმე ელექტრონულ სკამს იყენებდნენ. ამ ავადმყოფი გოგონას წყალობით, დედა ფულს გვიგზავნიდა, პაპასაც სოფელში მეურნეობა აეწყო და შევძელით, თემქაზე ოროთახიანი ნორმალური ბინა გვეყიდა.

5 წლის შემდეგ დედამ ფულისა და ტანსაცმლის გამოგზავნა შეწყვიტა, კონტაქტზეც იშვიათად გამოდიოდა. უკვე სკოლაში დავდიოდი. მახსოვს, როგორ წავიდა ბებია ნახალოვკელ ძველ მეზობლებთან დედას ამბის გასაგებად. იქიდან ფერმიხდილი, სევდიანი სახით დაბრუნდა. ბაგე ისეთი სიმწრით მოეკუმა, დეიდა უყვიროდა: „თქვი რამე, თორემ გადავირევიო...“ მან ჩვენი თანდასწრებით არაფერი უთხრა. იმ ღამეს არ მიძინია, სულ დედაზე ვფიქრობდი.

**— რა მოხდა, რა დაგიმალათ ბებიამ, რა დაემართა დედას?**

— ნახალოვკელმა მეზობლებმა ბებია დედას მეგობართან ტელეფონით დააკავშირეს. ქალმა უთხრა: „ინგამ ვიღაც კაცთან რომანი გააბა, მან ინგა იმ ოჯახიდან წაიყვანა და ქალაქგარეთ თავის ვილაში აცხოვრებსო. ცნობილი პიროვნება ყოფილა, მაგარი დაცვა ჰყავს, ასე რომ, მეგობრებიც კი ველარ ვახერხებთ მასთან კონტაქტსო“.

რამდენიმე კვირის შემდეგ დედამ თვითონ დარეკა. სკოლიდან ახლად დაბრუნებული ვიყავი, სამზარეულოში ვჭამდი. აღელვებულ ბებიას კარგად არ ესმოდა, ყვიროდა. დეიდამ ყურმილი გამოსტაცა. ინგა მისთვის საბუთების გაგზავნას ითხოვდა, რომ ნამდვილად ქვრივი იყო, რადგან მეორედ გათხოვებას აპირებდა.

ბებია მეორე დღეს სოფელში პაპასთან წავიდა. დეიდამ კი მწარედ განაცხადა: „ყველაზე ცუდი ისაა, რომ ინგამ მოვალეობა დაივიწყა“. თან თვალზე ცრემლი მოადგა: „დაიღალა საწყალი გოგო საპყართან დღე და ღამის სწორებით, ვირული შრომით, უბედურების ყურებით, უიმედო მომავლით. ბევრი აწვალა და ათრია ცხოვრებამ. სადედოფლოდ დაბადებული ქალი ტალახსა და წუმპეში ჩააგდო, ნეტავ, მაცოდინა, რა მოელის ჩემს დას?“ ტიროდა, ცრემლად იღვრებოდა, ოხრავდა და თან გვივლიდა და გვამეცადინებდა. მაიამ საბუთები მოაგროვა და გაუგზავნა. ეს იყო უკანასკნელი კონტაქტი დედასთან. მას შემდეგ არ ვიცით, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ...

პაპას და ბებიას ერცხვინებოდათ, დედაზე სიმართლე ეთქვათ. მასთან ერთად წასული ქალი გრინქარდით ოჯახის მოსანახულებლად ჩამოვიდა. ბებიამ ხელი ჩამკიდა და ნახალოვკაში ბერიანიძეებთან წამიყვანა. იმ ქალს, როდესაც დედაზე ჰკითხა, მე გარეთ გამიშვეს, მაგრამ კარის ღრიჭოს მივეკარი და ვუსმენდი. გავიგე, დედა ცნობილი კაცის ცოლი გამხდარა, მასთან ქალიშვილი შესძენია. იმ კაცს, ქორწინებისას პრინციპულად მოუთხოვია, რომ დედას წარსულთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა. მან ჩვენ დედა მოგვტაცა, რადგან მისი წარმომავლობა და წარსული ერცხვინებოდა. ამერიკელები მტაცებლები არიან, რაც დედამიწაზე მოსწონთ, ყველაფერს იტაცებენ, არაფერს ერიდებიან. მე დედას ვემდური, უფრო სწორად, იმ ქალს, ვინც გამაჩინა. მისთვის ჩვენი მიტოვება ვერ მიპატიებია და ვერც ვერასოდეს შევძლებ ამას. ღირსეული ქალი იმ კაცის გვერდით ვერ იცხოვრებს, ვინც მას შვილების მიტოვებას მოსთხოვს. კაცი ვარ და ვიცი, თუ ქალი გიყვარს, მისი ყველაფერი გიყვარს. მას კი დედა, როგორც „ძვირფასი ნივთი“, ისე მოეწონა. თან გატეხილი, დათრგუნული, არაფრის მქონე ქალთან დომინანტის როლი არ გაუჭირდებოდა და მიაღწია კიდეც.

**— შენი ტკივილი იმაზე მეტად მესმის, ვიდრე შენ გგონია, ქართულ ტრადიციებზე გაზრდილი ბიჭისთვის ამის გაგება რთულია.**

— ტრადიციაზე მართალს ამბობთ. საქართველოში წყევლაცაა და შეგინებაც „შენი დედა გავათხოვეო.“ ამაზე უარესი დამცირება არ არსებობს. დედა ახალგაზრდა, ლამაზი ქალი იყო, მამაჩემის ცოლი 16 წლისა გახდა, ისე, რომ არ ჰყვარებია, ამიტომ სიყვარულში გავუგებდი, მაგრამ სამშობლოზე, დედ-მამასა და ჩვენზე საბოლოოდ უარის თქმას ვერასოდეს ვაპატიებ.

არსებული მდგომარეობა გვიბიძგებს, საზღვარგარეთ გავიქცეთ. აქ თუ რამე კეთდება ან ლამაზდება, მხოლოდ უცხოელებისთვის. აქაურ მოსახლეობაზე არც მთავრობა ფიქრობს, არც ევროპელები და არც ამერიკელები.

ცხოვრება დუღს, დღეს ამ დუღილს მაღლა მხოლოდ „ნაგავი“ ამოაქვს. ჭკვიანი ხელმძღვანელობა დიდი პოლიტიკური „ქაფქირით“ ამ ნაგვის მოცილებას შეძლებდა, ჭკვიანი კი არ გვეღირსა.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# მილიარდერების რაოდენობით ჩინეთი შტატებს ეწევა

**შანხაის ინტერნეტგამოცემა „Hurun Report“-მა ჩინელი მილიარდერების რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ რეიტინგის მიხედვით, ჩინეთი მილიარდერების რაოდენობით ამერიკას ეწევა.**

ყოველწლიური გადათვლის მიხედვით, ამჟამად ჩინეთში 130 „ოფიციალური“ მილიარდერი ცხოვრობს, არადა, რეალურად, როგორც რეიტინგის შემდგენლები ვარაუდობენ, მათი რაოდენობა დაახლოებით ორჯერ მეტია. სამამულო მილიონერთა არმია კი უკვე 800 ათასზე მეტ წევრს ითვლის. მსოფლიო კრიზისმა ჩინელი სუპერმდიდრების გამრავლების პროცესი მხოლოდ დააჩქარა. 2008 წელს მათი რაოდენობა 101 კაცს არ აღემატებოდა, 2003-ში კი ჩინეთს საერთოდ არ ჰყავდა მსგავსი სიმდიდრის მოქალაქე. ჟურნალ „Forbes“-ის მონაცემებით, მილიარდერების ქვეყნად ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება, ვინაიდან იქ ამ კატეგორიის 359 წარმომადგენელია. ყველაზე მდიდარ ჩინელთა შორის 102 ქალია.

# ყაზახეთი ამერიკის ახალი თავისტკივილი ხდება



**ბირთვულ საკითხებში ყაზახეთი აქამდე მხოლოდ შტატებთან თანამშრომლობდა, მაგრამ როგორც აშშ ეროვნული დაზვერვის ღია ინფორმაციის ცენტრის ბოლო მოხსენებიდან ირკვევა, მდგომარეობა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს.**

ამერიკული დაზვერვის ექსპერტები ბირთვულ სფეროში ყაზახეთის აქტიურობით შეშფოთებულნი არიან. ექსპერტები ურანის გამდიდრების რუსულ-ყაზახური პროგრამის გამო ღელავენ. ახლა ის რუსი სპეციალისტების მიერ რუსეთის ტერიტორიაზე რეალიზდება, მაგრამ ყაზახეთს შესაძლოა, გამდიდრების ტექნოლოგიის ხელში ჩაგდების პერსპექტივა იზიდავდეს, რუსეთს კი შესაძლებლობა აქვს, მისცეს მას ეს ტექნოლოგია.

# ბანკები დოლარს იშორებენ

**საერთაშორისო ექსპერტები ირწმუნებიან, რომ მსოფლიო ბანკები ამერიკული ვალუტისადმი ნდობას კარგავენ და დოლარის რეზერვები ევროსა და იენში გადააქვთ. ამან კი შესაძლოა, დოლარის კურსის შემდგომი ვარდნა გამოიწვიოს.**



ბოლო ორი კვარტლის განმავლობაში დოლარის ვარდნის მხრივ რეკორდული აღმოჩნდა უკანასკნელი 20 წლის მაჩვენებლებით. აპრილ-სექტემბერში დოლარმა 10,3% დაკარგა და 1991 წლის შემდეგ რეკორდული ვარდნა აჩვენა.

„მსოფლიოს ცენტრალური ბანკები დივერსიფიკაციას უფრო სერიოზულად უდგებიან, მაშინ, როდესაც აქამდე მხოლოდ მასზე საუბრით შემოიფარგლებოდნენ, როგორც ჩანს, ისინი მართლა უარს ამბობენ დოლარზე“, — ამბობს აშშ ფედერალური რეზერვის ექს-ანალიტიკოსი და ამერიკის ეროვნული ვალუტის საკითხებში „Barclays“ მთავარი სტრატეგი სტივენ ენგლანდერი.

1999 წლიდან მსოფლიოს ცენტრალური ბანკების ახალ სავალუტო რეზერვებში დოლარის წილი 63%-ს შეადგენდა, მაგრამ 2009 წლის მეორე კვარტალში ის 37%-მდე შემცირდა, მესამე კვარტალში კი, ენგლანდერის მტკიცებით, აღნიშნული ტენდენცია მხოლოდ დაჩქარდა.



გვწერეთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რატომ მოითხოვა პედიატრმა ნემსაძემ Nestle-ს პროდუქციის აკრძალვა

## მზევინარ ღოღობერიძე: ამერიკამ გადაწყვიტა, გენმოდიფიცირებული კარტოფილი ქართულ მიწაზე მოეყვანა

## და მოსავალი მიმდებარე რეგიონებისთვის თესლად მიეყიდა

**დღეს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საკითხი აქტუალურია საერთაშორისო დონეზე. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე უკვე ვისაუბრეთ, თუ რა მდგომარეობაა დღევანდელ სამომხმარებლო ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქციის მხრივ და რამდენადაა დაცული მომხმარებლის უფლებები. ამჟამად კი ყურადღებას გავამახვილებთ, როგორ ცდილობენ ქართველი მეცნიერები საქართველოსთვის გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალი რეგიონის სტატუსის მიღებას. სამწუხაროა, რომ დღემდე ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს რაიმე კანონმდებლობა ან კონტროლის მექანიზმი, რომელიც გენმოდიფიცირებული ორგანიზმების უკონტროლო შემოღწევასა და გამოყენებას დაარეგულირებს.**
**აღნიშნულ საკითხებზე გვესაუბრება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიურად სუფთა და გენმოდიფიცირებული კვების პროდუქტების წარმოებაზე მონიტორინგისა და მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის გამგეობის წევრი, საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, 60 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი მზევინარ ღოღობერიძე.**



**— ქალბატონო მზევინარ, ჩვენი მოსახლეობა ნაკლებინფორმირებულია გენური ინჟინერიის საკითხებზე. რომელი ქვეყანა ითვლება ამ ახალი ტექნოლოგიის სამშობლოდ და ვინაა გენური ინჟინერიის მამა?**

— გენური ინჟინერიის სამშობლოდ ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება, ხოლო მის მამად — ამერიკელი მეცნიერი, სტრაფორდის უნივერსიტეტის პროფესორი პოლ ბერგი. 1972 წელს მან პირველმა შეძლო ვირუსისა და ნაწლავის ჩხირის გენების შეერთება. ამ უნიჭიერესმა მეცნიერმა თავისი აღმოჩენიდან ერთ წელიწადში კონფერენცია ჩაატარა, სადაც კატეგორიულად მოითხოვა ამ საქმიანობაზე მკაცრი კონტროლის დაწესება. მან დაუფარავად განაცხადა, რომ სხვა შემთხვევაში ამ ახალ ტექნოლოგიას მსოფლიოსთვის უდიდესი უბედურების მოტანა შეუძლია.

მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ამ მეთოდით ორგანიზმებს ისეთ თვისებებს შეუცვლიდნენ, რომლებიც ბევრ გენზეა დამოკიდებული. პრაქტიკულად კი გაირკვა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი გენის, ანუ ერთი თვისების, გადატანაა შესაძლებელი. ცოცხალ ორგანიზმთა ნიშანთვისებათა უმრავლესობა მრავალი გენითაა განპირობებული, ამიტომ მათი შეცვლა დღეს ურთულესი და შეუძლებელი საკითხია, თანაც — საშიში.

**— კაცობრიობა ყოველ სიახლეს სიფრთხილით ხვდება... რატომ ხართ ამ მეთოდის წინააღმდეგი, და მაინც, რა რისკთანაა დაკავშირებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის წარმოება და გამოყენება?**

— საშიში ისაა, რომ ხელოვნური გენური კონსტრუქციები შეიძლება დაიშალოს და კვლავ არასწორად გაერთიანდეს, შედეგად კი არაპროგნოზირებადი ახალი კომბინაციები მიიღება. ეს სრულებით არ ჰგავს ბუნებრივ, სტაბილურ შეერთებას, რომლებიც მრავალი მილიონი წლის განმავლობაში არსებობს ცოცხალ ორგანიზმებში.

საქართველოში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი 1996 წელს დაფიქსირდა კომპანია „მონსანტოს“ მიერ 148 ტონა ტრანსგენური კარტოფილის შემოტანისას. მაშინ მეცნიერები აქტიურად შეეწინააღმდეგნენ. ეს ფაქტი ხშირად მოიხსენიება, მაგრამ საზოგადოებამ არ იცის, რომ ეს იყო სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრის — ბაკურ გულუას დანაშაულის ტოლფასი შეცდომა. პროდუქცია შემოიტანეს ყოველგვარი მეცნიერული განსჯისა და შესწავლის გარეშე ისე, რომ საკითხი არც მთავრობას და არც პარლამენტს არ განუხილავს.

ამერიკამ გადაწყვიტა, გენმოდიფიცირებული კარტოფილი ქართულ მიწაზე მოეყვანა და მოსავალი მიმდებარე რეგიონებისთვის თესლად მიეყიდა. ჩვენი მიწა ევროპელმა ნიადაგმცოდნეებმა შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ „ამგვარი ნაყოფიერი ნიადაგი ევროპაში არ არსებობს“. ეს ამერიკამ გაითვალისწინა გენმოდიფიცირებულ მცენარეთა მეთესლეობის განვითარებისთვის.

პარლამენტში ამ საკითხზე კონფერენცია მოიწვიეს. მაშინ ქვეყანაში არ იყო ინტერნეტი, არც უცხოური ჟურნალები შემოდიოდა. ბედად, კონფერენციას ესწრებოდნენ გერმანელი პარლამენტარები. მათ კონფერენციის წევრებს გააცნეს, რა რისკებთან იყო დაკავშირებული გენმოდიფიცირებული პროდუქცია. შედეგად კი, საქართველოში მოსავლის მოყვანა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ სახელმწიფოთა მსოფლიო ოცეულში შედიოდა. მე, როგორც „in vitro“ (შუშაში) ლაბორატორიის უფროსი, გერმანელთა რეკომენდაციით ამ საკითხზე შექმნილი კომისიის ხელმძღვანელად დავინიშნე. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ მწვანეთა პარტიის დამფუძნებელი, აკადემიკოსი გივი თუმანიშვილი, უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგე, პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა, ბიომეურნეობის ასოციაციის პრეზიდენტი და კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ნანა ნემსაძე, პარლამენტარი გია გვაზავა.

რამდენიმე თვის შემდეგ დაინიშნა სხდომა, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ამერიკიდან შემოტანილი კარტოფილის ან განადგურება, ან დათესვა. **იმდენად არგუმენტირებულად ვიცავდით ქართულ მიწას გაბინძურებისგან, რომ მოსყიდული რამდენიმე ინსტიტუტის დირექტორისა და აკადემიკოსის ოპონირება ჩვენი კომისიის სიმართლის ფონზე უსუსური ჩანდა. ერთმა აკადემიკოსმა ისიც კი აღნიშნა, რომ კოლორადოს ხოჭო კი ანადგურებს კარტოფილის ნათესებს და უმი კარტოფილისგან თავადაც იღუპება, მაგრამ ჩვენ რაკი ვხარშავთ ან ვწვავთ, სინთეზირებული ცილა ადამიანებისთვის უვნებელია. კუჭის სიმჟავე ცილას შლის, მაგრამ ცილა დაშლისას ორგანიზმში შეიწოვება, რომელიც შესაძლოა, მისთვის მავნე იყოს.**

**არ არსებობს არანაირი საშუალება, მოკლე დროში შევისწავლოთ, კარტოფილში ჩანერგილი ბაქტერიის გენი სხვა გენებთან როგორ ურთიერთქმედებს თავისი ან მცენარის განვითარების სხვადასხვა ფაზაში ან რას წარმოქმნის სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში. შეიძლება რისკი სასიკვდილო აღმოჩნდეს ან ალერგიის გამომწვევი, რომელიც XXI საუკუნეში კიბოს პრობლემას ცვლის.**

ცნობილი ფაქტია, რომ 1989 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს უცნობი დაავადების ტალღამ გადაუარა. სნეულთ აღენიშნებოდათ კუნთების მწვავე ტკივილი, სისხლში თეთრი სხეულაკების კონცენტრაციის მომატება, დამბლა, გულსისხლძარღვთა პრობლემები, კანის შეშუპება, ქავილი, იმუნური სისტემის დარღვევა. 5000 ჰოსპიტალიზებულისგან 1500 სამუდამოდ დაინვალიდდა, 37 კი გარდაიცვალა. კვლევით დადგინდა, რომ ყველა მათგანს მაღაზიათა ერთ ქსელში შეძენილი ტრიფტოფანის შემცველი საკვები ჰქონდა მიღებული, რომელსაც იაპონური კომპანია „შოვა დენკო“ გენმოდიფიცირებული ტრიფტოფანით აწარმოებდა.

**— მართალია, ეს თქვენი გალაშქრება ქართველ მეცნიერთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ საინტერესოა, ვინ დგას ამ უზარმაზარი ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის სათავეში?**

— ამერიკაში არსებული შხამ-ქიმიკატების მძლავრი კორპორაცია მთელი მსოფლიოს სამეურნეო სფეროს ამარაგებდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში დადასტურდა შხამ-ქიმიკატების გამოყენების ეკოლოგიური მავნებლობა. კორპორაცია უკვე წაგებაზე მუშაობდა. აი, სწორედ სულზე მიუსწრო მოლეკულურმა ბიოლოგიურმა მეთოდმა — გენურმა ინჟინერიამ. საკუთარი მილიონების გადასარჩენად ეს მეთოდი აიტაცეს, კორპორაციას კი „სიცოცხლის მეცნიერება“ უწოდეს. ამჟამად მსოფლიოში (ამერიკაში, დანიაში, იაპონიასა და საფრანგეთში) რამდენიმე ასეთი ინდუსტრიაა.

**დღეს საქართველოში თურქეთიდან გენმოდიფიცირებული პროდუქცია შემოდის. ცნობილმა პედიატრმა ქეთევან ნემსაძემ წამოჭრა საკითხი „ნესტლეს“ პროდუქციის აკრძალვაზე, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია.**

ამერიკული კორპორაცია „სიცოცხლის მეცნიერება“ აცხადებს, რომ უახლოეს 10 წელიწადში მთელი დედამიწის მეთესლეობა მის ხელში იქნება. რაკი გენმოდიფიცირებული პროდუქციის თესლი უნაყოფოა, მოხდება მის მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ენდემური ჯიშების გადამტვერვა, ამის კვალდაკვალ კი გაქრება კონკრეტული ქვეყნის ბიომრავალფეროვნება. კულუარული ინფორმაციით, ყოფილ დსთ-ს ქვეყნებში არსებულ კორპორაციებს 15 გენმოდიფიცირებული მცენარის თესლი შემოაქვთ და თესავენ.

**— ძალას იკრებს გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალი ზონების შექმნის მოძრაობა, რა ხდება ამ მხრივ საქართველოში და თუ ილაშქრებენ მსოფლიოში ამ ახალი ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის წინააღმდეგ?**

— ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ თავგამოდებული ბრძოლით მიაღწია, გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალი ზონა გამხდარიყო. შვეიცარიამ რეფერენდუმის საფუძველზე მიიღო 5-წლიანი მორატორიუმი. აქტიურად იბრძვიან პოლონეთი, საბერძნეთი, იტალია და გერმანია. მათი ნაწილი უკვე თავისუფალ ზონადაა გამოცხადებული. ვენესუელაში თვით პრეზიდენტმა გამოაცხადა მორატორიუმი.

საქართველოში რატიფიცირებული კარტახენას ოქმი საშუალებას გვაძლევს, თავს თავადვე მივხედოთ. უკვე 13 წელია, ჩვენი მთავრობა რამდენიმე მეცნიერს გვავალებს მარეგულირებელი კანონის შემუშავებას. ჩვენც ვწერთ, ვმუშაობთ, ვხვეწთ. ხელისუფალნი კი რაღაცების შეცვლას მოითხოვენ, თანაც, არ შევხვედრივარ ამ საკითხში მთავრობის კომპეტენტურ წარმომადგენელს. იცვლება მთავრობა, მინისტრი და ყველაფერი ხელახლა იწყება.

წელს პარლამენტარმა გიორგი გოგუაძემ წამოაყენა წინადადება პროდუქტის მარკირებასა და საქართველოში გენმოდიფიცირებულ მცენარეთა თესვისა და გენმოდიფიცირებულ ცხოველთა გაშვების აკრძალვაზე. ერთმა მინისტრის მოადგილემ მკითხა, გენმოდიფიცირებული წამლის წინააღმდეგიც ხართო? ჩემმა უარყოფითმა პასუხმა გააცინა. მე კი მთელი სერიოზულობით განვუმარტე, რომ წამალი არაა ცოცხალი ორგანიზმი, მასში შეტანილი უცხო ცილა შესწავლადია, მაგრამ მცენარე ცოცხალი ორგანიზმია ათასობით გენით, რომელთა შესწავლას ათეულობით წელი სჭირდება. ქართველები უკანასკნელ წლებში უზარმაზარ დანაკარგს ბიომრავალფეროვნებასაც ხომ ვერ მივამატებთ?

**ამ მეტად საშიშ და მზარდ მანიპულირებას თვით ქვეყნის პატრიარქიც გამოეხმაურა 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლეში: „გენების მანიპულირებითა და გენმოდიფიცირებული პროდუქციის შექმნით მეტად საშიში ნაბიჯი გადაიდგა. ამ მიმართულების მიმდევრები ხშირად ამტკიცებენ, რომ იმასვე საქმიანობენ, რასაც სელექციონერები, რომელთაც უკეთესი ჯიშები გამოჰყავთ. მართალია, გენების გადაცემა სელექციის დროსაც ხდება, მაგრამ — მხოლოდ ერთი სახეობის ან მონათესავე სახეობის ინდივიდებს შორის. სელექციის დროს ბრინჯი შეიძლება შეჯვარდეს მხოლოდ ბრინჯის სხვა ჯიშთან, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში — ვაშლთან. გენური ინჟინერიის დროს კი ეს ბარიერი მოხსნილია, გენი გადააქვთ მცენარიდან მცენარეში, მცენარიდან ცხოველში, ბაქტერიიდან მცენარეში და ა.შ. ამ დამახინჯებულ გენებს კი გამრავლების უნარი აქვს.**

**ღვთის მიერ ათასწლეულების განმავლობაში დაწესებულ სხვაობათა შორის საზღვრებისა და წესრიგის დარღვევა გამოუსწორებელ შედეგს მოუტანს გარემოს და ჩვენს სულიერ სამყაროსაც დააზიანებს“.**

ბირთვულ ენერგეტიკას შევაჩერებთ... მაგრამ გენმოდიფიცირებული ორგანიზმები ცოცხალი ორგანიზმებია, ერთმანეთთან კვებითი ჯაჭვითაა გადაბმული. რომლებიც მრავლდება და ვრცელდება. თუ ერთხელ გავუშვით გარემოში, მათი უკანვე გამოხმობა და შეჩერება შეუძლებელია.

იმედისმომცემია პრეზიდენტის სიტყვებიც, როდესაც წლიური ანგარიშით პარლამენტის წინაშე წარდგა. ოპოზიციის შენიშვნას გენმოდიფიცირებული პროდუქტების შესახებ უპასუხა: „ეს ჩვენთან არ იქნება დაშვებული, ამ საკითხს ყურადღება აუცილებლად მიექცევა“.

ვნახოთ...

ბიბლიის პირველსავე გვერდზე სამყაროს შექმნის შესახებ „თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მიწამ მცენარეული ბალახი, თესლის მთესველი თავისა და გვარის მიხედვით“.

თუ „Homo sapiens“ თავის ქმედებას ზღვარს არ დაუდებს, სახარებისეული სიბრძნე გვასწავლის: „ყოველი ნერგი, რომელიც ჩემმან ზეციურმა მამამ არ დარგო, ძირფესვიანად აღმოიფხვრება“ (მათე 15.13).

ასე რომ, კანონი ბიოლოგიური უსაფრთხოების შესახებ თვით ღვთის წიგნებშია განფენილი.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# ავადმყოფობა და დეკრეტში გასვლა აკრძალულია!



## რატომ დაითხოვეს სამსახურიდან 50 ექიმი

**საქართველოში სამსახურებიდან უკანონო დათხოვნების სერია დღესაც გრძელდება. დაზარალებულთა რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს. საკმაოდ მასშტაბური დათხოვნები, არც ისე დიდი ხნის წინათ, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში განხორციელდა. დირექტორმა მადონა ჭეიშვილმა თანამშრომლებს შიდა გამოცდა ჩაუტარა და სარეიტინგო ქულა 160-დან 200-მდე დაუწესა. ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი ფაქტია და მსგავსი გამოცდების მოწყობის უფლება ნებისმიერ ჩინოვნიკს აქვს, თუმცა ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო. თანამშრომლები ყვებიან, რომ გამოცდები ყოველგვარ ობიექტურობას მოკლებული იყო და, შესაბამისად, ქულებიც არათანაბრად გადანაწილდა. თანამშრომელი, რომელიც კუთვნილ შვებულებას გამოიყენებდა, დეკრეტში გავიდოდა ან ავად გახდებოდა, 0 ქულას მიიღებდა. ასევე უთვლიდნენ მორიგეობებს, რაც დირექტორის მიერ გაწერილი ბრძანებით ხორციელდება და აქედან გამომდინარე, მისი რაოდენობა, ცხადია, მოსამსახურის ნება-სურვილზე დამოკიდებული არაა. საბოლოო ჯამში, ამ კრიტერიუმების ,,წყალობით“, ორმოცდაათმა თანამშრომელმა სამსახური დაკარგა.**



ადვოკატი რაისა ლიპარტელიანი მიიჩნევს, რომ დირექტორმა კანონით მინიჭებული უფლებები ბოროტად გამოიყენა. სამედიცინო სასწრაფო დახმარების დირექტორმა მადონა ჭეიშვილმა 50 თანამშრომლის ბედი გულგრილად გადაწყვიტა. უფრო მეტიც, თუ დაზარალებულ მხარეს მოვუსმენთ, დავრწმუნდებით, რომ ისინი პირადი ანგარიშსწორების მსხვერპლნი არიან. ,,შიდა სარეიტინგო გამოცდები არაობიექტურად და კანონდარღვევით ჩატარდა. თანამშრომელს, რომელმაც წლის განმავლობაში კუთვნილი 2-კვირიანი უფასო შვებულებით ისარგებლა, 0 ქულა დაეწერა, ვინც არა — 20. ამასთან, ავად რომ გახდე, დეკრეტში გახვიდე და ა.შ., 0 ქულა არც ამ შემთხვევაში აგცდება. ასევე, ითვლიდნენ მორიგეობებს, რაც, ცხადია, ექიმის აქტივობაზე არ იყო დამოკიდებული. **საბოლოო შედეგების შეჯამების შემდეგ, ვისაც არ ეყო ქულები, ერთი ხელის მოსმით გაათავისუფლეს.** ვცდილობთ, დაზარალებულებს სიმართლის დადგენაში დავეხმაროთ, თუმცა ეს არც ისე მარტივია. **დირექტორი მადონა ჭეიშვილი, რომელმაც კანონი უხეშად დაარღვია, თბილისის პროკურორის — დავით საყვარელიძის დედა გახლავთ.** ასეთ შემთხვევაში ძნელია, სიმართლე გაიტანო. სამოქალაქო სასამართლოში საქმე შეტანილია. დაბრკოლებებს უკვე წავაწყდით. მოგვთხოვეს, რომ თითო მოსარჩელეზე ბაჟის სახით 300 ლარი გადავიხადოთ, რაც საბოლოო ჯამში 15 ათასი ლარია. ასეთი დიდი თანხის გადახდა კი, ჩვენი მხრიდან წარმოუდგენელია. **ვფიქრობთ, რაკი საჩივარი საყვარელიძის დედას ეხება, ცდილობენ, ყოველნაირად შეგვავიწროვონ.** იციან, რომ ვერ გადავიხდით, სულ ეგაა. დასანანია, რომ ყველაფერი ასე წარიმართა. ქალბატონ მადონას საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი ,,კრიშა“ ჰყავს. მეეჭვება, რომ მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყონ. მეტსაც გეტყვით, ჩვენს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით, მას აწინაურებენ და განათლების სამინისტროში გადაჰყავთ“, — განაცხადა რაისა ლიპარტელიანმა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვოკატს ხელთ აქვს საკმარისი მტკიცებულებები, რათა დაიცვას დაზარალებულ ექიმთა სამართლიანობა.

საქართველოში ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების რღვევა ჩვეულებრივი ფაქტი გახდა. რატომღაც დამსაქმებლები გულგრილობით ეპყრობიან დასაქმებულებს და ცდილობენ, მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინონ, შეავიწროონ. **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, რომელიც 1948 წელს გამოიცა, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვები, ტანსაცმელი, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მოთხოვნილების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში“. ამავე დეკლარაციის თანახმად: „ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შვებულების უფლების ჩათვლით“.** ადვოკატის განმარტებით, ქალბატონმა მანანამ ყველა კუთხით მოახდინა დასაქმებულთა უფლებების დარღვევა. მან ცალსახად გაუსვა ხაზი კანონის აღსრულებას და საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც პირადი ინტერესებიდან იყო გამომდინარე, სამსახურიდან თანამშრომლები დაითხოვა. ქ-ნ რაისას განმარტებით, დაზარალებულ ექიმებს, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე და მათივე სურვილით, ნება დაერთოთ, ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფროსი ექიმების არა უმეტეს რვა მორიგეობით უზრუნველყოფის შემდეგ, ყოველთვიურად გრაფიკში დარჩენილ სამუშაო დღეებშიც იმორიგეონ. ,,მითითებული ბრძანებით დასაქმებული ცალმხრივად, დასაქმებულთან შეთანხმების გარეშე, განსაზღვრავს ექიმთა ყოველთვიური მორიგეობის რაოდენობას, — აცხადებს ლიპარტელიანი, — აქედან გამომდინარე დაუშვებელია მითითებული არაობიექტური გარემოს შეფასება სარეიტინგო ქულების დადგენისას. არც ექიმთა შეხედულებაზეა დამოკიდებული, თუ რა ტიპის სასწრაფო სამედიცინო მანქანით უნდა მოხდეს მათი გადაადგილება. შესაბამისად, დაუშვებელია ასეთი გარემოებები დაედოს საფუძვლად სარეიტინგო ქულებით შეფასებას. ასეთი გარემოებები დამოკიდებულია არა ექიმის, არამედ დამსაქმებლის ნება-სურვილზე. აქედან გამომდინარე, დასაქმებულთა თანასწორობის დარღვევის ფაქტი იკვეთება. დამსაქმებელი პირადი, არაობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით არათანაბარ სამუშაო პირობებში აყენებს დასაქმებულებს. ამდენად, უსაფუძვლოა დამსაქმებლის თვითნებურ გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული არაკეთილსინდისიერი ფაქტორის სარეიტინგო ქულებად გათვალისწინება. სამოქალაქო კოდექსის მერვე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები“. ამ შემთხვევაში დამსაქმებელმა გამოიყენა თავისი უფლებამოსილება, განესაზღვრა კონკურსის კრიტერიუმი და ამით დაარღვია ზემოთ მითითებული სამართლებრივი ნორმები. ყველამ უნდა იცოდეს, რომ სამოქალაქო უფლება მართლზომიერად უნდა განხორციელდეს“.

ასევე, მთავარია ის გარემოება, რომ ქალბატონ მადონა ჭეიშვილის მიერ გამოცემული ბრძანება ექიმთა გათავისუფლების შესახებ კანონსაწინააღმდეგოა. ბრძანებაში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად მითითებულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის ,,დ“ პუნქტი და 38-ე მუხლის მესამე ნაწილი. აქედან გამომდინარე, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას ორი საფუძველი გააჩნია, რომელიც თავისი შინაარსით ერთმანეთს ეწინააღმდეგება, — განმარტავს ადვოკატი და დასძენს, — **„პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს ითვალისწინებს. იქედან გამომდინარე, რომ დაუშვებელია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად ორი საფუძვლის არსებობა, დამსაქმებლის ბრძანება გათავისუფლების შესახებ უკანონო დოკუმენტს წარმოადგენს. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, შეიძლება არსებობდეს 37-ე მუხლში ჩამოყალიბებულთაგან მხოლოდ ერთი და არა ორი საფუძველი. ბრძანებაში მითითებული საფუძვლები ერთმანეთის ალტერნატიული სამართლებრივი გარემოებებია, რაც კანონიერად, ერთდროულად ორი საფუძვლის არსებობას გამორიცხავს. თავის მხრივ, იმ მიზეზით, რომ ექიმები უკანონო კრიტერიუმებით დაკომპლექტებული კონკურსის საფუძველზე იყვნენ გათავისუფლებულნი, ბრძანება უკანონო აქტს წარმოადგენს და, შესაბამისად, დამსაქმებლის მოქმედებაც კანონსაწინააღმდეგოა.**

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებლის მხრიდან განხორციელებული შრომითი ხელშეკრულების მოშლა წარმოადგენს ბათილი ნების გამოვლენას, ვინაიდან მას არ უდევს ნამდვილი და კანონიერი საფუძველი. ამდენად, შპს „ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2009 წლის 2 ივლისის №98 ბრძანება და შპს „ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2009 წლის 14 ივლისის №102 ბრძანება ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს, სამოქალაქო კოდექსს, საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო კანონმდებლობას. **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით კი, „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“.** მითითებულიდან გამომდინარე ორივე ბრძანება წარმოადგენს ბათილ დოკუმენტს. ასე რომ, სასწრაფოს თანამშრომელთა გათავისუფლება უკანონო მოქმედებას წარმოადგენს, რის შედეგადაც ჩვენ ვითხოვთ მათ სამუშაოზე აღდგენასა და მათთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.“

ადვოკატ რაისა ლიპარტელიანს არ აქვს იმის ილუზია, რომ ზემოთ მოყვანილი ფაქტების საფუძველზე სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს, რადგან მსგავსი უკანონობა სასამართლოს მხრიდან არაერთხელ მომხდარა. ამასთან, სახელისუფლო წრეებში ქალბატონი მანანა საკმაოდ დიდი უპირატესობით სარგებლობს.

,,საქართველო და მსოფლიო“ დაზარალებული მხარის წარმომადგენელ, მანანა სეფაშვილს დაუკავშირდა. ის აცხადებს, რომ მათი დისკრიმინაცია, გაცილებით ადრე დაიწყო. „მე და ჩემი კოლეგები ათეული წლებია, აქ ვმუშაობდით. ვართ უმაღლესი კატეგორიის ექიმები და ყველა ჩვენთაგანს შესაბამისი სახელმწიფო სერთიფიკატი გვაქვს. „033“-ის გამოცდილი კადრების, კერძოდ, ექიმებისა და ოპერატორების მიზანმიმართული რეპრესიები 2 წლის წინათ დაიწყო, რის შედეგადაც მრავალი გამოცდილი კადრი უმუშევარი დარჩა. კერძოდ, 2007 წელს სამსახურში მოსულმა ახალმა ადმინისტრაციამ ტესტირება ჩაგვიტარა. მაღალი ქულა მივიღე, მაგრამ შემდგომ მოაწყო უმსგავსო გასაუბრება. დამამტკიცებელი საბუთები ხელთ არ მაქვს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ქრთამი აიღო. ვინც გასაუბრება ვერ გავიარეთ, ჩამოგვაქვეითა და უმცროს ექიმებად გვამუშავა. შემდგომ ამისა მოხდა ისე, რომ ღუდუშაურში გავიარეთ ტრენინგები, ხელმეორედ ჩავაბარეთ გამოცდები და კვლავ უფროს ექიმად აღგვადგინეს. ამას მოჰყვა შიდა სარეიტინგო გამოცდები. არ ვიცოდით, შეფასება რა კრიტერიუმებით მოხდებოდა. ვინც საჭირო ქულები ვერ დავაგროვეთ, გაგვათავისუფლა,“ — აცხადებს სეფაშვილი.

დაზარალებულები თვლიან, რომ ქულების ათვლა იმთავითვე უკანონოდ დაიწყო. თავდაპირველად, ვინც გასაუბრება წარმატებით ვერ გაიარა, წინასწარ მინუს 50 ქულა დაეწერა, ხოლო ვინც წარმატებით გავიდა — პლიუს 50 ქულა. მოკლედ, ქულების გადანაწილება დასაწყისშივე არასწორად მოხდა. აქედან გამომდინარე, დაზარალებული მიიჩნევს, რომ დირექტორი მთელი ამ ხნის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ თანამშრომელზე ახდენდა ზეწოლას. ,,37-ე და 39-ე მუხლების თანახმად, გაგვათავისუფლეს. თურმე, როგორც გაირკვა, ეს მუხლები ერთმანეთს აბათილებს.

### სიმართლის დასადგენად ვიბრძვით, მაგრამ, როდესაც ადვოკატები და შესაბამისი უწყების თანამშრომლები იგებენ, რომ დავით საყვარელიძის დედას ვუჩივით, გაგვირბიან.

პავლე კუბლაშვილთანაც შევედი და ვუთხარი, დათო საყვარელიძის დედაზე უნდა გესაუბროთ და, თუ შეგიძლიათ, რეალურად შეაფასოთ მისი ქმედებები, მხოლოდ მაშინ მოგიყვებით-მეთქი. ნაცნობობას რა მნიშვნელობა აქვსო, მაგრამ — ჰქონია. რეაგირება ჩვენს საქმეს არც ერთი სამართალდამცავის მხრიდან ჯერჯერობით არ მოჰყოლია. ქალაქის მერს — გიგი უგულავასაც მივაწვდინეთ ხმა, მაგრამ უშედეგოდ,“ — დასძენს სეფაშვილი.

საბოლოოდ, საქმის ვითარება მხოლოდ იმით შეიცვალა, რომ მომხდარის შემდეგ დაზარალებულებს განუცხადეს, მადონა ჭეიშვილი სამსახურიდან მოხსნესო. ცხადია, ეს ნაბიჯი მათთვის შვებას არ წარმოადგენს. გათავისუფლებული 50 თანამშრომლის უკან ბევრი მეტი ადამიანი დგას, რომელთა ყოველდღიური ყოფაც მხოლოდ ამ ხელფასზეა დამოკიდებული. სეფაშვილს ოჯახში ინვალიდი მეუღლე ჰყავს. სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ის მხოლოდ პენსიის ამარა დარჩა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება ზოგისთვის თავისუფლების აღკვეთის, ზოგისთვის კი დაწინაურების ტოლფასია. ამ შემთხვევაშიც, ასე მოხდა. გავრცელებული ხმებით, ჭეიშვილს აწინაურებენ და ის განათლების სამინისტროში გადაჰყავთ.

**ირმა ჩიტაია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მთაწმინდის პანთეონი იხურება

## ახლა საით?

**გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის მერიამ საქართველოს საპატრიარქოსთან და მის უწმინდესობასა და უნეტარესობასთან, სრულიად საქართველოს პატრიარქ ილია II-თან ერთად გადაწყვიტა, დაიწყოს მუშაობა ადგილის გამოსანახად, „სადაც მოეწყობა ახალი პანთეონი, აშენდება ეკლესია და მოხდება როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო პანაშვიდების ჩატარება“. ეს იყო ციტატა დედაქალაქის ვიცემერის — მამუკა ახვლედიანის განცხადებიდან. პანთეონის ადგილი რომ მოსაძებნია, ამის თაობაზე რამდენიმე წლის წინათ თქვა ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა ქართველი მწერლების სახელით, მაგრამ მაშინდელმა ულტრარეფორმატორებმა მისი წინადადება შორს დაიჭირეს.**
**პრობლემა ძველია და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მისი გადაჭრის გზა ორმოც წელიწადზე მეტია, რაც ნაპოვნია.**
**გთავაზობთ ბლიც-ინტერვიუს შოთა რუსთაველის მემორიალის ავტორთან, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორთან, დამსახურებულ არქიტექტორ ნოდარ ჯობაძესთან.**

— რუსთაველის მემორიალი, რომელიც მე და ალექსანდრე ბაქრაძემ შევქმენით (საშა, სამწუხაროდ, რამდენიმე თვის წინათ გარდაიცვალა), თავიდანვე პანთეონად იყო ჩაფიქრებული. ახლა, მე მგონი, მისი რეალიზაციის საუკეთესო დრო დადგა და საშუალების გამონახვაც ძნელი არ უნდა იყოს.

მემორიალი სამი ელემენტის ერთობითაა წარმოდგენილი: თავად რუსთაველის მემორიალი, რომელიც აქცენტირებულია ვერტიკალური, დომინირებული ნაგებობით, ორმოცი მეტრის სიმაღლის სვეტით. მის შუაგულში კეთდება შოთა რუსთაველის, ამ უდიდესი პოეტისა და მოაზროვნის მემორიალური საფლავი, კედელზე — მისი გამოსახულებით, რომელიც ბარბაროსული ხელყოფის შემდეგ აღადგინეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, და ეტრატებზე „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო ენებზე თარგმანების გამოსახულებით.

**მემორიალის ცენტრისკენ მიდის ქამთა გზა, რომელსაც ქართველ მწერალთა — ყველა ჩვენი კორიფის — მემორიალური სტელები მიჰყვება. ეს არის ქამთა კედელი, რომელზეც ჰაგიოგრაფების — შავთელის, ჩახრუხაძის და ა.შ. სახელებია ამოკვეთილი.**

თავდაპირველი პროექტით, გათვალისწინებული გვქონდა რუსთაველის მუზეუმის შენობა და თეატრონი (პოეტების საკალმასოდ), მაგრამ სხვა თვალით შევხედეთ დროთა განმავლობაში მემორიალის დანიშნულებას და ამ ნაგებობებს შეცვლის **ეკვდერი** ან **ეკლესია**.

მესამე ნაწილი **განსასვენებელია** (ღმერთმა ყველანი დიდხანს და ჯანმრთელად გვიმყოფოს), **სადაც დაიკრძალებიან ქართველი მწერლები. განსაკუთრებით გამოჩენილთა სახელები სტელებზე ამოიკვეთება.**

სევდის ეს ბაღი, ყველაზე ცოტა, სამას ადგილზეა გათვალისწინებული. არის გაფართოების რეზერვიც, რომლის გამოყენება, ალბათ, რამდენიმე საუკუნის შემდეგ თუ გახდება საჭირო.

მემორიალზე ყველა ძირითადი სამუშაო დასრულებულია: მიყვანილია გზა, წყალი, რაც მთავარია, აგებულია სვეტი, რომელიც ქალაქის ყველა უბნიდან ჩანს. ახლა მოშანდაკებამოპირკეთებაღაა საჭირო, სვეტის დამაგვირგვინებელი სიმბოლოს დადგმა. ამის გაკეთება თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ერთი კარგი შადრევნის ოდენი არ დაჯდება, ქალაქის ბიუჯეტს დიდად არ დააკლდება.

ისიც სათქმელია, რომ ადგილი რბილი კლდოვანია და მშენებლებს არავითარ სირთულეს არ შეუქმნის.

მემორიალის მშენებლობა 1966 წელს შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ირაკლი აბაშიძის ინიციატივით დაიწყო. პროექტის იდეა ადრეც გვქონდა და პროექტის გაკეთება ოპერატიულად შევძელით. შემდეგ კიდევ უფრო დავხვეწეთ და დავამუშავეთ.

**— და მაინც არ აშენდა.**

— ჩვენი მენტალიტეტის ბრალია. ჩაიარა იუბილემ და თანდათან მიივიწყა ყველამ. ამას დაემატა საკავშირო მთავრობის დადგენილება, რომლითაც მონუმენტების აგება აიკრძალა. თუმცა ბევრ რესპუბლიკაში მოახერხეს, გვერდი აევლოთ ამ დადგენილებისთვის. ერევანში, მაგალითად, გენოციდის მსხვერპლთა მემორიალი სწორედ იმ წლებში აშენდა. სომხებმა მოახერხეს, ჩვენ კი ორმოცი წელიწადია, თავი ვერ დავადგით ამ საქმეს.





ის, რაც უნდა აიგოს


ის, რაც 40 წელიწადია, აგებულია

**1970 წლის 2 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა განიხილა რუსთაველის მემორიალური ანსამბლის საკითხი და იმ დიდი დაინტერესებიდან გამომდინარე, რაც მწერლებმა მის მიმართ გამოიჩინეს, მხარი დაუჭირა პროექტს და იშუამდგომლა საქართველოს მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა გაგრძელდეს მემორიალის მშენებლობა.**

პროექტის ავტორებს კი შეექმნათ სათანადო პირობები. მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა, გაგრძელებულიყო მშენებლობა.

მაგრამ...

ვის არ მივმართეთ! ყველა ყურადღებით გვისმენდა, გვიწონებდა, მაგრამ შემდეგ პატარ-პატარა ჩინოვნიკების ხელში გადადიოდა პროექტის განხორციელების საქმე და ჩერდებოდა. ასე მოვედით დღემდე.

ერთხელ ომში დაღუპულთა მემორიალად გადაკეთება შემოგვთავაზეს, შემდეგ ზურაბ წერეთელმა, ჩვენმა მეგობარმა კაცმა, ამ ადგილზე თავისი პროექტის განხორციელების წინადადება შემოგვთავაზა. უარი ვუთხარით. ახლა გლდანის თავზე შენდება ქმნილება და არა და არ დამთავრდა.

იყო მომენტი, როცა დიდი ფული შემოგვთავაზეს იმ ადგილზე რაღაც ანტენების დასაყენებლად. ყველაფერზე უარი ვუთხარით და დავრჩით უსახსროდ და განუხორციელებელი პროექტით.

**— ადგილმდებარეობა რაღაც განსაკუთრებული ჩანს.**

— რა თქმა უნდა! ჯერ ერთი, იმ დონეზეა ამაღლებული ქალაქის თავზე, როგორც მთაწმინდა. თითქმის ფუნიკულიორის პლატოს დონეზეა.

შემდეგ: ერთიან სივრცეს კრავს ფართო პერსპექტივით — ჯვრის მონასტერი-სამების კათედრალი — მემორიალი. წმიდა მიწასავითაა, როგორც იერუსალიმის წმიდა მიწა თავისი ტაძრებით. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მემორიალი თბილისის ზღვისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს, საითაც უნდა განვითარდეს და გაიშალოს თბილისი...

პარადოქსად ნუ მოგეჩვენებათ, მაგრამ, მგონი, კარგიც კია, რომ ორმოც წელზე უფრო მეტად გაიწელა ჩვენი პროექტის განხორციელება. ახლა სხვა თვალით, თანამედროვე ხედვით დაიხვეწა ის პროექტი და, ჩემი აზრით, სწორედ ოცდამეერთე საუკუნის ძეგლად უნდა დარჩეს იგი მომავალ თაობებს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შვილმკვდარი მამები სამართალს ეძებენ

## ამირან ნორაკიძე: მარჩენალდაღუპულ მოხუცებს საქართველოს ხელისუფლებამ გენოციდი მოგვიწყო


ამირან ნორაკიძე

**პენსიონერ ამირან ნორაკიძის ვაჟიშვილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შეეწირა და მარტოხელა მოხუცი მარჩენალდაკარგულ უმწეოთა შორის აღმოჩნდა. მასავით გაუბედურებულ, შვილმკვდარ მშობლებს კი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ თითქმის ყველა შეღავათი გაუუქმა და საარსებო მინიმუმი წაართვა, უმწეო მოხუცები სასიკვდილოდ გაწირა.**




— ჩვენ, მარჩენალდაკარგული მარტოხელა პენსიონერები შეურაცხყოფილი, დამცირებული, უფლებაშელახული და მორალურად განადგურებული ვართ. სირცხვილი ქვეყნის პრეზიდენტსა და ხელისუფლებას, უმწეო მოხუცებს გენოციდი რომ მოგვიწყვეს. 2001 წლის 1 იანვრიდან შრომით მოპოვებულ პენსიასა და მასზე დანამატს აღარ გვაძლევენ, სამაგიეროდ, პარლამენტარებმა 200 პროცენტით გაიზარდეს ხელფასები.

**— რატომ მოგიხსნეს პენსია და სტაჟზე დანამატი?**

— როგორც გაირკვა, მარჩენალის დაკარგვის გამო სახელმწიფო კომპენსაცია დაგვენიშნა და არა — პენსია. გაოცებული ვარ პირდაპირ, რატომ ჩათვალეს ორ პენსიად კომპენსაცია და პენსია?! მართალია, კანონი ზღუდავს ერთდროულად ორი საფუძვლით პენსიის მიღების შესაძლებლობას, მაგრამ ჩვენ ხომ სახელმწიფო კომპენსაციას და ერთ პენსიას ვიღებდით?! რა უფლებით წაგვართვეს შრომით მოპოვებული პენსია და სტაჟზე დანამატი?

**— არ გაასაჩივრეთ?**

— სად აღარ ვეძიეთ სამართალი, მაგრამ ჩინოვნიკების უმრავლესობა განცხადებაზე პასუხის ღირსადაც არ გვთვლის, ჩვენზე გული არავის შესტკივა, შვილმკვდარი მარტოხელა მოხუცები სასიკვდილოდ გაგვწირა საქართველოს ხელისუფლებამ.

**— პრეზიდენტს თუ მიაწვდინეთ ხმა?**

— სააკაშვილსაც მივწერეთ და დავით ბაქრაძესაც, მან განცხადება გივი თარგამაძეს დააწერა, მაგრამ პარლამენტის უშიშროების კომიტეტში მითხრეს: ეს საკითხი ჩვენ არ გვეხება და პასუხს ვერ გავცემთო... პარლამენტის კანცელარიაშიც დავრეკე და პირდაპირ მითხრეს, პასუხს არ გაგცემთო. 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, მემორიალთან შევხვდი ბატონ გიორგი გვაზავას — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და ვესაუბრე. მთხოვა, განცხადება დაწერე და პარლამენტს შუამდგომლობით მივმართავთო.

**— რას აპირებთ, თუ გიორგი გვაზავას შუამდგომლობამაც არ გაჭრა?**

— ჩივილს გავაგრძელებთ!.. შეგახსენებთ, რომ საქართველომ აღიარა ევროპის სოციალური ქარტიის მეთორმეტე მუხლის პირველი და მესამე პუნქტები, რითაც იკისრა ვალდებულება, სოციალური უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელების მიზნით, შექმნას და, რაც მთავარია, შეინარჩუნოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა და გააუმჯობესოს ამ სფეროში არსებული სტანდარტები.

ასე რომ, ჩვენი სახელმწიფო ვალდებულია, ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, ყველა ადამიანი უზრუნველყოს მინიმალური საარსებო უფლებების დაცვით, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია. მარჩენალდაკარგულებმა გადავწყვიტეთ, წერილი გავუგზავნოთ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ბატონ ტერი დევისს და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარს, ბატონ ტომას ჰამარბერგს. ევროსაბჭომაც გაიგოს, რომ საქართველოს ხელისუფლება მარტოხელა მოხუცებს გენოციდს გვიწყობს.

**— თუ არ ვცდები, თქვენ მიერ წლობით ნაგროვები პენსია წინა ხელისუფლებამ შეიტყაპუნა, შევარდნაძის თავკაცობით...**

— საბჭოთა პერიოდში პენსიონერებს მუშაობის უფლებაც გვქონდა. ასე რომ, ხელფასით ვცხოვრობდი, პენსიას კი წლების განმავლობაში შემნახველ ბანკში ვრიცხავდი, ფულს შავი დღისთვის ვაგროვებდი. შევარდნაძის ხელისუფლებამ გაგვძარცვა პენსიონერები და ჩვენი დანაზოგი თაღლითურად მიითვისა.

**— იპოვეთ სამართალი?**

— 8 წლის განმავლობაში ვიბრძოდით, მაგრამ ჩვენს სასამართლოში სამართალი ვის უპოვია?! ავდექით და სტრასბურგში ვიჩივლეთ. ჩვენი საქმე 17740/09 ევროსასამართლომ უკვე მიიღო წარმოებაში. სარჩელს 78 დაზარალებული პენსიონერი ვაწერთ ხელს. ვიმედოვნებთ, რომ სამართალს იქ მაინც ვიპოვით.

## ანზორ დანელია: ახლა პარლამენტარებმაც შემოიჭირონ ქამრები!

**პენსიონერ ანზორ დანელიას ორი ვაჟიშვილი დაეღუპა აფხაზეთში — მამუკა და ირაკლი. უფროსს ცოლ-შვილი არ ჰყავდა, უმცროსს კი მეუღლე და ტყუპი ქალ-ვაჟი დარჩა. მას შემდეგ, რაც მარჩენალდაკარგულებს შეღავათები მოუხსნეს, ძლივს გააქვთ თავი. სხვა შვილმკვდარ მშობლებთან ერთად ბატონი ანზორიც ჩივის, პენსიის მომატებასა და შეღავათების აღდგენას ითხოვს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლებისთვის „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი“.**


ანზორ დანელია

— შევარდნაძე არ ვარგოდაო, ვამბობდით, მაგრამ მისი პრეზიდენტობის დროს კუთვნილ პენსიასაც ვიღებდი და მარჩენალდაკარგულისასაც. უამრავი შეღავათი გვქონდა — ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, დასუფთავების, ტელეფონის, საქალაქო ტრანსპორტის მხრივ. დაღუპულის ოჯახის ყველა წევრს ზამთრის პერიოდში — 5 თვის განმავლობაში — ეძლეოდა 250 კილოვატი ელექტროენერგია და 150 კილოვატი ზაფხულის პერიოდში — 7 თვის განმავლობაში. იმდენი გროვდებოდა მთელი წლის განმავლობაში, რომ ვერ ვხარჯავდით, ასევე იყო ბუნებრივ აირზეც. გარდა ამისა, პედაგოგებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს 870 კუბურ მეტრზე ბუნებრივი აირის ვაუჩერები დაურიგეს. მაშინ ბიუჯეტი გაცილებით მწირი იყო, თუ შევარდნაძის მთავრობა ახერხებდა ამ გაუბედურებული ადამიანების თანადგომას, ახლა რა ემართებათ? სააკაშვილი რომ გამოდის და ტრაბახობს, აშენდა საქართველო, ბევრ მოწინავე ქვეყანას გავასწარითო, ხალხის მდგომარეობას რატომ არ ეტყობა? როგორც ჩანს, მიშა და მისი დამქაშები სიზმარში ნახულობენ საქართველოს აღმავლობას.

**— როგორ ახერხებთ უმამოდ დარჩენილი ტყუპების შენახვას?**

— ძალიან გვიჭირს... თქვენ წარმოიდგინეთ, მარჩენალდაკარგულთა შვილების პენსიის გრადაციაც კი მოახდინეს, ნაწილს დაუტოვეს, ნაწილს — გააუქმეს.

**— თქვენს შვილიშვილებსაც?**

— დიახ!.. მოვიდა თუ არა მიშა ხელისუფლებაში, შეღავათებიც გაგვიუქმა და პენსიებიც შეგვიმცირა. მარჩენალდაკარგულმა დედებმა მითხრეს, თვეში 20 ლარს გვაძლევდნენ იმათ, ვის შვილსაც ჯილდო ჰქონდა მიღებული და ახლა ისიც წაგვართვესო.

**— ამჟამად არანაირი შეღავათით არ სარგებლობთ?**

— მხოლოდ საქალაქო ტრანსპორტით ვსარგებლობთ უფასოდ... 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, მემორიალთან შევხვდი პარლამენტის ვიცე-სპიკერს — ბატონ ლევან ვეფხვაძეს, რომელმაც პარლამენტში მიმიწვია.

**— შეხვდით?**

— დიახ! ქალბატონ მაგდა ანიკაშვილსაც (პარლამენტის სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე) ვესაუბრე გაუქმებულ შეღავათებსა და პენსიაზე.

**— რით განუგეშეს ბატონმა ლევანმა და ქალბატონმა მაგდამ?**

— ჩემთან საუბრისას გამოთქვეს აზრი, რომ ყველაზე უფრო რეალური იქნება ორმაგი პენსიის აღდგენა. რაც შეეხება შეღავათებს, ყველაფერი უკვე კერძოა და ამდენად, ვერ მოხერხდებაო. თვითონ რომ წარამარა იზრდიან ხელფასებსაც და პენსიებსაც, ჩვენ რა დავაშავეთ, ამ ქვეყნის შვილები არ ვართ?

**— როდის მოხდება თუნდაც ორმაგი პენსიის აღდგენა?**

— ასე მითხრეს, წელს შევიტანთ საკითხს პარლამენტში განსახილველად, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში გავითვალისწინოთო. ერთი სიტყვით, შეღავათების აღდგენაზე უკვე აღარავინ საუბრობს. ჩემი გასაჭირი გიგი წერეთელსაც შევჩივლე და განცხადებით დავით ბაქრაძესაც მივმართე, მაგრამ პასუხიც არ მაღირსეს. მარჩენალდაკარგულთათვის შეღავათების აღდგენაზე მე პირადად ბევრი მიფიქრია. თანხა, რომელიც მარჩენალდაკარგულთა შეღავათების აღდგენას სჭირდება, ჩემი ანგარიშით, 7-მილიარდიანი ყოველწლიური ბიუჯეტის 0.0043 პროცენტს შეადგენს. რა გახდა 30 მილიონი ამხელა ქვეყნისთვის?! სააკაშვილმა ხომ აიშენა მილიარდიანი სასახლე!.. ახლა პარლამენტარებმაც შემოიჭირონ ქამრები, მე უკვე სამჯერ შემოვიჭირე, ტანსაცმლიანად 47 კილოს ვიწონი!.. განა არ შეიძლება, რომ მერიებმა და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა გამოყონ თანხები მარჩენალდაკარგულთათვის შეღავათების აღსადგენად? ამით მაინც მიაგონ პატივი სამშობლოსთვის დაღუპულთა ხსოვნას. პაატა დავითაიას და ლევან გაჩეჩილაძეს 27 სექტემბერს მემორიალთან ვთხოვე, დაღუპულთა მშობლებს ერთი-ორი ტკბილი სიტყვა მაინც გვითხარით, გაგვამხნევეთმეთქი, მაგრამ არ ქნეს...

**— რას აპირებთ თქვენი უფლებების დასაცავად?**

— ბოლომდე ვიბრძოლებთ. ხელისუფლების არაფერი გვმართებს, აქეთ არიან ჩვენთან ვალში. მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ აღადგინონ ყველა გაუქმებული შეღავათი (ბუნებრივ აირზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე, დასუფთავებასა და ტელეფონზე), სრულად მოგვცენ გაზრდილი პენსიები და აგვინაზღაურონ განაცდური. ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი! დროა, ხალხისთვის წაღლეტილი ისევ ხალხს დაუბრუნდეს. თბილად რომ სხედხართ კაბინეტებში და უზრუნველად ცხოვრობთ ნაქურდალი ფულებით, ნუთუ სინდისის ქენჯნა არ გაწუხებთ?! თქვენი შვილები საზღვარგარეთ პრესტიჟულ სასწავლებლებში გაგზავნეთ, ჩვენი ბავშვები კი სანახევროდ მშივრები დადიან, ფული არ აქვთ სახელმძღვანელოების შესაძენად, განა ეს სამართალია?

შევქმენით „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა უკვდავყოფის საქველმოქმედო ფონდი „სანთელი“, რომლის მიზნებსა და ამოცანას წარმოადგენს დაღუპულთა უმწეო ოჯახების ეტაპობრივი დახმარება, სწავლაში წარჩინებული მათი შვილებისათვის სტიპენდიების დანიშვნა, სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებლობის ფარგლებში, ოჯახის წევრების (დედა, მამა, ქვრივი მეუღლე და შვილები) მკურნალობისათვის ფინანსური დახმარება. რა ვქნათ, სახელმწიფო თავს არ იწუხებს, იქნებ ღვთისნიერმა ადამიანებმა მაინც მიიტანონ გულთან ჩვენი გაჭირვება.

გვერდი მოამზადა ნინო გოძიაშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

არნო ხიდირბეგიშვილი:

# რაზეა ბასი, ანუ რატომ დასჭირდა სოფლის შენებას ერთი კაი ბასი...

> „არც ერთი მიზანი არ ღირს იმად, რომ მის მისაღწევად უღირსი საშუალება გამართლდეს."
> **ალბერტ აინშტაინი**

**„ზონდერბრიგადები"** — ასე უწოდა ხალხმა **სწრაფი რეაგირების სამსახურის** თანამშრომლებს. იგი პრეზიდენტ **სააკაშვილის** ხელისუფლებამ ***„ვარდების რევოლუციის"*** დასრულებისთანავე შექმნა. სიმართლე თავდაპირველად პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი ამ სამსახურის შესახებ (ისევე, როგორც, საერთოდ, მისი არსებობის შესახებ!) საქართველოში ბევრმა არ იცის, მიუხედავად იმისა, რომ **„ზონდერების"** სპეცოპერაციები საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე ყბადაღებულ თემად იქცა. ამიტომ ერთ-ერთ მათგანთან, თუნდაც **ყოფილ თანამშრომელთან,** საუბარი ჩემთვის ინტერესს მოკლებული არ იყო. *„თავიდან გვიხაროდა, რომ საქართველოში შევარდნაძის მიერ მემკვიდრეობით დანატოვარ ბოროტებას — ყოფილი მაღალჩინოსნების კორუმპირებულ კლანებს, სახელმწიფო ბიუჯეტისა და ქონების დამტაცებლებს, ჩრდილოვან ბიზნესს ვებრძოდით, სადაც ფული თეთრდებოდა და ხაზინაში გადასახადები არ შედიოდა. დღედაღამ სიამოვნებით ვმუშაობდი —* ***„ვარდების რევოლუციამდეც"*** **მიშას** ვუჭერდი მხარს და 2003 წლის ნოემბერშიც მის გვერდით ვიდექი — კერძოდ, ვეხმარებოდი რაიონებიდან თბილისში ხალხის ჩამოყვანის, იმ სახელგანთქმული ავტობუსების კოლონის ორგანიზებაში... მაგრამ დაახლოებით ერთ წელიწადში ვიგრძენი (და არა მარტო მე!), რომ ჩვენ არადანიშნულებისამებრ გვიყენებდნენ, ზოგიერთი თავისი ინტერესებისთვის გვიყენებს, **რომ პრეზიდენტს გარს ეხვია უამრავი ცუდი მრჩეველი, რომლებსაც მხოლოდ პირადი მიზნები ამოძრავებდათ — გამდიდრება, სამსახურებრივი წინსვლა და ზოგჯერ შურისძიებაც...**

პოლიტიკოსი არა ვარ, ჯარისკაცი ვარ, რომლის სპეცმომზადებაც ჩემს სამშობლოს 60.000 დოლარზე მეტი დაუჯდა, მაგრამ ბოლო წლებში უამრავ რამეს მოვესწარი და ელემენტარულად შავის თეთრისგან გარჩევა ვისწავლე... გულმა რეჩხი მიყო და, რომ იტყვიან, ქუდი დავიხურე და შინ წავედი".

რატომ გამახსენდა ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ დღეს **საქართველო დიდი მოვლენების ზღურბლზე დგას, ხოლო პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩევლები — უნიჭო დილეტანტები მთავრობასა და პარლამენტში, მათი დაუდევრობის მალეგალიზებელი გამყიდველი ექსპერტები და ათასი ჯურის არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მათი გამპიარებელი ტელეჟურნალისტები — მას კვლავ უფსკრულისკენ უბიძგებენ!** ზოგიერთი ამ ამბიციური მარიონეტებისგან, დოლარებით თვალდავსილი, **გასული წლის აგვისტოში პირზე დუჟმომდგარი უმტკიცებდა მიშას, რომ რუსებს დაჟანგული ტანკები ჰყავთ და დაჩოქილი ემუდარებოდა** (თავად სააკაშვილის სიტყვებით!) **ბლიცკრიგის დაწყებას. დღეს კი მათ ჯიუტად არ სურთ ახალი რეალიების დანახვა და ინერციით „მიგორავენ" ბუშის ქუჩაზე** — არის ასეთი თბილისში...

და არა მარტო ისინი: ე. წ. **ოპოზიციის** მთელი სპექტრი, საპარლამენტოცა და არასაპარლამენტოც — **ალასანიას, გაჩეჩილაძის, ბურჯანაძის, უსუფაშვილის, გამყრელიძის, ზურაბიშვილის, თარგამაძის, თორთლაძისა და დანარჩენების პარტიები ტყუპები არიან არა მხოლოდ ფორმით** (მხედველობაში მაქვს მათი უსახური, ერთმანეთის მსგავსი სახელწოდებები, თითქმის ყოველთვის სიტყვა „დემოკრატიას" რომ შეიცავენ!), **შინაარსითაც: მათ ყველას ვაშინგტონის მხარდაჭერის, ინსტრუქციებისა და დაფინანსების იმედი აქვთ და დავიწყებიათ, რომ იქ პროექტ „საქართველოს" ავტორები — ბუში და რესპუბლიკელები კი აღარ ხელმძღვანელობენ, არამედ დემოკრატები, რომლებსაც ამ უილბლო ექსპერიმენტთან, ისევე, როგორც წინა ადმინისტრაციის სხვა ყველა მარცხიან ავანტიურასთან (კოსოვო, ავღანეთი, ერაყი) კავშირი არ აქვთ!**

რა მაძლევს ამგვარი ფიქრის საფუძველს?! რა და ბოლო თვეებისა და, განსაკუთრებით, ბოლო კვირების ყველა მოვლენა:

— **ა. წ. 6 მარტს** აშშ სახელმწიფო მდივანმა **ჰილარი კლინტონმა** ჟენევაში შეხვედრისას რფ საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვს** „გადატვირთვის" წითელი ღილაკი აჩუქა — **რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების ახალი სტადიის დასაწყისის** სიმბოლო. თუმცა ქართული პოლიტელიტა **(ზემონახსენები ცუდი მრჩევლები!)** მაინც გაჰყვიროდა, რომ აშშ და ევროპა უთუოდ დასჯიან რუსეთს 08.08.08 ომისთვის;

— **ა. წ. 6 ივლისს** აშშ პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** მოსკოვში გამართულ სამიტზე განაცხადა, რომ **აშშ ამიერიდან გაითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის — საქართველოშიც**. მაგრამ ქართულმა პოლიტისტებლიშმენტმა (განსაკუთრებით — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და რუსეთის მოქალაქემ **გრიგოლ ვაშაძემ**) რუსეთს ტოტალური საერთაშორისო იზოლაცია უწინასწარმეტყველა;




— **ა. წ. 17 სექტემბერს** აშშ პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** დაუთმო რუსეთს და, რფ-ის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის სიტყვებით, მამაცი ნაბიჯი გადადგა, როცა **ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მესამე პოზიციური რაიონის შექმნაზე უარი განაცხადა;** თუმცა ჩვენი ჭკუათხელი ექსპერტები მაშინვე აჭყლოპინდნენ, რომ რადარი საქართველოში განთავსდება;

— **ა. წ. 18 სექტემბერს** ნატოს გენერალურმა მდივანმა **ანდერს ფოგ რასმუსენმა** ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე განაცხადა, რომ **საქართველო მზად არ არის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გასაწევრებლად სავსებით ობიექტური მიზეზების გამო. ის არ შეესაბამება ნატოში გაერთიანების კრიტერიუმებს ალიანსის რიგების შევსებისთვის,** — ხაზგასმით აღნიშნა გენმდივანმა **29 სექტემბერს** ატლანტიკურ საბჭოში სიტყვით გამოსვლისას. მაგრამ ჩვენმა პოლიტოლოგებმა — **ცინცაძემ, რონდელმა, ალექსიძემ (საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ყოფილი პოლიტპროპაგანდისტები!)** ისევ იცრუეს, რომ „ცალი ფეხით" უკვე ნატოში ვართ, ხოლო რუსეთი ეკონომიკური კოლაფსისა და ტერიტორიული დაშლის ზღვარზეაო;

— **ა. წ. 30 სექტემბერს** სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტის გარემოებათა გამომძიებელმა კომისიამ, შვეიცარიელი დიპლომატის — **ჰაიდი ტალიავინის** ხელმძღვანელობით, გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც **ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი საქართველომ დაიწყო.** თუმცა საქართველოს ხელისუფლება და ზემონახსენები „ანალიტიკოსები" საწინააღმდეგოს ამტკიცებენ და კვლავაც წინასწარმეტყველებენ **პუტინისა** და **ლავროვის** გადადგომას, რომლებსაც **მედვედევი** თითქოსდა დღედღეზე გაათავისუფლებს გასული წლის აგვისტოში დაშვებული უხეში შეცდომებისათვის;

*(უნდა აღვნიშნო ისიც, რომ კულუარული ინტრიგები ჩვენი პოლიტიკანების საყვარელი თემაა: ამ ჭორიკნებისთვის სახელმწიფოებრივი ინტერესები ფუჭი სიტყვებია; ისინი ყველაფერს თავიანთი საზომით ზომავენ და ამიტომ ყველგან და ყველაფერში მხოლოდ შინაურულ ჩალიჩს ხედავენ. ახლაც,* ***12 დეკემბერს*** აფხაზეთში დანიშნული არჩევნების წინ, მათ ბედკრული საქართველო დაივიწყეს და იმაზე კამათობენ, თუ ვინ გახდება აფხაზეთის პრეზიდენტი... მინდა, დავძინო: **პუტინი თუ მედვედევი, ბაგაფში თუ ხაჯიმბა, კოკოითი თუ ჯუსოევი — რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, ინტრიგანებო?! თქვენგან განსხვავებით, არც ერთი მათგანი სამშობლოს ვალუტაზე არ გაყიდის!**)

— **ა. წ. 13 ოქტომბერს** აშშ სახელმწიფო მდივანმა **ჰილარი კლინტონმა** მოსკოვში ვიზიტისას განაცხადა, რომ არავითარი მიზეზი არ აქვს იფიქროს, თითქოსდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტები საქართველოში განთავსდება და რომ **აშშ-ს სურს, რუსეთთან ერთობლივი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ჰქონდეს, რომელიც რუს ხალხსაც დაიცავს, ამერიკელსაც და ჩვენს ევროპელ მოკავშირე მეგობრებსაც; რომ ის მოხარული იქნება, შეხვდეს პრემიერ-მინისტრ პუტინს** (რომელიც იმ დროს ჩინეთში ვიზიტად იმყოფებოდა) **და რომ იმედოვნებს მის ხილვას მომავალში;** რომ აშშ დაეხმარება **ქართველ ხალხს (და არა ხელისუფლებას!** — ა. ხ.), თავი დაცულად იგრძნოს და მაშინვე დასძინა, რომ **ისინი წვრთნიან ქართულ ჯარებს ავღანეთში სამუშაოდ...** რომ ამერიკა და რუსეთი **განსხვავებული ქვეყნებია, განსხვავებული ღირებულებებითა და ისტორიული გამოცდილებით,** მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი თანამშრომლობა ვერ განვითარდება; დიახ, აშშ არ აღიარებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, **მაგრამ ითანამშრომლებს ყველა სფეროში, რომელშიც ის და რუსეთი თანხმდებიან, რადგან ეს ერთობლივი ურთიერთობების გაფართოებისა და გაღრმავების საშუალებაა.**

თითქოსდა მხოლოდ ნამდვილი იდიოტი ვერ შეამჩნევდა, რომ აშშ-მა **(პირველად უახლესი ისტორიის განმავლობაში!) უგულებელყო მენტორული ტონი და მსოფლიო ჟანდარმის როლი, უარი თქვა ორი „ბ"-ს ფორმულაზე (ბჟეზინსკისა და ბუშის): *„ჩვენ ვაწარმოებთ უსაფრთხოებას, თქვენ მოიხმართ მას!"*, შეწყვიტა რუსეთისთვის ჭკუის დარიგება, უგულებელყო მკვეთრი კრიტიკა ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებში და პატივისცემით აღიარა, რომ რუსეთი და ამერიკა განსხვავებული ქვეყნებია!** (8.000 კილომეტრით დაშორებული ამერიკა როგორ აღმოჩნდა საქართველოსთვის უფრო ახლობელი, ვიდრე უძველესი მეზობელი — ერთმორწმუნე რუსეთი, რომელთანაც მას 900 კმ საერთო საზღვარი გააჩნია — ეს კითხვაა ან ფსიქოთერაპევტის, ან კიდევ — დავიდ კოპერფილდისთვის...) მაგრამ ჩვენი ვაიპოლიტიკოსები და პროქტო-პოლიტოლოგები (ზემონახსენები, პლუს რამდენიმე ახალგამოჩეკილი მასხარა — ვინმე **ბარნოვ-შარაშენიძე-გოგოლაშვილ-ჩიტიძე**) ისევ **„ღრუბლებში დაფრინავენ"** და ბრიყვულად აცხადებენ, რომ ჰილარი კლინტონმა განაგრძო აუღიარებლობის პოლიტიკა, რომ თითქოსდა აშშ დიდი ზეწოლა განახორციელა რუსეთზე და მალე აიძულებს რუს აგრესორებს, მათი ჯარები ოკუპირებული ტერიტორიიდან გაიყვანონ...

**საგანგებოდ ამ ცრუპენტელებს ორ ახალ ინფორმაციას შევთავაზებ განსჯისთვის (რა თქმა უნდა, თუ განსჯის უნარი საერთოდ შესწევთ!):**

— **ა. წ. 14 ოქტომბერს** რუსეთის სატრანსპორტო კომპანიის ***«Вертикаль Т»***-ს შვეულმფრენმა მონაწილეობა მიიღო ავღანეთის ტერიტორიაზე ჩამოგდებული აშშ-ის შეიარაღებული ძალების შვეულმფრენის **„Boeing CH-47 Chinook** -ის ევაკუაციაში, რომელსაც ცეცხლი გაუხსნეს და აიძულეს, ყანდაგარის მიდამოებში დაშვებულიყო. რუსეთის **Ми-26**-მა 110 კმ იფრინა გარე ფარზე დამაგრებული ამერიკული შვეულმფრენით და უსაფრთხო ადგილას გადაიყვანა იგი;

— **ა.წ. 17 ოქტომბერს** ცნობილმა ამერიკელმა დიპლომატმა **ჰენრი კისინჯერმა** გაზეთ „**Le Figaro**"-სთან ინტერვიუში განაცხადა: ***„აშშ-მა შეცდომა დაუშვა, როცა სათანადო პატივისცემით არ მოეპყრო რუსეთს.*** *როცა საქმე სტრატეგიულ პარტნიორთან გაქვს, რომელიც შიდა მიზეზების გამო თავისი ისტორიის რაღაც მომენტში შედარებით სუსტდება, მუდამ უმართებულოა, ამპარტავნულად მოიქცე ასეთ შემთხვევაში. მიმაჩნია, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაცია სავსებით სწორად იქცევა, როცა რუსეთთან თანაბარუფლებიან დიალოგს აღადგენს".*

რაღა დავამატო?! ალბათ, მხოლოდ ის, რომ ჩვენი **„მფრინავი"** პოლიტავანტიურისტების ძირს დანარცხება ერთობ მტკივნეული იქნება...

თუმცა მოდი იმაზე ვიფიქროთ, რა **„გავაფრინეთ"** გასულ კვირებში და სად **„გავფრინდებით"** უახლოეს მომავალში, ალბათ, — **ა. წ. დეკემბრის მეორე ან მომავალი 2010 წლის იანვარის პირველ ნახევარში.** რატომ?! განვმარტავ, ოღონდ მანამდე **სამი ბოლო „გაფრენა" განვიხილოთ:**

**1)** საქართველოს პრემიერ-მინიტრ **ნიკა გილაურის ა. წ. 6 ოქტომბრის** ვიზიტი თურქეთში და მისი შეხვედრა პრემიერ-მინისტრ **რეჯებ ტაიპ ერდოღანთან** ხომ არ არის გამოწვეული იმით, რომ **უახლოეს მომავალში თურქეთის აფხაზური დიასპორის — მუჰაჯირების ზეწოლით თურქეთმა, შესაძლოა, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი აღაიროს?**

**2) ა. წ. 25 სექტემბერს** ნიუიორკში მყოფ და გაეროს გენასმბლეაზე სიტყვით გამოსულ **მიხეილ სააკაშვილს რატომ არ მისცეს საშუალება, არა თუ გამოლაპარაკებოდა, არამედ მიახლოებოდა და, უბრალოდ, ხელი ჩამოერთმია ბარაკ ობამასთვის** — იმ ქვეყნის პრეზიდენტისთვის, რომელსაც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს უწოდებს?

**3) ტალიავინის** დასკვნის გამოქვეყნებიდან **მეექვსე დღეს (ა. წ. 6 ოქტომბერს) საქართველოს პრეზიდენტმა ჯერ რატომ წარმოადგინა პარლამენტში *„ეკონომიკის თავისუფლების აქტი"*** (რომლის მიხედვითაც უპრეცე-

დენტოდ ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობა გვექნება, უცხოელ ინვესტორებს შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი დაუწესდებათ, ლიკვიდირებული იქნება ორმაგი დაბეგვრა და კერძო საბანკო სექტორზე სახელმწიფო კონტროლი, აიკრძალება ახალი მაკონტროლებელი სტრუქტურების შექმნა და ეს ყველაფერი შევა (ნონსენსი!) კონსტიტუციაში), **ხოლო ექვსი დღის შემდეგ სასწრაფოდ გაფრინდა ქუვეითში? ხომ არ მოსთხოვეს მას ქუვეითელმა შეიხებმა თავიანთი ინვესტიციების დაცვის გარანტიები** (რომლებმაც ფული დააბანდეს ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის **(СИЗ)** შექმნასა და აეროპორტის აგებაში, ტელეკომპანია „იმედში," თბილისის გარეუბნებში მიწის ნაკვეთებსა და სხვა ბიზნესპროექტებში), **ტალიავინის დასკვნის გაცნობისას, რომელმაც კატასტროფულად შეარყია საქართველოს პრეზიდენტის ისედაც მყიფე საყრდენი?!**

**ახლა კი, რატომ არ გამოვრიცხავ, რომ დაახლოებით 2009 წლის 15 დეკემბრის შემდეგ 2010 წლის 17 იანვრამდე** საქართველოში **შესაძლოა, გათამაშდეს იმ დრამის დასკვნითი ნაწილი, რომელიც, ბოლო ექვსი წელია, გრძელდება:**

— **2008 წლის 7 ოქტომბერს** საინფორმაციო სააგენტო **Day.Az**-თან ინტერვიუში (www.day.az) *„მხოლოდ რუსეთს შეუძლია კავკასიური ტკივილის წრის გარღვევა!"* საქართველოში მოვლენათა განვითარების **ექვსი** შესაძლო სცენარი განვიხილე, რომელთაგან ერთი იტყობინება: ***„აშშ-მ, რომელმაც ვერ გაბედა ღია ფრონტით რუსეთთან დაპირისპირება 2008 წლის 8-12 აგვისტოს ხუთდღიან ომში და კავკასიისთვის პირველი ბრძოლა წააგო, ვერ მოიხელთა „ერთგულების სარტყლის", ანუ სამხრეთ კავკასიისა და კასპიის გასაღები. გამორიცხული არაა, რომ ისინი „მეორე ეშელონს" ამზადებდნენ და ისევ მიამიტი ქართველების ხელით: ამჯერად პროვოცირებული იქნება ტერაქტები და პარტიზანული ომი ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს კი საბაბს მისცემს აშშ-ს, ტერორიზმთან ბრძოლის დროშით ქვეყანაში შემოიჭრას";***

— **2009 წლის 7 ოქტომბერს (ზუსტად ერთი წლის შემდეგ!)** მე იგივე გავიმეორე პუბლიკაციაში *„მისტერ ბუშმისტერი, ანუ რა საერთო აქვთ ჯორჯ ბუშსა და ბუბა კიკაბიძეს"* (ყოველკვირეულ გაზეთში **„საქართველო და მსოფლიო"** geworld.net): ***„აშშ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის ხანაში „ლამობდა საქართველოს პლაცდარმად გადაქცევას რუსეთის ჯერ სამხრეთ, შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიიდან განსადევნად:***

რფ-ის სამხრეთ საზღვრების გაკონტროლებას (რადიოსალოკაციო და სხვა დაზვერვა), პანკისის ხეობიდან დივერსიული ჯგუფების გადასროლას ჩრდილო კავკასიაში, იქაურ ბოევიკთა უზრუნველყოფას, საველე მეთაურებთან კავშირისა და სხვადასხვაგვარი ინციდენტების, ტერაქტებისა და პროვოკაციების ინსპირირებას ამ ფეთქებადსაშიშ რეგიონში შემდგომი დესტაბილიზაციით. **საბოლოო მიზანი — რუსეთის ფედერაციიდან ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის, დაღესტნისა და, შესაძლოა, ჩრდილოეთ ოსეთის უალტერნატივო გამოყოფისთვის სიტუაციის შექმნა იყო";**

— **2009 წლის 13 ოქტომბერს (მოსკოვში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ჩასვლის დღეს!)** ნაციონალური ანტიტერორისტული კომიტეტის **(НАК)** თავმჯდომარემ, რუსეთის **ФСБ**-ს დირექტორმა **ალექსანდრე ბორტნიკოვმა** განაცხადა: ***„ბოევიკთათვის აღმოჩენილი აუდიოჩანაწერები მოწმობენ, რომ „ალქაიდას" ემისრებმა დაამყარეს კონტაქტი საქართველოს სპეცსამსახურებთან, რომელთა მონაწილეობითაც ორგანიზება გაუკეთდა ტერორისტების მომზადებასა და გადასროლას ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ისინი გამუდმებით ცდილობენ იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, ფინანსური სახსრების მიწოდებას დაღესტნის ყველაზე სახიფათო ობიექტებზე დივერსიების განსახორციელებლად; უპირველესად კი ნავთობსა და გაზსადენებზე".***

## ხომ არ გვაფრთხილებს რუსეთი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის მოსკოვში ჩასვლის დღეს, ისევე, როგორც შარშან, როცა 2008 წლის 9 ივლისს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ოთხი გამანადგურებელი 40 წუთის განმავლობაში დაფრინავდა ცხინვალის თავზე თბილისში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — კონდოლიზა რაისის ვიზიტის წინა დღეს?!

განვაგრძოთ:

— **2008 წლის 17 სექტემბერს,** საინფორმაციო სააგენტო **„НОВОСТИ — Азербайджан"**-თან ინტერვიუში (www.newsazerbaijan.ru) *„რუსეთის საერთაშორისო იზოლაცია საიქიოს მითს წააგავს"*, კორესპონდენტის კითხვაზე — ***რეალურია თუ არა, რომ სააკაშვილი ნებაყოფლობით გადადგეს და უბრძოლველად წავიდეს?*** — მე მივუგე: ***„ეს სავსებით რეალური იქნება, თუ ამას ხელისუფლებაში მისი მომყვანი ამერიკელები მოსთხოვენ. ახლა დაიწყება აქტიური სეპარაცია თავად დემოკრატიული საქართველოს პროექტისა მისი ხელმძღვანელის მიერ და სააკაშვილს ექნება შანსი, ნებაყოფლობით წავიდეს უსამართლობასთან მებრძოლის შარავანდედით. თუ ეს სეპარაცია არ განხორციელდა, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება თავად პროექტიც";***

— **2008 წლის 14 ოქტომბერს (ერთი წლის შემდეგ!)** ეს დავადასტურე პუბლიკაციაში *„ნატოწაღებულნი..."* (ყოველკვირეული გაზეთი **„საქართველო და მსოფლიო"** www.geworld.net): ***„პრაქტიკულად, დაწყებულია აქტიური სეპარაცია — პროექტ „საქართველოს" გამიჯვნა მისი ხელმძღვანელის, მიხეილ სააკაშვილისგან, რათა გადარჩეს, თუ მთელი პროექტი არა, მისი ნაწილი მაინც — კადრები, რომელთა გაწვრთნა აშშ-ს სოლიდური თანხები დაუჯდა და რომელთა ინტერესები უკვე ეწინააღმდეგება თავად სააკაშვილის ინტერესებს";***

— 2008 წლის 14 ოქტომბერს (**იმავე დღეს!**) თბილისში, სასტუმრო *«Radisson»* -ში გამართულ კონფერენციაზე **ქართული ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს „საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის საქართველოსგან გამიჯვნის"** კომპანიის დაწყების შესახებ.

**მაშ, განა სამართლიანად არ ვაცხადებ, რომ ქართული ოპოზიციის მთელი სპექტრი ინერციით ბუშის ქუჩაზე თავდაღმა მიექანება?!** განვაგრძოთ:

— **ა. წ. 10 ოქტომბერს** ციურიხში თურქეთმა და სომხეთმა, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის — **ჰავიერ სოლანას,** საფრანგეთისა და სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრების — **ბერნარ კუშნერისა და სემუელ ჟბოგარის**, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — **სერგეი ლავროვისა** და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — **ჰილარი კლინტონის** თანდასწრებით **(რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ, კინაღამ ჩაშლილ ღონისძიებაზე!)** ხელი მოაწერეს ***„დიპურთიერთობათა დამყარების"*** ოქმსა და ***„ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების"*** ოქმს. თანაც, როგორც სანდო, კარგად ინფორმირებული წყაროებისგან შევიტყვე, **აშშ კატეგორიულად ითხოვს სომხეთ-თურქეთის საზღვრის აღდგენას არა უგვიანეს ა. წ. დეკემბრისა;**

— **ა. წ. 13 ოქტომბერს** აშშ-ის სახლემწიფო მდივანმა **ჰილარი კლინტონმა** მოსკოვში ზემონახსენები ვიზიტისას განაცხადა, რომ ამერიკა იმედოვნებს სტრატეგიული საიერიშო შეიარაღების **(СНВ)** შეზღუდვის შესახებ ახალ შეთანხმებაზე მუშაობის დასრულებას **ა. წ. 5 დეკემბრამდე,** რადგან ძველი ხელშეკრულების ვადა სწორედ **5 დეკემბერს** იწურება;

— **ა. წ. 14 ოქტომბერს** რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ — **ნიკოლაი პეტრუშევმა** განაცხადა, რომ ***რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა ითვალისწინებს ბირთვული იარაღის გამოყენებას ლოკალურ ომებსა და კონფლიქტებში*** პრევენციულ ბირთვულ იერიშად ანდა მოწინააღმდეგის აგრესიის საპასუხოდ ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის გამოყენებით. **სამხედრო დოქტრინის ახალი რედაქცია დასამტკიცებლად წარედგინება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ა. წ. დეკემბერში.**

**ბავშვიც კი (მაგრამ არა ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები!) მიხვდება, რომ ეს შემთხვევითობათა უბრალო ჯაჭვი არ არის, რომ აშშ (ანუ სომხური ლობი ამერიკულ კონგრესში!) დაჟინებით ითხოვს სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნას არა უგვიანეს მიმდინარე წლის დეკემბრისა, რათა საქართველოში, შესაძლო დესტაბილიზაციის შემთხვევაში, ჰქონდეს საქართველოს მარშრუტის ალტერნატიული გზა სომხეთისკენ თურქეთის გავლით! საქართველოს, რომელიც „ალ-ქაიდასთან" კავშირში დაადანაშაულეს, ბოევიკთა ბუდე, ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტთა, იარაღისა და ფინანსების გადასასროლი სატრანზიტო ზონა უწოდეს, ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაციის შემთხვევაში, შესაძლოა, კიდევ ერთხელ იქცეს „ცხელ წერტილად"! ასევე, საქართველოს წინააღმდეგ შესაძლოა, გამოიყენონ საერთაშორისო სანქციები, თუკი მის ტერიტორიაზე აკრძალული ეპიდემიოლოგიური იარაღის — ბუშის ბაქტერიის არსებობა დადასტურდება** (განსაკუთრებით საშიში ვირუსების ბანკი, რომელიც აქ **ბუშის** განკარგულებით შემოიტანეს ერაყში გადატანის მიზნით, რათა, საჭიროების შემთხვევაში, გაემართლებინათ ამერიკელების იქ შეჭრა)! **ორივე შემთხვევაში საქართველოს საზღვრები დაიკეტება, ხოლო, თუ სანქციებს ირანსაც დაუწესებენ, სატრანსპორტო მარშრუტი თურქეთის გავლით სომხეთისთვის ჭეშმარიტ სიცოცხლის გზად** იქცევა.

**ეს ყველაფერი თვალსაჩინო მაგალითი გახდება უკრაინისთვის 2010 წლის 17 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ** (აი, ვადებშიც გავერკვიეთ!).

**განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება, ისევე, როგორც ნებისმიერი კომპრომატი ბუშსა და მისი კაბინეტის წევრებზე, ხელს აძლევს ამჟამინდელ ადმინისტრაციას, დემოკრატიულ უმრავლესობას კონგრესში და აშშ-ის პრეზიდენტს: ბარაკ ობამას** ესმის, რომ უკვე თავისი პრეზიდენტობის ფაქტით, რუსეთთან თანამშრომლობით, ბუშისა და მისი რესპუბლიკელების მიერ ერაყსა და ავღანეთში გაჩაღებული ომის დასრულების სურვილით მან აიმხედრა რასისტებიც, მილიტარისტებიც, პენტაგონისა და **CIA**-ს (ცე-რე-უს) ელიტაც, ოლიგარქებიც, რომლებიც სამხედრო შეკვეთებზე მილიარდებს შოულობენ, და ნარკომოვაჭრეებიც. **და, თუ ის საბოლოოდ არ მოახდენს ამერიკელი ხალხისა და მსოფლიო თანამეგობრობის თვალში მათ დისკრედიტირებას, არ გაამწესებს განსასჯელთა სკამზე, მას შესაძლოა, ჯონ კენედის ბედი ეწიოს...**

სწორედ ამიტომ დაინიშნა სპეცპროკურორი აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის **დიკ ჩეინის** საქმეზე.

## სწორედ ამიტომ არ შევიდნენ რუსული ჯარები თბილისში 2008 წლის აგვისტოში — სხვაგვარად აშშ-ში გამართულ არჩევნებზე გაიმარჯვებდნენ არა დემოკრატები და ობამა, არამედ რესპუბლიკელები და „ამერიკელი ქართველი" მაკეინი, რომელიც საქართველოს ორი ზესახელმწიფოს შეჯახების არენად გადააქცევდა და მსოფლიოს ბირთვულ კატასტროფამდე მიიყვანდა!

**სწორედ ამიტომ აშშ-ის ამჟამინდელი ადმინისტრაცია არ გამოესარჩლება პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებას — ის ხომ პროექტ „საქართველოს" (GEORGIA) პირმშოა, რომლის ავტორიც ჯორჯ (GEORG) ბუში გახლავთ...**

თუმცა **არსებობს პრობლემის გადაჭრის ერთი ოპტიმალური გზა: თუკი უახლოეს მომავალში დიდ პოლიტიკურ სცენაზე გამოვლენ აუცილებელი რესურსის მქონე პერსონალიები (ნაციონალურად ორიენტირებული, ავტორიტეტული რუსეთშიც და საქართველოშიც, პროფესიონალები, მაღალი ინტელექტისა, პოლიტიკური გამოცდილებისა და შორსმჭვრეტელობის მქონე), რომლებსაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების აღდგენის რეალური პროექტი აქვთ** და მათი აქტიური მონაწილეობით დაიწყება ჩვენი ქვეყნების ხელისუფალთა შეხვედრები, **შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ მოვლენები სასურველი, მაგრამ სავსებით ახალი მიმართულებით განვითარდება!**

**P.S. ა. წ. 13 ოქტომბერს,** მოსკოვში სახლემწიფო მდივნის **ჰილარი კლინტონის** ზემოხსენებული ვიზიტისას, თბილისში ჩამოვიდა აშშ-ის ახალი ელჩი საქართველოში **ჯონ ბასი,** რომელსაც ტყუილუბრალოდ როდი უწოდებენ **„კრიზისის მენეჯერს": ვაშინგტონის ადმინისტრაცია მას სამუშაოდ, ჩვეულებრივ, ცხელ უბნებსა და ცხელ წერტილებში აგზავნის:** ის მონაწილეობდა თურქეთისა და კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირებაში, ნატოსა და რუსეთის მოლაპარაკებების პროცესში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ევროპაში, ხელმძღვანელობდა ბაღდადის აღდგენაზე მომუშავე სამთავრობო გუნდს ერაყში, **ხელმძღვანელობდა სახელმწიფო დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების ოპერატიულ ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს აშშ-ის საელჩოს თანამშრომელთა და მათი ქონების დაცვას (ევაკუაცია) საგანგებო სიტუაციებში(!).** ამჯერად საქართველოში **ბასის** გამოგზავნა კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოჩამოთვლილ პროგნოზებს და არცთუ „მოსაწყენ" ზამთარს გვპირდება...

თუმცა საქართველოში აშშ-ის საელჩოს ევაკუაციამდე საქმე არ მივა და მისტერ **ბასს** არ მოუწევს **„კრიზისის მენეჯერის"** როლის შესრულება, თუკი ბოლო **ექვსი** წლის **ჩემი პუბლიკაციების მთავარი გმირი განცხადებას *„საკუთარი სურვილით..."*** ანდა *„ჯანმრთელობის მდგომარეობით..."* დაწერს (მეორეს არ ვუსურვებ, რადგან **«личную неприязнь»**-ს არ განვიცდი)...

საინტერესოა: **რას მოგვიტანს „ნისკარტით" რესპუბლიკელი „შევარდენი" მაკეინი, რომელიც ამ დღეებში საქართველოს ეწვევა? „პროექტის" დასრულების აქტს თუ „შავ დამლას"?! ან, იქნებ, გუანტანამოს ტუსაღებისთვის ქუთაისის ახალმოწყობილი ციხის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოსაწერად ჩამოდის და ამავდროულად თავისთვის, ჩეინისა და ბუშისთვის „კამერის" შერჩევა სურს?!**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# თალიბებმა იტალიელი მებრძოლებისგან ქრთამის აღება დაადასტურეს

**მოძრაობა „თალიბანის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და ორმა ავღანელმა ჩინოვნიკმა დაადასტურეს, რომ იტალიური სპეცსამსახურები რეგულარულად უხდიდნენ ბოევიკებს ნატოს იტალიური კონტინგენტის მიერ კონტროლირებად რეგიონებში უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის.**



15 ოქტომბერს გაზეთი „The Times“ წერდა, რომ იტალიური დაზვერვა ავღანეთში, კერძოდ, ქაბულის აღმოსავლეთით მდებარე სარობის რაიონში ბოევიკებს მოისყიდიდა. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ თალიბები იტალიელებს არ დასხმოდნენ თავს, ისინი კი, თავის მხრივ, ბოევიკებს არ ხოცავდნენ. „თალიბანის“ წარმომადგენლის — მოჰამედ იშმაელის თქმით, ეს არაოფიციალური ორმხრივი შეთანხმება 2008 წლიდან მოქმედებდა. ავღანელმა ჩინოვნიკებმა აღიარეს, რომ ამის თაობაზე საქმის კურსში იყვნენ და რომ თალიბებისა და ნატოს კონტინგენტელი იტალიელების მსგავსი გარიგებები ქვეყნის სხვა რაიონებშიც მოქმედებს.

იტალიელი სამხედროები საბორიში 2008 წლის შუა პერიოდამდე იყვნენ, შემდეგ კი ამ რეგიონის კონტროლი ფრანგულ კონტინგენტს გადაბარდა. ამასთან, იტალიელმა სამხედრო ხელმძღვანელებმა თავიანთ შემცვლელებს გარიგების თაობაზე თითქოს არ გაუმხილეს. იშმაელის თქმით, „მეამბოხეებმა არ იცოდნენ, კონკრეტულად როდის ტოვებდნენ იტალიელები საბორის ტერიტორიას“ და ჩათვალეს, რომ მათი წასვლის შემდეგ ურთიერთთავდაუსხმელობის მოლაპარაკება ძალას კარგავს. ანალიტიკოსთა აზრით, სწორედ ამიტომ განიცადეს იტალიელების ჩამნაცვლებელმა ფრანგებმა დიდი დანაკარგები.

„The Times“ ირწმუნება, რომ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა იტალიელებისა და თალიბების გარიგების შესახებ იცოდნენ, აშშ სამხედროებმა ამის შესახებ სატელეფონო საუბრების მოსმენისას შეიტყვეს. ამერიკულმა მხარემ კი მკვეთრად გააკრიტიკა იტალიური სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდები. იტალიაში აშშ ელჩმა ქვეყნის ხელისუფლების მიმართ პროტესტი გამოხატა, ამ ყველაფრიდან რამდენიმე დღეში კი ავღანეთში თალიბებთან შეჯახების შედეგად ფრანგი ჯარისკაცები დაიხოცნენ.

# რუსული ბანკები კრედიტების გაიაფებისთვის მზად არიან

**რუსეთის სახელმწიფო ბანკები მზად არიან, კრედიტები წლიური 15%-დან 8-12%-მდე გააიაფონ.**




ამის თაობაზე რუსეთის ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა განაცხადა.

მანამდე რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე ახლანდელ კრედიტებს ძალიან ძვირი უწოდა და განაცხადა, რომ რეალური ეკონომიკისთვის არასაკმარისი სახსრები და მათი სიძვირე „მწვავე პრობლემად“ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ იანვრის 17,4%-დან აგვისტოში საბანკო კრედიტების ღირებულებამ 15,1%-მდე დაიკლო, „ეს მაინც ძალიან ძვირია“, — ბრძანა პრემიერმა.

18 სექტემბერს სოჭში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე პირობა დადო, რომ უახლოესი წლების განმავლობაში სახელმწიფო საბანკო კრედიტების ღირებულების წლიურ 6%-მდე შემცირებას მიაღწევს. მეორე დღეს შემნახველი ბანკის ხელმძღვანელმა გერმან გრეფმა ბრძანა, რომ უახლოეს წლებში ამ მაჩვენებლის მიღწევა საეჭვოა და დასძინა, რომ პუტინისეული გეგმის განსახორციელებლად ქვეყანაში ინფლაცია ორი პროცენტი უნდა იყოს. უკანასკნელ წლებში რუსეთში ფასები წელიწადში 10 პროცენტით იზრდება, კუდრინის განცხადებით, წლევანდელი ინფლაცია 11 პროცენტზე ნაკლებია, 2010 წელს კი ეს მაჩვენებელი 8-დან 11-მდე შუალედს არ გასცდება.

რეფინანსირების გაზრდით ან შემცირებით კრედიტების გაიაფებაზე ზეგავლენას რუსეთის ცენტრალური ბანკიც შეძლებს. კრედიტების ღირებულება, როგორც წესი, რამდენიმე საპროცენტო პუნქტით მეტია რეფინანსირებისაზე. 2009 წლის დასაწყისიდან ცენტრალურმა ბანკმა რეფინანსირების პროცენტი შვიდჯერ შეამცირა, მათ შორის, სექტემბრის ბოლოსაც, როდესაც ღირებულება 10%-მდე დაეცა. ეს 2007-2008 წლების შემდეგ ისტორიული მინიმუმია.

# ლათინურ ამერიკაში დოლარის ალტერნატივა გამოიგონეს

**ლათინურ ამერიკაში პაჩა გამოიგონეს. სავარაუდოდ, სწორედ ასე ერქმევა რეგიონის ახალ ვალუტას. სავალუტო ინტეგრაცია ორგანიზაციის „ბოლივარისეული ალტერნატივა ლათინური ამერიკის ხალხთათვის“ (ALBA) ბოლივიაში გახსნილი სამიტის მთავარი თემაა. ქვეყნებს ახალი ვალუტის ბრუნვაში გაშვება რაც შეიძლება სწრაფად სურთ და ამით დოლარისა და ევროს გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილებას გეგმავენ.**



სავარაუდოდ, ახალი ვალუტა ელექტრონული ანგარიშსწორებებისთვის უკვე მომავალი წლიდან შევა ძალაში, შემდგომ კი პაჩა მიმოქცევაში იქნება ბლოკის მთელ ტერიტორიაზე. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ ბლოკში გაერთიანებულია 10 სახელმწიფო, მათ შორის, ვენესუელა, ბოლივია, ეკვადორი, კუბა და ნიკარაგუა. აღნიშნულ ფორუმს რუსეთი დამკვირვებლის სტატუსით ესწრება. ახალი ვალუტის სახელწოდებაზე ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ადრე სამუშაო სახელწოდება „სუკრე“ იყო. ახლა კი ბოლივიის წარმომადგენელმა სამიტს ზემოაღნიშნული ახალი სახელი შესთავაზა.

„ჩვენ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე და დოლარისგან გათავისუფლებაზე უნდა ვიზრუნოთ. დასაწყისისთვის შეიქმნება ერთიანი რეგიონული ვალუტა ურთიერთანგარიშსწორებისთვის. შემდეგ კი ახალი ვალუტის შემოღებაზე ვიზრუნებთ, შესაძლოა, მას პაჩა ერქვას“, — განაცხადა მან.

# ბერლინის კედლის დაცემის 20 წლისთავს ობამას გარეშე იზეიმებენ

**9 ნოემბერს ბერლინში ბერლინის კედლის დანგრევიდან 20 წლის იუბილეს იზეიმებენ, აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა კი დღესასწაულს ვერ დაესწრება. ამის მიზეზად დროის უქონლობა სახელდება — 11 ნოემბერს ობამა დიდი ხნის წინათ დაგეგმილ აზიურ ტურნეში უნდა გაემგზავროს. გერმანიის ხელისუფლება აცხადებს, რომ გაგებით მოეკიდებიან ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას.**




სამაგიეროდ, ბარაკ ობამას ნაცვლად ამერიკიდან დღესასწაულზე სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი გაემგზავრება. როგორც უკვე გახდა ცნობილი, ქალბატონი ჰილარის ამ ვიზიტის დროსაც არ ეყოლება გვერდით ექს-პრეზიდენტი მეუღლე — ბილ კლინტონი. სხვათა შორის, ბარაკ ობამა პრეზიდენტობის პერიოდში ერთხელაც არ ჩასულა ბერლინში, თუმცა 2009 წლის ივნისში ის დრეზდენში იმყოფებოდა და მოინახულა ბუჰენვალდის ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის მემორიალი. რაც შეეხება ანგელა მერკელს, გერმანიის კანცლერი ბარაკ ობამას 3 ნოემბერს ვაშინგტონში კონგრესში სიტყვით გამოსვლისას შეხვდება.



# «ალ-ქაიდა» კოტრდება, «თალიბანის» დაფინანსება კი იზრდება

**ამერიკელი ექსპერტების დასკვნით, როცა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ ფინანსური მდგომარეობა ცალსახად უარესდება, რადიკალური მოძრაობა „თალიბანი“ აყვავების ხანაშია.**



აშშ ფინანსთა სამინისტროს დოკუმეტებში აღნიშნულია, რომ „თალიბანი“ ფულს ოპიუმის მომშენებელ ავღანელ ფერმერებს სძალავს. გარდა ამისა, ექსტრემისტები ბიზნესის „დაცვისთვის“ გადასახადს სთხოვენ ქვეყნის მოსახლეობას, რომელიც კანონიერ მეწარმეობას ეწევა. ავღანეთში აშშ სპეციალური წარმომადგენლის — რიჩარდ ჰოლბრუკის განცხადებით, თალიბები მნიშვნელოვან თანხას ართმევენ სპარსეთის ყურის ქვეყნებში მცხოვრებ კერძო პირებსაც.

ამასთან, ტერორისტები ჩაბმულნი არიან შემოსავლის შემომტან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში. მაგალითად, მოძრაობა „ხიზბალახის“ წევრები სიგარეტის კონტრაბანდას ეწევიან, ყიდიან აუდიო და ვიდეოპროდუქციის, ასევე, კომპიუტერული პროგრამების ულიცენზიო ასლებს.

როგორც კოენმა აღნიშნა, თალიბების მიერ უკანონოდ მიღებული სახსრები უკვე ჩართულია მსოფლიო ფინანსურ სისტემაში. გარკვეული პერიოდით ადრე ავღანეთში „ISAF“-ის ჯარების მეთაური სტენლი მაკრისტალი ამბობდა, რომ უდიდესი ფინანსური ნაკადები, რითაც „თალიბანი“ სარგებლობს, მოკავშირეებს მათ მიმართ წინააღმდეგობაში ხელს უშლის.



ამავე დროს, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, „ალ-ქაიდა“ საერთაშორისო არენაზე ლიდერის პოზიციებს კარგავს და ფინანსურ პრობლემებს განიცდის. მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ორგანიზაციის ლიდერებმა ოთხჯერ მიმართეს სახალხოდ თანამოაზრეებს და მატერიალური დახმარება სთხოვეს. ექსპერტების აზრით, ამჟამად „ალ-ქაიდას“ ყველაზე სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. როგორც ცნობილი გახდა, ჯერ კიდევ შემორჩენილ დამფინანსებლებს ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერებმა უკვე აცნობეს, რომ ფინანსური სირთულეები აუცილებლად აისახება მებრძოლების მომზადების დონეზე. მდიდარი სპონსორების მოძიების შემთხვევაში კი „ალ-ქაიდა“ სწრაფად დაიბრუნებს გავლენას.

ორიოდ დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ავღანეთში საკუთარი სამხედრო კონტინგენტის რიცხოვნობის მნიშვნელოვნად გაზრდა. მარტში აშშ პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ავღანეთში 21 ათას ამერიკელ ჯარისკაცს გაგზავნის, ახლა იქ კიდევ 13 ათასს აგზავნიან.

ასე რომ, ავღანეთში ამერიკული კონტინგენტი სულ 34 ათასით გაიზრდება. სტენლი მაკრისტალი დაახლოებით 40 ათასს ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ამერიკის შეერთებული შტატების არნახული კრახი გარდაუვალად მიაჩნდა.

# პოპულარობის რეიტინგში კლინტონმა ობამას გაუსწრო

**ამერიკელებს შორის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი გაცილებით მეტი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტი ბარაკ ობამა.**



სწორედ ეს შედეგები გამოავლინა ტელეკომპანია CNN-ის დაკვეთით ჩატარებულმა კვლევამ. კლინტონის მიმართ ამერიკელთა 62 პროცენტია დადებითად განწყობილი, პრეზიდენტისადმი კი მხოლოდ — 56. იანვრიდან, რაც ობამას ადმინისტრაციამ დაიწყო მუშაობა, თავად პრეზიდენტის პოპულარობა 22%-ით დაეცა.

# პუტინმა გაზის მილსადენს ჩინეთისაკენ უჩვენა გზა

**„გაზპრომის“ ხელმძღვანელის — ალექსეი მილერის განცხადებით, 13 ოქტომბერს პეკინში ხელი მოეწერა ჩინეთისათვის გაზის მიწოდების შეთანხმებას. ეს ჩარჩო ხელშეკრულებაა, რომელიც ჩინეთისთვის გაზის მიწოდების ძირითად პირობებს მოიცავს. მილერის თქმით, დოკუმენტი რუსული გაზის „ორი მიმართულებით — აღმოსავლეთით და დასავლეთით“ მიწოდებას ითვალისწინებს.**




2006 წელს „გაზპრომმა“ და ჩინეთის გაზის კორპორაცია „CNPC“-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ჩინეთში რუსული გაზი სწორედ ამ ორი მიმართულების გაზსადენით წავა და ამ ქვეყანას რუსეთისგან ყოველწლიურად 68 მილიარდი კუბური მეტრი გაზი მიეწოდება. როგორც იქნა, გადაწყდა ისიც, რომ ეს დასავლეთ ციმბირის გაზი იქნება.

დასავლეთის გაზსადენი, პირობითი სახელწოდებით „ალტაი“, დასავლეთ ციმბირს ჩინეთის სინცზიან-უიგურსკის ავტონომიურ რაიონთან დააკავშირებს. მისი სიგრძე 2,7 ათას კილომეტრამდე იქნება.

გაზსადენის ღირებულებამ შესაძლოა, 10 მილიარდ დოლარს მიაღწიოს.

# რუსეთი შტატების ალტერნატიული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემით დაინტერესდა

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთს სურს, უკეთ გაერკვეს აშშ ალტერნატიულ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემისა და მისი განთავსების საკითხებში. მისივე თქმით, რაკეტსაწინააღმდეგო ფარის განთავსების ახალი სისტემა პირველ ეტაპზე „სირთულეებს არ წარმოშობს“, მაგრამ შემდგომი ეტაპები განმარტებებს მოითხოვს.**



სექტემბრის შუა რიცხვებში შტატებმა უარი განაცხადა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის პოლონეთსა და ჩეხეთში განთავსებაზე. ნაცვლად რადარისა და სახმელეთო რაკეტდამჭერებისა, რომელთა განთავსებაც ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას დაიგეგმა, ამერიკის ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, საწყის ეტაპზე საზღვაო ბაზირების „SM-3“ ტიპის ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი გემები გამოიყენება. როგორც აშშ თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა განმარტა, 2015 წლიდან აშშ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის სახმელეთო ელემენტების განთავსებას ევროპაშიც დაიწყებს. იგულისხმება, რომ სახმელეთო კომპლექსშიც გამოიყენებენ „SM-3“ ტიპის რაკეტებს, მაგრამ ამ დრომდე ცნობილი არაა, კონკრეტულად რომელ ქვეყნებში განალაგებენ. გეიტსი ადრე არ გამორიცხავდა, რომ ეს ქვეყნები შესაძლოა, ისევ პოლონეთი და ჩეხეთი ყოფილიყო.

ოქტომბრის დასაწყისში პოლონეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე სტანისლავ კომოროვსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთში შესაძლოა, განთავსდეს ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ზურგის ბაზები და „SM-3“ რაკეტების მართვის პუნქტები. გარდა ამისა, აშშ თავდაცვის ელემენტების განთავსების თაობაზე მოლაპარაკებებს უკრაინასთანაც აწარმოებს.

რუსეთი ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების „ძველებური“ სქემით პოლონეთსა და ჩეხეთში განთავსების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. კონკრეტულად, ირანის მხრიდან სარაკეტო საფრთხისგან (რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ევროპაში განთავსების ძირითადი მოტივის) თავდასაცავად რუსული რადიოლოკაციური სადგურის გამოყენება არ სურდა. მას შემდეგ, რაც აშშ გეგმები შეიცვალა, გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა, რომ რუსეთი კვლავინდებურად წინააღმდეგია, ამერიკამ მასთან თანამშრომლობის გარეშე შექმნას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა. რუსეთისა და აშშ ერთობლივი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნაზე მოლაპარაკებები ჯერჯერობით არ გამართულა, მაგრამ აშშ სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ახლახან მოსკოვში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ ამგვარი ერთობლივი სისტემის (არა მხოლოდ აშშ-ისა და რუსეთის, არამედ ევროპისაც) შექმნა შესაძლებელია.

რაც შეეხება შტატების ახალ გეგმას, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების საქართველოში განთავსების აუცილებლობას ვაშინგტონში ვერავინ ხედავს. „არანაირი მიზეზი არ მაქვს, ვიფიქრო, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტები საქართველოს ტერიტორიაზე განთავსდება. — განაცხადა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა და დასძინა, — ვიცი, ეს საკითხი ძალიან ადარდებს რუსეთს“. ამიტომ ჰილარიმ რუსეთს ეს სადარდებელი განუქარვა და შესთავაზა ერთობლივი თავდაცვის მშენებლობა, რომელიც „ჩვენს ხალხსაც დაიცავს, თქვენს ხალხსაც, ჩვენს ევროპელ მეგობრებსაც და მოკავშირეებსაც“.

ჰენრი კისინჯერი:

# აშშ შეცდა რუსეთისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებისას

**ამერიკელმა დიპლომატმა ჰენრი კისინჯერმა გაზეთ „Le Figaro“-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ამერიკამ შეცდომა დაუშვა რუსეთისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებისას.**

როდესაც საქმე გაქვთ სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელიც შიდა პრობლემების გამო თავისი ისტორიის რომელიღაც მომენტში რამდენადმე სუსტდება, ყოველთვის შეცდომაა, მსგავს შემთხვევაში ქედმაღლურად მოექცე მას. ვფიქრობ, პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაცია აბსოლუტურად სწორად იქცევა, როდესაც რუსეთთან თანასწორუფლებიანი დიალოგის მდგომარეობას აღადგენს“, — განაცხადა კისინჯერმა და დასძინა, რომ, თავის მხრივ, მხარს უჭერს რუსეთსა და ამერიკას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებს სტრატეგიული ბირთვული არსენალის შემცირებასთან დაკავშირებით.

მისივე თქმით, ბირთვული განიარაღების „საკითხთან გულუბრყვილო მიდგომა არ ღირს, აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ საყოველთაო განიარაღება არ მოხდება არც ხვალ და არც ზეგ. ამ ამოცანის განხორციელება რამდენიმე თაობას მოუწევს“.



# აშშ ბიუჯეტის დეფიციტი ერთ წელიწადში 962 მილიარდით გაიზარდა

**2009 ფინანსური წლის ბოლოსთვის აშშ ბიუჯეტის დეფიციტმა 1,417 ტრილიონი დოლარი შეადგინა, ეს კი შარშანდელ მაჩვენებელზე დაახლოებით 962 მილიონი დოლარით მეტია.**



დეფიციტი საერთო შიდა პროდუქტის თითქმის 10 პროცენტს შეადგენს, რაც 1945 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ფინანსური მონაცემებით, სექტემბერში დასრულებული 2009 საფინანსო წლის განმავლობაში შემოსავლებმა 2,105 ტრილიონი დოლარი შეადგინა, დანახარჯებმა კი — 3,522 ტრილიონი. აშშ ხელისუფლებაში კი აღნიშნავენ, რომ 1,417-ტრილიონიანი დეფიციტი წლის დასაწყისისთვის ობამას ადმინისტრაციის მიერ პროგნოზირებული სავარაუდო 1,58 ტრილიონზე ნაკლებია. აშშ ფინანსთა მინისტრ ტიმოთი გაიტნერისა და საბიუჯეტო სამმართველოს ხელმძღვანელ პიტერ ორზაგას ერთობლივი განცხადებით, 2009 წლის დეფიციტი დიდწილად წინა ხელისუფლების პოლიტიკითა და ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისითაა განპირობებული. „ეკონომიკის გადარჩენიდან მის აღდგენაზე გადასვლის პირობებში პრეზიდენტი გააცნობიერებს, რომ ჩვენ ერი ფინანსურად მდგრად გზაზე უნდა დავაბრუნოთ“, — განაცხადა ორზაგმა. შეგახსენებთ, აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ აშშ საბიუჯეტო სამმართველოს პროგნოზით, 2010-2019 წლებში ბიუჯეტის დეფიციტი ცხრა ტრილიონ დოლარს მიაღწევს და ამის უმთავრესი მიზეზი ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანი დანახარჯების ზრდა იქნება.

# ფერმერებმა ელისეის მინდვრებზე თივის ზვინები დაწვეს

**ფრანგმა ფერმერებმა პიკის საათებში შუა პარიზში თივის ზვინებს ცეცხლი წაუკიდეს და ფეშენებელური რესტორანიც (FOUQUET) ლამის გადაწვეს. ელისეის მინდვრები სრულად პარალიზებული აღმოჩნდა.**

ეს აქცია იმ მასშტაბური საპროტესტო კამპანიის ნაწილი იყო, რომლის საშუალებითაც ფერმერები ცდილობენ, აიძულონ სახელმწიფო, სოფლის მეურნეობის შემოსავლების შემცირების გამო ფინანსური დახმარება გაუწიოს მათ. პროტესტანტების პლაკატებზე ეწერა, რომ ერთი კილოგრამი ხორბლის წარმოება 14 ცენტი ჯდება, მისი გასაყიდი ფასი კი მხოლოდ 9 ცენტია. საპროტესტო აქციები ქვეყნის სხვა ქალაქებშიც იმართებოდა. ტულუზასა და ნანსში ფერმერები გზატკეცილებზე ნელა დადიოდნენ ტრაქტორებით, რომ მოძრაობა შეეფერხებინათ. უხვი მოსავლის გამო 2009 წელს ხორბალზე, ხილსა და ბოსტნეულზე ფასები მკვეთრად დაეცა. საფრანგეთის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის მონაცემებით, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, წელს სოფლის მეურნეობის პროდუქცია საერთო ჯამში 15 პროცენტით იაფია. როგორც საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა Bრუნო ლე მერმა განაცხადა, ამის გამო ფერმერების შემოსავალი 10-20%-ით შემცირდა და კრიზისის დასაძლევი გეგმის შემუშავების პირობაც დადო. სწორედ ამ გეგმის ფარგლებშია გათვალისწინებული გადასახადების შემცირებაც. გარდა ამისა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ თვის



ბოლომდე წარადგენს ფერმერთა მხარდამჭერი ზომების ნუსხას, რომლის დაკონკრეტებისგან ამ ეტაპზე თავი შეიკავა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# შევთხოვოთ უფალს საკუთარ ცოდვათა დანახვის ნიჭი

**თუ არ მოვინანიეთ ცოდვები — ღვთის გმობა, ამპარტავნება, მრუშობა, ვერცხლისმოყვარეობა, ქურდობა, მტრობა, სისასტიკე, ცდუნებანი, სხვათა განკითხვა, ცილისწამება და ა.შ., ცათა სასუფეველს ვერ დავიმკვიდრებთ, ამიტომაც უფალს, უპირველესად, უნდა შევთხოვოთ საკუთარი ცოდვების დანახვის ნიჭი. დღეს სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება წმიდა ნიკოლოზის ტაძრის მოძღვარი მამა ზურაბი.**




მანგლისის ტაძარი
გელა ქოქიაშვილის ფოტო

**— ერთი ბერი წლების განმავლობაში ევედრებოდა უფალს, მიეცა მისთვის ავადმყოფთა კურნების ნიჭი და როცა უზენაესმა თხოვნა შეუსრულა, ეს ამბავი თავის მოძღვარს ახარა. წმიდა მამამ მოუსმინა მოწაფეს და უთხრა: ახლა წადი და ილოცე, რომ ღმერთმა ადამიანთა კურნების უნარის ნაცვლად საკუთარი ცოდვების დანახვის ნიჭი გიბოძოს...**

**რატომ მოიქცა ასე?**

— ცოდვათა მონანიების გარეშე ადამიანის სული ვერ ცხონდება, ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს, აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი ცოდვების დანახვის უნარს.

**სამწუხაროდ, ადამიანი ხშირად ველარც გრძნობს დანაშაულს და, შესაბამისად, სინანულის განცდაც არ აქვს.**

**— ვინ ვერ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს?**

— ის, ვინც საკუთარ ცოდვებს ვერ დაინახავს და სინანულში არ ჩავარდება, მაგალითისთვის, წმიდა მამათა ცხოვრებიდან ერთ ამბავს გავიხსენებ... წმიდა არსენ დიდს (V საუკუნე) თავის სენაკში უფლის ანგელოზის ხმა ჩაესმა — გარეთ გამოდი და წამომყევი, ადამიანთა მიერ ქმნილ საქმეებს გაჩვენებო.

**— რა დაანახა ანგელოზმა ბერს?**

— კაცი, რომელმაც შეშა დაჩეხა, შეკრა და მხარზე მოკიდება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ტვირთის შემსუბუქების ნაცვლად მან შეშის ჩეხა გააგრძელა. მოგვიანებით კვლავ მოისურვა ტვირთის მხარზე გადაკიდება, მაგრამ ვერ აწია, რადგანაც უწინდელზე მძიმე იყო და ისევ შეშის ჩეხვას მიჰყო ხელი... ანგელოზმა ღირს არსენს ახლა მეორე კაცი დაანახა. იგი ჭიდან წყალს ხაპავდა და ბრტყელი გახვრეტილ ჭურჭელში ასხამდა, საიდანაც წყალი ისევ ჭაში იღვრებოდა წურწურით. მერე კი ეკლესია აჩვენა, რომლის ღია კართან ორი კაცი იდგა ხის მორით. ამაოდ ლამობდნენ ტაძარში მის შეტანას, რადგანაც სიგრძეზე კი არა, სიგანეზე ეჭირათ და ერთდროულად ცდილობდნენ შესვლას, გზას არ უთმობდნენ ერთმანეთს.

**— რას ნიშნავს ყოველივე ზემოთქმული?**

— ანგელოზმა არსენს განუმარტა: ორი კაცი, ხის მორი რომ მიაქვს, სათნო ადამიანია, მაგრამ — ამპარტავანი; არ სურთ, ერთმანეთს გზა დაუთმონ, რის გამოც ვერ შედიან ცათა სასუფეველში, თავიანთ სათნოებებს სიამაყით აქარწყლებენ.

კაცი, რომელიც ჭიდან ამოღებულ წყალს გახვრეტილ ჭურჭელში ასხამს, კეთილ საქმეთა მქმნელი ადამიანია, მაგრამ საკუთარ ცოდვებს ვერ ერევა, ამიტომაც ფუჭად შრომობს და ცოდვათა გამო კარგავს ჯილდოს, რომელიც შეეძლო, უფლისგან მიეღო.

კაცი, რომელიც შეშას ჩეხავს და ტვირთს ტვირთზე ამატებს, უამრავი ცოდვით დამძიმებული ადამიანია. მონანიების ნაცვლად იგი კვლავ ცოდვას ამრავლებს.

**— ბევრს ჰგონია, თუ ხორციელად არ იმრუშებს, უცოდველია. ამაზე რას გვეტყვით?**

— ღმერთს ხორციელი და ფიქრისმიერი მრუშობა ერთნაირად სძულს... ერთხელ ღირსმა ექვთიმე დიდმა (V საუკუნე) იმ ადგილას გაიარა, სადაც ავხორცობით ანთებული ბერი ბილწი აზრებით აღელვებული ცოდვილი გულისთქმით ტკბებოდა. მან იყნოსა მრუშობის ეშმაკის სიმყრალე, მიხვდა, რაც ხდებოდა და თქვა: — დაე, აღგკვეთოს ღმერთმა, წყეულო უწმიდურო სულო. ბერი მაშინვე მიწაზე დაეცა და სიშმაგისგან პირიდან დუჟი გადმოუვიდა. ღირსმა ექვთიმე დიდმა შეკრიბა საძმო და უთხრა: იცოდეს ყველამ, მაშინაც კი, თუ სხვის სხეულს არ ეკარები, ანუ ხორციელად არ მრუშობ, გონებაში ცუდ აზრებს უშვებ და ამით ტკბები, მრუში ხარ და ეშმაკი გძლევს.

**— როცა ადამიანს საკუთარი ცოდვების დანახვის ნიჭი არ აქვს, ალბათ, ვერ გრძნობს, რომ სცოდავს და სინანულში არ ვარდება...**

— თუ შენი ცოდვა ვერ დაინახე, როგორ შეიძულებ? თუ არ შეიძულებ, როგორ ჩავარდები სინანულში? არადა,

**ჭეშმარიტი სინანული ცოდვილს წმინდანად აქცევს!**

მამათა ცხოვრებიდან ვიგებთ, რომ ბერებიც კი სცოდავდნენ, მათ დიდი სულიერი ბრძოლები გადაიტანეს... ქრისტესთვის სალოსმა ნეტარმა ანდრიამ (X საუკუნე) იპოვა ბერი, რომლის ცხოვრება ყველას მოსწონდა, მაგრამ, ამავე დროს, უსაზღვრო ვერცხლისმოყვარეობით იყო შეპყრობილი.

**— ბერს საიდან ჰქონდა ფული?**

— აღსარების შემდეგ ბევრი ადამიანი აძლევდა მას დიდძალ ოქროს, რათა მათი სულების გამოსახსნელად ბერს ღარიბებისთვის დაერიგებინა, მაგრამ ვერცხლისმოყვარეობის ჟინით შეპყრობილი შემოწირულობას თავისთვის იტოვებდა. ნეტარ ანდრიას სულიერი თვალი ახელილი ჰქონდა და უბედური ბერის კისერზე საშინელი გველი დაინახა. როცა ნეტარი ანდრია მას მიუახლოვდა, ბერს მათხოვარი ეგონა და უთხრა: — შეგიწყალოს უფალმა, ძმაო, მაგრამ არაფერი მაბადია, რომ მოგცე. ანდრიამ ერთმანეთთან მოკამათე ეშმაკი და ანგელოზი დაინახა. პირველმა თქვა: — ბერი ჩემს ნებას ასრულებს, ძუნწია და ვერცხლისმოყვარე. მეორე შეეკამათა: — არა, მარხულობს და ლოცულობს, მორჩილია, თავმდაბალი. უცებ ანგელოზს ზეციდან ხმა მოესმა: — დაეხსენ მონაზონს, იგი მამონას ემსახურება და არა ღმერთს.

გავიდა ხანი. ანდრია კვლავ შეხვდა ვერცხლისმოყვარე ბერს და უთხრა: — შენ გამო ვდარდობ, ადრე ღვთის ერთგული იყავი, ახლა კი ეშმაკს ემსახურები, რატომ მიენდე სატანას? მზე იყავი, მაგრამ ბოროტ და ბნელ ღამედ იქეცი. რატომ აგროვებ ოქროს, განა მასთან ერთად დაიმარხები, შენი სიკვდილის მერე ხომ სხვას დარჩება? რად იხრჩობ თავს სიძუნწით? ღარიბები მშიერ-მწყურვალნი იღუპებიან სიცივით, შენ კი ოქროს ყურება გახარებს, განა ასეთია ბერმონაზვნობის წესი?.. ამ საუბრის დროს ბერს შინაგანი თვალი აეხილა და დაინახა მხეცისმაგვარი შავი ეშმაკი საშინელი სახით, რის მერეც მთელი ოქრო ღარიბებს დაურიგა და ისე დაიწყო ცხოვრება, ჭეშმარიტ ბერს რომ შეჰფერის. საბედნიეროდ, მან ნეტარი ანდრიას წყალობით დაინახა თავისი ცოდვა.

**— გამოდის, რომ მდიდარი და ძუნწი ადამიანების უკვდავი სულები სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან...**

— უფალი ბრძანებს: „ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვერცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქვენთა. ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ხამლთა, ნუცა კვერთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისაი“. ეს მცნებები არ უნდა დავივიწყოთ.

**ყველამ თავისი ცხოვრების გზა თავად უნდა გამოასწოროს, მოწყალებითა და რწმენით ცოდვები ჩამოირეცხოს.**

**— სამწუხაროდ, ძალიან გახშირდა ქურდობა, სოფლებშიც კი ჰპარავენ ერთმანეთს, რასაც მოიხელთებენ...**

— ყველას მიეზღვება საკადრისი... ამჯერადაც წმიდა მამების ცხოვრებას დავიმოწმებ: ღირსი ლუკა ელადელი (X საუკუნე) თავის მოწაფეებთან ერთად ზღვის მახლობლად, უდაბნოში დამკვიდრდა. ბერები საკუთარი შრომით იკვებებოდნენ — ბარავდნენ, თესავდნენ, მკიდნენ და ხორბალს ფქვავდნენ. ერთხელ ნაპირზე გადმოსული მეზღვაურები ღირსი ლუკას სენაკში შევიდნენ და საფქვავი ქვა მოიპარეს.

**— ბერები სად იმყოფებოდნენ?**

— საქმეზე იყვნენ წასულები. როცა დაბრუნდნენ და დანაკარგი აღმოაჩინეს, ღირსმა ლუკამ მეზღვაურებს სთხოვა, ქვა დაებრუნებინათ, მაგრამ მათ იუარეს, ღმერთს იფიცებდნენ, არ აგვიღიაო. მაშინ წმიდა მამამ თქვა: „თუ არ აგიღიათ, მშვიდობით იცურეთ, ხოლო ამღებს ღმერთი თავად მიუზღავსო“. ღირსი ლუკა წავიდა თუ არა, ქვის ამღები მოულოდნელად მკვდარი დაეცა. შეშინებულმა მეზღვაურებმა ნაქურდალი მაშინვე დააბრუნეს.

**— არც უდანაშაულოთა ცილისწამებას თაკილობენ ჩვენს დროში პირადი გამორჩენის გამო, მერკანტილური მიზნების მისაღწევად...**

— ნეოკესარიელ ეპისკოპოსს (III საუკუნე) ახალგაზრდობაში თანატოლებმა ცილი დასწამეს, მრუშობსო.

**— რატომ მოექცნენ ასე უღირსად?**

— არ უყვარდათ, რადგანაც უბიწოებას ინახავდა და სათნოდ ცხოვრობდა. მოშურნეები ერთ გარყვნილ ქალს მოელაპარაკნენ, რომელმაც წმიდა ყმაწვილს ცილი დასწამა და მრუშობაში საქვეყნოდ „ამხილა“ მასწავლებელთა წინაშე. იგი ხორციელი კავშირისთვის საფასურს ითხოვდა.

ამ ამბავმა ყველა გააოცა, ზოგიერთებმა დაიჯერეს კიდეც ქალის ნათქვამი. მოგზავნილი მეძავი ხმამაღლა ყვიროდა, ყმაწვილს არ შორდებოდა.

**— რით იმართლა თავი?**

— უბოროტომ და მოკრძალებულმა საყვედურიც კი ვერ უთხრა მეძავს, არც განრისხდა, არც თავის მართლება დაიწყო უდანაშაულობის დასამტკიცებლად, მაგრამ გვერდით მდგომ მეგობარს სთხოვა, სასწრაფოდ მიეცა ფული, რომ გაშორებოდა. მან საფასური გადაუხადა მეძავს და გრიგოლი დაუმსახურებელი სირცხვილისგან იხსნა. მაღალმა ღმერთმა, ჭეშმარიტმა მოწმემ, სიცრუე გამოააშკარავა და უსირცხვილო, მატყუარა, მრუშ ქალზე არაწმიდა სული დაუშვა. მიიღო თუ არა დაუმსახურებელი გასამრჯელო, მაშინვე დაისაჯა — მიწაზე დაეცა, საშინელი ხმით აყვირდა, მთელი ტანით ცახცახებდა, კბილებს აკრაჭუნებდა და პირიდან დუჟი გადმოსდიოდა.

**— უკვდავი სულის ხსნის ერთადერთი გზა ჭეშმარიტი სინანულია, მაგრამ თუ საკუთარ ცოდვებს ვერ დავინახავთ, როგორ მოვინანიებთ?**

— შევთხოვოთ უფალს საკუთარ ცოდვათა დანახვის ნიჭი, რათა სინანულში ჩავვარდეთ.

**ვიმეორებ, ჭეშმარიტი სინანული ცოდვილს წმინდანად აქცევს. შეიძლება წლების განმავლობაში იცხოვროს ადამიანმა უწმინდურად, მაგრამ ერთხელაც მივიდეს ტაძარში და ღმერთს პატიება სთხოვოს.**

შეგახსენებთ წმიდა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებს: „განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა. სიკეთის ქმნა ისწავლეთ, ეძიეთ სიმართლე, შეეწიეთ ჩაგრულს, განიკითხეთ ობოლი, ქვრივს გამოესარჩლეთ. მერე მოდით და ცილობა ვყოთ, ამბობს უფალი. მეწამულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით განსპეტაკდება; ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთილასავით გახდება“.

**იესო ამქვეყნად ცოდვილთა სახსნელად მოვიდა. მონანულს მაცხოვარი დაეხმარება, რომ ბოროტება აღარ ჩაიდინოს, უარი თქვას ყოველგვარ უკანონობაზე და სუფთა სინდისით ემსახუროს ღმერთს. უფალი ყველას შეიწყნარებს, ვინც მასთან მოინანიე გულით მივა.**

**ნინო გოძიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რად მიმატოვე, უფალო?!



ერთმა ქრისტიანმა სიზმარში ნახა, თითქოს კვდებოდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც წიგნებშია აღწერილი: ნარნარი მოწყვეტა მიწიდან, საკუთარი სხეულის სიმაღლიდან დანახვა, მერე ბნელ გვირაბში გასვლა, რომლის ბოლოსაც თვალისმომჭრელი ნათებაა და ელვის უსწრაფესი ზე-აღსვლა ნათლისკენ. ძალიან შორს სამოთხის ბჭენი გამოჩნდა. იქ მისვლამდე მომაკვდავმა მოისურვა, თვალი გადაევლო თავისი განვლილი ცხოვრებისთვის, უნდოდა ყველა ნაკვალევი დაენახა, რაც სიცოცხლეში დატოვა. მეყსეულად უკან მიიხედა და მთელი თავისი ცხოვრება დაინახა — მდინარის პირას, ცის კიდეზე, ერთმანეთის მიყოლებით კრთებოდნენ კადრები, ხოლო ქვემოთ, მდინარის გასწვრივ, ქვიშაზე მკვეთრად ჩანდა ორი წყვილი ნაკვალევი — ერთი იესოს ეკუთვნოდა, მეორე — მას.

კაცი გაოცებული დარჩა, რადგანაც ცხოვრების ყველაზე მძიმე მომენტებში, როცა სევდა ახრჩობდა და უფლის შემწეობა სჭირდებოდა, მიწას მხოლოდ ერთი ნაკვალევი აჩნდა. დამწუხრებულმა მაცხოვარს შეხედა და ჰკითხა: უფალო, ხომ შემპირდი, მუდამ შენთან ვიქნები, წამითაც არ მიგატოვებო? ახლა ვხედავ, რომ ცხოვრების ყველაზე მძიმე დღეებში ჩემთან არ ყოფილხარ... რატომ მიმატოვე, უფალო?!

იესომ კაცი გულში ჩაიკრა და ღიმილით უთხრა: შვილო ჩემო, გჯეროდეს, რომ მუდამ მიყვარდი და არასოდეს მიმიტოვებიხარ... ის ერთი წყვილი ნაფეხოსი ჩემია. როცა ყველაზე მეტად გიჭირდა და სასოწარკვეთილს ნაბიჯის გადადგმა აღარ შეგეძლო, ხელში აყვანილი დამყავდიო.

# მათთვის, ვისაც მოწყალების გაღება არ სურს

**ჩვენი სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოწყალების საქმე. აქ არ იგულისხმება ერთგული შემთხვევები, როცა მხოლოდ გულის აჩუყების დროს გავცემთ მოწყალებას. ეს ჩვენი, მართლმადიდებელ ქრისტიანთა, და, უბრალოდ, ჰუმანურ ადამიანთა პირდაპირი და უმთავრესი მოვალეობაა.**



ყველაზე მნიშვნელოვანია ფულადი შესაწირი, მაგრამ, გარდა ამისა, მოწყალების საქმის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის, პირველ რიგში, უნდა გამოყოთ დრო და მერე იფიქროთ, როგორ გამოიყენოთ იგი მოყვასის დასახმარებლად. ქრისტიანმა მთელი დღის განმავლობაში რაიმე სამსახური უნდა გაუწიოს სხვას: თუ ჩვენგან დახმარებას არავინ ითხოვს, თავად უნდა მივაკითხოთ უძლურ და გაჭირვებულ ადამიანებს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მატერიალური დახმარების საშუალება არ გვაქვს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მცირე ლოცვის წაკითხვასაც შეიწირავს ჩვენგან უფალი.

ხორციელი მოწყალების შვიდი საქმე: მშიერთა ჭმევა, მწყურვალთა სმევა, შიშველთა შემოსვა, უცხოთა შევრდომება, სნეულთა მოკითხვა, პატიმართა მიხედვა და მიცვალებულთა დამარხვა.

# ვინ არის «შენ ხარ ვენახის» ავტორი

**ღირსმა დამიანემ (დემეტრე) შთამომავლობას ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები დაუტოვა. ჩვენამდე მოღწეულ იამბიკოებიდან განსაკუთრებით ცნობილია ღვთისმშობლის შესხმა — „შენ ხარ ვენახი“.**

მისი ავტორი, ღირსი დამიანე, წმიდისა კეთილმსახურისა მეფის — დავით აღმაშენებლის ძე იყო. მან სახელი და დიდება მამის სიცოცხლეშივე მოიპოვა.

1177 წელს დავითმა თავისი ვაჟი შირვანს სალაშქროდ გაგზავნა. ახალგაზრდა სარდალმა „ქმნა ომნი და ბრძოლანი, რომელ ყოველნი მხედველნი მისნი განაკვირნა“, აიღო ქალაძოსის ციხე და ურიცხვი ტყვითა და ალაფით დაბრუნდა ძლევამოსილი. დემეტრე დავით გარეჯის უდაბნოში აღიკვეცა ბერად. ანტონ კათოლიკოსის თქმით, ღირსი დამიანე იყო „გამომთქმელი სტიხთა მაღალ შაირთა, რომელნიც დღესვე ჩანან აღწერილად“. იოანე ბატონიშვილი წერდა: „ის იყო მშვენიერი რიტორი, კრიტიკოსი და შემთხზველი უცხოთ შაირთა, რომელმაც მრავალი სწავლანი გამოთქვა“.

ღრმა სულიერებისა და მტკიცე ქრისტიანული რწმენის მქონე დემეტრემ დაასრულა და აკურთხა დიდი დავითის მიერ დაწყებული გელათის ტაძარი. ღირსი დამიანე გელათის მონასტერშია დასაფლავებული.





# ილია ბარბაქაძე: ლოთობის მავნე ჩვევას უფლის შეწევნით დავაღწიე თავი

**ილია ბარბაქაძეს ლოთობამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ცხოვრებაში — ცოლ-შვილი გაექცა, სამსახური დაკარგა, უახლოესი მეგობრები მასთან ურთიერთობას გაურბოდნენ. ღვთის შეწევნა რომ არა, ალბათ, ვერასოდეს ამოვიდოდა იმ ჭაობიდან, რომელშიც საკუთარი ნებით აღმოჩნდა. აი, რა გვიამბო ბატონმა ილიამ.**

— ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე გავლოთდებოდი, რადგანაც ალკოჰოლიან სასმელებს იშვიათად ვეტანებოდი. ძირითადად, დაბადების დღეებსა და სხვა დღესასწაულებზე ვსვამდი. ბავშვობიდან მინერგავდნენ ღვთის სიყვარულს, მორწმუნე ბებია მყავდა და ტაძარში ხშირად დავყავდი ხოლმე. მან მასწავლა ლოცვა, პირჯვრის გადაწერა, სანთლის დანთება.

— **ეკლესიურად ცხოვრობდით?**

— დიახ. მეუღლეც ღვთისნიერი შემხვდა. ჯვრისწერის შემდეგ ყოველ შაბათ-კვირას ერთად დავდიოდით ტაძარში წირვა-ლოცვაზე. ჩვენს მოძღვართან ბავშვებიც ხშირად დაგვყავდა ხოლმე.

— **რამდენი შვილი გყავთ?**

— ქალ-ვაჟი, გიორგი და მარიამი; მესამე — დავითი დაგვეღუპა...

— **რა დაემართა?**

— ერთ ღამესაც ბავშვს სიცხემ აუწია. ისეთი მაღალი ტემპერატურა ჰქონდა, თერმომეტრი ვეღარ ზომავდა.

— **ექიმებმა რა თქვეს?**

— ზუსტი დიაგნოზი ვერ დაუსვეს. მათი თქმით, ბიჭს რაღაც ვირუსი შეეყარა...

— **რა ხნის იყო მაშინ დათო?**

— წლის და 7 თვის. მედიკოსთა მცდელობის მიუხედავად, ბავშვი დაიღუპა. არასდროს დამავიწყდება საავადმყოფოში გატარებული უძილო ღამეები. ჩემი შვილი სიკვდილს ებრძოდა, პატარა არსებას სიცოცხლე სწყუროდა, მე კი უძლური ვიყავი, ვერ ვშველოდი. დათოს სიკვდილმა გამანადგურა, დამშალა, პიროვნულად დამანგრია. ღვთის შეწევნის იმედი ბოლომდე არ დამიკარგავს, მეგონა, უფალი შვილს არ წამართმევდა, მაგრამ... განვრისხდი ღმერთზე, დაჭრილი ვეფხვივით ვღრიალებდი ამხელა კაცი, ჩემი ბიჭუნას ციცქნა კუბოს ლამის ზედ დავაკვდი.

— **თქვენმა მეუღლემ როგორ გადაიტანა ეს ტრაგედია?**

— ჩემი შემხედვარე, ცდილობდა, მტკიცედ ყოფილიყო, რადგანაც ეშინოდა, ქმარი არ გამიგიჟდესო და უფრო მამაცურად ეჭირა თავი. მე კი სასოწარკვეთილებას მივეცი, რწმენა შემერყა, უფლის სამართლიანობასა და, საერთოდ, მის არსებობაში ეჭვი შემეპარა, ტკივილმა თავგზა ამირია, აღარ ვიცოდი, რა მექნა, უბედურებას ვერ გავუმკლავდი და გამოსავალი მოვძებნე — სასმელს მივეძალე, თანაც არყის სმა დავიწყე, რათა მალე დავმთვრალიყავი და ტკივილი დროებით მაინც გამექარვებინა. დათოს დასაფლავების მერე ფხიზელი აღარავის ვუნახივარ.

— **ტაძარში არ წახვედით, თქვენს მოძღვარს არ ესაუბრეთ?**

— ეკლესიისკენ გახედვაც აღარ მინდოდა, ძალიან გაბოროტებული ვიყავი. გამოუფხიზლებლად ვსვამდი. შედეგმაც არ დააყოვნა — სამსახურიდან გამომაგდეს, ცოლმა ბავშვებს ხელი მოჰკიდა და დედამისთან გადავიდა საცხოვრებლად. უახლოესი მეგობრები ჩემთან ურთიერთობას გაურბოდნენ. სახლში მარტო ვიყავი, ტანს თვეობით არ ვიბანდი, უბნის ლოთებს დავუმეგობრდი, მათთან ერთად ვსვამდი.

— **როგორ მოახერხეთ ამ ჭაობიდან ამოსვლა?**

— ღვთის შეწევნით!.. ერთ ღამესაც სიზმრისეული ხილვა მქონდა. უფალი იესო გამომეცხადა, მიწაზე გართხმული ხელში ამიყვანა პატარა ბავშვივით და მწვანე მოლზე დამსვა. ირგვლივ ენით აუწერელი სილამაზე იყო. უცებ, გარშემო ჩემი დათოს ხელა გოგო-ბიჭები შემომეხვივნენ, იცინოდნენ, საყვარლად დაბაჯბაჯებდნენ. პატარებს ერთი ბავშვი გამოეყო, ჩემთან მოვიდა და ჩამეხუტა.

— **დათო იყო?**

— დიდხანს ვიყავით ასე, გალვიძება აღარ მინდოდა. ამ ხილვით უფალმა მაჩვენა, რომ ჩემი ბიჭი ცოცხალია, კარგად არის და ტყუილად განვიცდი, დარდს სასმელში ვიკლავ. თითქოს გონება გამინათდა, სევდა გულიდან გადამეყარა, აზრზე მოვედი, სულში კვლავ სითბო ჩამეღვარა. სმას თავი დავანებე, ახალი სამსახური ვიშოვე და ცოლ-შვილიც დავიბრუნე.

# სულისთვის სასარგებლო რჩევები



**● როცა ადამიანი ცდილობს, იქონიოს გული დამდაბლებული და შეინარჩუნოს სიმშვიდე, მტრის ყველა მზაკვრული ცდუნება განუხორციელებელი რჩება. იქ, სადაც გულისთქმათა სიმშვიდე სუფევს, თვით ღმერთი განისვენებს.**

**● თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია და გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები.**

**● მრავლისმეტყველება კადნიერების საწინდარია, ტყუილის მსახური, ლმობიერების დამხსნელი, ძილის წინამძღვარი.**

**● ლოცვისას ნუ მრავლისმეტყველებ, რათა გონება არ დაგებნას სიტყვათა ძიებაში. მეწვერეს ერთმა სიტყვამ მოწყალეჰყო ღმერთი და ერთმა სიტყვამ აცხონა ავაზაკი. მრავლისმეტყველება გონებას აბნევს, მოკლე სიტყვა კი კრებს.**

**● ცხოვრება სამოთხე არ არის, იგი სამოთხიდან განდევნილთა ყოფაა, ამიტომ ყოველთვის მზად იყავით სხვადასხვა მწუხარებისა და განსაცდელისთვის, ნუ ჩავარდებით სასოწარკვეთაში, უფალი იმაზე მეტ ტვირთს არ მოგცემთ, რისი ზიდვაც არ შეგიძლიათ.**

**● ერთხელ წმიდა ანტონი დიდმა იხილა ეშმაკის ყოველგვარი მახე და შეძრწუნებულმა იკითხა, ვინმე თუ გადაურჩებაო. მას ხმა შემოესმა: მხოლოდ თავმდაბალნი და მშვიდნი.**

# კითხვა-პასუხი

**მარხვის გარდა, კიდევ რომელ დღეებში არ შეიძლება ჯვრისწერა?**

— საეკლესიო კანონის თანახმად, ჯვრისწერა, მარხვის დღეების გარდა, არ აღესრულება უფლის ბრწყინვალე აღდგომიდან ერთი კვირის განმავლობაში და შობის მარხვის მომდევნო კვირაში.

**რა სამღვდელო იერარქიებია მართლმადიდებლურ ეკლესიაში?**

— მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქია სამ საფეხურად იყოფა: დიაკვანი, მღვდელი, ეპისკოპოსი. მღვდელს ენიჭება დეკანოზისა და მთავარხუცესის ხარისხი, ეპისკოპოსს — პატრიარქის. მღვდელს და დიაკვანს მივმართავთ: „მამაო“, ხოლო ეპისკოპოსს — „მეუფეო“.

ტაძარში ღვთისმსახურების დროს სამღვდელოება წოდებების მიხედვით იყოფა. დიაკონი მღვდელს ღვთისმსახურებაში ეხმარება. საეკლესიო მსახურებას ასრულებენ მედავითნე, მნათე, სტიქაროსანი და მგალობლები.

**შეიძლება თუ არა ქუჩაში ნაყიდი სანთლების კურთხევა?**

— ყველაფრის კურთხევა შეიძლება, რაც კეთილ საქმეს ემსახურება და ეკლესიის წესებს არ ეწინააღმდეგება. სანთლის დანთება უფლისთვის კეთილი საქმეა, თუმცა სჯობს, ეკლესიაში შეიძინოთ, რადგანაც გადახდილი თანხა ტაძარს მოხმარდება, ეკლესია ხომ ქრისტიანის გადარჩენის გზაა.

**მომნათლა ეკლესიისგან განკვეთილმა მოძღვარმა, ვითვლები თუ არა მონათლულად?**

— თუ ნათლობის საიდუმლო მაშინ აღსრულდა, როცა მღვდელი დედაეკლესიის წიაღში იყო და მისი კურთხევით მოქმედებდა, მონათლულად ითვლებით, მაგრამ, თუ ნათლობა მისი განკვეთის მერე აღესრულა, არ ითვლებით მონათლულად, რადგანაც განკვეთილის მიერ აღსრულებულ საიდუმლოზე სულიწმიდის მადლი არ გადადის და თავიდან უნდა მოინათლოთ.

**რამდენად მართებულია მობილური ტელეფონით მოძღვრისთვის დალოცვის თხოვნა?**

— ყოველი გამოგონება შეიძლება ღვთის სამსახურში ჩავაყენოთ და ადამიანის სასიკეთოდ მოვიხმაროთ. თუ ადამიანმა იმდენი მოახერხა, რომ სივრცე გადალახა და მეორე ადამიანს დაუკავშირდა, რატომ არ შეიძლება თავის მოძღვარსაც დაელაპარაკოს და დალოცვა სთხოვოს? ამაში ღვთისა და ეკლესიის საწინააღმდეგო არაფერია.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# გუდარეხის აჩრდილები

## ალგეთის ხეობა

**ჩვენი გაზეთისა და რუბრიკის ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ რამდენიმე წინა ნარკვევი ალგეთის ხეობის სათავეებში მოგზაურობას მიეძღვნა. ახლა ხეობის შუაგულში ჩამოვინაცვლოთ და მისი უმთავრესი ძეგლი — გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი მოვინახულოთ. გუდარეხში სამი მხრიდან შეიძლება მოხვედრა: ჩრდილო-დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. პირველი ორი გზა მეტად რთულია და საავტომობილოც პირობითად ეთქმის. ყველაზე მოსახერხებელი მესამე მიმართულებაა.**


მინიატურული ეკლესია

ქსოვრეთიდან სოფელ გუდარეხისაკენ მიმავლებმა ახალი გზიდან მარჯვნივ, ტყეში ჩარჩენილი ძველი გზის პირას, პირველ საყურადღებო ძეგლს მივაკვლიეთ. ჩვენ წინაშე აღიმართა ძალიან ლამაზი ქვაჯვარი, რომელიც პოსტამენტთან ერთად 2,5 მეტრია სიმაღლეში. მკლავების გადაკვეთის ცენტრში ორმაგი დისკოა გამოკვეთილი, თავად მკლავები კი მოჩუქურთმებულია. სამკაულთა ფორმის მიხედვით ქვაჯვარი XIII საუკუნისას წააგავს და გუდარეხის კომპლექსის მშენებლობის დროს უნდა დაედგათ. აქვე ქვაჯვრის გარეშე შემორჩენილია შედარებით მცირე პოსტამენტიც. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ქვაჯვრები ერთგვარი სამანიც იყო გუდარეხის სამონასტრო მიწებისათვის, რომლებშიც სოფელი გუდარეხიც მოიაზრებოდა. მართალია, უშუალოდ სოფელი გუდარეხი იურიდიულ საბუთებში პირველად 1536 წელს იხსენიება, მაგრამ მის ტერიტორიაზე შემონახული ეკლესიის ნაშთები გაცილებით ძველია (დაახლოებით XII-XIII სს.). მახვილი თვალი იმასაც შეამჩნევს, რომ ადრე საყდარს ჩრდილოეთის მინაშენიც ჰქონდა.

როგორც 1536 წლის ბარათაშვილთა გვარის გაყრილობის წიგნი იუწყება, სოფლის ნახევარი და საუხუცესო (მათ შორის ეს ეკლესია) იოთამს რგებია წილად. გვარის შემდგომი დანაწევრების შემდეგ აქ მებატონეებად გერმანოზიშვილ-ბარათაშვილები ირიცხებოდნენ. ამ ხანებში უნდა იყოს აგებული ბორცვზე შემომდგარი კოშკი, რომელიც ალგეთის ხეობის დამცავი ბასტიონების (ბირთვისი, ფარცხისი, ორბეთი) სისტემის ერთი რგოლი უნდა ყოფილიყო.

გზას სოფლიდან დასავლეთით — გუდარეხის ცნობილი მონასტრისკენ ვაგრძელებთ. ტყეში 200 მეტრიც არ გვექნება გავლილი, რომ გუდარეხის ხევის მარცხენა მხარეს, ზედ გზის ნაპირზე, კიდევ ერთ დიდ ქვაჯვარს ვხვდებით. 240 სმ-ის სიმაღლის ქვა, რომელსაც ჰორიზონტალური მკლავების ერთი ნაწილი ჩამოტეხილი აქვს და პოსტამენტიც არ გააჩნია, ხეზეა მიყრდნობილი.

კიდევ ორი კილომეტრიც და გუდარეხის სამონასტრო




ქვაჯვრები

კომპლექსის პირველი ნაგებობაც გამოჩნდება. იგი გალავანს გარეთ დგას და მთის ყვავილივით ანათებს. როგორც შემდეგ აღმოვაჩინეთ, ეს ტაძარი გუდარეხის დიდი საყდრის ერთგვარი მინიატურული მოდელია. ასეთი პატარა და მომხიბლავი ნაგებობა მეორე არ მინახავს ჩვენში. იგი სიგრძეში სულ 4,5 მეტრია, სიგანეში — 3. ქვიშაქვის ოქროსფერი, აქა-იქ ღვინისფერი და ფირუზისფერი კვადრები უზადოდაა გათლილი და ერთმანეთზე მორგებული. საყდარს არც სამკაული აკლია...

აქედან მონასტრის კარიბჭემდე შორი აღარაა...

კარიბჭეს, რომლითაც მონასტრის ეზოში შევდივართ, „ცოტა კარნი“ ჰქვია... მას შემდეგ, რაც დიდი კარიბჭე მოირღვა, მთავარი შესასვლელის ფუნქცია მას დაეკისრა. იგი ჩრდილო-დასავლეთ მხარესაა გალავანში. გალავანი კარგად გათლილი ქვითაა ნაგები. კედლების სიმაღლე, რელიეფის შესატყვისად, 3-დან 5 მეტრამდე მერყეობს. სხვადასხვა ფორმის კონტრფორსებთან ერთად, გალავანს მრავალი ამბრაზურა აქვს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მონასტერი თავისებური ციხესიმაგრეც ყოფილა.

გუდარეხის მონასტერი რუსუდანის მიერ დატოვებული უმთავრესი სამშენებლო ქმნილებაა. ადრე ისიც კი ეგონათ, რომ იგი სწორედ აქ იყო დაკრძალული, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. 1245 წელს რუსუდანი გელათში დაასაფლავეს.

რაც შეეხება სასახლის ნაშთებს, იგი, შესაძლებელია, მართლაც რუსუდანისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, იგი მონასტრის მშენებლობის დასრულებას ვერ მოესწრო.

სასახლე სიგრძეში 18 მეტრს აღწევს, სიგანეში — 7-ს. კედლების სისქე 1 მეტრია. როგორც ვარაუდობენ, 2-სართულიანი ნაგებობა ჩარდახიანი კამარით უნდა ყოფილიყო გადახურული. აქ პირველი სართული მარანს ჰქონია დათმობილი... მარანი ყოფილა მონასტრის სატრაპეზოშიც, რომელიც მთავარი ტაძრიდან სამხრეთ-დასავლეთითაა. 9,5X5,5 მ ფართის ეს ნაგებობა 3 მინიატურულ სადგომად ყოფილა დანაწევრებული.

მთავარ ტაძარს დასავლეთით ემიჯნება დიდი სენაკი, ხოლო სამრეკლოდან აღმოსავლეთით არის მცირე სამლოცველო, რომელსაც სამხრეთიდან მინაშენიც ჰქონია და წარწერაც: **„ქრისტე, შეიწყალე შალვა“.** კიდევ უფრო აღმოსავლეთით არის „ჩუქურთმიანი შენობის“ კომპლექსი, რომელიც 3 ნაწილისაგან შედგება და ფასადებით აღმოსავლეთზეა ორიენტირებული. ამათგან ორი სენაკი უნდა იყოს, ერთი კი — საჟამნო. აქვეა კლდეში ჩადგმული ემბაზი.

კომპლექსის ტერიტორიაზე სხვა მრავალი ნაგებობის ნაშთია, რის გამოც თავის დროზე გაოცებას ვერ მალავდა ექვთიმე თაყაიშვილი — ერთი მონასტრის ტერიტორიაზე თავმოყრილი ამდენი შენობა სხვაგან არსად მინახავსო...

...დაბოლოს, კომპლექსის ორი მთავარი ნაგებობა. წმიდა გიორგის სახელობის დიდი დარბაზული ეკლესია სიგრძეში, დაახლოებით, 16,5, სიგანეში კი 9,5 მეტრია. მისი პერანგი ალგეთის წითელ-ყვითელი ქვებითაა „ჩამოსხმული“.

ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი კოჯრის (აგარანის) კაბენის ეკლესიის დეკორატიულ სისტემას იმეორებს, რომელიც სათავეს სამთავისის საყდრიდან იღებს.

დასავლეთ ფასადს ჩუქურთმები არ ამკობს, მაგრამ წითელი ქვების სიჭარბე აელვარებს.

ჩრდილოეთით ტაძარს აქვს რამდენადმე გვიანდელი დაბალი მინაშენი (თითქმის ტაძრის მთელ სიგრძეზე), რომელშიც თავდაყირაა ჩადგმული ორი ცალი წარწერიანი ქვა. მართალია, სამხრეთის ფასადი აღმოსავლეთივით მდიდრულად არ არის მორთული, მაგრამ მშენებლობის ზუსტ დათარიღებაში სწორედ იგი გვეხმარება. მისი ასომთავრული წარწერა გვეუბნება: **„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმიდისა გიორგი. მთავარმოწამისაითა აეშენა წმიდა ესე ეკლესია ხელითა ფრიად ცოდვილისა ჭიჭაფორისძისათა სალოცველად და სადიდებლად დედოფალთ-დედოფლისათვის რუსუდან დედოფლისა და შვილთა მისთა დღეგრძელობისა და ჩემისა სულისათვის. ესე წმიდაი ეკლესია მე გლახაკმან ანტონ მანგლელმან ვაკურთხე უფასოდ სალოცველად სულისა ჩემისა“.** ამგვარად, მონასტერი შენდებოდა 1223-1246 წლებს შორის.

წმიდა გიორგის საყდრის შიდა სივრცე, XIII საუკუნის საკადრისად, მაღალი და გაშლილია. ჩრდილოეთის კარით მინაშენში გავდივართ. ტაძარში შემორჩენილი რამდენიმე ფრესკა გვ. შუასაუკუნეებისა უნდა იყოს. როგორც ყველა დიდ ტაძარში, ერთ-ერთი ნაშთიდან სამალავში ასასვლელი ხვრელი აქაც არის.

გუდარეხის მონასტერი რომ XVII საუკუნეში აღუდგენიათ, ამას ტაძრის შიგნით არსებული საფლავის ერთი ქვაც ადასტურებს: **„მოიხსენე, უფალო, ამა მონასტრისა მეორეთ გამკეთებელი წინამძღვარი დომენტი. ამინ. 1682 წელი“.**

XVII საუკუნიდან გუდარეხის ტაძარი თავიანთ საძვალედ გერმანოზიშვილებს მიუღიათ მემკვიდრეობით. გერმანოზიშვილები კარგა ხანს ქართლის მეფის კარზე მეჯინიბეთუხუცესები ყოფილან. ერთ-ერთი საფლავის ქვა სწორედ ამას გვამცნობს: **„განსასვენებელსა ამას და საფლავსა შინა მდებარე ვარ მე — გერმანოზისშვილი მეჯინიბთუხუცესი, ომან ყაენის მუსაბი, შვიდასის თავის მიმრთმეველი ყაზბაგათისა... ასაულდ პატრონი ომანისა — ყანდაარს 30-ჯერ შებმული. ვინცა მობრძანდეთ, შინდობანი ბძანეთ ქორონიკონსა ამას უდ“.** ეს ჩვენეული აღრიცხვით 1716 წელია. კომპლექსის მშვენებაა მისი სამრეკლო, რომელიც არათუ ყველაზე მოხდენილია საქართველოში, არამედ, ალბათ, ყველაზე ადრინდელიც.

სამრეკლოს აღმოსავლეთ ფასადზე არის ასომთავრული წარწერა, რომელიც ზუსტად ათარიღებს მას:

**„ადიდენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველი მეფეთ-მეფე დიმიტრი. მე მიწაი მეფობისა მათისაი ულირსი მღუდელი და ჯვარის მტვირთველი აბრაჰამ, ღირს ვიქმენ აღშენებად სამრეკლოთა ამათ სადიდებლად მეფობისა მათისა და სალოცველად სულისა ჩემისა და ძმისა ჩემისა... შეიწირენ ღმერთმან და ყოვლად წმიდამან მშობელმან მისმან. ამენ! ქორონიკონსა 498-ს“.** ჩვენეული ათვლით ეს არის 1278 წელი, მეფე დიმიტრი კი დემეტრე თავდადებული გახლავთ.


წმიდა გიორგის ტაძარი


სასახლის ნაშთი

გუდარეხის მონასტერი მშვენიერ ადგილზეა აშენებული, ტყეში ჩაფლულ ბორცვზე, სადაც სრულ იდუმალებას გუდარეხის კამკამა წყლის ბუტბუტი არღვევს. ვზივარ ახლა ამ პატარა მდინარის ნაპირზე და თითქოს წინაპართა აჩრდილები შემოდიან: რუსუდან მეფე, მანგლელი ეპისკოპოსი ანტონ ნაოხრებლიძე, ხუროთმოძღვარი ჭიჭიფორისძე, ჯვრის მტვირთველი (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი) აბრაამი, დემეტრე თავდადებული და მასსავით წმინდანად შერაცხილი ლუარსაბ მეორე, რომელიც იმდენად შეჭირვებული ყოფილა, რომ მონასტრისათვის უკანასკნელი ფული — 5 თუმანი თეთრი შეუწირავს. ვხედავ ბარათაშვილებს, ვხედავ ნუმიზმატ ბართლომეის, წარწერების გადმოღებას რომ ცდილობს, ვხედავ წმიდა ექვთიმეს, ვინც ყველაზე უკეთ შეისწავლა ეს ძეგლი.

როგორ მიქრის დრო...

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კავკასიის ფრონტი და სარიყამიშის ბრძოლა

დასასრული. დასაწყისი იხ. №33

**1915 წლის თებერვალ-აპრილში რუსეთისა და თურქეთის არმიები თავს იწესრიგებდნენ. ბრძოლებს ლოკალური ხასიათი ჰქონდა. მარტის ბოლოს რუსულმა არმიამ თურქებისგან გაწმინდა სამხრეთ აჭარა და მთელი ბათუმის ოლქი. რუსული არმიის მიზანი იყო, ბათუმის რაიონიდან მთლიანად გამოეძევებინა თურქები და სპარსეთში რუსეთის გავლენის გასამყარებლად შეტევა სპარსულ აზერბაიჯანზე განეხორციელებინა.**



ასრულებდა რა გერმანია-თურქეთის საომარ გეგმას „ჯიჰადის“ (მუსლიმანთა წმინდა ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ) თაობაზე, თურქული არმია სპარსეთისა და ავღანეთის ჩათრევას ცდილობდა რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ ომში; მას უნდოდა, ერევნის მიმართულებით განხორციელებული შეტევით რუსეთი როგორმე აეძულებინა, რომ ამ უკანასკნელს ბაქოს ნავთობის მწარმოებელი რაიონი დაეტოვებინა.

* * *

აპრილის ბოლოს სპარსულ აზერბაიჯანში თურქული არმიის ცხენოსანთა რაზმები შეიჭრნენ. თურქეთის არმიის ზურგში აღსდგა სომეხი მოსახლეობაც; აჯანყების ჩასახშობად დატოვებულმა თურქულმა დივიზიამ ქალაქ ვანში ალყაში მოიქცია სომხები.

ამ შეტევამ **ვანის ბრძოლის** სახელი მიიღო. 30 ოქტომბერს რუსული ჯარები პორტ ენზელში გადმოსხეს. დეკემბრის ბოლოს რუსებმა თურქული შეიარაღებული რაზმები გაანადგურეს და თავიანთ კონტროლს ჩრდილოეთ სპარსეთის ტერიტორია დაუქვემდებარეს, რითაც აღკვეთეს სპარსეთის გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ და უზრუნველყვეს კავკასიის არმიის მარცხენა ფლანგის დაცვა.

* * *

1916 წლისათვის თურქებს არ ჰქონდათ კონკრეტული გეგმა ბრძოლის საწარმოებლად. რუსთა არმიას კი სამი მიმართულებით ჰქონდა განსაზღვრული თავისი მოქმედება: **ერზრუმის, ტრაპეზუნდისა და ოგნოს**.

რუსები შიშობდნენ, რომ ეს ჯარები კავკასიის ფრონტზე იქნებოდა გადასროლილი, ამიტომ თურქეთის არმიის განადგურების გადაწყვეტილება მანამ მიიღეს, ვიდრე მათთან დამხმარე ძალა მივიდოდა.

რუსთა შეტევა იანვარში დაიწყო. მათ შეაღწიეს თურქთა ზურგში. თურქები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. 20 იანვარს რუსთა ჯარები ერზრუმს მიადგნენ.

**კავკასიის არმიის მთავარსარდალმა, დიდმა თავადმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ამ ციხესიმაგრის აღების გადაწყვეტილება მიიღო. შეტევა 29 იანვარს დაიწყო; 3 თებერვალს ერზრუმი აიღეს. თურქთა არმიამ უკან დაიხია, მან პირადი შემადგენლობის 50 პროცენტი და მთელი არტილერია დაკარგა. მაშინ, როცა რუსულმა არმიამ ამ ოპერაციის დროს პირადი შემადგენლობის მხოლოდ მეათედი დაკარგა.**

1916 წლის საომარი მოქმედებების შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. რუსების არმია თურქეთის სიღრმეში 250 კილომეტრზე შევიდა, დაიკავა უმნიშვნელოვანესი პუნქტები — ერზრუმი და ტრაპეზუნდი. **კავკასიის არმია თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებდა — დაეცვა ამიერკავკასია თურქთა შემოსევისაგან უზარმაზარ ფრონტზე, რომლის სიგრძე 1916 წლის ბოლოსათვის 1000 კილომეტრს აღემატებოდა.**

1917 წლის კამპანია კავკასიის ფრონტზე მიწყნარდა. მკაცრი ზამთარი ართულებდა საომარ მოქმედებებს. სურსათისა და ფურაჟის მიწოდება გაჭირვებით ხერხდებოდა. დაიწყო ეპიდემიები და ავადმყოფობები. 1917 წლის დასაწყისში კავკასიის არმიაში ავადმყოფობითა და ჭრილობებით 100 ათასი კაცი გარდაიცვალა.

**ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთში და შემდგომ 1918 წელს ბრესტის ზავმა რუსული არმიის წარმატებები კავკასიის ფრონტზე გააქარწყლა**. ამ ხელშეკრულების საფუძველზე რუსულ არმიას უნდა დაეტოვებინა არა მარტო დაკავებული ტერიტორიები თურქეთში, არამედ ბათუმის მხარეშიც და იგი ოსმალეთის იმპერიის ხელში უნდა გადასულიყო.

**ბრესტის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ თურქულმა არმიამ არა მარტო ბათუმის ოკუპაცია მოახდინა, არამედ მთელი ამიერკავკასიის, სომხეთისა და აზერბაიჯანისა, დაიკავა რა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიცაა ბათუმი და ბაქო (1918 წლის ოქტომბერში);** თურქეთის ჯარები გადაადგილდნენ დერბენტისკენ, ოღონდ 1918 წლის 30 ოქტომბერს თურქეთმა კაპიტულაცია მოახდინა. მის ჯარებს უნდა დაეტოვებინა მათ მიერ აქამდე დაკავებული ტერიტორიები; ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, ბათუმი და ბაქო ინგლისის ჯარებს უნდა დაეკავებინათ.

1918 წლის ბოლოს საომარი მოქმედებები კავკასიაში შეწყდა, ოღონდ მათ სხვა ბევრი კონფლიქტი მოჰყვა.

* * *

1916 ბოლოს ომის შედეგები ძალიან მძიმედ აისახა რუსეთზე, ქვეყანა პრაქტიკულად შიმშილის ზღვარზე იყო. კომუნისტების გამოსვლები კიდევ უფრო ამწვავებდა სიტუაციას. ომის გარდა ქვეყანაში სერიოზული შინა არეულობა დაიწყო. ამ მოვლენების შედეგად 1917 წლის 15 მარტს ნიკოლოზ II იძულებული გახდა, უარი ეთქვა ტახტზე.

გერმანელებმა კარგად იცოდნენ რუსეთში არსებული სიტუაციის შესახებ და, როგორც კი შეეძლოთ, ხელი შეუწყვეს ბოლშევიკებს; დააბრუნეს რუსეთში მათი ლიდერი — ლენინი, რომელმაც ოქტომბრის რევოლუცია დააჩქარა.

დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრი ალექსანდრე კერენსკი კი ცდილობდა, მოეგვარებინა დემორალიზებულ არმიაში სიტუაცია. მან გალიციაში დიდი შეტევის გეგმა დაამუშავა, ბრუსილოვი კი მთავარსარდლად დანიშნა. შეტევა 1 ივლისს დაიწყო, რომელსაც წინ ორდღიანი საარტილერიო მომზადება უძღვოდა. რუსებმა მოახერხეს ფრონტის გარღვევა, მაგრამ ისევ და ისევ ცუდი მომარაგების გამო ვერ შეძლეს შეტევის გაგრძელება, ავსტრიელებმა კი მოკლე ხანში მოაგროვეს რეზერვები; 16 ივლისს რუსები ფრონტის მთელ ხაზზე შეაჩერეს. რუსეთში პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, გერმანელებმა ამით ისარგებლეს და სექტემბერში რიგა აიღეს.

**ნოემბერში კი რევოლუცია მოხდა და რუსეთი პრაქტიკულად გამოეთიშა ომს. 1918 წლის 3 მარტს კი რუსებმა ბრესტ-ლიტოვსკში ზავს მოაწერეს ხელი, რომლითაც დაკარგეს ბალტიისპირეთი, ფინეთი, ამიერკავკასიის სამხრეთი და უკრაინის დიდი ნაწილი. გერმანიამ კი მთელი ძალები დასავლეთ ფრონტზე გადაისროლა.**

**პირველმა მსოფლიო ომმა კორექტივები შეიტანა არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიო რუკაზე. გერმანიამ დაკარგა აფრიკის და აზიის კოლონიები; ასევე, ელზასი და ლოტარინგია. მძლავრ გერმანიის იმპერიას ჩაენაცვლა არასტაბილური, ღატაკი ვაიმარის რესპუბლიკა, რომელმაც 1933 წლამდე იარსება. გერმანიის მოსახლეობა დაიტანჯა შიმშილით და სიღატაკით, ომს ეკონომიკის სრული კრახი და 20-ანი წლების დასაწყისში ჰიპერინფლაცია მოჰყვა. კომუნისტები ყველა ხერხით ცდილობდნენ სახელმწიფოს სათავეში მოსვლას. მათ დაუპირისპირდნენ ნაციონალ-სოციალისტები, რომლებმაც საბოლოო ჯამში გამარჯვება მოიპოვეს.**

დაიშალა ავსტრო-უნგრეთი. წარმოიქმნა დამოუკიდებელი ავსტრიის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკები. ასეთივე ბედი ეწია ოტომანთა იმპერიასაც. არაბებმა თავისი ფსევდო დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნეს, რომლებიც ინგლისისა და საფრანგეთის კონტროლის სფეროებად იქცნენ.

იტალიაშიც პოლიტიკური არასტაბილურობა იყო, სანამ ხელისუფლებაში დიქტატორი ბენიტო მუსოლინი არ მოვიდა. დიდ ბრიტანეთში ძალიან მძიმე ეკონომიკური კრიზისი სუფევდა, არ წყდებოდა მუშათა და ჯარისკაცთა გამოსვლები. გამარჯვებულ ქვეყნებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში საფრანგეთი აღმოჩნდა. ოთხი წლის მანძილზე სწორედ მის ტერიტორიაზე გადიოდა ფრონტის ხაზი; ეკონომიკა დანგრეული იყო, ფრანგი მამაკაცების 27% ომში დაიღუპა.

რუსეთის იმპერია დაემხო და 20-ანი წლების დასაწყისში ქვეყანაში საშინელი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. 1922 წელს გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა და დეკემბერში ახალი სახელმწიფო — სსრკ ჩამოაყალიბეს.





არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

უნივერსალური წყალი „ისიდა“

მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა



**სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს დღიური ნორმის ოდენობით:**

**იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

მსურველებმა დარეკონ თბილისში: 899-16-30-219 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# არასრულწლოვანის მკვლელის საქმე სტრასბურგში გაასაჩივრეს

**მკვლელობა 2007 წლის მარტში თბილისში, ენგურის ქუჩაზე, მოხდა; არასრულწლოვანთა შორის დაწყებული ჩხუბი ერთ-ერთის მკვლელობით დასრულდა. მალე გამოძიებამ ეჭვმიტანილიც დააკავა — 18 წლის გივი ვაშაკიძე. იგი უკვე მეორე წელია, მკვლელობისთვის სასჯელს იხდის. არც ერთმა ინსტანციამ მას არც სასჯელი შეუმსუბუქა და არც გაამართლა, როგორც ამას ბრალდებულის ოჯახი მოითხოვდა. ამჟამად საქმე სტრასბურგშია გასაჩივრებული, ხოლო ვაშაკიძის ადვოკატი ამ საქმის პროკურორის, დავით ხიზანაიძის მიმართ სისხლის სამართლის დევნის დაწყებას ითხოვს. ამ მიზნით ადვოკატმა უკვე მიმართა ახალდანიშნულ მთავარ პროკურორს, მურთაზ ზოდელავას.**



მანამდე კი ჩავიხედოთ საქმის მასალებში და ვნახოთ, რა მოხდა 2007 წლის 21 მარტს: **მკვლელობის ღამეს, დაახლოებით ღამის 12 საათსა და ათ წუთზე, გივი ვაშაკიძე მეგობრებთან — ციბაძესთან და ბეროშვილთან ერთად დოლიძის ქუჩაზე რევაზ ფუხაშვილს შეხვდა. ვაშაკიძესა და ფუხაშვილს შორის შელაპარაკება მოხდა, რაც ჩხუბში გადაიზარდა. ვაშაკიძემ ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოიღო, ფუხაშვილი გულმკერდის არეში დაჭრა და მიმალვას შეეცადა, მაგრამ მსუბუქი ხარისხის დაზიანებით იგი საავადმყოფოში მოათავსეს.“**

ცნობისთვის: ადვოკატი მაშინაც და ახლაც ითხოვს ვაშაკიძის დაზარალებულად ცნობას, მაგრამ პროკურატურამ ვაშაკიძე დაზარალებულად არ ცნო.

გამოძიების მასალებში არ კონკრეტდება, თუ რა ნიადაგზე შელაპარაკდნენ ბიჭები. სამაგიეროდ, შელაპარაკების ვერსიაზე მოკლულის დედა — ლია გოგილაძე საუბრობს. მისი მტკიცებით, დაპირისპირება მანქანის გამო დაიწყო: **„ნასვამმა ვაშაკიძემ ჩემს შვილს მანქანის გასაღები სთხოვა და უარი რომ მიიღო, ჩხუბიც ამას მოჰყვა.“**

მართალია, ვაშაკიძე და ფუხაშვილი თანაკლასელები იყვნენ (ისინი № 61 სკოლის მე-11 კლასში სწავლობდნენ), მაგრამ, მოკლულის დედის განცხადებით, მათ მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონიათ.

**„გივის ლიდერობა უნდოდა, ამიტომ რეზიკო მასთან არასდროს მეგობრობდა. ჩემი შვილი სპორტით იყო დაკავებული — ჰოკეის თამაშობდა და ფიგურულ სრიალზე დადიოდა. ბოლო ორი წელი მწვრთნელად მუშაობდა. არ ვიცი, სხვა დროსაც თუ უჩხუბიათ, ამის შესახებ არ მსმენია,** — ამბობს მოკლულის დედა და მკვლელობის ღამეს იხსენებს, — **20 მარტს რეზიკო და მამამისი შინ გვიან ღამით დაბრუნდნენ. რეზიკო მამიდამისის დაბადების დღეზე იყო. სახლში მარტო ჩემი ქმარი რომ ამოვიდა, ვკითხე, რეზიკო სად არის-მეთქი. ბურჯანაძის ეზოში მანქანას დააყენებს და ამოვაო. სახლში ამოსვლა რომ დააგვიანდა, გარეთ გავედი. როცა სადარბაზოდან გამოვედი, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს 5-6 ბიჭი შევნიშნე. ვიფიქრე, რეზიკო სად არის, ეცოდინებათ-მეთქი, დავუძახე, ბიჭებო, რეზიკო ხომ არ იცით, სად არის-მეთქი. არ ვიცითო, ერთმა შემაგინა და ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ. ამ დროს ჩემი ძმისშვილი — ბაჩო გოგილაძე მოვარდა, რეზიკო დამიჭრესო. იგი რეზიკოსთან ერთად იყო. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, რეზიკო უბნელ ბიჭებს მანქანით საავადმყოფოში წაუყვანიათ.“**

მოკლულის დედა ირწმუნებოდა, რომ მკვლელობის ღამეს მან ვაშაკიძის ხელში დანა დაინახა:

**„ჯერაც არ ვიცოდი ჩემი შვილის დაჭრის შესახებ, ქუჩაში მდგომ ბიჭებს რომ მივაქციე ყურადღება. ყველას მუქი ფერის სამოსი ეცვა, მხოლოდ ერთი იყო კრემისფერი „კურტკით“ და ჭრელი ქუდით. მას ხელში დანა ეკავა. გივი ვაშაკიძე ამოვიცანი. სწორედ მან შემაგინა, როცა ვიკითხე, ხომ არ იცით, რეზიკო სად არის-მეთქი. ხმაზე ვიცანი. ვაშაკიძე ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, ბაჩომ სწორედ მასზე მიმითითა, მან დაჭრა რეზიკოო. ჩემმა ძმისშვილმა ის ტანსაცმლით ამოიცნო.“**

საგულისხმოა, რომ თავად ბაჩო გოგილაძე, რომელიც ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო, სასამართლოში არ გამოუძახებიათ. სასამართლო მის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებით დაკმაყოფილდა.

დაკავებულის დედის, ციური ვაშაკიძის თქმით, სასამართლოზე მათ არაერთხელ დააყენეს საკითხი ბაჩო გოგილაძის დაკითხვის შუამდგომლობის შესახებ, მაგრამ ამაოდ.

**„ჩვენ არაერთხელ მოვითხოვეთ, რომ სასამართლოს ბაჩო დაეკითხა, იგი არ გამოცხადდა, რაზეც მოსამართლემ მისი ძალით გამოცხადება მოითხოვა; პროკურორმა კი განაცხადა, გოგილაძის კვალს ვერ მივაგენითო. ამასობაში შუამდგომლობას ვადა გაუვიდა და პროკურორმა ხიზანაიძემ განაცხადა, რომ გოგილაძის პირველადი ჩვენება ჩაეთვალათ,“** — ამბობს ციური ვაშაკიძე, რომელიც არ უარყოფს, რომ მკვლელობის ღამეს მის შვილს კრემისფერი ქურთუკი მართლაც ეცვა.

**„მინდა, ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ გივის რეზიკოსთვის მანქანა არ უთხოვია. იმ ღამეს გივი ნასვამი არ ყოფილა, ამაზე ექსპერტიზის დასკვნაც არსებობს. ჩემი შვილი ღამის თერთმეტის ნახევარზე მასწავლებლიდან ბრუნდებოდა (გამოცდებისთვის ემზადებოდა), ამის დადასტურება მის პედაგოგსაც შეუძლია, რომლისგანაც გივი წამოვიდა. მანქანა სხვამ სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ამაზე შელაპარაკება მოუხდათ, მაგრამ მალევე დაიშალნენ. მოგვიანებით გივის რეზიკო გაუყვანია, რის შემდეგ ჩხუბიც მოხდა. ჩემი შვილი ამბობდა, რამდენიმე ერთად დამესხა თავს და თავის დასაცავად დანა ამოვიღე, გამოუვალი მდგომარეობა იყო და ვიქნევდი, რომ გავთავისუფლებულიყავი. არ ვიცი, ვინმეს მოხვდა თუ არა დანაო. ჩხუბში გივიც დაიჭრა, მას ჭრილობა მკერდისა და დუნდულის არეში ჰქონდა მიყენებული და რომ არა დროული სამედიცინო დახმარება, ვერც გადარჩებოდა. გივი საავადმყოფოში ჩვენმა ახლობელმა წაიყვანა, რომელიც დოლიძეზე ცხოვრობს. სწორედ მან შეგვატყობინა მისი დაჭრის შესახებაც,“** — ამბობს ციური ვაშაკიძე.

გივი ვაშაკიძე 2007 წლის 30 ივლისს გაასამართლეს. სასამართლომ მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლო ვაშაკიძესთან ერთად ჩხუბში მონაწილე მეორე პირის, 19 წლის მიხეილ ბეროშვილის საქმესაც განიხილავდა. მას ბრალი ხულიგნობისთვის წაუყენეს. ბეროშვილმა თავი დამნაშავედ ცნო. სასამართლომ მას სამი წლით პირობითი სასჯელი გამოუტანა და ჯარიმის სახით 5000 ლარის გადახდა დააკისრა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გივი ვაშაკიძის საქმე ამჟამად სტრასბურგის სასამართლოშია გასაჩივრებული და ოჯახი მისი პასუხის მოლოდინშია.

# 4 წელი 80 წლის ქალის გაუპატიურებისთვის

**მეზობლის, 80 წლის თამარ ჭაჭიკაშვილის (ეთიკური მოსაზრების გამო მოქმედ პირთა გვარ-სახელები შეცვლილია), გაუპატიურების ბრალდებით სამართალდამცავებმა მეზობელი, 50 წლის მერაბ ტოგონიძე საკუთარ სახლში დააკავეს. დაკავებისას მან თავის მოკვლაც კი სცადა – სააბაზანოში ჩაიკეტა და სამართებლით ვენები გადაიჭრა, თუმცა მისი გადარჩენა მოხერხდა. შემთხვევა თებერვალში თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში მოხდა. დაზარალებული და ბრალდებული ერთსა და იმავე საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრობდნენ. თუმცა, როგორც დაკავებულის ოჯახი აცხადებს, დაზარალებულის ოჯახთან მათ მხოლოდ მეზობლური სალამი აკავშირებდათ და ერთმანეთში მიმოსვლა არ ჰქონიათ.**



საქმე პოლიციამდე დაზარალებულის ქმარმა მიიყვანა, რომელმაც სტუმრად შემოპატიჟებული მეზობლის პატიოსნებაში ეჭვი შეიტანა. თუმცა ბრალდებულის ოჯახი ამტკიცებს, რომ საქმეში არ არსებობს სამხილი, რაც ტოგონიძის ბრალეულობას დაამტკიცებდა. **„ჩვენ გვაქვს ექსპერტიზის პასუხი, სადაც წერია, რომ ამ ქალს არანაირი ძალადობა არ აღენიშნება,“** — ამბობს ბრალდებულის მეუღლე ლალი ტოგონიძე და მომხდარის შესახებ საკუთარ ვერსიას გვთავაზობს: **„იმ საღამოს ჩემი მეუღლე მაღაზიაში პროდუქტის საყიდლად შევიდა, სადაც თამარის ქმარიც იმყოფებოდა, რომელიც ნასვამი იყო. გამყიდველს ჩემი მეუღლისთვის უთხოვია, მთვრალია და სახლში ასვლაში დაეხმარეო. ჩემმა ქმარმა შემოგვძახა, რომელ სართულზე ცხოვრობსო, რადგან ამ ოჯახთან ურთიერთობა არ გვაქვს. მერაბმა ეს კაცი ბინამდე აიყვანა. მას უთხოვია, თითო ჭიქა დავლიოთო. ლოჯში დამსხდარან და პატარა სუფრა გაუშლიათ. მანდილოსნების სადღეგრძელო წარმოუთქვამთ. მოხუცი ოთახიდან გასულა, ჩემს ქმარს კი დაულევია და მისი ცოლისთვის ხელზე უკოცნია. ეს მომენტი ქმარს დაუნახავს; შემოსულა და უთქვამს, გარეთ გავალ და მალე მოვბრუნდებიო. თურმე ჩემი ქმარი იჯდა და ელოდებოდა, მაგრამ, რომ აღარ გამოჩნდა, წასასვლელად წამოდგა. ამ დროს ქმარიც გამოჩენილა. მას ჩემი მეუღლისთვის არაფერი უთქვამს, საწოლ ოთახში შესულა და ცოლთან ჩხუბი გაუმართავს. ჩემს ქმარს ესმოდა, კაცი ცოლს როგორ ეუბნებოდა, ეს რა მიქენიო, და უკვირდა, რას ერჩოდა ამ ქალს. ის, ბინიდან მშვიდად გამომავალი, მათმა მეზობელმაც დაინახა და არა ისე, როგორც ამბობენ, გამორბოდაო. სახლში ჩამოვიდა, ყავა დალია და დასაძინებლად დაწვა. მეორე დღეს კი, დღის პირველ საათზე, თავზე პოლიცია დაადგა, დაკავებული ხარო,“** — ამბობს ბრალდებულის ცოლი.

მომხდარზე თავად ბრალდებულმაც ისაუბრა და თქვა, რომ, როდესაც მოხუც ქალბატონს ხელზე ეამბორა, ეს მის ქმარს არ ესიამოვნა.

**„სუფრაზე ერთი ბოთლი არაყი გამოიტანეს. იმ ერთი ბოთლიდან მე სამი ჭიქა დავლიე. ერთ-ერთი სადღეგრძელო ამ ქალბატონისა იყო. როცა ჭიქა ავიღე, ხელზე ვაკოცე. დავლიე და კიდევ ვაკოცე ხელზე. ვანიკო რაღაცნაირად მიყურებდა — შენ ჩემი ცოლი ხომ არ გინდაო. ასეთი რამ ნებისმიერ ნორმალურ კაცს ეწყინება. ავდექი და წამოვედი. კაცი ქალთან რომ დაწვეს, ის ქალი რაღაცით უნდა სჯობდეს მის ცოლს — გარეგნობით, საქციელით ან ინტელექტით. ეს კი ბებერი ქალია, დაჭმუჭნილი ხელებით. მათგან რომ მოვდიოდი, ქმარი დამემუქრა, ნახე, თუ არ გიჩივლოოო“,** — ამბობს ტოგონიძე.

**„პოლიციელები მგლებივით შემოცვივდნენ. მითხრეს, უფროსი გიბარებსო. აბაზანაში შევედი და „ბრიტვით“ ხელი გადავიჭერი. ჩემი ცოლის ხმამ შემაჩერა, დამიძახა, ამდენ ხანს რას შვებიო, თორემ სისხლს ბოლომდე გავუშვებდი და მოვკვდებოდი. პირველი დღიდან გამომძიებელი მეუბნებოდა, აღიარე და გაგიშვებო. რაც არ გამიკეთებია, როგორ ვაღიარო?“** — ამბობს ტოგონიძე.

მან ბუნდოვანი პასუხი გასცა პროკურორის შეკითხვას, თუ რატომ გადაწყვიტა თავის მოკვლა. თქვა, რომ არ იცოდა, რისთვის იბარებდნენ პოლიციაში.

რაც შეეხება დაზარალებულს, სასამართლო პროცესი ისე დასრულდა, რომ დაზარალებული არ გამოცხადებულა. მიზეზად მისი ავადმყოფობა დასახელდა. გამოძიებისთვის წინასწარ მიცემულ ჩვენებაში დაზარალებული ამბობს, რომ: **„ჩვენთან სტუმრად იყო მეზობლის სიძე (ტოგონიძე). ჩემი ქმარი და სტუმარი მიირთმევდნენ არაყს. შემდეგ ჩემი ქმარი თავის საქმეზე გარეთ გავიდა. მე ლოჯში ვიჯექი, როცა მომვარდა და ძალით გამიყვანა საძინებელ ოთახში. ძალით გამხადა ქვედა საცვალი და გამაუპატიურა. იმდენად ვიყავი გაოგნებული, რომ არაფერი მახსოვს. მოვითხოვ მის მკაცრად დასჯას.“**

სხვათაშორის, ტოგონიძის წასვლის შემდეგ ქმარმა ცოლი დანით დაჭრა. ქალს დუნდულის არეში ორი ჭრილობა მიაყენა. დაჭრის ფაქტს დაზარალებულის ოჯახში მისული პატრულის თანამშრომელიც ადასტურებს, რომელიც დაზარალებულის ქმარმა იმავე საღამოს გამოიძახა.

**„როცა შესასვლელში შევედი, საძინებლის კარი ღია იყო. მოხუცი ქალი იატაკზე ეგდო, ნახევრად ლოგინზე იყო დაყრდნობილი. საბანიც ნახევრად გადაფარებული ჰქონდა. მოხუცმა კაცმა მომიყვა, „კაცების დღესთან დაკავშირებით დავლიე და შინ ჩემ ქვემოთ მცხოვრები მეზობელი შემოვიპატიჟეო. ეს კაცი ჩემს ცოლს ეამბორა ხელზე, რაც არ მესიამოვნა, მაგრამ ქართველი კაცის ქალისადმი პატივისცემად ჩავთვალე და არაფერი ვთქვიო. მოგვიანებით ვუთხარი, ჩემს საქმეზე მივდივარ და ათ წუთში მოვბრუნდები-მეთქი. როცა სახლში დავბრუნდი, დავინახე, იგი საწოლზე დაწოლილიყო და ჩემს ცოლს აუპატიურებდა. გამწარებულმა დანა ავიღე და ცოლს საჯდომზე დავარტყიო.“**

დაზარალებულის ქმარი, რომელმაც მომხდარის შესახებ კომენტარზე უარი განაცხადა, ამბობს: **„ლოჯში ვსვამდით, მერე მე ცოტა ხნით გავედი და, როცა მოვბრუნდი, ასეთ საშინელ სურათს შევესწარი“.**

**„ეს იმდენად მტკივნეული თემაა ჩემთვის, რომ მაგ ამბის მერე ჩემი გული გაშავებულია. ახალგაზრდა ქალი რომ ყოფილიყო, შეიძლება ხმაც არ ამოგველო, მაგრამ მოხუცი, ოთხმოცი წლის ქალი.... ეს ხომ საშინელებაა!“** — დასძინა დაზარალებულის შვილმა. საბოლოოდ, სასამართლომ ტოგონიძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. მას 4 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. დაკავებულის ოჯახი ამბობს, რომ საქმეს სტრასბურგში გაასაჩივრებს.

# ქორწილიდან გამოსული მეჯვარე მარკეტის კართან მოკლეს

**20 წლის იოსებ ოთანაძე 25 წლის ზაზა კვარაცხელიას მკვლელობისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე შორენა გუნცაძემ გაასამართლა. როგორც პროკურორი აცხადებს, მკვლელობის მოტივი მარკეტის კარის დაკეტვასთან დაკავშირებით მომხდარი შელაპარაკებაა. დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ ოთანაძემ მკვლელობა თავდაცვის მიზნით ჩაიდინა.**

აღძრული იყო საქმე 108-ე მუხლით განზრახ მკვლელობისთვის, რაც 15 წლამდე პატიმრობას ითვალიწინებს.

იოსებ ოთანაძე თბილისში, აფრიკის დასახლებაში, მშობლებთან და ძმასთან ერთად ცხოვრობს. იგი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია. ზაზა კვარაცხელია წარმოშობით წალენჯიხიდანაა და ბოლო 5 წელი დეიდასთან აფრიკის დასახლებაში, ჭიჭინაძის ქუჩაზე, ცხოვრობდა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ქორწილიდან გამოსული კვარაცხელია მარკეტში სიგარეტის საყიდლად შევიდა.

**„2007 წლის 24 ნოემბერს ზაზა კვარაცხელია თავისი მეგობრის — დავით ბენიას ქორწილში იმყოფებოდა. დაახლოებით ათის ნახევარზე კვარაცხელია სიგარეტის საყიდლად იქვე მდებარე მარკეტში გავიდა. მას თან ახლდნენ მისი მეგობრები — ზურა და ირაკლი როგავები.**

**უკან გამობრუნებულებს მარკეტის შესასვლელ კართან შემთხვევით იოსებ ოთანაძე შეხვდათ. ამ უკანასკნელსა და კვარაცხელიას შორის მოხდა შელაპარაკება მარკეტის კარის მიხურვასთან დაკავშირებით. კამათი შემდგომ მარკეტის მიმდებარე ტერიტორიაზეც გაგრძელდა და ჩხუბში გადაიზარდა. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ოთანაძემ შურისძიების მოტივით ჯიბიდან გასაშლელი დანა ამოიღო და რამდენჯერმე მოუქნია ზაზა კვარაცხელიას და მუცლის არეში დაჭრა. ოთანაძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ზაზა კვარაცხელია კი მეგობრებმა საავადმყოფოში გადაყვანეს. იგი 25 ნოემბერს გარდაიცვალა**“, — განაცხადა ქალაქის სამმართველოს პროკურორმა მიხეილ ჩხეიძემ. განსასჯელის ახლობლები და ადვოკატები ამტკიცებენ, რომ ოთანაძემ მკვლელობა თავდაცვის მიზნით ჩაიდინა.

**„დაზარალებულები მისთვის მაქსიმალურ სასჯელს მოითხოვდნენ, მაშინ, როცა იოსებმა ეს მკვლელობა თავდაცვის მიზნით ჩაიდინა. იოსებს ყველა დადებითად ახასიათებს, ის არ არის კრიმინალი. ორ დღეში ჩემი ქალიშვილი უნდა მოეყვანა ცოლად...**

**იმ დღეს ჭიჭინაძის ქუჩაზე ქორწილი ყოფილა და სუპერმარკეტის კართან ქორწილიდან გამოსულ სამ პიროვნებას შეფეთებია. მათ დაუწყიათ უხეში ტონით საუბარი — კარი დაკეტეო. იოსებს რომ უთქვამს, — კი, ძმაო, დავკეტავო, არ მოსწონებიათ და შეკამათებიან. სამივე ურტყამდა თურმე და იოსებს თავდაცვის მიზნით დანა ამოუღია, რომელიც ქნევის დროს კვარაცხელიას მოხვდა,**“ — აღნიშნა საუბარში ოთანაძის ახლობელმა ია ბალახაძემ.

დაზარალებულებმა სასამართლოს თხოვნით მიმართეს, იოსებ ოთანაძე კანონის მთელი სიმკაცრით დასჯილიყო. მათი თქმით, კვარაცხელია ოთანაძემ არაფრის გამო მოკლა: **„კაცი, რომელიც ჯიბეში დანას იდებს, ესე იგი მას უკვე აქვს რაღაც განზრახული. ზაზა, ხუთი წელია, ჩემთან ცხოვრობს, ჭიჭინაძის ქუჩაზე. მისი ცუდი ხასიათი და ჩხუბი ამ ხნის მანძილზე არავის გაუგია. იმ დღეს მეჯვარე იყო მეგობრის ქორწილში. როგორც ჩანს, სიგარეტი გაუთავდა და მეგობრებთან ერთად გასულა მარკეტში. იქ კი უმიზეზოდ, არაფრის გამო მომიკლეს ბიჭი... იმხელა დანა ჰქონია, რომ ერთი დარტყმით ექვსი ორგანო დაუზიანა. ერთ-ერთი არტერია იყო გაჭრილი და სისხლისაგან დაიცალა. 20 წლის ბიჭია და უკვე მკვლელია. როგორ შეიძლება, მან თავისუფლად იაროს. ჩვენ ვითხოვდით, რომ მას მკვლელობისთვის მაქსიმალური სასჯელი მიეღო“.**

იოსებ ოთანაძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

# «ბომჟი» ქალების ჩხუბი მკვლელობით დასრულდა

**სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ალკოჰოლიზმით დაავადებულთა რაოდენობამ იმატა. მეტიც, როგორც ამ სფეროში ჩახედულები ირწმუნებიან, მათ შორის მეტია ახალგაზრდა. რატომღაც მიჩნეულია, რომ მსგავსი სენით, ძირითადად, მამაკაცები არიან დაავადებულები, თუმცა ისტორია, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ, ქალებს ეხება. „ბომჟების“ მეგობრობა იმით დასრულდა, რომ მორიგი ქეიფის დროს ერთმა მეორეს დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.**



მკვლელობა 2007 წლის 11 სექტემბერს თბილისში, მოსკოვის გამზირზე, მოხდა. 32 წლის ვალენტინა დერევენკხსის მკვლელობაში ეჭვმიტანილი 27 წლის ინგა გრძელიძე სამართალდამცველებმა მკვლელობის დღესვე დააკავეს. სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობისთვის აღიძრა. დაკავებულმა დანაშაული მაშინვე აღიარა.

როგორც გამოძიების მასალებიდან ვიგებთ, მოკლული დერევენკხსი და გრძელიძე მეგობრობდნენ. ორივე უმუშევარი იყო. ადრეც იყო თუ არა მათ შორის დაძაბული ურთიერთობა, გამოძიებისთვის უცნობი დარჩა.

**საქმის მასალების მიხედვით, 11 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს 6 საათზე, ინგა გრძელიძე, მისი და იოლანდა, მათი საერთო ნაცნობები — თეიმურაზ კილასონია, ვალენტინა დერევენკხსი, რომელსაც მარიას ეძახდნენ, ვინმე დათო და ტატიანა ივაშენკო სამგორში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ბინაში (სადაც მკვლელობა მოხდა) შეიკრიბნენ,** რომელიც ტატიანა ივაშენკოსა და ვალენტინა დერევენკხსის ერთად ჰქონდათ დაქირავებული. შეკრებილნიც სწორედ ივაშენკოსა და დერევენკხსის ახალ ბინაში შესახლებას აღნიშნავდნენ — სუფრას უსხდნენ და არაყს სვამდნენ.

გამოძიების მასალებით, პირველი კონფლიქტი ივაშენკოსა და დათოს მოუვიდათ (მიზეზი უცნობია), რის გამოც დათომ სუფრა დატოვა და წავიდა. დარჩენილებმა ქეიფი განაგრძეს.

მოკლე ხანში უთანხმოება უკვე გრძელიძესა და დერევენკხსის შორის მოხდა (მიზეზი ამ შემთხვევაშიც უცნობია). მათ შორის სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, რაც იმით დასრულდა, რომ გაბრაზებულმა გრძელიძემ მეგობრის მოკვლა განიზრახა. **მან ჯიბიდან დანა ამოიღო და დერევენკხსის გულმკერდის არეში ორი ჭრილობა მიაყენა. დერევენკხსი ფილტვებისა და აორტის დაზიანების გამო ადგილზევე გარდაიცვალა.**

აღსანიშნავია, რომ პროკურატურამ გამოძიების დასრულებამდე გრძელიძესთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა და მას 13 წელი მიუსაჯეს.

ცნობისთვის, გრძელიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ადრეც იყო აღძრული — ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გრძელიძისთვის განაჩენის გამოტანა ძველი და ახალი დანაშაულის წლების შეკრებით მოხდა, რამაც საბოლოოდ 13 წელი შეადგინა.

გვერდები მოამზადეს **მაკა ქობალიამ და სალომე გოგოხიამ**

# ქართული თემიდის სატირალი ლაფსუსები

**ქართული პროპაგანდისტული მანქანა დაქოქილია — ყოველდღე ტელევიზიებიდან თაფლისა და რძის მდინარეები მოედინება, მაგრამ მწარე რეალობა ისაა, რომ ქვეყნის ხელისუფლება საზოგადოებისთვის პირში ბურთის ჩაჩრას ცდილობს. ამის დასტურია საქართველოს პრეზიდენტის მიერ კიდევ ერთხელ გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობა. ხალხზე თავისუფალი ნადირობის სეზონი კვლავაც გახსნილია!**



ვის აძლევს ხელს ვარდოსნების ნულოვანი ტოლერანტობა? ამის გარკვევა ვებპორტალ humanrights.ge-ზე წარმოდგენილი „ნულოვანი ტოლერანტობის“ მაგალითებით ვცადეთ. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

**2007 წლის 27 ივნისს ალექსანდრე ბახუტოვი ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.** წამების დროს მან დანაშაულის თანამონაწილეები დაასახელა. თელავის რაიონულმა სასამართლომ ბახუტოვს ექვსი წელი მიუსაჯა. ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვის ბრალდებით პროკურატურამ ასლან გაურაშვილი, ალექსი ცოციაშვილი და ვეფხია ხეჩოშვილი დააკავა, თუმცა ამ დროისთვის სასამართლოსთვის უკვე ცნობილი გახდა, რომ ჩოფიკაშვილი ცოცხალი იყო. დაკავებულებს მაინც გაუფორმეს საპროცესო შეთანხმება და ათასობით ლარი ბიუჯეტში შეატანინეს. აღმოჩნდა, რომ

## ადამიანი გაასამართლეს იმ დანაშაულისთვის, რაც თეორიულადაც ვერ მოხდებოდა, რადგან კაცი ცოცხალი იყო, ჰოდა, ვის გვამს გადამალავდა ეს ხალხი?

**ხობის რაიონში, სოფელ საჯიჯაოში მცხოვრები ჯაბა უბილავა პოლიციამ ცხენის ქურდობისთვის დააკავა.** სასამართლომ მას 3 წლითა და ექვსი თვით პატიმრობა შეუფარდა. თითქოს ყველაფერი ნათელია — კაცმა მოიპარა და უნდა დაისაჯოს კიდეც, მაგრამ ამ საქმეში არის ერთი მაგრამ... იმ საღამოს, როცა უბილავა ცხენის ქურდობისთვის დააკავეს, მასთან პოლიცია ნარკოტიკების აღმოსაჩენად მივიდა. სახლი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს, ეზოში გამოსულებმა კი დაინახეს, რომ საძოვარზე უბილავას სამ ცხენთან ერთად მეოთხეც ძოვდა და სამართალდამცველებსაც გონება გაუნათდათ: რა ნარკოტიკები, რის ნარკოტიკები, ამ ცხენის საძებნელად მოვედითო... და უბილავაც ცხენის ქურდობისთვის დააპატიმრეს. როგორც გაირკვა, ამ ცხენს არავინ ეძებდა, რადგან პატრონმა ის საბალახოდ გაუშვა და ცხენიც უბილავასთან საძოვარზე თავად მივიდა.

**კურიოზულია 81 წლის მოხუცის — გიორგი მჭედლიშვილის საქმეც.** 2007 წლის 5 ივნისს პროკურატურამ მას 5-ტონიანი ავზის ქურდობაში დასდო ბრალი. სამართალდამცველთა მტკიცებით, მოხუცმა დანაშაული მარტომ ჩაიდინა. წინასწარი გამოძიებისას გამომძიებელმა ისარგებლა იმით, რომ მოხუცმა იურიდიული ფორმალობები არ იცოდა და ხელი ისეთ ჩვენებაზე მოაწერინა, რომლითაც მოხუცი ბრალს აღიარებდა.

სამართალდამცველები არც დაფიქრებულან, როგორ მოახერხა 81 წლის მოხუცმა, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილებაც კი უჭირს, 5-ტონიანი ავზის წაღება... ეტყობა, ქართული თემიდა იუმორის გრძნობას მოკლებული არ არის...

ახლა ვნახოთ, როგორია „ნულოვანი ტოლერანტობა“ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. ერთ-ერთი ხელისუფალის მამა თავის დროზე სოფლად მიწაში ჩადებული მილების მოპარვისთვის დააკავეს, მაგრამ ეს საქმე უხმაუროდ ჩაიფარცხა. იმ კაცს ამ მილებისთვის ბაქო-ჯეიჰანის „ტრუბაც“ რომ მიეყოლებინა, კაციშვილი არაფერს ეტყოდა. აბა, თანამდებობა და გავლენა რის მაქნისია?

**სხვათაშორის, „ქართული სამართალი“ განსაკუთრებულად „ყურადღებიანია“ მოხუცების მიმართ.** ხულოს რაიონის მკვიდრს — **შალზად ვანაძეს** სასამართლომ თავის დროზე ბრალი წაუყენა, აქაოდა, მოხუცმა ჩვენება არ მისცა მოწმის სახით სასამართლოზეო. ამის გამო ვანაძეს 4-წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა. მოხუცის თქმით, მან საქმისა არაფერი იცოდა და, შესაბამისად, არც სათქმელი ჰქონდა რაიმე. საქმე კი ეხებოდა მისი შვილისა და მეზობლის კონფლიქტს, რომელსაც მოხუცი არ შესწრებია და სასამართლოზე ეს თქვა კიდეც. მოსამართლემ, თავის მხრივ, ურჩია, ჩვენების მიუცემლობაზე ხელი მოეწერა. მოხუცი ენდო და ასეც მოიქცა. მოსამართლემ კი „ჩვენების არმიცემისთვის“ საბრალო მოხუცის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა...

**სამაგიეროდ, თავისუფლად ნავარდობს ყოფილი სამართალდამცველი, რომელმაც უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა.**

## აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის გამომძიებელმა გიორგი ჩიქოვანმა ერთ-ერთი მოქალაქის ბინაში ჩუმად შეაღწია,

## ახალგაზრდა ქალს სასტიკად სცემა და გააუპატიურა.

პოლიციამ დამნაშავე დააკავა და გოგონას ახლობლებმაც იფიქრეს, ეგაა და სამართალმა პური ჭამაო... **მაგრამ 4 თვის შემდეგ, იმ მოტივით, რომ დამნაშავემ აღიარა და მოინანია დანაშაული, სასამართლომ მას საპროცესო შეთანხმება გაუფორმა. ქალის პატიოსნება 50000 ლარად შეაფასა. გირაოს სანაცვლოდ, დამნაშავე გარეთ გამოუშვეს...**

არადა, იმავე ქართულმა მართლმსაჯულებამ მოპარული მობილური ტელეფონის გაყიდვის გამო **სტუდენტ გიორგი ჯიქურაულს და კიდევ რამდენიმე პირს საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ 100000 ლარი მოსთხოვა...**

## 3-ლარიანი აუდიომაგნიტოფონის კასეტის მოპარვისთვის წალენჯიხელ ნიკა ფიფიას ციხეში უკრეს თავი, ხოლო 2008 წლის 10 ივლისს ბურჯაანში მცხოვრები, 4 შვილის მამა ოთარ ბერელაშვილი სამართალდამცველებმა სამი გამხმარი ხის მოჭრისთვის დააკავეს.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსნის — **სოსო თოფურიძის შვილმა დაჭრა ახალგაზრდა, რომელიც გარდაიცვალა.** დამნაშავეს ქართულმა სასამართლომ ბრალად მკვლელობის მცდელობა და არა განზრახ მკვლელობა წაუყენა. ცოტა ხანს ციხეში ამყოფა, მერე კი პრეზიდენტმა მკვლელი შეიწყალა და სახელოვან მამიკოს სახლში გაატანა...

**ბექა აბულაძე**

**P.S. დასასრულ, ქართული თემიდის ყველაზე დიდი სირცხვილი — ჩვენმა პრეზიდენტმა გირგვლიანის მკვლელები ერთპიროვნულად შეიწყალა. არადა, საზოგადოება სწორედ ასეთი ფაქტების გამო გამოვიდა ქუჩაში...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სანდო ბანკი

ბანკის განვითარება წარმოუდგენელია სტაბილური კლიენტურის გარეშე. სტაბილური კი ის კლიენტურაა, რომელმაც მიიღო ამა თუ იმ ბანკთან თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება და კვლავ მის მომსახურებას ამჯობინებს. სწორედ ნდობაა ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი ბანკსა და კლიენტს შორის.

ამჯერად გვსურს, ვისაუბროთ „საქართველოს ბანკის" საინტერესო მომსახურების შესახებ, თუ რას გვთავაზობს ის ახალს და ისეთს, რომელიც ამ ეკონომიკური კრიზისის დროს გამოგვადგება და რაც მას სხვა ბანკებისგან გამოარჩევს. **„საქართველოს ბანკმა"** დღეს არაერთი ახალი საბანკო პროდუქტი შესთავაზა მომხმარებელს.

## რა არის შეგროვებადი ანაბარი?

**შეგროვებადი ანაბარი თანხის დაგროვების საუკეთესო საშუალებაა, რომელიც საშუალებას გაძლევთ, მარტივად, ნებისმიერი მოცულობის შენატანებით დააგროვოთ თანხა.**

ანაბარს ერიცხება მზარდი სარგებელი, რომელიც თანხის მატების პირდაპირპროპორციულად იზრდება.

რაც მეტია თქვენი ანაბრის ვადა და თანხა, მით მეტია საპროცენტო სარგებელი შეგროვებად ანაბარზე.

**შეგროვებადი ანაბარი** არ გავალდებულებთ განსაზღვრულ დროს, განსაზღვრული მოცულობით შეიტანოთ თანხა ანაბარზე. საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშება ხდება ყოველი დღის ბოლოს ანგარიშზე არსებული ნაშთის შესაბამისად. მინიმალური შენატანი ანაბრის გასახსნელად შეადგენს 50 ლარს, აშშ დოლარს ან ევროს.

## რა არის ანაბარი მაქსიმა?

**მაქსიმა, ერთი მხრივ, ანაბარია, სადაც თქვენი დანაზოგია განთავსებული; მეორე მხრივ, პლასტიკური ბარათია, რომელიც თანხის თავისუფლად განკარგვის საშუალებას გაძლევთ. მაღალი სარგებელი ანაბარს ყოველი დღის ბოლოს ანგარიშზე არსებული ნაშთის შესაბამისად ერიცხება: ლარში — 9,5 პროცენტი; ხოლო აშშ დოლარში, ევროში — 7,5 პროცენტი.**






მაქსიმა საშუალებას გაძლევთ, ერთდროულად რამდენიმე ვალუტაში დააგროვოთ თანხა, ყველა ვალუტაში მიიღოთ სარგებელი და სურვილისამებრ ისარგებლოთ როგორც თქვენი დანაზოგით, ისე მასზე დარიცხული სარგებლით.

შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს შეიტანოთ და გამოიტანოთ სასურველი თანხა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ნებისმიერი ბანკის სერვისცენტრის ან ბანკომატის საშუალებით; ასევე, განათავსოთ თანხა ერთდროულად რამდენიმე ვალუტაში; მიიღოთ ყოველთვიურად მაღალი სარგებელი, რომლის საპროცენტო განაკვეთი, თანხის ცვლილების მიუხედავად, არ მცირდება.

**მაქსიმა** არ გავალდებულებთ, განსაზღვრულ დროს ან განსაზღვრული მოცულობით შეიტანოთ თანხა ანაბარზე, თქვენი ანაბარი შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეავსოთ.



## რა არის საინვესტიციო ანაბარი?

**საინვესტიციო ანაბარი არის სტანდარტული ანაბარი, რომელსაც ერიცხება სარგებელი და, ასევე, არის საინვესტიციო პროდუქტი, რომელმაც შეიძლება დამატებითი სარგებელი მოგვიტანოს.**



დამატებითი სარგებელი არის თქვენს ანაბარზე გარანტირებული, წლიურ სარგებელთან ერთად დარიცხული სარგებელი, რომელიც აშშ დოლარის, ევროს კურსის, ოქროს ფასის და ნავთობის ფასის ცვლილებას უკავშირდება. ეს ცვლილებები ბანკს განსაზღვრული აქვს ევროპის უმსხვილეს ბანკებში.

**საინვესტიციო ანაბარი** გაძლევთ საშუალებას, მიიღოთ გარანტირებული სარგებელი და ყველა ის დამატებითი უპირატესობა, რასაც საქართველოს ბანკში, ჩვეულებრივ, ვადიან ანაბარზე თანხის განთავსების შემთხვევაში მიიღებდით. ამასთანავე, შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი მოგება და თქვენი წლიური სარგებელი მნიშვნელოვნად გაზარდოთ.

თუ გახსნით საინვესტიციო ანაბარს აშშ დოლარის ევროს კურსის ცვლილების პირობით, მიიღებთ გარანტირებულ 10 პროცენტს პლუს დამატებითი სარგებელი:

— მაქსიმალური წლიური სარგებელი — 21 პროცენტი;

— გარანტირებული სარგებელი, წლიური 10 პროცენტი;

— მინიმალური შენატანი — 2000 აშშ დოლარი;

— ვადა 12 თვე.

ალბათ, ხშირად ადევნებთ თვალს აშშ დოლარისა და ევროს კურსის ცვლილებას. საინვესტიციო ანაბარი სწორედ ამ საზრუნავს აგარიდებთ.

თუ გახსნით საინვესტიციო ანაბარს ოქროს ფასის მატების პირობით, მიიღებთ გარანტირებულ 10 პროცენტს დამატებითი სარგებლით. ოქროს ფასი განისაზღვრება ლონდონის ოქროს ბაზარზე დადგენილი ფასის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ოქროს ფასი უცვლელი დარჩა ან დაიკლო, მიიღებთ გარანტირებულ სარგებელს წლიური 10 პროცენტის ოდენობით.

**საინვესტიციო ანაბარი** ოქროს ფასის მატების პირობით 12 თვის ვადით იხსნება.

თუ გახსნით **საინვესტიციო ანაბარს** ნავთობის ფასის მატების პირობით, მიიღებთ გარანტირებულ 9 პროცენტს დამატებით სარგებელს.

**საინვესტიციო ანაბარი** ნავთობის ფასის მატების პირობით 6 თვის ვადით იხსნება.

## სალომბარდო სესხების განახლებული პირობები






ამ შემთხვევაში სესხის თანხა შეადგენს 10-დან 10000 ლარს ან დოლარს;

საპროცენტო განაკვეთი — თვეში 3,5 პროცენტი;

ძვირფასი ლითონების შეფასების ტარიფები აშშ დოლარში შეადგენს 1 თვეში:

585 სინჯი — 10,92 დოლარს,
375 სინჯი — 6,99 დოლარს,
500 სინჯი — 9,32 დოლარს,
750 სინჯი — 13.09 დოლარს,
916 სინჯი — 17.08 დოლარს,
958 სინჯი — 17.87 დოლარს.

ვერცხლის ღირებულება ერთ გრამზე — 0,20 ცენტს.

## ახალი იპო+

**თუ გსურთ, შეიძინოთ, ააშენოთ ან გაარემონტოთ უძრავი ქონება და არ გყოფნით ფულადი დანაზოგი, ახალი იპო+ შესაძლებლობას გაძლევთ ისარგებლოთ საქართველოში არსებული ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით — 14 პროცენტამდე და გაზრდილი ვადით — 14 წლით.**



ახალი **იპო+**-ით სარგებლობა შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვისაც აქვს სტაბილური შემოსავალი მინიმუმ 800 აშშ დოლარი.

თუ დააგროვებთ ხელფასს ან ნებისმიერ თანხას თქვენსავე ანგარიშზე, არსებული დანაზოგი გამოაკლდება სესხის თანხას და მხოლოდ დარჩენილი სხვაობიდან მოხდება **იპო+**-ის პროცენტის გამოთვლა.

ამასთანავე, საბარათე ანგარიშზე დარჩენილი თანხის გამოყენებას ნებისმიერ დროს შეძლებთ. რაც მეტია თანხა საბარათე ანგარიშზე, მით ნაკლებია პროცენტი იპოთეკურ სესხზე.

— სესხის მაქსიმალური თანხა — 240 000 ლარი. მაქსიმალური ვადა — 14 წელი.

— უზრუნველყოფა: მსესხებლის მფლობელობაში არსებული ბინა, უძრავი ქონება ან მშენებარე ობიექტი;

— მსესხებლის ოჯახის წევრის ან მესამე პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

## რას ნიშნავს 100 გამარჯვებული საქართველოს ბანკში



**თუ გახსნით მინიმუმ 500-ლარიან ვადიან ანაბარს ამ ბანკში, შეიძლება გახდეთ 100 პრიზიდან ერთ-ერთის მფლობელი.**

გათამაშებაში მონაწილე ბილეთების რაოდენობა დამოკიდებულია ანაბრის თანხასა და ვადაზე. ვადიან ანაბარზე თქვენ მიერ შეტანილ ყოველ 500 ლარზე გადმოგეცემათ 1 ბილეთი.

პრიზები გათამაშდება პირდაპირ ეთერში ყოველი თვის ბოლო კვირა დღეს. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ბანკის არსებული, ისე ახალი მეანაბრეები, რომელნიც აქციის პერიოდში გახსნიან ანაბარს. ასევე, ყველა გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც ანაბრის ვადის გასვლამდე ჩატარდება.

გამარჯვებული ბილეთი გამოეთიშება მხოლოდ მიმდინარე გათამაშებას. მოგებული ბინა და თანხა გაიცემა 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

გათამაშებაში გამარჯვებული 90 მეანაბრე 10000 ლარით დაჯილდოვდება, ხოლო დარჩენილი 10 ყველაზე იღბლიანი მეანაბრე ახალი ბინის მფლობელი გახდება.

**აქცია გასტანს 2010 წლის 28 თებერვლამდე.** გათამაშების პერიოდში საქართველოს ბანკის ყველა მეანაბრეს მიეცემა საშუალება, ისარგებლოს ანაბარზე დარიცხული გარანტირებული მაღალი სარგებლით, მიიღოს მონაწილეობა გათამაშებაში და გახდეს 100 დაწესებული პრიზიდან ერთის ან რამდენიმეს მფლობელი.



## რა არის სტუდენტური ბარათი?

**თუ სტუდენტი ისარგებლებს სპეციალურად მისთვის შექმნილი სტუდენტური ბარათით, გარდა იმისა, რომ შეღავათით ისარგებლებს თბილისის მეტროსა და ავტობუსებში მგზავრობისას, მიიღებს ბანკისგან 3-თვიან სტიპენდიას თვეში 100 ლარის ოდენობით.**

ბანკი ყოველ 3 თვეში ერთხელ გამოავლენს 20 გამარჯვებულს 3 ნომინაციაში, კერძოდ: ყველაზე აქტიური, ყველაზე ხელგაშლილი და ყველაზე წინდახედული.

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს ბანკი დაასაჩუქრებს 3-თვიანი სტიპენდიით, თვეში 100 ლარის ოდენობით.





თუ ამავე ბარათზე დააგროვებთ თანხას, თქვენს ანგარიშზე 100 ლარის ან აშშ დოლარის, ევროს ზემოთ განთავსებულ დანაზოგს დაერიცხება წლიური სარგებელი — 10 პროცენტი ლარში, აშშ დოლარსა და ევროში კი — წლიური 7 პროცენტი.

ასევე, უფასოდ გამოიყენებთ დისტანციური საბანკო მომსახურების სრულ პაკეტს: ინტერნეტბანკს, მობილბანკს, ტელეფონბანკს და ა.შ.

ანგარიშის საკომისიო მომსახურება თვეში 1 ლარია. სტუდენტური ბარათით სარგებლობა შეუძლია საქართველოს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებული თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ყველა სტუდენტს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ულტრაიისფერი სხივები ტუბერკულოზს აჩერებს

**მკვლევართა აზრით, ულტრაიისფერი სხივების გამოყენებით შესაძლებელია ტუბერკულოზის გავრცელების 70 პროცენტით შემცირება. ამ დაავადების მქონე პაციენტის ხველებისას ბაქტერია ჰაერში ვრცელდება უწვრილესი წვეთების სახით, მოედება მთელ ოთახს და იწვევს სხვათა დაინფიცირებას.**

ლონდონის იმპერიალ-კოლეჯის დოქტორ როუდ ესკომბის მიერ ჩატარებული კვლევებით, ეს ბაქტერიები შეიძლება განადგურდეს მოკლეტალღოვანი ულტრაიისფერი გამოსხივების ნათურის გამოყენებით. ეს სპეციალური ნათურა დამღუპველად მოქმედებს ტუბერკულოზის ბაქტერიებზე.



ნათურა მაღალი ინტენსივობით უკვე გამოიყენეს სასწრაფო დახმარების მანქანებსა და საოპერაციოების დეზინფექციისთვის. მისი ფასია 350 აშშ დოლარი.

# პარაცეტამოლის მიღება ყველასთვის არ შეიძლება

**ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ პაციენტთა 30%-თვის პარაცეტამოლის მიღება დაუშვებელია, რადგანაც ის აზიანებს ღვიძლს და გენს — CD44.**




დღეისათვის მეცნიერები ამ პრეპარატის ისეთი სახეობის შემუშავებაზე ფიქრობენ, რომელიც ყველასათვის მისაღები და უვნებელი იქნება.

# სახიფათო აეროზოლი

**მზისგან დამცავი აეროზოლი ტრადიციულად გამოიყენება ზაფხულის პერიოდში, ისევე, როგორც სხვა სახის მალამოები.**




ამერიკის კიბოს ეროვნული ინსტიტუტის ექსპერტებმა ეჭვქვეშ დააყენეს ასეთი კოსმეტიკური საშუალებების ეფექტიანობის საკითხი. მათ განაცხადეს, რომ აეროზოლის სახეობათაგან ყოველი მერვე როდი უშლის ხელს მზის მავნე ზემოქმედებას კანზე. „A“ ტიპის ულტრაიისფერი სხივები ტრადიციულად დაკავშირებულია კანის პიგმენტაციის ცვლილებებთან, ორგანიზმის უჯრედებისა და ქსოვილების ხანგრძლივი პერიოდით დაზიანებასა და კანის კიბოსთან.

როგორც აღმოჩნდა, მზისგან დამცავი აეროზოლის სახეობათა უმეტესობა არ ფილტრავს ულტრაიისფერ სხივებს და ხდება ჯანმრთელობისთვის საშიში სხივების კანში შეღწევის ბლოკირება. გარდა ამისა, ბევრი ასეთი საშუალება ხელს უწყობს კანში ტოქსიკური კომპონენტების წარმოქმნას.

დერმატოლოგების აზრით, არ უნდა ვენდოთ არც იმ აეროზოლებს, რომლებიც მიჩნეულია მთელი დღის მანძილზე მზისგან დამცავ ეფექტიან საშუალებად, რადგანაც იგი სხეულზე უნდა მივისხუროთ რეგულარულად — ყოველ 2 საათში ერთხელ, ანუ ეს უნდა გრძელდებოდეს მზის სხივების უშუალო ზემოქმედების ქვეშ ყოფნის მთელ პერიოდში.

# ნარკომანიის საწინააღმდეგო ვაქცინა



**ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს ნარკომანების სამკურნალო ახალი პრეპარატი, რომელიც კოკაინზე დამოკიდებულებისგან გაათავისუფლებს პაციენტს.**

კვლევებში მონაწილეობდა 115 პაციენტი, რომელთაგანაც 53-ზე პრეპარატმა საუკეთესოდ იმოქმედა. მათ შემდგომში სრული განკურნების შანსი მიეცათ. პრეპარატი წარმოადგენს ვაქცინას, რომელიც პაციენტის ტვინის უჯრედებს კოკაინის მოთხოვნილებას სრულიად უკარგავს.



# ხანგრძლივი დიეტა გულს აზიანებს



**ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების დაკვირვებით, ხშირად მიიჩნევენ, რომ გასახდომი დიეტა ე.წ. ცხოველური ცხიმების კვების რაციონიდან ამოღებას გულისხმობს, მაგრამ აღნიშნული დიეტებით უზომოდ გატაცებამ შეიძლება საპირისპირო შედეგებამდე მიგვიყვანოს.**

კვლევებით დადგინდა, რომ იმ პაციენტთა სისხლში, რომლებიც პრაქტიკულად არ იყენებდნენ ცხიმებს, ქვეითდებოდა არა მხოლოდ ათეროსკლეროზული ფოლაქების ფორმირებაში მონაწილე „მავნე“ ქოლესტერინი, არამედ ათეროსკლეროზისგან სისხლძარღვების დამცავი „სასარგებლო“ ფორმებიც. მეცნიერთა აზრით, რაციონში ცხიმების შედარებით ზომიერი — 40-50 პროცენტის შემცველობის შემთხვევაში, ეფექტი გაცილებით კეთილსაიმედოა.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ეფექტიანია 35-40% ცხიმის შემცველი დიეტა! წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება არც დიეტა გამოდგეს შედეგიანი და არასასურველი გვერდითი მოვლენებიც გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევას განსაკუთრებით განეკუთვნება „უცხიმო“ დიეტა, რომელიც გულის დაავადების გაჩენის მიზეზი ხდება. დღეს კი მსგავსი მაგალითები საკმაოდ მომრავლდა.

# კონტრაცეპტივი მამაკაცებისთვის

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნით, მამაკაცთა კონტრაცეპტივის შესაქმნელად კვლევები მიმდინარეობს ევროპის, აზიის, ავსტრალიისა და სამხრეთ ამერიკის 10 სამედიცინო ცენტრში.**

მიმდინარე ცდებმა აჩვენა, რომ ინიექციის სახით შესაძლებელია, მამაკაცმა თავი დაიცვას მომავალი დაუგეგმავი და არასასურველი შვილის გაჩენისგან ისე, რომ მის ჯანმრთელობას არანაირი საფრთხე არ დაემუქროს.

კვლევები წლის ბოლოს დასრულდება.



გვერდები მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**




# მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

**გაგნიძის პრეპარატი არჩენს**

ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელების დაავადებებს; სპობს აზოტს თირკმელში, კურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, ჰაიმორიტს, ლეიკოზს, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ციროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას; ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.

**კოორდინატებია:**

**თელავი,**
კავკასიონის ქუჩა №61-ბ,
გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).
ტელ.: 893-22-66-51 8(250) 7-61-24

**თბილისი,**
აწყურის 31ა.

**ბათუმი,** ასათიანის 11,
(ორშაბათს, ოთხშაბათს
და პარასკევს,
10-დან 14 საათამდე).




# წერილები ბიჭიკო გაგნიძეს

# გმადლობთ, ბატონო ბიჭიკო



**ნაილი ჭანკოტაძე, ექიმი:** — 2007 წელს მოულოდნელად ძალიან ცუდად გავხდი. დამეწყო კუჭის ისეთი აშლილობა, რომ ვერანაირ საკვებს ველარ ვიღებდი. მივმართე ექიმს, ჩამიტარეს კვლევები და დამისვეს სწორი ნაწლავის სიმსივნის დიაგნოზი. ექიმმა ოპერაციის გაკეთება მირჩია. 72 წლის ასაკში ოპერაცია მართებულად არ მივიჩნიე. სწორედ ამ დროს დროს ახლობელმა მირჩია ბიჭიკო გაგნიძის წამალი. ვინაიდან ეს ბუნებრივი პრეპარატი იყო, გადავწყვიტე, მისი მიღების შემდეგ მეფიქრა ქირურგიულ ჩარევაზე.

პრეპარატის მიღებიდან 2 თვის შემდეგ ჩატარებული კვლევის შედეგებმა ჩემი ექიმი გააოცა. წინა ანალიზებთან შედარებისას მიხვდა, რომ სიმსივნე სრულიად გამქრალიყო.

მას შემდეგ ორი წელი გავიდა და დღეს აღარც დიეტას ვიცავ და არც წამალს ვიღებ. მჯერა, რომ მძიმე ავადმყოფობა დავამარცხე და მომავალში მხნედ ვიცხოვრებ. მადლობა მკურნალ ბიჭიკო გაგნიძეს.

**ელეონორა მჭედლიშვილი:** — ჩემს 23 წლის ქალიშვილს უმძიმესი დაავადება — C ჰეპატიტი აღმოაჩნდა. ამან ოჯახი საგონებელში ჩააგდო. მკურნალობის ხარჯები ჩემთვის მეორე ტრავმა იყო. ამ მძიმე მდგომარეობის დროს გავიგე ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატის შესახებ. მასთან ვიზიტის შემდეგ დანიშნული წამლით ჩემი გოგონა 4 თვეს მკურნალობდა. ანალიზების დადებითი შედეგებით პირადი ექიმიც დარწმუნდა და გვირჩია, მკურნალობა იმავე პრეპარატით გაგვეგრძელებინა, რათა ხანგრძლივი რემისიისთვის მიგვეღწია.

დღემდე ვმკურნალობთ. ჩემთვის მთავარია, რომ ბიჭიკო გაგნიძის წამალი ბუნებრივია და უსაფრთხო. მჯერა, რომ ის სრულიად განკურნავს ჩემს შვილს.

**ბიძინა გურგენიძე:**

— 2006 წელს მაღალი წნევისა და ნერვიულობის ნიადაგზე ინსულტი განმივითარდა. ოთხი თვის განმავლობაში ვიყავი მწოლიარე ავადმყოფი, ფეხზე წამოდგომის იმედი ექიმსაც გადაეწურა. სწორედ ამ დროს შევიტყვე ბიჭიკო გაგნიძის წამლის შესახებ. უიმედო მდგომარეობაში მყოფმა გადავწყვიტე, მიმეღო ეს პრეპარატი და მერე აღარც არაფერი მეცადა.

ერთი თვის მკურნალობის შემდეგ ფეხსა და ხელზე მგრძნობელობა დამიბრუნდა, წამოდგომა შევძელი, კუჭ-ნაწლავის სისტემა მომიწესრიგდა. ორი თვის შემდეგ წონაშიც მოვიმატე, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ორგანიზმმა გამოჯანმრთელება დაიწყო.

დღეს სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობ თავს და ბიჭიკო გაგნიძის წამალს მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით ვიღებ გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

**ანზორ მათიაშვილი:**

— 9 წლის განმავლობაში მაწუხებდა კუჭის წყლული. ცხოვრება მქონდა გაწამებული, ვინაიდან ყველანაირ საკვებს ვერ ვიღებდი. როცა ბიჭიკო გაგნიძის წამლის შესახებ გავიგე, ჩემს პირად ექიმს შევუთანხმდი და მისი რჩევით გადავწყვიტე, პრეპარატი ექიმის კონტროლის ქვეშ მიმეღო.

ზუსტად ორი თვის შემდეგ საოცარი შედეგები მივიღე. კუჭის წყლული საერთოდ გამიქრა და ნაღვლის ბუშტის ტკივილებიც მომეხსნა, რაც გამუდმებით მაწუხებდა დიეტის დარღვევის დროს.

დღეს სრულიად ჯანმრთელ ადამიანად ვთვლი თავს. მჯერა, რომ გაგნიძის ბუნებრივი მცენარეული წამალი უნიკალური და უებარია. მადლობა მას ამ პრეპარატის შექმნისა და ხალხის განკურნებისთვის.

**ოლია შატბერაშვილი:**

— ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატი პირველად 3 წლის წინათ მივიღე კუჭის მჟავიანობის მოსახსნელად და წნევის დასარეგულირებლად. როცა შედეგით კმაყოფილი დავრჩი, მივხვდი, რომ მას პროფილაქტიკური დანიშნულებითაც გამოვიყენებდი და გადავწყვიტე მისი მიღება ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე. სწორედ ამ პრეპარატის დამსახურებაა იმუნიტეტის გაძლიერება, რადგან ზამთარში არანაირი გრიპის ვირუსის აღარ მეშინია. აღარც წნევის წამალს ვსვამ, რადგან ბევრი უკუჩვენება აქვს.

ბატონი ბიჭიკოს წამალი ჩემთვის ჯანმრთელობის ელექსირს წარმოადგენს. მჯერა, რომ ის მე ჯანმრთელობას შემინარჩუნებს.

გსურთ, გაგვიზიარით თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ქრონოგრაფი

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 21-დან 27 ოქტომბრამდე?

### 21 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„ნუ აურევთ ერთმანეთში სიმამაცეს, უხეშობასა და უტიფრობას. მათ წყაროც და შედეგებიც სხვადასხვანაირი აქვს“.**
**ჟან-ჟაკ რუსო**

**ჩვ. წ. აღ.-მდე 63 წელს** რომის კონსულმა ციცერონმა წარმოთქვა სიტყვა პლებსის ბელადის კატილინას წინააღმდეგ, რითაც მისი შეთქმულება ჩაშალა.
**1520 წელს** ფ. მაგელანმა წყნარ და ატლანტის ოკეანეებს შორის აღმოაჩინა სრუტე (მაგელანის სრუტე).
**1833 წელს** დაიბადა შვედი ქიმიკოსი, დინამიტის გამომგონებელი და ნობელის პრემიის დამაარსებელი ალფრედ ნობელი.
**1847 წელს** დაიწყო სამოქალაქო ომი შვეიცარიაში.
**1894 წელს** ტახტზე ავიდა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II.
**1937 წელს** დააპატიმრეს გერმანიის სასარგებლოდ წარმოებულ შპიონაჟში ბრალდებული, ავიაკონსტრუქტორი ა.ტუპოლევი.

### 22 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„როცა ჩვენს ჭკუას, კეთილშობილებასა და სილამაზეს აქებენ, უფრო ჭკვიანები, კეთილშობილები და ლამაზები ვხდებით“.**
**ფრანსუა დე ლაროშფუკო**

**1618 წელს** ინგლისის სამეფო სასამართლომ სარდალსა და ფილოსოფოსს — უოლტერ რეილის სხვაგვარად აზროვნებისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.
**1721 წელს** რუსეთის სენატმა გააუქმა მეფის ტიტული და პეტრე I იმპერატორად გამოაცხადა.
**1811 წელს** დაიბადა უნგრელი კომპოზიტორი და პიანისტი ფერენც ლისტი.
**1812 წელს** ნაპოლეონმა კრემლის აფეთქების ბრძანება გასცა.
**1842 წელს** პეტერბურგის ერთ-ერთ არისტოკრატიულ რაიონში გ. ფაბერჟემ ოქროსა და ბრილიანტის ნივთების მაღაზია გახსნა და შემდგომში ის უზარმაზარ საწარმოდ გარდაქმნა.
**1844 წელს** დაიბადა ფრანგი მსახიობი და თეატრის ხელმძღვანელი სარა ბერნარი.
**1938 წელს** დღის სინათლე იხილა პირველმა ქსეროასლმა.
**2000 წელს** მოძრაობა „თალიბანმა“ ავღანელებს საღამოობით სპორტული თამაშების გამართვა აუკრძალა, რათა ლოცვას არ მოსცდენოდნენ.
**2001 წელს** რუსმა მეცნიერებმა ორგანული მაგნიტი აღმოაჩინეს.

### 23 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„არსებობს ორი ერთნაირად მოსახერხებელი პოზიცია: შეიძლება გჯეროდეს ანდა ეჭვი შეგქონდეს ყველაფერში. ერთიცა და მეორეც ფიქრის აუცილებლობისგან ათავისუფლებს.**
**ანრი პუანკარე**

**ჩვ. წ. აღ.-მდე 4044 წელს** (ირლანდიელი არქიეპისკოპოსის ჯეიმს აშერის გამოთვლებით) შეიქმნა პირველი ადამიანი.
**787 წელს** ქრისტიანული ეკლესიის მსოფლიო ტაძარმა დაადგინა ხატების თაყვანისცემის წესი, რომელიც დღემდე შენარჩუნებულია.
**1920 წელს** დაიბადა იტალიელი საბავშვო მწერალი ჯანი როდარი.
**1873 წელს** შეიქმნა რუსეთის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერატორთა წმინდა კავშირი.
**1920 წელს** სერგო ორჯონიკიძემ გასცა ბრძანება, აჯანყების ჩახშობის მიზნით გადაეწვათ დონელ კაზაკთა სადგური კალინოვსკაია.
**1943 წელს** ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ქალები აჯანყდნენ და მოკლეს სადისტი ოფიცერი ი. შილინგერი. იმავე დღეს ყველა აჯანყებული დახვრიტეს.
**1946 წელს** გაიმართა გაეროს გენერალური ასამბლეის პირველი სხდომა.

### 24 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„გულქვაობაზე უარესი მხოლოდ უჭკუობაა“.**
**თეოდორ რუზველტი**

**1911 წელს** დაიბადა გენიალური რუსი მსახიობი და მინიატურების თეატრის დამაარსებელი არკადი რაიკინი.
**1658 წელს** საფრანგეთის მეფის — ლუდოვიკო XIV წინაშე მსახიობისა და ავტორის როლში პირველად წარდგა ჟან-ბატისტ მოლიერი.
**1797 წელს** უძლიერესმა მიწისძვრამ გაანადგურა პერუს დედაქალაქი ლიმა.
**1980 წელს** ფილადელფიიდან პორტ-საიდისკენ გაემართა სავაჭრო გემი „პოეტი“ და უკვალოდ გაქრა!
**2000 წელს** ბერლინის ეგვიპტის მუზეუმში აღმოაჩინეს კლეოპატრას მსოფლიოში ერთადერთი ავტოგრაფი.

# მეცნიერების მიერ აუხსნელი აღმოჩენები

## ვოინიჩის მანუსკრიპტი



**უცნობი ავტორის მიერ 500 წლის წინათ დაწერილი ეს იდუმალი წიგნი კაცობრიობისთვის უცნობ ენაზე, ასევე, უცნობი ანბანის გამოყენებითაა შექმნილი.**

მანუსკრიპტის გაშიფვრა არაერთხელ უცდიათ, მაგრამ სავსებით უშედეგოდ. ის კრიპტოგრაფიის წმინდა გრაალად არის გამოცხადებული. წიგნმა სახელწოდება ამერიკელი წიგნის მოვაჭრის ვილფრიდ ვოინიჩის (მწერალ ეტელ ლილიან ვოინიჩის ქმარი) პატივსაცემად მიიღო, რომელმაც მანუსკრიპტი 1912 წელს შეიძინა. ახლა ის იელის უნივერსიტეტში, ბაინეკის სახელობის იშვიათი წიგნების საცავში ინახება. წიგნის გვერდებზე განთავსებული სურათებით თუ ვიმსჯელებთ, ის რამდენიმე განყოფილებისგან შედგება: ბოტანიკა, ასტრონომია, ბიოლოგია, კოსმოლოგია, ფარმაცევტიკა, რეცეპტურა და ა. შ.

## ანტიკიტერული მექანიზმი

**ანტიკიტერული მექანიზმი მექანიკური ხელსაწყოა, რომელიც 1900 წელს საბერძნეთის კუნძულ ანტიკიტერის შორიახლო ჩაძირულ უძველეს ხომალდზე აღმოაჩინეს.**



ის ჩვ. წ. აღ.-მდე დაახლოებით 1000 წლითაა დათარიღებული. მექანიზმი ბრინჯაოს უამრავ ხრახნს შეიცავდა, ხოლო ხის კორპუსზე განთავსებული იყო ისრებიანი ციფერბლატები. ხელსაწყოს მათემატიკური გამოთვლებისა და ციური სხეულების მოძრაობის გამოთვლისთვის იყენებდნენ.

ამგვარი სირთულის მექანიზმები უცნობი იყო ელინისტური კულტურისთვის. მასში გამოყენებულია დიფერენცირებული გადამცემი, რომელიც XVI საუკუნემდე არ გამოუგონიათ, ხოლო სირთულითა და მინიატიურულობით ის XVIII საუკუნის მექანიკურ საათებს არ ჩამოუვარდება, თუმცა ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ მექანიზმის გამოგონების დროს მიზიდულობისა და ციურ სხეულთა მოძრაობის კანონები ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანტიკიტერულ მექანიზმს აქვს იმ ხანისთვის არნახული ფუნქციები და მოწყობილობა, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავი ვერაფერს გაუგებდა.

## ბეიგონის მილები



ჩინეთის ერთ-ერთ ოლქში, მთის წვერზე, სამი იდუმალი გამოქვაბულია, რომელთაგან ორი დანგრეული და მიუდგომელი, ხოლო მესამეში (მღვიმის სიმაღლე — 8 მ, სიგანე — 2 მ, ხოლო სიღრმე 6 მ-ია) მთის მწვერვალიდან გამოქვაბულის ბოლომდე გამომავალი 40 სმ დიამეტრის მილის ნაწილი შემორჩენილა. მეორე ამგვარივე მილი მღვიმის ფსკერიდან სადღაც ქვემოთ ეშვება. გამოქვაბულში სულ 12-მდე ასეთი რთულად ურთიერთდაკავშირებული მილია აღმოჩენილი. მათი მასალის ნიმუშები ექსპერტიზაზე გაგზავნეს, მაგრამ შემადგენლობის 8 პროცენტის იდენტიფიცირება ვერ შეძლეს. ვინ და რისთვის განათავსა მღვიმეში ეს მილები, დღემდე გამოცანად რჩება. ზოგიერთის მტკიცებით, ეს უცხოპლანეტელთა ნამოქმედარია.



## გიგანტური ბურთები

**კოსტა-რიკის ქვის ბურთები ისტორიამდელი პეტროსფეროებია, რომელთა რაოდენობა მდინარე დიკვისის შესართავში, ნახევარკუნძულ ნიქოიასა და კუნძულ კანიოზე 300-მდე აღწევს. მათგან ყველაზე დიდები 16 ტონას იწონის.**

პირველი ბურთები 1930-იან წლებში ბანანის პლანტაციებისთვის გათვალისწინებული მოედნების დასუფთავებისას მუშებმა აღმოაჩინეს. ადგილობრივი თქმულებით, ქვის შიგნით ოქრო ინახებოდა. ჰოდა, მუშებიც ბურთების ბურღვას შეუდგნენ. ვანდალიზმი კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაჩერა.

არტეფაქტების დათარიღების ტრადიციული სტრატიგრაფიული მეთოდებით ქვის ბურთებთან ვერაფერს გახდნენ — ისინი ცენტრალური ამერიკის ვერც ერთ არქეოლოგიურ კულტურას ვერ მიუსადაგეს. სხვაობა დათარიღებაში ჩვ. წ. აღ.-მდე 200 წლიდან ჩვ. წ. აღ.-ის 1500 წლამდე მერყეობს, ანუ პრაქტიკულად კოლუმბამდელი ცივილიზაციების არსებობის მთელ პერიოდს მოიცავს. პეტროსფეროების დანიშნულებაცა და შექმნის გარემოებანიც მეცნიერებისთვის საიდუმლოს წარმოადგენს. ზოგიერთი ვარაუდით, ისინი, შესაძლოა, ციური სხეულების სიმბოლოებს წარმოადგენდნენ.

## ბაღდადის ბატარეა



ბაღდადის ბატარეა პართენონული და სასანიდური პერიოდების იდუმალი მესოპოტამიური არტეფაქტია, რომელსაც ერაყის ნაციონალური მუზეუმის დირექტორი ვილჰელმ კენინგი და სხვა მეცნიერები ალესანდრო ვოლტის დაბადებამდე 2000 წლის წინ შექმნილ ანტიკურ გალვანურ ელემენტად განიხილავენ. როცა არქეოლოგებმა ეს ბატარეა აღმოაჩინეს, ივარაუდეს, რომ ის ცხიმის შესანახი ჩვეულებრივი თიხის ქოთანი იყო, თუმცა ეს თეორია მალე მიივიწყეს, რადგან არტეფაქტი მჟავური კოროზიისნიშნებიან სპილენძის ლარტყას შეიცავდა. მჟავით ან ტუტით შევსებულ ბატარეას კი ერთვოლტიანი ძაბვის ელექტრული მუხტის წარმოქმნა შეეძლო.

## ოკეანის იდუმალი ძახილი



1997 წელს ოკეანეებისა და ატმოსფეროს კვლევის ნაციონალურმა სამმართველომ ოკეანეში უცნაური ხმა დააფიქსირა. ხმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ორმა სხვადასხვა მიკროფონმა ის 3 000 მილის მანძილზე აღიქვა. სამმართველოს ოფიციალური განცხადებით, ხმის წყარო უცნობია, თუმცა, სავარაუდოდ, მას მეცნიერებისთვის უცნობი, უზარმაზარი ცოცხალი არსება გამოსცემს. ერთ-ერთი არაოფიციალური ვერსიით, ამ ხმას გიგანტური კალმარების ჯგუფი გამოსცემს (შეგახსენებთ, რომ ადამიანის მიერ დაჭერილი ყველაზე დიდი — 10 მ სიგრძის კალმარი 450 კგ-ს იწონიდა). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ხმის წყაროს კოორდინატები იმ ადგილის შორიახლო მდებარეობს, რომელიც მწერალმა ჰოვარდ ლავკრაფტმა წყალქვეშა ქალაქ რლიეხის აღწერისას მიუთითა. ამ ქალაქში კი თურმე საზარელ ურჩხულ კტულჰუს ძინავს...

# ჰიტლერის შუბი

**იოანეს სახარებაში მოთხრობილია იუდეის პროკონსულის პილატე პონტოელის წარმომადგენელ გაიუს კასიუსზე, რომელიც არა მხოლოდ ესწრებოდა „სიმშვიდის დამრღვევი“ იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯას, არამედ მისი ჯვარცმული სხეული შუბითაც განგმირა.**



ლეგენდების მიხედვით, ქრისტეს სისხლმა სასიკვდილო იარაღი განწმინდა და ის ბრძოლებში წარმატების მომტანად აქცია. ბევრი ცნობილი პიროვნება გამარჯვებისა და დიდების მოსაპოვებლად ამ შუბის აღმოჩენასა და ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა.

— სწორედ ეს თილისმა ეკავა ხელში ისუ ნავინს, როცა მისმა ჯარისკაცებმა ის ზარდამცემი ყიჟინა დასცეს, რომელმაც იერიქონის კედლები ნაცარტუტად აქცია, — ყვება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრ ჩერნოვი, — ხოლო ჰეროდე ამ შუბის მფლობელი გახლდათ, როცა უდანაშაულო ჩვილების გაჟლეტა ბრძანა. ცნობილია, რომ შუბი ძალიან დიდი ხნის წინათ პირველმღვდელ ფინესის განკარგულებით გამოჭედეს, რათა ის ღვთის რჩეული ხალხის (იუდეველების) სისხლის მაგიური ძალის სიმბოლოდ ქცეულიყო. ლეგენდის მიხედვით: „ის, ვინც ამ შუბს დაისაკუთრებს და მის საიდუმლოს ეზიარება, მსოფლიოს ბედის წარმმართველი შეიქნება.“

ეს შუბი რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდსაც ჩაუვარდა ხელში და 312 წელს რომის დასალაშქრად დაძრული მაქსენციუსის ჯარების განადგურებასა და ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებაშიც დაეხმარა. კონსტანტინეს შემდეგ შუბი გოთების მეფის თეოდოზიოსის და ბარბაროსთა წინამძღვრის ალარიქეს მფობელობაშიც იყო, რომელმაც ეს რელიკვია რომის დაპყრობისას მიისაკუთრა. ოთსგოთების მეფე თეოდორიქემ კი ამ შუბის წყალობით 452 წელს სასტიკი ატილას ურდო გაჟლიტა. ბოლოს, გაურკვეველ გარემოებებში შუბი ცნობილ ევროპელ მმართველთან, რომის წმინდა იმპერიის იმპერატორ ოტგონიუსთან (980-1002 წ.წ.) მოხვდა. მისი მფლობელები იყვნენ, აგრეთვე, ფრიდრიხ ბარბაროსა და მისი შვილიშვილი. XX საუკუნის დასაწყისში შუბი ჰოფბურგის (ავსტრია) მუზეუმში, ჰაბსბურგთა დინასტიის ყოფილ სასახლეში ინახებოდა.

„იმ დღეს ნორჩი ადოლფი ჰოფბურგის მუზეუმის ფასადის ესკიზებს აკეთებდა, — წერდა თავის წიგნში — „ძალაუფლების თილისმა“ ფრანგი მწერალი ტრევორ რავენსკროფტი (ეს წიგნი ჰიტლერის სტუდენტობის დროინდელი მეგობრის ვალტერ შტაინის მონათხრობის მიხედვით დაიწერა) — მთელი დღე სიცივისგან კანკალებდა და შიშობდა, რომ უბადრუკ ქოხმახში ერთხელ უკვე გადატანილი ბრონქიტი კვლავ თავს შეახსენებდა. განვიმდა და ესკიზების ალბომიც დასველდა. მაშინ ადოლფმა მუზეუმს მიაშურა და განძსაცავში გასათბობად შევიდა. ამ დროს ვიტრინას, რომლის მიღმაც უძველესი შუბი იდო, ექსკურსია მიუახლოვდა. გიდმა სტუმრებს იარაღთან დაკავშირებული ლეგენდები მოუთხრო. აღმოჩნდა, რომ ბოლო 500 წლის განმავლობაში, ნაპოლეონის გარდა, ლეგენდა სერიოზულად არავის აღუქვამს, თუმცა მან შუბი ხელში ვერ ჩაიგდო. გარინდებული ჰიტლერი ვიტრინას მიუახლოვდა და უცებ უცნაური ენერგიის მძლავრ ნაკადში მოექცა, რომელმაც თავი ზეადამიანად აგრძნობინა, ვილაცის ხმამ კი წასჩურჩულა, დიდება და მსოფლიო ბატონობა გელისო...“ სწორედ ამ დროიდან გაიტაცა მომავალი ფიურერი ოკულტიზმმა, მაგიამ და სხვა საიდუმლო მეცნიერებებმა.

ფიურერის ოცნება 1938 წლის მარტში ახდა, — განაგრძობს თხრობას ჩერნოვი, — ხელისუფლების სათავეში მოსვლისა და ავსტრიის დაპყრობის შემდეგ ჰოფბურგის საგანძური მან გერმანელი ერის საკუთრებად გამოაცხადა. შუბი ნიურნბერგში ჩაიტანეს, სადაც 1945 წლამდე მიწისქვეშა საიდუმლო საცავში ინახებოდა. საცავის გასაღები ფიურერის ერთ დაახლოებულ პირს ჰქონდა, საიდუმლო კარის შიფრი კი მეორემ იცოდა...

1945 წლის 20 აპრილს დანგრეულ ქალაქში ამერიკელმა სპეციალისტებმა რომაელი ცენტურიონის შუბი იპოვეს. ამგვარად, აშშ უძველესი მაგიური იარაღის მფლობელი შეიქნა. ჰიტლერმა კი თითქმის იმავდროულად თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ამერიკელი მასონების მტკიცებით, ისინი ერთობ საინტერესო ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტებს ფლობენ: ევროპაში ჯარების მეთაური გენერალი ეიზენჰაუერი, რომელიც შემდგომში პრეზიდენტი გახდა, მასონური ორგანიზაციის წევრი იყო. მისთვის ცნობილი იყო შუბის ლეგენდაც და ისიც, რომ ამერიკა იაპონიის კუნძულებზე ატომური ბომბის ჩამოგდებას აპირებდა. ეიზენჰაუერს წმინდა შუბის სიძლიერის სწამდა და რაკილა არ სურდა, რომ მის ქვეყანას გერმანიის ბედი გაეზიარებინა, სახიფათო თილისმის თავიდან მოშორება გადაწყვიტა. ასე რომ, 1946 წლიდან წმინდა შუბი კვლავ ჰოფბურგის მუზეუმის განძსაცავს დაუბრუნდა და დღემდე მეწამული ხავერდის ბალიშზეა დასვენებული...

# რატომ გაქრა მაიას ცივილიზაცია

**მიუხედავად გავრცელებული ჰიპოთეზისა, რომ მაიას ცივილიზაცია ესპანელ კონკისტადორებს ემსხვერპლა, აღმოჩნდა, რომ იმპერია კოლუმბის მოგზაურობამდე 500 წლით ადრე განადგურდა. მეათე საუკუნის შუახანებში შეწყდა თვალწარმტაცი პირამიდებისა და ტაძრების მშენებლობა, ქალაქები დაცარიელდა, ხოლო ევროპელთა გამოჩენისას ის უკვე მომთაბარე ტომებთან მებრძოლ პატარ-პატარა დასახლებებს წარმოადგენდა.**



არსებობს მაიას ცივილიზაციის გაქრობის ორი ჰიპოთეზა: ტოლტეკებთან ომები და ეკოლოგიური კატასტროფა. მეორე ჰიპოთეზის დადასტურებას წარმოადგენს ამერიკელი ბიოლოგების: დევიდ ლენცისა და ბრაიან ჰოკაიდეს გამოკვლევები: უძველეს ქალაქ ტიკალში მდებარე ორი სასახლისა და 6 ტაძრის 135 ნიმუშის შესწავლით მათ დაადგინეს, რომ წლიდან წლამდე მშენებლობებისთვის მაიას ტომები სულ უფრო უვარგის მერქანს იყენებდნენ.

ეტყობა, დროთა განმავლობაში ტყის მასივები გაიჩეხა.

კონკისტადორთა გამოჩენის შემდეგ მაიას უბედურებებს ახალი და უცხო სნეულებების გავრცელება და ინკვიზიციის მიერ დევნაც დაერთო. თუმცაღა, მოსახლეობა მთლად არ გადაშენებულა და ამჟამად 6 მლნ-ზე მეტი მაიას წარმომადგენელი მექსიკაში, გვატემალაში, ბელიზსა და ჰონდურასში ცხოვრობს.

# ზეციდან ჩამოშვებული ეკლესია

**ახლახან მკვლევარებმა პირველად შეადგინეს ეთიოპიის კლდეებში ზემოდან ქვემოთ გამოკვეთილი უნიკალური ეკლესიების არქეოლოგიური რუკა. რელიგიური კომპლექსი მართლმადიდებელ ქრისტიანთა ახალ იერუსალიმად იქცა.**



XIII საუკუნის დასაწყისში იმჟამად უკვე ქრისტიანულ ეთიოპიას მეფე ლალიბელა მართავდა. ლეგენდის თანახმად, ახალი იერუსალიმის აგება მას ზეციურმა ძალებმა უბრძანეს, რადგან ძველი აღთქმისეული იერუსალიმი 1187 წლიდან მუსლიმანების კონტროლქვეშაა. ლალიბელა, რომელმაც ეს სახელწოდება მეფის საპატივცემულოდ მიიღო, 2 500 მ-ის სიმაღლის გრანიტის პლატოზე მდებარეობს. პლატოში 130 მონოლითური ეკლესიაა გამოკვეთილი, თანაც მშენებლები მათ კლდის ქიმიდან, ანუ ზემოდან ქვემოთ კვეთდნენ.

კლდოვანი ეკლესიები მუდამ ისტორიკოსთა გაცხოველებულ ინტერესს იწვევდა, თუმცა მეცნიერებმა მხოლოდ შარშან მიიღეს ხელისუფლების ნებართვა კომპლექსის დეტალურად შესწავლაზე. ამ დროისათვის დასრულდა ლალიბელას ტოპოგრაფიული გადაღება და შედგა არქეოლოგიური რუკა. ჯერჯერობით ვერ დადგინდა კომპლექსის აგების დრო და მის არქიტექტორთა ვინაობა. თეორიაც კი არსებობდა იმის შესახებ, რომ ლალიბელას ეკლესიები პალესტინიდან დევნილმა ტამპლიერებმა და ეგვიპტელმა კოპტებმა ააგეს, თუმცა ამჟამად დადგინდა, რომ კომპლექსი აბისინიური ხელოვნების ნიმუშია. რაკილა კომპლექსის მშენებლობა, უფრო სწორად კი შექმნა, უჩვეულო მეთოდით მიმდინარეობდა, გეოლოგიური ფენების მიხედვით, მისი დათარიღება შეუძლებელია. ამიტომაც იშვა ვერსია, რომ ეს ეკლესიები ზეციდანაა ჩამოშვებული“...

# ქრონოგრაფი

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 14-დან 20 ოქტომბრამდე?

### 25 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„დღეს ახალგაზრდობა ისეთი მოწიფული გახდა, რომ გაცნობიერებულად აჭიანურებს ინფანტილიზმის სტადიას“.**
**ლეშეკ კუმორი**

**1820 წელს** დაიბადა რუსი მწერალი, ჟურნალების: „ვრემიასა“ და „ეპოხას“ გამომცემელი მიხაილ დოსტოევსკი.
**1825 წელს** დაიბადა ავსტრიელი კომპოზიტორი, ვალსის მეფე იოჰან შტრაუსი.
**1586 წელს** შოტლანდიის დედოფალ მარია სტიუარტს სიკვდილი მიუსაჯეს.
**1902 წელს** გვატემალაში სანტა-მარიას ვულკანის ამოფრქვევის შედეგად 6 ათასი კაცი დაიღუპა.
**1929 წელს** დაიწყო მსოფლიო კრიზისი.
**1962 წელს** ნიკიტა ხრუშჩოვი ჯ. კენედისადმი პირად გზავნილში კუბიდან საბჭოთა რაკეტების გამოყვანაზე იმის სანაცვლოდ დათანხმდა, რომ აშშ უარს იტყოდა კუბის დაპყრობაზე.
**1942 წელს** ინგლისის ხელისუფლებამ ღვეზელებში ჯემისა და შაქრის შემცველობაზე შეზღუდვა დააწესა.
**1944 წელს** წყნარ ოკეანეში ამერიკული წყალქვეშა ნავი „ტანგი“ მისავე ტორპედოზე აფეთქდა.
**1945 წელს** ჩან კაიშის ხელისუფლებამ ჩინეთის შემადგენლობაში შეიყვანა იაპონიის კუთვნილი ტაივანი.

### 26 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„ადამიანები იოლად შეგინდობენ მათთვის გაკეთებულ სიკეთეს, მაგრამ იშვიათად ივიწყებენ სიავეს, რომელიც თავად გაგიკეთეს“.**
**სომერსეტ მოემი**

**1880 წელს** დაიბადა რუსი მწერალი ანდრეი ბელი.
**1916 წელს** დაიბადა საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი.
**1440 წელს** ნანტში ბავშვების მკვლელობისა და ჯადოქრობის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს ფრანგი მარშალი ჟილ დე რე (მოგვიანებით ის ცნობილი გახდა ლეგენდით ლურჯწვერას შესახებ).
**1860 წელს** ჯუზეპე გარიბალდიმ ვიქტორ ემანუელი იტალიის მეფედ გამოაცხადა.
**1872 წელს** 17 წლის ჰანს ქრისტიან ანდერსენი სკოლის მერხს მიუჯდა. მისი თანაკლასელები 11 წლისანი იყვნენ.
**1932 წელს** მწერლებთან შეხვედრაზე სტალინმა მათ „ადამიანთა სულების ინჟინრები“ უწოდა.
**1941 წელს** ფრონტზე დაიღუპა რუსი საბავშვო მწერალი არკადი გაიდარი.
**1942 წელს** ამერიკულმა ლინკორმა „სამხრეთ დაკოტამ“ 26 იაპონური ბომბდამშენი გაანადგურა და თავად უვნებლად გადარჩა.
**1957 წელს** მარშალი ჟუკოვი სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გადააყენეს.
**1956 წელს** დაარსდა მაგატე — ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო.

### 27 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„მეგობრებს არ შეუძლიათ, მიუკერძოებლები იყვნენ და ხშირად უსამართლონიც არიან იმის გამო, რომ მიუკერძოებლობას ლამობენ.“**
**ნიკოლა ბუალო**

**1662 წელს** ინგლისის მეფე კარლოს II-მ დიუნკერკი საფრანგეთს მიჰყიდა.
**1728 წელს** დაიბადა ინგლისელი მეზღვაური, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის სამი ექსპედიციის ხელმძღვანელი, ახალი ზელანდიისა და ჰავაის კუნძულების აღმომჩენი ჯეიმს კუკი.
**1782 წელს** დაიბადა დიდი იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი ნიკოლო პაგანინი.
**1806 წელს** ნაპოლეონმა ბერლინი აიღო.
**1855 წელს** დაიბადა რუსი სელექციონერი, მებაღე-გენეტიკოსი ივანე მიჩურინი.
**1869 წელს** ამერიკულ ხომალდ „სთოუნველს“ მისისიპზე ხანძარი გაუჩნდა, რის შედეგადაც 200 კაცი დაიღუპა.
**1920 წელს** ერთა ლიგის შტაბბინა ლონდონიდან ჟენევაში გადაიტანეს.
**1939 წელს** სსრკ-მა ვილნიუსი ლიტვას გადასცა.
**1951 წელს** პირველად მსოფლიოში სიმსივნის სამკურნალოდ რადიაცია გამოიყენეს.
**1954 წელს** დღის სინათლე იხილა უოლტ დისნეის პირველმა ტელეპროგრამამ.
**1982 წელს** ჩინეთმა გამოაცხადა, რომ მისი მოსახლეობის რაოდენობამ 1 მლრდ-ს გადააჭარბა.
**1991 წელს** ჯოჰარ დუდაევი ჩეჩნეთის პრეზიდენტად აირჩიეს.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვინ გადაფარავს ხვრინვით თვითმფრინავის ხმას?

**60 წლის ბრიტანელი პენსიონერი ჯენი ჩეპმენი ისე ხმამაღლა ხვრინავს, თვითმფრინის ძრავის ხმაური მონაგონია. მისი ხვრინვის ხმა 111,6 დეციბალია, რაც 13 დეციბალით აღემატება ტრაქტორის ძრავის ხმას, 11 დეციბალით — მატარებლის ხმაურს და 8 დეციბალით — თვითმფრინავისას.**



ჯენის ხვრინვის სიძლიერე გაზომეს სპეციალურ სარეაბილიტაციო ცენტრში, რომელსაც ქალმა სწორედ ხვრინვის პრობლემისგან გასათავისუფლებლად მიმართა. ცენტრის ექსპერტები ირწმუნებიან, რომ მათ პრაქტიკაში მხვრინავი პაციენტებიდან ჯენის ეს ყველაზე ხმამაღლა გამოსდის. ქალბატონის მეუღლე კოლინი ამბობს, რომ, როცა აღარ შეუძლია ამ ხმაურის მოსმენა, მეორე საძინებელს აფარებს თავს, მჭიდროდ ხურავს ყველა კარს ოთახებს შორის და თავზე ბალიშს იფარებს. ეს ერთადერთი საშუალებაა ჯენის სიახლოვეს დასაძინებლად. კოლინი საკუთარ თავზე მეტად მეუღლეს დარდობს — ჯენი თავადაც ვერ იძინებს, საკუთარი ხვრინვის ხმისგან შეწუხებული. დაავადებასთან საბრძოლველად ჯენიმ აბსოლუტურად ყველა მეთოდი მოსინჯა, აბებიდან დაწყებული, ქირურგიით დასრულებული, მაგრამ საშველი არ ჩანს. ახლა სარეაბილიტაციო ცენტრის ექიმებმა ურჩიეს, სამუდამოდ დაივიწყოს ალკოჰოლი, იკვებოს ჯანსაღი პროდუქტებით და მისდიოს სპორტს. ჯენის კი არაფრის იმედი აღარ აქვს და თვლის, რომ ეს რჩევები მხოლოდ ჯანმრთელობას გაუუმჯობესებს, ხვრინვას კი ერთი დეციბალიც არ მოაკლდება. სტატისტიკის მიხედვით, საშუალო ასაკის ბრიტანელთა 75 პროცენტი ხვრინავს. დაავადების ზუსტი მიზეზები ამ დრომდე უცნობია.

# ვის დაეცა კოსმოსური ნაგავი?

**ქალაქ ჰამბერსაიდში მცხოვრები ინგლისელი პენსიონერების სახლს ივლისში რაღაც დაეცა. ამ რაღაცამ სახლის სახურავი ჩაანგრია და საზრუნავი მხოლოდ ამ სახლის მკვიდრთ კი არა, კიდევ ბევრს გაუჩინა. იმ დღეს 75 წლის პიტერ უელტონი თავის საძინებელში ნებივრობდა, როდესაც სახურავიდან ძლიერი ხმა შემოესმა. სხვენში ასულმა დაახლოებით ფეხბურთის ბურთის ზომის ნაცრისფერი ნამსხვრევი იპოვა. ორ კილოგრამამდე მასა იმდენად ცხელი იყო, რომ მის გადასატანად სამზარეულოს ხელთათმანები დასჭირდა.**



უახლოეს საათებში საქმეში პოლიცია ჩაერთო და უჩვეულო ნივთი გამოსაკვლევად თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. ხანგრძლივი კვლევის შედეგად უელტონების ოჯახს სულ რამდენიმე დღის წინათ აცნობეს, რომ მათ სახურავზე ჩამოვარდნილი ნამსხვრევი, როგორც ჩანს, კოსმოსური ნაგვის ნაწილია. მეცნიერები აღფრთოვანებულნი არიან, ეს პირველი შემთხვევაა, როცა მათ კოსმოსური ნამსხვრევი ჩაუვარდათ ხელთ და ეს ერთადერთი მსგავსი შემთხვევაა უკანასკნელი წლების მანძილზე, რომლის გამოძიებაც სამხედროებს მოუხდათ. შეგახსენებთ, რომ 1997 წელს ოკლაჰომას მკვიდრი მხარში დაიჭრა მეტალის ნამსხვრევით, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერთი წლის წინათ გაშვებული რაკეტის საწვავის ავზის ნამსხვრევი იყო.

# რამდენი წლისაა დამნაშავე?

**ბრიტანეთის უილტშირის საგრაფოს პოლიცია იძიებს ინციდენტს, რომლის მთავარი მოქმედი „გმირი“ ორი წლის გოგონაა. ბავშვი ვანდალიზმშია ეჭვმიტანილი, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, მას ვერც დააპატიმრებენ და ვერც რაიმე სასჯელს შეუფარდებენ.**



ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მამაკაცმა დაინახა, როგორ ურტყამდა მის მანქანას ჯოხს პატარა გოგო და სასწრაფოდ პოლიციაში დარეკა. მისი თქმით, 2 წლის თავდამსხმელი შეგნებულად და მიზანმიმართულად მოქმედებდა. შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ და ბავშვის მშობლებს წაუკითხეს ლექცია აღზრდის საკითხებსა და მომავალში მსგავსი ფაქტების გამეორების დაუშვებლობის თემაზე.

პოლიციამ განაცხადა, რომ მათ იურიდიულად არ აქვთ უფლება, დააკავონ და დაკითხონ ორი წლის ბავშვი, რომელმაც სულ ახლახან აიდგა ფეხი და ალაპარაკდა. მადლობა ღმერთს, ბავშვის ვანდალიზმის თაობაზე ჩანაწერი არ გაკეთდება პოლიციის მონაცემთა საერთო ბაზაში. პოლიციის ინფორმაციით, ბოლო სამი წლის მანძილზე დიდ ბრიტანეთში დაფიქსირებულია ექვსი ათასამდე დანაშაული, რომლებიც 10 წლამდე ასაკის ბავშვებმა ჩაიდინეს.

# რატომ აშიმშილებენ მექსიკელ პოლიციელებს?



**მექსიკის დედაქალაქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ქალაქის პოლიციელები მკაცრ დიეტაზე დასვას. ჯანდაცვის საქალაქო პროგრამის ფარგლებში 1300 პოლიციელი სახალხოდ აიწონა, რის შემდეგაც სამართალდამცავმა უწყებამ საზეიმოდ დაივალა ამ თანამშრომელთა კვების რეჟიმსა და ნორმალურ ფორმაში დაბრუნებაზე ზრუნვა.**

პოლიციელებს უფლება აქვთ, მიირთვან მექსიკური სენდვიჩები, მაგრამ მხოლოდ



ბოსტნეულის სენდვიჩებთან მონაცვლეობით. დიეტის პარალელურად, მათ სისხლში ქოლესტერინის დონეს სპეციალისტები ადევნებენ თვალყურს.

საქმე ისაა, რომ შტატების შემდეგ მექსიკა მსოფლიოში მეორე ადგილზეა მოსახლეობის ჭარბწონიანობის მხრივ. ზედმეტი კილოგრამები მექსიკელთა, სულ მცირე, ნახევარს აწუხებს. სრულწლოვან ქალთა შორის სიმსუქნე 70%-ის სერიოზული პრობლემაა. ერთ წელიწადში 8 პროცენტით მოიმატა ჭარბწონიანი ბავშვების რაოდენობამ.

სწორედ მექსიკაში ცხოვრობს დედამიწის ყველაზე მსუქანი ადამიანი მანუელ უბირე, რომელიც 2006 წელს 570 კილოგრამს იწონიდა და 2008 წლისთვის 340 კილოგრამამდე მოახერხა წონის დაგდება.

რაც შეეხება მექსიკის პოლიციას, მისი თანამშრომლების 70 პროცენტი ჭარბწონიანია. სამართალდამცავი სისტემა იმდენად შეწუხებულია მოუქნელი და ძლივს მოძრავი თანამშრომლების გამო, რომ შარშან ქალაქ აგუასკალიენტეს მთავრობამ პოლიციელებს თითოეული დაკლებული კილოგრამის სანაცვლოდ ფულადი ჯილდო დაუწესა.

# ვის აუფეთქდა მკერდი?

**ამერიკელი ფოტომოდელი, სილიკონის ულამაზესი მკერდით ცნობილი შავონ ტორესი ცნობილ ამერიკულ რეალითი-შოუ „Real World“-ში მონაწილეობდა და სხვებთან საკმაო უპირატესობაც მოიპოვა. ალბათ, ყველაფერი მშვენივრად დამთავრდებოდა, მისთვის მთავარ სიამაყეს, მკერდს რომ არ ელალატა.**



პროგრამის სცენარის მიხედვით, ერთ-ერთი გამოცდის დროს მონაწილეები სიმაღლიდან უნდა გადამხტარიყვნენ წყალში. ყველა კონკურსანტმა წარმატებით ჩაყვინთა, შავონმა კი მწვრთნელის ინსტრუქცია არ შეასრულა და წყლის ზედაპირზე პირდაპირ მუცლით დაენარცხა. ძლიერ დარტყმას მუცელმა კი გაუძლო, მაგრამ მკერდის იმპლანტანტებიდან ერთ-ერთი სწორედ ამ დარტყმის ძალისგან გასკდა.

თავიდან იქ მყოფთ საეჭვო არაფერი დაუნახავთ, მაგრამ გოგონა განწირული კიოდა და დახმარებას ითხოვდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა განაცხადეს, რომ გამსკდარმა იმპლანტანტმა მკერდზე კანი გაგლიჯა.

საბრალო ტორესი ადგილობრივ საავადმყოფოში მიიყვანეს, ექიმებმა დაზიანებული სილიკონი ამოაცალეს და სრულ რეაბილიტაციამდე ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვა აუკრძალეს.

სილიკონს მხოლოდ ტკივილი და უბედურება როდი მოაქვს.

ახლახან ისრაელში ავტოავარიის შედეგად მანქანაში დამცავი ბალიშები კი გაიშალა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მაშინვე დასკდა. მანქანაში მჯდომ ქალს ტკივილისგან გული წაუვიდა.

ექიმები ნეკნების მძიმე და მრავალჯერად მოტეხილობას ელოდნენ, მაგრამ რენტგენმა მსგავსი არაფერი აჩვენა. როგორც შემდგომ გაირკვა, მთელი დარტყმა სილიკონის მკერდმა მიიღო და მფლობელი სერიოზული ტრავმებისაგან იხსნა.

# რა მოუვა თევზის მკვლელს?

**ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდის მკვიდრმა, 27 წლის დონალდ ერლ ფაიტმა აღიარა, რომ თავს დამნაშავედ ცნობს ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობასა და ოჯახურ ძალადობაში. ორწლიანი პირობითი სასჯელის გარდა, სასამართლომ მას იძულებითი შრომა და ფსიქოლოგთან იძულებითი გამოკვლევაც მიუსაჯა.**



2009 წლის ივლისში ფაიტთან ახალდაშორებული სარა ჰერისი სახლში დაბრუნდა და საკუთარ ლოგინში ძველი შეყვარებული აღმოაჩინა. ფაიტმა განუცხადა, რომ არ სურს მისი მიტოვება. გოგონამ გაქცევა სცადა, მაგრამ კაცმა ხელი ჩაავლო, კედელთან მიიმწყვდია და შემდეგ აბაზანისკენ გაისროლა. ჰერისმა მაინც მოახერხა გაქცევა, მაგრამ, როცა პოლიციელების თანხლებით შინ დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ მისი საყვარელი თევზი დოლორეანი დანით მოკლული იატაკზე ეგდო. ფაიტმა პოლიციელებს განუცხადა, თუ მე არ ვეყოლები, არც თევზი ეყოლებაო, მოგვიანებით კი მოინანია დანაშაული და ძალიან შერცხვა იმის გამო, რომ ასე მოექცა მის მიერვე ნაჩუქარ თევზს. როგორც სასამართლოს ბრალმდებელმა განუცხადა, ჰერისს სურს, თავისი საყვარელი თევზის ტატუირება გაიკეთოს სხეულზე და რომ ამ პროცედურის ღირებულება ფაიტმა აანაზღაუროს. მადლობა ღმერთს, სასამართლომ ეს მოთხოვნა არაგონივრულად მიიჩნია.

# ვინ გააყალბა დიპლომი?

**უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ საკუთარი ხელით დაწერა ბრძანება უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის — ანდრეი კისლინსკის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. მისი გათავისუფლების თაობაზე პრეზიდენტს თავად სამსახურის თავმჯდომარე ვალენტინ ნალივაიჩენკომ მიმართა.**

საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინათ განათლების სამინისტროს სამუშაო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული გამოძიების შედეგების თანახმად, კისლინსკის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი ყალბი აღმოჩნდა. მას კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე არასდროს უსწავლია და, შესაბამისად, არც დიპლომი მიუღია.

არადა, საშუალო განათლების მქონე კისლინსკი 2006 წლიდან ჯერ უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლად მუშაობდა, შემდეგ — მის დამხმარედ, 2007 წლის სექტემბრიდან კი ზემოხსენებული თანამდებობა ეკავა.

# ვინ არღვევს გუბერნატორი ქმრის მიერ მიღებულ კანონებს?

**კალიფორნიის გუბერნატორის არნოლდ შვარცენეგერის მეუღლე მარია შრაივერი საკუთარი ქმრის მიერ მიღებული კანონების დარღვევაში გამოიჭირეს. ის სხვადასხვა დროს ორჯერ დააფიქსირეს ფოტოკამერით, თუ როგორ საუბრობს მობილურ ტელეფონზე ავტომანქანის მართვისას, ანუ კანონისადმი დაუმორჩილებლობას სისტემატური ხასიათი აქვს და ეს გამონაკლისს არ წარმოადგენს.**



არადა, შვარცენეგერმა ჯერ კიდევ 2008 წელს მოაწერა ხელი კანონს, რომლის თანახმადაც, ამ სახის დარღვევისთვის პირველ ჯერზე მძღოლი 20 დოლარით უნდა დაჯარიმდეს, მეორეზე კი — 50 დოლარით.

გუბერნატორი შვარცენეგერი, ნახა რა საიტზე TMZ.com გამოქვეყნებული ცოლის დამნაშავეობის დამადასტურებელი ფოტომასალა, საიტის დამფუძნებელს დაუკავშირდა და მისწერა, რომ მეუღლის გამოსასწორებლად „დაუყოვნებლივ ზომებს“ მიიღებს. როგორც შვარცენეგერის პრესმდივანმა აარონ მაკლირმა განმარტა, „დაუყოვნებლივ ზომებში“ იგულისხმება თხოვნა მეუღლისადმი, სხვა დროს ასე აღარ მოიქცეს.

მიუხედავად ამგვარი დაპირებისა, სწორედ იმავე საიტმა აღნიშნული პრეცედენტის შემდეგ გამოაქვეყნა ვიდეომასალა, რომლის მიხედვითაც, გუბერნატორის მეუღლე სწორედ იმავე სახით არღვევს შტატის კანონს.

# რატომ არ უნდა მიაყენოთ ზიანი ჰამბურგერს?

**უელსის ქალაქ სუონსის მკვიდრს ორი ჰამბურგერისთვის დანაშაულებრივი ზიანის მიყენების გამო სასამართლო ელის.**

31 წლის ცტივენ მორგანმა გასულ შაბათს შინ დარჩენა და მეუღლესა და ორ შვილთან ერთად ტელევიზორის ყურება მოინდომა. ოჯახმა ვახშამი სწრაფი კვების ახლომდებარე ობიექტს შეუკვეთა, მაგრამ შეკვეთის ადგილზე მიტანისას გაირკვა, რომ მენიუს ორი ჰამბურგერი აკლდა.



მორგანმა და მისმა ნათესავებმა (სახლში სტუმრად იმყოფებოდა მისი ცოლის და ოჯახით) გადაწყვიტეს, 5 ფუნტად ღირებულ დაკლებულ ორ ჰამბურგერსაც დალოდებოდნენ. ოჯახის უფროსსა და კურიერს შორის კონფლიქტი მაშინ წარმოიშვა, როდესაც ამ უკანასკნელმა იმ ორ ჰამბურგერთან ერთად საკომპენსაციო 15 ფუნტიც მიიტანა.

დაუდასტურებელი ცნობებით, მორგანმა დაგვიანებული ორი ჰამბურგერი ფეხქვეშ გათელა. პოლიციამ სასწრაფოდ დააპატიმრა ჰამბურგერების დაუნდობელი „მკვლელი“ და ორიოდ დღეში ბრალდებაც მზად იყო: „5 ფუნტად ღირებული საკვებისთვის დანაშაულებრივი ზიანის მიყენება“. როგორც ცნობილი გახდა, ამ დანაშაულისთვის მორგანმა 22 საათი გაატარა პოლიციის განყოფილებაში. მის სახლში მყოფმა ყველა სრულწლოვანმა პირმა ჩვენება მისცა გამოძიებას, დამნაშავე კი რამდენიმე დღეში სასამართლოს წინაშე წარდგება.

# ვინ იქირავებს ცხვარს?

**ყაზახეთის პავლოდარსკის ოლქში გლეხები სახელმწიფო კრედიტის სახით ცხვრებს მიიღებენ. პროექტს („ჟაილიაუ“) ახორციელებს სოციალურ-სამეწარმეო კორპორაცია „Ертіс“, რომელიც სახელმწიფოს სახელით ხუთი წლის ვადით გააქირავებს ცხვრებს. იგულისხმება, რომ გაქირავების შემდეგ ცხვრები გამრავლდებიან, ხუთი წლის თავზე ისინი მფლობელ კომპანიას დაუბრუნდებიან, მათი მონაგარი კი დამქირავებლებს დარჩებათ.**

კორპორაციას უკვე ჰყავს ათი კრედიტორი. მისი ხელმძღვანელის თქმით კი, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის პირობები გაცილებით გამარტივებულია. საერთოდაც, ეს კრედიტი გირაოსა და ყოველგვარი შენატანების გარეშე გაიცემა, ხუთი წლის მანძილზე კრედიტორები არანაირ პროცენტს არ იხდიან. კრედიტის მისაღებად პრეტენდენტებს ოლქის ხელისუფლების მიერ შექმნილი რაიონული კომიტეტები არჩევენ. გაუთვალისწინებელი პირობებისგან ყველა ცხვარი დაზღვეულია. მომავალი წლიდან ყაზახეთში ანალოგიური სისტემით იჯარით გაიცემა ცხენები და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მომავალში კი — ღორებიც. აი, ასე ებრძვის ყაზახეთი კრიზისს. მანამდე კი არაერთხელ გახდა ცნობილი, თუ რა ალტერნატიული გზებით ანაზღაურებენ კრიზისულ ქვეყნებში დაქირავებული თანამშრომლების შრომას. მაგალითად, ბელარუსში მუშებს ხელფასის ნაცვლად სხვადასხვა დროს ურიგდებოდათ ხალიჩები, ხახვი, კონსერვები და ასე შემდეგ. მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი ქარხნის მესვეურთ კი მოაფიქრდათ, ტრაქტორები ფულზე კი არა, პირდაპირ ხორცზე გაეყიდათ.



# რატომ აშიშვლებენ ხალხს მანჩესტერში?



**მანჩესტერის აეროპორტში დამონტაჟებული სკანერი ეკრანზე მგზავრის სხეულს აბსოლუტურად შიშვლად აჩენს. სამაგიეროდ, ახლა მგზავრებს ქამრებისა და რკინის შემცველი სხვა ნივთების მოხსნა აღარ დასჭირდებათ.**

ეკრანზე გამოჩნდება ყველა სახის პროტეზი, მათ შორის, სილიკონის მკერდიც, პირსინგიც, სხეულის ყველა ნაწილის მკვეთრ მოხაზულობაზე ხომ საუბარიც აღარაა. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ გამოსახულებას არ ექნება ეროტიკული ელფერი და უსაფრთხოების თანამშრომლის მიერ შემოწმებისთანავე წაიშლება.

მგზავრებს, რომელთაც ეკრანზე გაშიშვლების პერსპექტივა არ მოსწონთ, უფლება ეძლევათ, გაიარონ შემოწმების სტანდარტული პროცედურა. აეროპორტის ხელმძღვანელობის განცხადებით, სკანერის გამოსხივება ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ასეთი დასხივების მიღება წელიწადში ხუთი ათასჯერაც კი რაიმე მავნე შედეგს არ გამოიწვევს. ერთწლიანი ტესტირების შემდეგ დაახლოებით 125 ათას დოლარად ღირებულ სკანერებს მუდმივი მოხმარებისთვის დაამონტაჟებენ. აღნიშნულმა აპარატურამ უკვე გაიარა ტესტირება ბრიტანეთში ჰიტროუს აეროპორტში, შტატებში კი ის უკვე მრავალ საერთაშორისო აეროპორტში გამოიყენება.

# რა უნდა ჩოგბურთს მატარებელში?

**ფრანგმა ჟო-ვილფრიდ ტსონგამ და ესპანელმა ფერნანდო ვერდასკომ შანხაის შემოგარენში ჩქაროსნული მატარებლით მგზავრობისას საჩოგბურთო მატჩი ჩაატარეს. თამაში 7 წუთსა და 20 წამს გაგრძელდა, თამაშისას მატარებლის სიჩქარე კი საათში 431 კილომეტრს აღწევდა. მთელი მატჩის მანძილზე მატარებელმა 30 კილომეტრი გაიარა.**



ტსონგას თქმით, ეს ძალზე თავისებური თამაში იყო, რადგან მატარებლის სიჩქარე ბურთის სიჩქარეს აღემატებოდა და თამაშის დროს ცოტათი ნერვიულობდა კიდეც.

ვერდასკოს თქმით, მისი და ტსონგას შეხვედრა ჩოგბურთის ისტორიაში პირველად დასრულდა გამარჯვებულის გამოვლენის გარეშე. მან აღნიშნა ასევე, რომ ის პირველად მოგზაურობდა ასე სწრაფი მატარებლით.

# რომელი ქვეყანაა ყველაზე საშინელი?

**ევროპის სახელმწიფოებს შორის ცხოვრების ყველაზე დაბალი დონის ქვეყნების რეიტინგში პირველი ადგილი ბრიტანეთმა დაიკავა. სწორედ ამ შედეგის წინაშე აღმოჩნდნენ კვლევის ავტორები, რომლებიც საფრანგეთს, ესპანეთს, დანიას, ჰოლანდიას, გერმანიას, პოლონეთს, იტალიას, შვედეთს, ირლანდიასა და ბელგიას ადარებდნენ.**

როგორც გაირკვა, ცხოვრებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ქვეყანა საფრანგეთია. მათი მეზობელი ნისლიანი ალბიონის მკვიდრნი კი ფრანგებზე სამი წლით მეტს მუშაობენ და ორი წლით ნაკლებს ცოცხლობენ. ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, ბრიტანეთში ძვირია საწვავი, საკვები, ალკოჰოლიანი სასმელი და სიგარეტი. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანულ ოჯახს საშუალო ევროპულ ოჯახზე მეტი შემოსავალი აქვს, ფულის უდიდესი ნაწილი მიმდინარე ხარჯებს ხმარდება. დიდი ბრიტანეთი ირლანდიისა და შვედეთის შემდეგ ევროპაში ყველაზე ძვირადღირებული ქვეყანაა. მაგალითად, დიზელის საწვავი იქ ევროპის საშუალო ფასზე 20%-ით ძვირია. თუმცა გაერთიანებული სამეფო ევროპაში ერთადერთი ქვეყანა არაა, სადაც მოსახლეობა ქანცის გაწყვეტამდე მუშაობს. მაგალითად, კვლევის თანახმად, პოლონეთში ყველაზე გრძელი სამუშაო დღეა, მაგრამ ეს გრძელვადიანი შვებულებებით კომპენსირდება. ბრიტანელები კი კვირაში 37 საათს მუშაობენ და თან ყველაზე ხანმოკლე შვებულებები აქვთ. გარდა ამისა, ბრიტანელები ყველაზე ცოტა ფულს ხარჯავენ განათლებასა და ჯანმრთელობაზე.



# რატომ ყიდიან ბრიტანელები თირკმელებს

**ბრიტანელები, რომელთა გადახდისუნარიანობა საგრძნობლად დააზარალა ფინანსურმა კრიზისმა, ვალების გასასტუმრებლად ინტერნეტის მეშვეობით საკუთარ ორგანოებს ყიდიან.**

ბრიტანელმა ჟურნალისტებმა გამოძიება თავად ჩაატარეს და დონორების მძებნელებად გაეცნენ პოტენციურ დონორებს, რომლებიც საკუთარ თირკმელებს დაახლოებით 25 ათას ფუნტად ყიდიან. „Sunday Times“-მა 20-მდე მსგავსი შემთხვევა გამოავლინა.

მოთხოვნაზე გამოხმაურების შემდეგ ერთმა ექთანმა, 26 წლის მამაკაცმა, აღიარა, რომ იძულებულია, ამ გზით იშოვოს ფული საკუთარი ბიზნესის ჩავარდნის შემდეგ დაგროვებულ ვალებთან გასამკლავებლად.

43 წლის მძღოლმა შენიღბულ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ამ გზით იპოთეკის ნაწილის დაფარვას გეგმავს.



# ვის უმღეროდა ზურაბ ანჯაფარიძე უკიდეგანო ზღვაში

**შავი ზღვა პირველად ქობულეთის პლაჟიდან დავინახე. ჩემი ცხოვრების პირველი ნახევარი — ბავშვობა და ყრმობა, რაც დასვენების დღეებთან თუ თვეებთან იყო დაკავშირებული, იქ გავატარე. ბევრი ბავშვი გავიცანი, ახალგაზრდობაში — ბევრი ახალგაზრდა, მაგრამ მეხსიერებაში ერთი პიროვნება განსაკუთრებულად შემომრჩა. მისი მოგონება დღესაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მეგობრობას ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ ყოველი ჩვენი შეხვედრა ძალზე საინტერესო მოგონებებით იწყებოდა. იუმორით აღსავსე, ჯანსაღი აზროვნებისა და ჯანსაღი სხეულის პატრონი გახლდათ. 1951 წლის ზაფხულში ხუთი სტუდენტი საგზურებით „შეიარაღებულნი“ ქობულეთში გავემგზავრეთ. საგზური 24-დღიან დასვენებას ითვალისწინებდა ე.წ. ვეცეესპესის სანატორიუმში. კარგი მომსახურების, კვებისა და გართობის შემთხვევაში, ვადის გაგრძელების შანსიც არსებობდა.**



ერთ ოთახში ხუთი საწოლი დავიკავეთ. სწორედ ის იყო, რაც ჩვენ გვინდოდა, რადგან უწესრიგო და, ცოტა არ იყოს, ხმაურიანიც ვიყავით. დილით ბუნებრივი გაღვიძება არ არსებობდა — თავში რაღაც უნდა მოგვხვედროდა ან ყვირილს უნდა გავეღვიძებინეთ. გვერდით ოთახში ორი საწოლი იდგა, სადაც სანატორიუმის „კულტმუშაკები“ იყვნენ. ამ ოთახთან საერთო შესასვლელი და აივანი გვაკავშირებდა. ჩვენი მეზობლები ფეხბურთის თამაშის დროს გავიცანით. ერთი გახლდათ თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული გივი ტორონჯაძე, ხოლო მეორე — ამავე კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტი ზურაბ ანჯაფარიძე.

ძვირფასო მკითხველო! არც მუსიკათმცოდნე და არც ხელოვნებათმცოდნე გახლავარ. ამ პატარა პუბლიკაციის მიზანია, დიდი მომღერლის, დიდბუნებოვანი ნაღდი ქალაქელი კაცის ბიჭობისა და ვაჟკაცობის პერიოდი გავიხსენო. რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად, რაც ჩემი თვალით მინახავს და პირადად მომისმენია.

**ერთ დღეს დამიმარტოხელა, ხელი გადამხვია და ხუმრობანარევი ტონით მკითხა: „ერთი გამაგებინე, შენი ამხანაგები ცოტა შერეკილები ხომ არ არიან?“ გამეცინა, დავეთანხმე და დავუმატე: „მე მგონი, — მეც!“, „არა, შენ არა, ერთს ხმაზე ვცნობ, ყველაზე მეტს ის ყვირის, ეტყობა, ბავშვობაში თავი აქვს რაღაცაზე მირტყმულიო“. საუბრისას ძალიან ბევრი საერთო ნაცნობი გამოგვიჩნდა. მათ შორის ჩემი სკოლის მეგობრებიც იყვნენ. ერთი სიტყვით, შინაგანაწესის დამრღვევნი გამოვასწორეთ. ჩვენი ურთიერთობა გამყარდა. სურათის გადაღების დროს წამოწვა და თავი ჩემს მუხლებზე დადო. ეს ფოტო ჩემი ალბომის მშვენებაა.**

დამეთანხმებით, ზღვაზე დასვენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ცურვაა; ეს ის დროა, როდესაც ჩემი მეგობარი კაკო მშვენიერაძე მოსკოვის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის კაპიტანია, ვის შესახებაც დავწერე და გამოვაქვეყნე წერილი „ადამიანი-დელფინი“ და, ბუნებრივია, მის მერე ვისი ცურვა უნდა გამკვირვებოდა.

კარგი ამინდია, ზღვაში შევედით და ნაპირს კარგა მანძილით მოვცილდით, ვკითხე:

— ზურა, თურქეთში ხომ არ მივდივართ?

— არა, აქეთ რუმინეთია, — მიპასუხა.

ეს მორიგ ხუმრობად ჩავთვალე და ცოტა ხნით ზურგზე დავწექი. გადმოვტრიალდი თუ არა, მინდოდა, მეთხოვა, ნაპირზე დავბრუნებულიყავით, მაგრამ ამაოდ, ზურაბი არ ჩანდა. ვიფიქრე, ჩემს შესაშინებლად ხომ არ ჩაყვინთა-მეთქი. ერთი-ორჯერ მთელი ძალით ვიყვირე... შევშინდი, ცოტა ხანს შევყოვნდი, მერე ძალა მოვიკრიბე და ნაპირისაკენ გავცურე. დავიბენი, რა უნდა მექნა, არ ვიცოდი. პირველ ყოვლისა, ფეხზე რომ დავდექი, თვალები დავაცეცე და შევეცადე, ძალიან შორს, ჰორიზონტზე გამეხედა. რაღაც წერტილი კი შევნიშნე, მაგრამ თვალებს არ დავუჯერე. ის იყო განგაში უნდა ამეტეხა, რომ პლაჟზე ჩვენი სანატორიუმის ორი მოსკოველი ქალბატონი შევნიშნე, ერთს ბინოკლი ეჭირა და მეორეს რაღაცაზე მიუთითებდა. მივვარდი, ბინოკლი არ მითხოვია, ინტუიციით რაღაცა სასიკეთოს მივხვდი, შევეკითხე, რას უყურებთ-მეთქი. ერთმა მათგანმა ძალიან მშვიდად მიპასუხა: „ნაშ კულტრაბოტნიკ ოჩენ დალეკო პლავაეტ.“ ამოვისუნთქე და ძალიან კარგ ხასიათზე დავდექი.

რა ჯობია კარგ ამინდში ზღვის პირას ორი ლამაზი ქალის გვერდით წოლას! ფრიად სასიამოვნო საუბარი გაიმართა. საუბრის თემა შუა ზღვაში მყოფი „კულტრაბოტნიკი“ გახლდათ. როგორც გაირკვა, ერთ მათგანს ზურა მოსწონდა, ხოლო მეორე თავის დაქალს თანაუგრძნობდა. სადილის დრო მოახლოვდა, ქალები პლაჟიდან წავიდნენ. ბინოკლი დამიტოვეს, „კულტრაბოტნიკს“ უთვალთვალეთო. ბევრი ვეძებე და, როგორც იქნა, ჰორიზონტზე, სადღაც შორს აღმოვაჩინე მოძრავი წერტილი, რომელიც თანდათან გამოიკვეთა. მოგვიანებით ნაპირს მოუახლოვდა. აშკარად ზურაბი იყო, მაგრამ მიმართულება შეეცვალა, დინებას მიჰყვებოდა. მეზობელი დასასვენებელი სახლის პლაჟზე გამოვიდა. შევეგებე და ვკითხე, რა ხდება რუმინეთში, როგორ არიან-მეთქი, — არა უშავთ, მოგიკითხესო.

**სასადილოში ბინოკლის პატრონები დაგვხვდნენ. ზურაბმა მათ თხოვნას — იქ წაგვიყვანე, სადაც იყავიო, — თანხმობით უპასუხა. შევთანხმდით და მეორე დღეს მაშველების ნავით ამ ქალბატონებთან ერთად ზღვაში გავედით. ხუმრობა-ხუმრობაში ღრმად შევცურეთ; ნაპირისკენ მხოლოდ მთები ჩანდა. შევჩერდით. აი, აქ ვიყავიო, იხუმრა ზურაბმა და წყალში გადაეშვა. მეც მივყევი, ქალებმაც არ დააყოვნეს. კარგა ხანს გავერთეთ. ნავზე პირველი ზურაბი ავიდა, დადგა ფეხზე და ცნობილი იტალიელი მომღერლის ცნობილი სიმღერა შეასრულა. არ დამავიწყდება მოსკოველი ქალების გაოცებული თვალები. შუა ზღვა, ნავი, ნავზე შემდგარი მომღერალი — 23 წლის ზურაბ ანჯაფარიძე და სამი მსმენელი.**

მეორე დღეს „კულტრაბოტნიკების“ — გივი ტორონჯაძისა (შემდგომში ქუთაისის ოპერის თეატრის დირექტორი გახლდათ) და ზურაბ ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით კონცერტი იყო დაგეგმილი. ამ დროს სანატორიუმში დასასვენებლად ჩამოსული გახლდათ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი შოთა კიკნაძე. ზურაბმა მონაწილეობის მიღება სთხოვა. შოთამ უთხრა, „მე აქ დასასვენებლად ვარ ჩამოსული, შენ იმღერე“. „მე არავინ არ ვარ, შენ ოპერის სოლისტი ხარ, რომ გამოვაცხადებ, საქმეში ჩამეთვლებაო,“ — სთხოვა ზურაბმა.

კონცერტი დამსვენებლებისა და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით ჩატარდა. ყველაზე დიდი წარმატება წილად ხვდა ზურაბს.

მიიწურა დასვენების დღეებიც. შეხვედრები უკვე გაიშვიათდა. თბილისში ჭირში ან ლხინში თუ ვხვდებოდით ერთმანეთს. მოსკოვში, დიდ თეატრში მოღვაწეობის დროს, ზურაბმა ბევრი საინტერესო ადამიანი გამაცნო. ბოლო ხანს ბათუმში უყვარდა დასვენება. მეც იქ ვიყავი და მოვინახულე. იმ დროს ავტომანქანების გაქანებული ქურდობა იყო; ზურაბს მანქანის საქარე მინაზე მიუწერია: „არ მოიპაროთ, ზურაბ ანჯაფარიძის ავტომობილია!“ მეც ამით მივაგენი.

**ჟანი სიხარულიძე**











მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —
ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

● უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევას და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
● ჰორმონული, გენეტიკური, იმუნოლოგიური, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური გამოკვლევები;
● სასქესო ინფექციების დადგენა, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
● სპერმის კომპიუტერული ანალიზი;
● ხელოვნური ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვა;
● ქალებში და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენა და მკურნალობა, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
● ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
● სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკა, ქირურგიული კორექცია;
● კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობა და პროფილაქტიკა;
● ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენა; შობადობის რეგულაცია — მედიკამენტური კონტრაცეფცია;
● ულტრასონოგრაფიული, ბიოქიმიური, ჰორმონული, ციტოგენეტიკური გამოკვლევები.

მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45, 99-61-97, 99-54-77

საქართველო ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net